# კვირის პალიტრა

**36 გვ**

№ 6 (356) ◆ 11 – 17 თებერვალი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## რატომ არ ჰყავდა რვა თვის მანძილზე ვაშინგტონს ელჩი საქართველოში?



პესიმისტურად ვუყურებ აბაშიძის ჩართვას მოლაპარაკებებში, იმიტომ, რომ იმას, რაც ვერ გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა, ვერ გააკეთებს რეგიონალური ლიდერი. მაგრამ თუ ეს შეძლო ასლან აბაშიძემ და ვერ შეძლო ედუარდ შევარდნაძემ, მაშინ სულ სხვა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა გვეძლევა, რომლისგანაც დღეს თავს შევიკავებ...

არც კორუფციასთან ბრძოლის მჯერა. ნუთუ ასე ცოტას აქვს წაკითხული „12 სკამი", სადაც ცხონებული ოსტაპ ბენდერი ამბობს: „სისუფთავისთვის ბრძოლა არ არის საჭირო, არამედ საჭიროა დაგვაო". დიახ, სისუფთავისათვის „მებრძოლი" ბევრი გვყავს, მაგრამ არა გვყავს მეეზოვე, რომელიც ცოცხით მოაგროვებდა ნაგავს და გადაყრიდა.

გვ.3

## რადიოაქტიური ნარჩენების საცავში ავარია მოხდა(?!)

გვ.7,11



**თბილისთან ახლოს რადიაციული წყარო აღმოუჩენიათ და მის გასანეიტრალებლად მივემგზავრებითო...**

მინისტრი და სამინისტროს ხელმძღვანელობა უსირცხვილოდ იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ მე, სამსახურის უფროსს, წალენჯიხაში რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ არაფერი მითქვამს. ჩემს სიმართლეს სათანადო დოკუმენტებითაც დავამტკიცებ...

ამერიკელები ისეთი აპარატურით აპირებდნენ აეროგადაღებასა და ზონდირებას, რომლითაც თითქმის გამორიცხული იყო, რადიაციული წყარო ვერ ეპოვათ, თუნდაც ის კონტეინერში ყოფილიყო. მეორეც – მათი გადაღებები უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ფრანგებისა, მაგრამ ამერიკელები „მოტეხეს"...

*ზურაბ კერესელიძე*

**თუ ყველაფერი ის, რასაც რესპონდენტი გვიამბობს, მართალია, მაშინ კიდევ კარგად გადავრჩენილვართ...**

## „დამერწმუნეთ, ის რომ გიორგის მამა არ ყოფილიყო, სასამართლოში ვუჩივლებდი"

გვ.5

*ელენე თევდორაძე*



თევდორაძე კაცი რომ იყოს, აქამდე ათჯერ მეყოლებოდა ნაცემი. იმიტომ, რომ ამ კასეტას გადაჰყვა მთელი საქართველო. თუ გაქვს, აჩვენე!

ეს იცით რაზე იყო გათვლილი? ან ალდამოვი ესვრის, ან ალდამოვს ესროდნენ. ალდამოვი მოხვდება „კლეტკაში". დაიხურებოდა წარმომადგენლობა. აღარ არის ალდამოვი, ფაფუ... და პრობლემაც მოიხსნებოდა: არასდროს ჩეჩნეთის წარმომადგენლობა საქართველოში აღარ იქნებოდა. აი, ეს იყო მიზანი.

*ხიზრი ალდამოვი*

## მსოფლიოს თანამედროვე საყვარელ მსახიობთა ათეულში რამაზ ჩხიკვაძე მესამეა

გვ.35

მკითხველის ლეიცინები

## რუსი იმიჯმეიკერების მისია საქართველოში...



PR-ის სპეციალისტთა შესაძლებლობები თითქმის შეუზღუდავია და მათ დიუმასეული „რუხი კარდინალების" მსგავსად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

გვ.12

Осторожно, двери открываются...

## თბილისს კიდევ ჰყავს კარგი ბიჭები

ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მიახლოვდებოდა... ვიღაცამ მკლავში წამავლო ხელი. სწრაფად შემოვბრუნდი, მაგრამ უზარმაზარი კაცი ისეთი თვალებით მიყურებდა, მოქნეული ხელი ეგრევე დამრჩა ჰაერში. მოულოდნელად გადამეხვია და გადამკოცნა.

– კაი კაცი ხარ... ბოდიში, ძმაო...

– ვერ ხედავ, ქალებს გვაწერს, რას ედრასტები, მე მაგისი...

გვ.4

ვაკის პარკის „საკუთრება" მხოლოდ ჩანჩქერი და შადრევანი ყოფილა(!)

„წერეთელს აქეთ გამოხედვაც აღარ უნდა..."



გვ.13

## „ზურა მაფიის ბოსია მე მისი თანაშემწე..."

### ფონოგრამით სიმღერა ჩემთვის იგივეა, რაც ვთქვათ, სექსი გასაბერ ქალთან



რამ გააცოფა ეს ხალხი? ერთმანეთის ლანძღვაგინება და შეურაცხყოფა სიამოვნებთ? ყოველთვის ასე კი არ მილხინდა... შრომით მივაღწიე იმას, რაც მაქვს. წადი, შენც გააკეთე საქმე, რატომ ილანძღები?

...იცი, ყველაზე მეტად რა საჩუქარი გამიხარდა? 1995 წელს არეულ-დარეულ სენაკში მოხუცი ქალი მოვიდა და მითხრა – შვილო, შვილიც მომიკლეს და შვილიშვილიც, არავინ დამრჩა, ეს მურაბა რომ ვაჭამო და შენ წაიღე, შაქრად შეგერგოსო. როცა ეს ამბავი მახსენდება, სულ ცრემლებად ვიღვრები – ჩემი პრიზიც ეს არის და პრემიაც...

გვ.19-20

## ორი ზესტაფონელი ლენინის გულისათვის ერთმანეთს თავს ვაკლავდით...

ვერსია

გვ.10

ფეხი გადმოვდგი თუ არა, ხალხმა იხუვლა – აი, შე იუდავ, შე საქართველოს მტერო, შე კომუნისტების ლაქია, შე ლენინის მენაგვეო. ერთი სიტყვით, ისე მლანძღავდნენ, იმგვარი სიტყვებით მაგინებდნენ, ყურში რომ არ შეიშვება. მეტი ძალა არ იყო, კვლავ მანქანაზე ავედი და რაც შემეძლო, მთელი ხმით ვიყვირე (სწორად გამიგე, გამწარებული ვიყავი) – ამის დამდგმელის დედაც, ლენინის დედაც და თქვენი დედაც-მეთქი – ეს ვიღრიალე და ატყდა ტაში – გამიკეთეს კორიდორი და ტაშით მიმაცილებდნენ ქალაქის საბჭოს შენობისაკენ.

ვიფიქრე, დავუდებ დინამიტის მცირე დოზას, ისე, რომ ხმამაც არ გამოაღწიოს, მერე პნევმატურ ჩაქუჩსაც წავახმარ და ოდნავ თუ გვერდზე გადაიწია, ძეგლის მოხსნის საბაბიც სახეზე იქნება-მეთქი (იცინის). აი, ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედი შინაგან საქმეთა მინისტრი იმდროინდელი იდიოტური სინამდვილის გამო...


**Computron**

IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba



99 $-დან

კომპლექტი

კომპიუტერები

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23

☎ 94-28-33



გამოვიდა!

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი



სიცილი ჯანმრთელობაა!


## სპორტი:



გვ.32

### სოლტ-ლეიკ-სიტიში ოლიმპიური ცეცხლი აინთო!

8 თებერვალს გახსნილ ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ქართველი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

**მშვიდობიან კვირას გისურვებთ!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ეყოფა თუ არა პრეზიდენტს პოლიტიკური ნება?

დიდი სიურპრიზებით წარიმართა მთავრობის ორდღიანი გაფართოებული სხდომა, სადაც მინისტრებმა ანგარიში ჩააბარეს პრეზიდენტს გაწეული მუშაობისა და კორუფციასთან „ბრძოლის" მიმდინარეობის შესახებ. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა მირიან გოგიაშვილმა პასუხი მოსთხოვა მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორს კობა ბუჩუკურს იმის გამო, რომ ქონებრივ დეკლარაციაში არ ჰქონდა ჩაწერილი თავისი წილობრივი კავშირი ერთ-ერთ ენერგოკომპანიასთან. პრეზიდენტმაც ავისმომასწავებლად მიანიშნა ბუჩუკურს, „თუ ეს მართალია, ერთად ველარ ვიმუშავებთო..." გოგიაშვილმა ენერგეტიკის მინისტრსაც მოსთხოვა იმ პირების დასახელება, რომლებიც დამნაშავენი არიან „რელასის" გაკოტრებაში... მოელიან, რომ მალე ბევრი თანამდებობის პირის სავარძელი გვარიანად „შეირყევა", თუმცა ეყოფა თუ არა პრეზიდენტს პოლიტიკური ნება რადიკალური ნაბიჯებისათვის, მომავალი გვიჩვენებს...

## აფხაზებმა გაერო გააწბილეს

სოხუმში იმყოფებოდა გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი, რომელმაც სეპარატისტებს გასაცნობად ჩაუტანა გაეროს უშიშროების საბჭოს ახლახან მიღებული რეზოლუცია. დიტერ ბოდენი, როგორც მოსალოდნელი იყო, სოხუმიდან თბილისში გაწბილებული დაბრუნდა. ჯერგენიას რეჟიმი (არძინბას ახლახან თავის ტვინის ოპერაცია გაუკეთეს მოსკოვში და როგორც ამბობენ, ექიმებმა მის გამოჯანმრთელებაზე საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი) არც საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე მოლაპარაკებას აპირებს და რუსი სამშვიდობოების ღალიძგაზე ჩაყენების, ანუ მათთვის მანდატის გაფართოების წინააღმდეგაც ილაშქრებს! დიტერ ბოდენი ორი დღის მანძილზე ცდილობდა ჯერგენიასა და მისი ხალხის დაყოლიებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პრინციპების დაცვა-შესრულებაზე, მაგრამ ამაოდ. ჯერგენიამ სოხუმის ტელევიზიით გამოსვლისას რეზოლუციის განხილვაც კი, ხოლო მისმა თანაშემწემ ასტამურ ტანიამ თბილისთან მოლაპარაკებებიც გამორიცხეს...

## ასპარეზზე აბაშიძე გამოვიდა

სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ასლან აბაშიძე, რომელიც მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, იგორ ივანოვს ესაუბრა როგორც აფხაზეთის პრობლემატიკის გადაჭრაზე, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების პერსპექტივაზე. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, რომელიც დაგეგმილზე ორი საათით მეტხანს გაგრძელდა, იგორ ივანოვმა მხოლოდ ის თქვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ერთიანი საქართველოს ფარგლებში უნდა მოგვარდეს... მოლაპარაკების დეტალებს არ ახმაურებენ. ცნობილი გახდა, რომ ასლან აბაშიძე იური ლუჟკოვსაც შეხვდა... ასლან აბაშიძის ვიზიტის შედეგებს მოუთმენლად ელიან კანცელარიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში!

## შემაშფოთებელი სტატისტიკა

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს და ფრიად დამაფიქრებელიც. აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა ელგუჯა ბერიამ შემაშფოთებელი სტატისტიკური მონაცემები გაახმაურა, რომლის თანახმად 2001 წელს ლტოლვილთა შორის ბავშვთა სიკვდილიანობა გაორმაგდა, მნიშვნელოვნად დაეცა შობადობის მაჩვენებელიც... იმავე დღეს პარლამენტის შენობაში თავის დაწვა სცადა კოდორის ხეობის მკვიდრმა, სამი შვილის დედამ, 33 წლის გულნარა გუგესიანმა. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა დასრულდა ფრაქცია „ალიანსის" სხდომა, სადაც უშედეგოდ განიხილეს კოდორის ხეობიდან ჩამოსული 25 ოჯახის კარტოგრაფიის კომბინატის შენობაში შესახლება-განთავსების საკითხი. სამი შვილის დედამ ბენზინი გადაისხა, მაგრამ პარლამენტარებმა იმარჯვეს და ასანთი ხელიდან გააგდებინეს... ახლა ამ ოჯახების დაბინავების საკითხს ინტენსიურად განიხილავენ მერიასა და პარლამენტში, კოდორის ხეობიდან ჩამოსულნი კი იმუქრებიან, რომ თუ დროულად არ მიხედავს მათ ხელისუფლება, კვლავაც პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავენ...

## ჩეჩენი ლტოლვილები წასვლას არ აპირებენ

პრეზიდენტმა პუტინმა მიიღო და პირადად, ოფიციალურად დაავალა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრს სერგეი შოიგუს ქართველ კოლეგებთან ერთად ერთ კვირაში წარმოადგინოს ჩეჩენი ლტოლვილების პანკისის ხეობიდან სამშობლოში დაბრუნების გეგმა. პუტინის თქმით, „საქართველოს ხელისუფლება უკვე მზადაა მიიღოს აუცილებელი ზომები ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რაც მრავალეტაპიანი პროცესი იქნება". ჩეჩენი ლტოლვილების უმრავლესობა კი, ჯერჯერობით, კატეგორიულ უარს აცხადებს ჩეჩნეთში დაბრუნებაზე უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო.

სერგეი შოიგუს 18-კაციანი კომისია კი, რომელიც გასულ ხუთშაბათს უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, არ ჩამოვიდა და მათი ვიზიტი მიმდინარე კვირაში შედგება. ვიზიტი ქართული მხარის თხოვნით გადაიდო, რაც დაკავშირებული იყო მთავრობის გაფართოებულ სხდომასთან, რომელიც კვირის ბოლოს გაიმართა, შესაბამისად, რუსეთის დელეგაციის მასპინძლობისთვის ვერავინ მოიცლიდა... ხიზრი ალდამოვი კი ამთავითვე აცხადებს, რომ ჩეჩენი ლტოლვილები არსად წასვლას არ აპირებენ და არც შოიგუს და არც მის კომისიას ჩეჩენ ლტოლვილებთან არაფერი ესაქმებათ, ამ საკითხზე წავიდნენ და მასხადოვს ელაპარაკონ, როგორც ჩეჩნეთის პრეზიდენტს! პანკისის ხეობაში კი ჩეჩენმა ლტოლვილებმა მიტინგები დაიწყეს, სადაც კატეგორიულად აფიქსირებენ, რომ არსად წასვლას არ აპირებენ, რადგან ვინც ენდო რუსებს და დაბრუნდა ჩეჩნეთში, ყველა დახოცეს!

## მძევალმა გაქცევა შეძლო

ხონში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსის ვახტანგ კვაჭანტირაძის ვაჟი ვლადიმერ კვაჭანტირაძე ბანდიტებმა საკუთარი ბინიდან გაიტაცეს და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ თბილისის მერის ახლობლის დაპატიმრებული ბანდიტის ჯგუფის მეთაურის, გიორგი ბალავაძის გათავისუფლებას ითხოვდნენ. კვაჭანტირაძემ თავად შეძლო დასხლტომოდა გამტაცებლებს და შინ დაბრუნებულიყო. მიმდინარეობს ძიება. გაირკვა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი-გამტაცებელი ბალავაძის ძმაა...

## მებაჟეებს ტესტირება ჩაუტარდათ

საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ნარკოტიკების გამოყენების დასადგენად 150 მებაჟეს მოულოდნელი ტესტირება ჩაუტარდა. ტესტირების შედეგებს არ ახმაურებენ, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ტესტირებულთა შორის რამდენიმე ათეული ნარკომანია... ტესტირებები კვლავაც გაგრძელდება. გამოვლენილი ნარკომანი მებაჟეების სამსახურში დატოვების საკითხს კი შემოსავლების სამინისტროს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს. ზოგიერთის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინარული სასჯელი, თუმცა უმრავლესობას სამსახურებიდან დაითხოვენ.

## დეპუტატები დიპლომატის გათავისუფლებას ითხოვენ

პატიმრობაში მყოფი დიპლომატის, გიგა მახარაძის ვადამდელი გათავისუფლების საკითხს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო მიმდინარე კვირაში განიხილავს. გიგა მახარაძემ ვადამდელი გათავისუფლების შესახებ თხოვნით ჯერ კიდევ 2001 წლის აპრილში მიმართა შესაბამის უწყებებს, მაგრამ შემდეგ ეს თხოვნა უკან გამოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაციები ირწმუნებიან, რომ გიგა მახარაძეზე უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდებოდა... მახარაძემ სასჯელის დიდი ნაწილი უკვე მოიხადა და კანონის თანახმად იგი ექვემდებარება ვადამდელ გათავისუფლებას. პატიმარს თანადგომას ჰპირდება პარლამენტიც, სადაც უკვე შეგროვდა 163 ხელმოწერა დიპლომატის ვადამდელი გათავისუფლების შუამდგომლობის შესახებ!

## შესრულდა თუ არ შესრულდა?!

პრეზიდენტისა და ეკონომიკური ბლოკის განცხადებებს, რომ 2002 წლის იანვრის საბიუჯეტო გეგმა შესრულდა, არ ეთანხმება სახელმწიფო ხაზინა. შემოსავლების მინისტრი ლევან ძნელაძე ირწმუნება, რომ საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების მხრივ გეგმა შესრულდა გადაჭარბებით, კერძოდ, 102%-ით. შემოსავლების სამინისტრო ამ მონაცემებში აჭარაში მობილიზებულ თანხებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ამ პოზიციას არ იზიარებს ხაზინა და აჭარაში აკრეფილი თანხები ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოურიცხაობის გამო თავის მონაცემებში არ შეაქვს. თუ აჭარიდან თანხები არ გადმოირიცხა, ხაზინა იანვრის თვის ბიუჯეტის ჩავარდნას ოფიციალურად დააფიქსირებს! ხაზინის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტი 97%-ით, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტი 95%-ითაა შესრულებული. საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების გარდა ქვეყანამ სრული მოცულობით ვერ მიიღო მსოფლიო ბანკის გრანტები და კრედიტები, გეგმასთან შედარებით ბიუჯეტმა 2 მილიონით ნაკლები მიიღო ეროვნული ბანკის სესხის სახითაც. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობის ფაქტებს მანკიერ მოვლენად აფასებს და მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს, ამ სფეროში წესრიგის დამყარებას!

## სომხები გვიჩივიან?

თბილისში ჩამოვიდა ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებში როლფ იკეუსი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ჯავახეთში მცხოვრები სომხების წერილი-საჩივარი გახდა, სადაც წერია, რომ საქართველოში სომხების უფლებები ირღვევა(!). ამ წერილის არსებობა უარყო საქართველოს ხელისუფლებამაც და ეუთოს კომისარმაც. მან უკვე დაიწყო საქართველოში მცხოვრები 100-ზე მეტი ეროვნული უმცირესობის მდგომარეობის და პრობლემების შესწავლა. ამ მიზნით როლფ იკეუსი ჯავახეთსაც ეწვევა. მისი განცხადებით, ეუთომ განსაკუთრებით უნდა გააძლიეროს მუშაობა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რაც ხელს შეუწყობს ამ კონფლიქტების მოგვარების დაჩქარებას...

## ნათელაშვილი კონსტიტუციის შეცვლას აპირებს

ლეიბორისტულმა პარტიამ პარლამენტს კონსტიტუციის ახალი კანონპროექტი წარუდგინა. შალვა ნათელაშვილის თქმით, აღნიშნული პროექტის თანახმად, „საქართველო აღარ იქნება საპრეზიდენტო-დიქტატორული სახელმწიფო, არამედ დარჩება ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ამასთან, პარლამენტს მიეცემა ფართო უფლებები. პრეზიდენტს არ ექნება მთავრობის შექმნის, დანიშვნის და ნათესავების მინისტრებად მოყვანის შესაძლებლობაც კი. პარლამენტიც აღარ იქნება მაფიოზური გაერთიანება, არამედ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გადაიქცევა ორპალატიან პარლამენტად. შეიქმნება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი. პრემიერს პარლამენტის რეკომენდაციით პრეზიდენტი წარადგენს დასამტკიცებლად, მინისტრთა კაბინეტს კი პარლამენტის ქვედა პალატა დაამტკიცებს. ამასთან, დაგეგმილია დეპუტატთა რიცხვის მკვეთრად შემცირებაც..." ნათელაშვილის ამ პროექტს პარლამენტში ბევრი მომხრე გამოუჩნდა, თუმცა არიან კატეგორიული მოწინააღმდეგენიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონსტიტუციის მთლიანად შეცვლა დაუშვებელია ამ ეტაპზე! ლეიბორისტები კი იმუქრებიან, რომ თუ არ დაიწყება პროექტის განხილვა, 200 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ ამ საკითხის პარლამენტში გასატანად.

## დიპლომატები ქალონენს არ ენდობიან

საქართველოში სამუშაოდ მყოფმა დიპლომატებმა და უცხოელმა ბიზნესმენებმა ქართველ სამართალდამცველებს კატეგორიულად მოსთხოვეს უცხოეთის მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა და გარანტიები. ბევრი უცხოელი დიპლომატი და ბიზნესმენი მივიდა „შერატონ-მეტეხი პალასში" ქართველ სამართალდამცველებსა და პარლამენტარებთან სასაუბროდ. ამის მიზეზი გახდა ამას წინათ ევროკომისიის წარმომადგენლის, გიუნტერ ვოიხელისა და სხვა უცხოელების მკვლელობა-ცემის ფაქტები. უცხოელთა ამ მოთხოვნის საპასუხოდ პოლიციამ და უშიშროებამ სპეციალური განყოფილება შექმნა. უცხოელები კი აცხადებენ, რომ ისინი საქართველოში არც ერთ პოლიციელს და სამართალდამცველს არ ენდობიან, რადგან მათ არც ერთი დანაშაული არ გაუხსნიათ! აშშ-ის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობამ ერთობლივი კომისიის შექმნა მოითხოვა, რომელშიც ქართველ პოლიციელებსა და უშიშროების თანამშრომლებთან ერთად აშშ-ის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებიც შევლენ და ერთად გამოიძიებენ გაუხსნელ დანაშაულებს. ქართული მხარე თანახმაა ასეთი კომისიის შექმნაზე!

## პოლიცია ვალებს იღებს?..

ვარკეთილში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟის, თბილისის პოლიციის თანამშრომლის გიორგი გამსახურდიას ხელქვეითმა პოლიციელებმა სცემეს მოქალაქე ბეჟან მიქაუტაძე, რომელიც საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა არც პოლიციელებისთვის დაუკლიათ მიქაუტაძის მომხრეებს და ერთ-ერთი სამართალდამცველიც საავადმყოფოშია ნეკნებჩამტვრეული. ჩხუბის მიზეზი გახდა ავტომანქანის საბურავების 1000-ლარიანი ვალი, რომლის დასაბრუნებლადაც ერთ-ერთი ავტობაზის გამყიდველმა მთაწმინდის რაიონის სამ პოლიციელთან ერთად მოქალაქე ჯონი ბაიდურაშვილს მიაკითხა და ფული მოსთხოვა. ბაიდურაშვილის თქმით, მასთან მისული პოლიციელები პირდაპირ ჩხუბსა და ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ და სროლაც აგვიტეხესო. ნაცემი პოლიციელი კი ირწმუნება, ბეჟან მიქაუტაძემ პოლიციელებს „ძაღლები" უწოდა და განუცხადა, ვარკეთილში ჯიხურებს და სამარშრუტო ტაქსებს მე ვაკონტროლებ და მუშტები დაგვიშინაო... ჩხუბის შემდეგ მიქაუტაძე და მისი მეგობარი ბუზალაძე პოლიციაში წაიყვანეს, საიდანაც მიქაუტაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიქაუტაძის მეგობარი, თბილისის საკრებულოს წევრი კობა ბექაური აცხადებს, რომ ამ ამბების გამო ვარკეთილის პოლიციაში მისული გიორგი გამსახურდია მას ემუქრებოდა და საქმეს ურჩევდა, რასაც უარყოფს გამსახურდია. მეტიც, გიორგი გამსახურდია აცხადებს, რომ მიქაუტაძის მეგობრებმა მას და პროკურატურის თანამშრომელს 3 ათასი დოლარი შესთავაზეს „საქმის მოსაკლავად", მაგრამ როცა ჩვენგან სასტიკი უარი მიიღეს, ბექაური დაგვემუქრა — განანებთო! შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ დასჯის პოლიციელებს, თუკი მათი დანაშაული დადასტურდება.

## დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის

პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე მალე განიხილავენ კანონპროექტს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის (კონფლიქტის) შესახებ, რაც უდავოდ №1 თემად აქცევს და აქტუალურს გახდის ბიწაძე-ბურჯანაძის საოჯახო ტანდემისა და „ახალი მემარჯვენეების" დაპირისპირებას. აღნიშნული კანონპროექტი ანტიკორუფციულ საბჭოში მომზადდა. მასში მითითებულია, რომ ერთი ოჯახის წევრებს ორი საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების უფლება არ აქვთ. აღნიშნული კანონპროექტის განხილვისას სხდომების ბოიკოტს შეწყვეტენ „ახალი მემარჯვენეები" და უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას მის განხილვა-დამტკიცებაში! კანონის ამოქმედებისთანავე, როგორც ჩანს, მართლაც ან ბურჯანაძეს მოუწევს სპიკერის პოსტის დათმობა, ან ბიწაძეს გენპროკურატურიდან წასვლა, ან დაბალ პოსტზე გადაადგილება, რადგან კანონპროექტი უკრძალავს ერთი ოჯახის წევრებს პარლამენტის თავმჯდომარისა და გენპროკურორის მოადგილის თანამდებობებზე ყოფნას!

## მოქალაქეებმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს?

მოქალაქეთა კავშირმა საჯაროდ დასვა საკითხი მერებისა და გამგებლების არჩევის შესახებ და თვითმმართველობის საარჩევნო კანონში ცვლილებების შესატანად პოლიტიკური კონსულტაციები დაიწყეს. ამ ინიციატივას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს მთავრობაში, კანცელარიაში კი უკვე ლაპარაკობენ ადგილობრივი არჩევნების გაზაფხულიდან შემოდგომაზე გადატანა-გამართვის შესახებ და აცხადებენ, რომ პირდაპირი არჩევნებით უნდა აირჩიონ არა თბილისის, არამედ რუსთავის, ქუთაისის და სხვა დიდი ქალაქების მერები. ზურაბ ჟვანია და მისი თანამოაზრეები კი კატეგორიულად მოითხოვენ თბილისის მერის არჩევითობასაც, მაგრამ პრეზიდენტს კვლავაც არ სურს დედაქალაქის მერის დანიშვნის პრეროგატივის ხელიდან გაშვება და, როგორც ჩანს, ის და მისი გარემოცვა ამისთვის ბოლომდე იბრძოლებენ — თბილისში ხომ საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედია თავმოყრილი! საერთო აზრით, თბილისის მერის არჩევის ლოზუნგით მოქალაქეთა კავშირმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია.

## ფოთში ჰეპატიტი მძვინვარებს

„ბოტკინის" ეპიდემია მოედო ფოთს, სადაც A ჰეპატიტით უკვე 100-მდე ბავშვი და 30-მდე მოზარდი დაავადდა. კარანტინი გამოცხადდა ქალაქის სამ სკოლაში. სავარაუდოდ, ეპიდემია საკანალიზაციო მილის დაზიანებამ და ფეკალური მასებით სასმელი წყლის დაბინძურებამ გამოიწვია.

## პატიმრებმა მანქანაში განაიარაღეს ბადრაგი

შაბათს, რუსთავის კოლონიიდან თბილისში 21 პატიმრის გადაყვანისას, 5-მა მსჯავრდადებულმა მანქანაშივე განაიარაღა ბადრაგი და გაიქცა. პატიმრებმა გაიტაცეს იქვე მდგომი გაზ-24 მარკის ავტომანქანა და მიიმალნენ. გატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია სამი პატიმარი.

## უიღბლო ტერორისტი



ურუგვაის მოქალაქე, რომელიც აშშ-ის ქალაქ მაიამიდან არგენტინაში მიმავალ თვითმფრინავში პილოტის კაბინაში შეჭრას შეეცადა, თავად მგზავრებმა შებოჭეს, ხოლო პილოტის თანაშემწემ მას თავში ჩაქუჩი ჩასცხო და გათიშა. ამ შეხლა-შემოხლამ პანიკა გამოიწვია თვითმფრინავის მგზავრებს შორის, რომლებსაც ეგონათ, რომ თვითმფრინავი ტერორისტებმა იგდეს ხელთ. რამდენიმე მგზავრი თვითმფრინავის საავარიო ლიუკების გახსნას და გადახტომას შეეცადა... 11 ათასი მეტრის სიმაღლიდან(!), მაგრამ საბედნიეროდ ლიუკები ვერ გახსნეს, შემდეგ კი ისინი კოლეგა-მგზავრებმავე შებოჭეს, ერთი მათგანი კი რეისის დასრულებამდე სკამზე დააბეს... თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა ბუენოს-აირესის აეროპორტში, გონს მოსული ურუგვაის მოქალაქე კი პოლიციას გადასცეს... მისი ქმედების მიზანი და მოტივები ალბათ მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა ჩაქუჩისაგან მიღებული ტვინის შერყევაზე უმკურნალებენ!

## დივერსია თუ გაუმართაობა?

კრემლი გვარიანად შეაშფოთა ბოლო დროს ჩეჩნეთში გახშირებულმა ავიაკატასტროფებმა, როცა ზედიზედ დაიღუპა 4 სამხედრო შვეულმფრენი ეკიპაჟითა და სამხედრო მოსამსახურეებითურთ, სულ 25 კაცი შეეწირა ჩამოვარდნილ შვეულმფრენებს. პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ სერგეი იასტრჟემბსკიმ აღიარა, რომ ეს ფაქტები ადასტურებს, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია რუსეთის შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა... სწორედ მაშინ, როცა იასტრჟემბსკი ამ განცხადებას აკეთებდა საგანგებო ბრიფინგზე, მას მაგიდაზე დაუდეს ჩეჩნეთიდან მოსული უახლესი ინფორმაცია, რომ კიდევ ერთი შვეულმფრენი „მი-8" სასწაულით გადაურჩა დაღუპვას ტექნიკური გაუმართაობის გამო და რომ მფრინავებმა საავარიო დაშვება მოახერხეს. კრემლში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ შეიძლება კატასტროფები კარგად შეფარული დივერსიების შედეგია...

## დიდი თეატრის ქართველი ხელმძღვანელი

მოსკოვის დიდი თეატრის დასისა და ხელმძღვანელობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოჩენილი ქართველი საოპერო მომღერალი და დიდი თეატრის სოლისტი მაყვალა ქასრაშვილი ამ სახელგანთქმული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. დიდ თეატრში მაყვალა ქასრაშვილთან ერთად დღეს მოღვაწეობენ ზურაბ სოტკილავა, ნინო ანანიაშვილი, ასევე ბადრი მაისურაძე. 60-70-იან წლებში დიდი თეატრის მთავარი მხატვარი გახლდათ სოლიკო ვირსალაძე!

# რატომ არ ჰყავდა რვა თვის მანძილზე ვაშინგტონს ელჩი საქართველოში?

„დრო ცოტაღაა, დახანება დაუშვებელია, ან გავაკეთებთ ამას, ან ხალხი გამოგვიტანს განაჩენს“, — განაცხადებს პრეზიდენტი შევარდნაძე მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე საკმაოდ დაგვიანებულ ამ სიტყვებს და პრეზიდენტი გადაღლილი საზოგადოების რაღაც ცვლილებების მოლოდინში „განიბანება“. თუ რაიმე მოხდა საყურადღებო სხდომაზე, ეს უშიშროების მინისტრის მოხსენებაა. ვალერი ხაბურძანიამ ოფიციალურად დაადასტურა ის, რასაც უარყოფდა ხელისუფლება და რის გამოც ლანძღვა-გინებისა და მუქარის ნიაღვარი მოედინებოდა რუსეთიდან საქართველოს მიმართ... ითქვა, რომ ისლამური ქვეყნების ფუნდამენტალისტური ძალები ტერორისტთა პლაცდარმად ამზადებენ პანკისის ხეობას რუსეთში ტერაქტების მოწყობისა და საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის, რომ რადიოსადგურის დამონტაჟებასაც აპირებდნენ პანკისში, რომ თურქეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ საწვრთნელი ბაზიდან შემოდიოდნენ საქართველოში ბოევიკები, რომ უცხოეთის სპეცსამსახურებმა 62 რეზიდენტი დააკავეს საქართველოს ტერიტორიაზე და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბები მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო პრესისა და საზოგადოებისთვის, მაინც ლოდივით მოგვხვდა თავში მით უმეტეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბოლო დროს გამოკვეთილი „ფლირტის“ ფონზე. ფაქტია, რომ დაიწყო საუბარი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისადმი რუსეთის თანხმობისა და პანკისში ერთობლივი ოპერაციის განხორციელების შესახებ ურთიერთგაგებაზე, მაგრამ არის კი ყველა ნაბიჯი ბოლომდე გააზრებული? მიუხედავად გარკვეული ოპტიმიზმისა, არის კი იგივე უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ქმედითი დოკუმენტი რეალური შედეგების მიღწევისთვის? ეს და სხვა უამრავი საკითხი კვლავ და კვლავ მოითხოვს ანალიზს. ვესაუბრები დიპლომატიური აკადემიის რექტორს, პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს**:

— ცხრა წლის წინ სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი გახლდით საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ჩემივე განცხადებით წამოვედი, რადგან როგორც თქვენ არ გეკითხებოდნენ რჩევას, ისე მეც არ მეკითხებოდნენ არაფერს. მაგრამ მახსოვს, როცა დამნიშნეს მთავარ სახელმწიფო მრჩეველად, მივიღე სია, ვისაც უფლება ჰქონდა დასწრებოდა სახელმწიფო მეთაურის ორშაბათის თათბირებს (დღევანდელი მთავრობის სხდომების მსგავსი შეკრება იყო). სიაში 22 ადამიანი გახლდათ. შემდეგ ატყდა ვაი-უშველებელი, რომ ძალიან ბევრია სახელმწიფო მრჩეველთა რაოდენობა და უნდა შემცირდესო. სამი თვე იდავეს და როგორც იქნა სახელმწიფო მეთაურმაც მიიღო გადაწყვეტილება მრჩეველთა შესამცირებლად. მივიღე „შემცირებული“ სია, რომელშიც 22-ის ნაცვლად იყო... 46 მრჩეველი(!). ერთი ცნობილი ქალბატონი, რომელიც დღეს ხშირად ჩანს ტელეეკრანებზე, ვერ მოხვდა ამ 46 „მრჩეველს“ შორისაც კი და ლამის ორ საათამდე ელოდა ბატონ ედუარდს კაბინეტთან... მეორე დილით ქვეყანას 47-ე მთავარი სახელმწიფო „მრჩეველიც“ მოევლინა! ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღემდე იგივე ხდება და ვშიშობ, გუშინდელი მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გაკეთებული განცხადებები უწყებების შემცირების შესახებ ამ პრინციპით წარიმართება — ანუ, მცირდება თანამდებობები პერსონების გარეშე. თუ 19 სამინისტროში მუშაობს 10 ათასი მოხელე და ამ სამინისტროთა რიცხვი დავიდა ათამდე, 10 ათასი მოხელე რჩება ისევ. ამიტომ არ მწამს ამ შემცირებების. უნდა შემცირდეს რიცხვი ბიუროკრატიისა. უნდა გამოვიდეს ფინანსთა მინისტრი და თქვას — დღემდე ვინახავდი 10 ათას ჩინოვნიკს, ამიერიდან შევინახავ 5 ათასს! არც კორუფციასთან ბრძოლის მჯერა. ნუთუ ასე ცოტას აქვს წაკითხული „12 სკამი“, სადაც ოსტაპ ბენდერი ამბობს: „სისუფთავისთვის ბრძოლა არ არის საჭირო, არამედ საჭიროა დაგვაო“. დიახ სისუფთავისათვის „მებრძოლი“ ბევრი გვყავს, მაგრამ არა გვყავს მეეზოვე, რომელიც ცოცხით მოაგროვებდა ნაგავს და გადაყრიდა. წესიერი და პატიოსანი ბიჭია მირიან გოგიაშვილი, მაგრამ „ერთი კაცი ბრძოლის ველზე მეომარი არ არის“, როდესაც ზემოდან ეუბნებიან, „მიდი, იბრძოლე, ოღონდ წვეთი სისხლი არ დამანახვო“, ნიშნავს იმას, რომ იბრძოლე, ოღონდ არავინ არ დაიჭირო. ჩვენთან ანტიკორუფციული კამპანია იმთავითვე მცდარი გზით წარიმართა, ანუ გაცხადდა — კორუმპირებულებს კი ნუ დავიჭერთ, არამედ ქრთამის აღების საშუალება უნდა მოვუსპოთო! დასავლეთში ჯერ მოიშორეს და ციხეებში ჩაყარეს კორუმპირებულები და მაფიოზები, ხოლო როცა პატიოსანი ხალხი მივიდა მათ თანამდებობებზე, ისინიც რომ არ გაფუჭებულიყვნენ, სხვა კანონები, სხვა სისტემა დაახვედრეს. აქ კი, ერთ არხს გადაუკეტავ ქურდ ჩინოვნიკს და მეორეს გამოძებნის, იმასაც გადაუკეტავ და სხვას იპოვის და ა.შ. ამიტომ თერაპია უკვე დაგვიანებულია, საჭიროა ქირურგია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ წამოიძახა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე, როცა ძალიან გაღიზიანდა კორუმპირებულ ჩინოვნიკთა შესახებ ამტყდარი აჟიოტაჟით — რა ვქნა, ავიღო ხმალი და დავაყრევინო თავებიო? დღეს კი სკალპელის ხელში ამღებებს ვხედავ — იმავე მირიან გოგიაშვილს, სულხან მოლაშვილს, სხვა წესიერ ბიჭებს, თუ, რა თქმა უნდა, მიუშვებ ამ საქმის გასაკეთებლად, მაგრამ, როცა მთავრობის სხდომებზე საყვედურობ — რატომ არ იჭერთ ქურდებსო, ხოლო მეორე დღეს კაბინეტში უცხადებ — მოდი, რადიკალური ზომებისაგან თავი შევიკავოთო, რაღა ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი?! რაც შეეხება პანკისის ხეობის ფუნდამენტალისტური და ტერორისტული ორგანიზაციების ბუდედ გადაქცევის საშიშროებას, ეს პირდაპირი შედეგია ხელისუფლების ე.წ. პოლიტკორექტულობისა და ყალბი სტერეოტიპების ტყვეობაში ყოფნისა. მეტიც, დღესაც არ ვიცით რა ხდება პანკისის ხეობაში, ხოლო ზოგიერთები, რომლებიც ხშირად კეკლუცობენ ტელეეკრანებზე და გვარწმუნებენ, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლები არიან, სინამდვილეში კი როგორ უთხრიან ძირს საქართველოს, ამას მალე ვიწვნევთ ჩვენსავე თავზე.

— **ოდითგანვე ცენტრალური აზიის გასაღებად კავკასიას მიიჩნევენ, მაგრამ დღეს, როდესაც ცენტრალურ აზიაში უკვე ამერიკის ჯარებია, სამხრეთ კავკასია თითქოს ვაკუუმში აღმოჩნდა, რომლის შევსებასაც ცდილობს რუსეთი, ვაშინგტონი კი უკვე ღიად აკეთებს აქცენტს სადამ ჰუსეინისა და ირანის ფუნდამენტალისტური რეჟიმების დასამხობად...**

— მოვლენათა ობიექტურ შეფასებას ყოველთვის სჭირდება დროის დისტანცია. 11 სექტემბრის შემდგომ პირველ თვეებში გაჩნდა ეიფორია, რომ აი, რუსეთი და აშშ სტრატეგიული მოკავშირენი არიან, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთსა და დასავლეთს პირველად გამოუჩნდათ საერთო მტერი და ა.შ. მაგრამ საერთო მტერი ნიშნავს მის წინააღმდეგ საერთო ფრონტს, შესაბამისად, საერთო სამხედრო-სტრატეგიულ კავშირს და პირველ ხანებში მართლაც ასე იყო. ფაქტია, რომ რუსეთის თანხმობის გარეშე ცენტრალური აზიის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავდა საკუთარი აეროდრომები და ტერიტორია დაეთმო ამერიკელებისთვის. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ „ლამაზი თვალების“ გამო არ მომხდარა — ვაშინგტონმაც დიდი გულუხვობა გამოიჩინა ამ ქვეყნების მიმართ. ეს სჩვევიათ ამერიკელებს. საკუთარი ინტერესებისთვის ძალიან ღრმად იყოფენ ჯიბეში ხელს. რუსეთიც იმედოვნებს, რომ ამერიკელები მის მიმართაც იქნებიან გულუხვნი და გაგრძელდება საბჭოთა კავშირის ვალების ჩამოწერის პროცესი, რაც რუსეთის ეკონომიკისა და ბიუჯეტისთვის დიდი შეღავათი და დახმარება იქნება. იმავდროულად აშკარაა ისიც, რომ თვე თვეს მიჰყვება და აშშ-რუსეთს შორის „თაფლობის თვე“ მთავრდება... კი ბატონო, კავკასიას ცენტრალური აზიის გასაღებს უწოდებდნენ, მაგრამ მოდით ასე ვთქვათ: სამხრეთ კავკასიას უკვე აღარ გააჩნია დიდი მნიშვნელობა ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პროცესებში, ყველამ შესთავაზა საკუთარი ტერიტორია ვაშინგტონს ანტიტერორისტული ომის საწარმოებლად, ამერიკელებმა მადლობა გადაუხადეს, მათ შორის, საქართველოს და მხოლოდ ცენტრალურ აზიაში გადასხდნენ. ავღანეთში ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელები ცენტრალური აზიიდან არ წავლენ. მარტო ბინ ლადენში კი არ არის საქმე, არამედ იწყება ავღანეთის, როგორც სრულიად ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მრავალწლიანი ურთულესი პროცესი. ავღანეთი, რომელიც 11 სექტემბრამდე შუა საუკუნეების ტიპის სახელმწიფო იყო, 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული დაბომბვებით ამერიკელებმა ქვის ხანაში გადააგდეს. ახლა 5 მილიარდი დოლარი გამოუყვეს, თანაც მხოლოდ პირველი ეტაპისთვის. მილიარდებს შემდეგაც არ დაიინანებენ ამერიკელები. სანამ ალქაიდას ფესვები არ იქნება ამოძირკული ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში, უწინარესად, პაკისტანში, საეჭვოა ვაშინგტონმა სერიოზული ნაბიჯები გადადგას ირანის და ერაყის რეჟიმების დასამხობად... ვინ შეიძლება დიქტატურის მომხრე იყოს, მაგრამ ფერვეზ მუშარაფს, სამხედრო დიქტატორს, ეყო მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და პრაქტიკულად საკუთარი ხალხის, ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ გამოვიდა. დასავლელი ექსპერტები დღეებს კი არა, საათებს ითვლიდნენ და ყოველ წუთს მოელოდნენ მუშარაფის განადგურებას, მაგრამ გაუძლო მუშარაფმა და გააკეთა დიდი საქმე. ძალზე ძნელია ქვეყნის ლიდერისთვის, როცა შენივე ხალხი გიპირისპირდება, დადგე სწორ პოზიციაზე. თუ ერთხელ დათმე, მერე დათმობებს საზღვარი არ ექნება. ასე რომ, ავღანეთით, პაკისტანით და მთელი რეგიონით ამერიკა კიდევ დიდხანს იქნება დაკავებული და საქართველომ უნდა მოძებნოს თავისი ადგილი ამ პროცესში. რატომღაც ყველა დუმდა, რომ 7-8 თვე აშშ-ს ელჩი არ ჰყავდა საქართველოში. ახლა დანიშნეს მხოლოდ. ეს ფაქტი მაშფოთებდა, რადგან კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ამერიკას 8 თვე ელჩი არა ჰყავს კონკრეტულ ქვეყანაში. ისიც ვიცი, რომ პრეზიდენტ შევარდნაძესაც გაცნობიერებული აქვს რას ნიშნავს ეს. ამერიკა, თუ ის მართლაც განიხილავს ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისი ეროვნული ინტერესების სფეროდ, იმ ქვეყანას 8 თვის მანძილზე ელჩის გარეშე არ ტოვებს. ასეთი რამ არ ყოფილა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის 10 წლის მანძილზე. თავისთავად ეს ფაქტი დამაფიქრებელია, მით უმეტეს, რომ რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე იზრდება. რუსეთს გაცილებით მეტი ბერკეტი გააჩნია ამ გავლენის შესანარჩუნებლად, ვიდრე აშშ-ს, ანუ სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პასიანსში გამჭრელი კარტი უფრო რუსეთს აქვს.



როცა მთავრობის სხდომებზე საყვედურობ — რატომ არ იჭერთ ქურდებსო, ხოლო მეორე დღეს კაბინეტში უცხადებ — მოდი, რადიკალური ზომებისაგან თავი შევიკავოთო, რაღა ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი?!

— **ანუ შეიძლება ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკაშიც ბევრი შეცდომაა დაშვებული?**

— უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ, რომ ქართულმა დიპლომატიამ ვერ იპოვა ადგილი ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში. პანკისის ხეობისა და აფხაზეთის პრობლემები, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია მიგვანიშნებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა კურსმა ვერ გაამართლა. ვგულისხმობ ქართული დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ხისტად პროდასავლურს და ხისტად ანტირუსულ კურსს. პრეზიდენტის ნაბიჯიც დასავლეთთან, რუსეთთან და თუნდაც ჩრდილო კავკასიასთან მიმართებაში არ იყო გაანგარიშებული. ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ერთ-ერთი მთავარი მომენტია ის, რომ ყურადღება მთლიანად გადატანილია ავღანეთზე. ამ ფონზე არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ სამხრეთ კავკასია და საქართველო კვლავინდებურად დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია. ამიტომ არ შეიძლება ისევე გავაგრძელოთ მოქმედება, როგორც 11 სექტემბრამდე. კი ბატონო, შეიმჩნევა რუსეთ-საქართველოს პოზიციების დაახლოება, ჩამოვიდა რუშაილო, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, რაზე შეუთანხმდნენ საქართველოს ხელმძღვანელები რუშაილოს. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ კონფიდენციალური მოლაპარაკების დეტალები პრესაში გავიდეს, მაგრამ ექსპერტთა ვიწრო წრემ უსათოდ უნდა იცოდეს საქმის ვითარება და ანალიტიკური დასკვნებით, პროგნოზებით ეხმარებოდეს ხელისუფლებას. ეს არ კეთდება. აღმაშფოთებელია ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულების მოსამზადებლად იქმნება კომისია, რომელშიც კომუნისტური მეთოდით (ერთი მწველავი, ერთი მეჩაიე, ერთი გაუთხოვარი, ერთი გათხოვილი, ერთი ინტელიგენციის წარმომადგენელი და ა.შ.) შეჰყავთ ისეთი ხალხი, რომელთა მაგიერ მე ვგრძნობ უხერხულობას. არც ერთი ჩემი კოლეგა ექსპერტი არ მონაწილეობს ჩარჩო-ხელშეკრულების შექმნაში! იყო დრო, როცა ბუტროს გალი ლამის ყოველ მეორე დღეს ამბობდა, — გაეროს რეფორმირებას მოვახდენო. მოვიდა კოფი ანანი. მან ყველაზე კორუმპირებული, მოუქნელი და ბიუროკრატიული მონსტრი უწოდა გაეროს და ბრძანა, ყოველივე ამას ბოლოს მოვუღებ რეფორმებითო! გააკეთა რაიმე?! არაფერი... იმედი გვაქვს იძულებითი მშვიდობის ოპერაციის განხორციელებისა, იძულებით მშვიდობას კი სხვადასხვა ინტენსიურობით გაერო დღემდე ამყარებს 14 ქვეყანაში, მაგრამ არსად შედეგი არ მოაქვს... ამიტომაც გაეროს აღარ უწევენ ანგარიშს დასავლეთსა და რუსეთში. მეც წინააღმდეგი ვარ რუსი სამშვიდობოების გაყვანისა მხოლოდ იმიტომ, რომ არც ხელისუფლებას, არც ქართულ დიპლომატიას არაფერი გაუკეთებია, რათა რუსების გასვლას ქვეყანა მზად შეხვედროდა. დღეს, როგორც ამერიკელები ამბობენ, უნდა დადგინდეს ვადა არა ექვსი, არამედ სამი-ოთხი თვით რუსი სამშვიდობოების ყოფნისა და კატეგორიულად დავსვათ საკითხი: ეს უკანასკნელი ვადაა, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ ნაკისრი ვალდებულებაო. ამასობაში კი, ქართულმა დიპლომატიამ უნდა გამოიყენოს ყველა საერთაშორისო და ადგილობრივი რესურსი, რათა ოთხი თვის შემდეგ აღარ შეგვეშინდეს იმ პროვოკაციებისა, რომელსაც აუცილებლად შეეცდება რუსეთის გენერალიტეტი საქართველოს წინააღმდეგ. დღეს კი შიშვლები ვართ მათ წინაშე.

— **მაგრამ რა კონკრეტულ გზებს ხედავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დარეგულირების, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, რა უნდა გააკეთოს საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ ისე, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები არ დაზიანდეს?**

— ორი წლის წინ თითქოს დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი და მინსკის ჯგუფმა ბაქოს შესთავაზა შემდეგი მოდელი: მთიანი ყარაბაღი არის აზერბაიჯანის შემადგენლობაში, მაგრამ იქმნება საერთო სახელმწიფო! მოდელი მიიღეს სომხებმა, ალიევმა კი დოკუმენტი მინსკის ჯგუფს თავზე გადაახია. ასეთი საერთო სახელმწიფოს შექმნას ითხოვენ აფხაზებიც, რადგან საერთო სახელმწიფო ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ წუთს სოხუმის რეჟიმს შეუძლია წამოგვიყენოს საქართველოსთვის მიუღებელი მოთხოვნა და თუ არ დავაკმაყოფილებთ, გამოაცხადებენ — გავდივართ საერთო სახელმწიფოდანო. ანუ პერმანენტული შანტაჟის მძაფრ იარაღად იქცევა საერთო სახელმწიფოს არსებობა. ალიევი ჩასწვდა დოკუმენტის არსს — სანამ რუსეთი ცალსახად უჭერს მხარს სომხეთს, აზერბაიჯანის პოზიცია მუდამ სუსტი და წამგებიანი იქნება. ჩვენ კი არ გვეყო უნარი, მივხვედრილიყავით — სანამ რუსეთი მხარს უჭერს სოხუმს, საქართველოს ინტერესები განუხორციელებელი დარჩება. ამასთან, არ შეიძლება და არც არავის სჭირდება ლაპარაკი თუ გიორგი-იური რუსმა როგორ გააუპატიურა კრუხი, არც პეტრე პირველის ქართველობაზე ლაპარაკია მისაღები, უბრალოდ, სასაცილოა. არ შეიძლება რუსის გაღიზიანება იქ, სადაც არ არის ამის აუცილებლობა. აგერ, სომხები რას აკეთებენ? ერთ-ერთი სომეხი პროფესორი გაზეთში სერიოზულად წერს, — 30 წელიწადია ვსწავლობ სომეხთა და რუსთა ისტორიას და ვამტკიცებ, რომ რუსები წარმოშობით სომხეთიდან არიან, რომ სომხეთიდან წავიდნენ და დასახლდნენ რუსეთში. ამიტომ რუსები სომხეთში სტუმრები არ არიან, ეს მათი სამშობლოა და ა.შ. შეიძლება ეს სასაცილოდ არავის ეყოს, მაგრამ ეს სიტყვები რუსი ობივატელის, რუსი გენერლის გულსა და სულს მალამოსავით ედება და მზად არის, 500 ტანკი, 100 თვითმფრინავი, ერთი მილიარდი დოლარის იარაღი აჩუქოს სომხებს... ბოლო ორი წლის მანძილზე პუტინი და ალიევი 16-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ როცა შევარდნაძე სამჯერ შეხვდა პუტინს. გავიხსენოთ ელცინის პერიოდიც. ელცინისთვის სამხრეთ კავკასიაში ალიევზე მიუღებელი ლიდერი არ არსებობდა, დღეს კი როგორ შეიცვალა ურთიერთობა? ერევანში პანიკაა უკვე, კბილებსაც აკრაჭუნებენ სომხები, რადგან რუსეთმა იკისრა აზერბაიჯანული არმიის გაძლიერებაზე ზრუნვა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე დაიწყეს ლაპარაკი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კრემლში პრაგმატიკოსები სხედან, გუშინ მოსწონდათ ერევანი, დღეს კი ალიევმა მიაღწია იმას, რომ მოსკოვმა ორიენტაცია აზერბაიჯანზე აიღო. ამასთან, რუსები ბაქოს არ საყვედურობენ თურქეთთან მჭიდრო კავშირის გამო, როგორც ჩვენ. იმიტომ, რომ ალიევი რუსეთთან დათმობაზე წავიდა იმ საკითხებში, რაც აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესებისთვის გადამწყვეტი არ არის. იმავე ჩეჩნეთთან მიმართებაში ალიევის პოზიცია პრორუსულია. ხომ ახერხებს ისრაელი დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ პალესტინელებთან, მოლაპარაკებასთან ერთად, საჭიროა ძალაც. ჩვენ კი, გაეროც ვერ დავაჯერეთ ჩვენს სიმართლეში, რომ კოდორიდან ჯარის გამოყვანა არ შეიძლება, რომ გვაქვს საფუძველი არ ვენდოთ აფხაზებს. ვერ დავაჯერეთ ვერავინ, რომ სეპარატისტების წინააღმდეგ გამოცხადებული ბლოკადა აუცილებელია. ლაპარაკი დაიწყეს, ბლოკადა ეფექტური არ არისო. დალოცვილებო, თუ ეკონომიკურმა სანქციებმა დააჩოქა უმდიდრესი სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო და საბოლოოდ ნელსონ მანდელაც გამოუშვეს ციხიდან და აპარტეიდიც გაუქმდა, რა გახდა ერთი მუჭა აფხაზი სეპარატისტები! კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ე.წ. სახალხო დიპლომატიისა, რომელიც ჩვენში იქცა დილეტანტების ასპარეზად. მაგალითად, არსებობს რაღაც კონფლიქტოლოგიის ცენტრი, რომელსაც გაურკვეველი პროფესიის ადამიანი ხელმძღვანელობს. ესეც პაციფისტური ორგანიზაციაა, რომელიც თუთიყუშივით გაიძახის, — აფხაზებთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვსო. ომს რომ მშვიდობა სჯობია, რად უნდა დავა, მაგრამ თუ მეორე მხარე არ მოდის მოლაპარაკებაზე, ვერ სძლევს მენტალურ შეურიგებლობას, რა უნდა ვქნათ? იცით, რას პასუხობენ — მაინც მოლაპარაკებაო! კი, მაგრამ როდემდე ეს მოლაპარაკება, ვეკითხები; მანამდე, სანამ მოლაპარაკებას არ მოჰყვება შედეგიო! კი, ბატონო, მაგრამ თუ ამ მოლაპარაკებასაც არ მოჰყვა შედეგი? მაინც მოლაპარაკებაო, გაიძახიან! ჰოდა, როგორც ქაშმირში, ჩვენც დავსხდეთ და ვილაპარაკოთ 52 წელიწადი?!

— **ასლან აბაშიძემ, როგორც პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში პირველი მოლაპარაკება გამართა იგორ ივანოვთან. გაისმის ხმები აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების გაუქმების მოთხოვნით, რაც თითქოს ხელს შეუშლის აფხაზებთან მოლაპარაკების პროცესს... ანუ კვლავ არ არის ერთიანი მიდგომა პრობლემის მოგვარებისადმი.**

— თამაზ ნადარეიშვილის პოსტი აუცილებლად უნდა არსებობდეს, ეს არის სიმბოლო აფხაზეთის არჩეული პირველი ხელისუფლებისა, მაგრამ უნდა გაუქმდეს დევნილი მთავრობის სხვა სტრუქტურები, არ არის საჭირო. ნადარეიშვილს ხმა მისცა აფხაზმაც, ქართველმაც, ბერძენმაც, რუსმაც, სომეხმაც და რა უფლება აქვს სოხუმის რეჟიმს, ან სხვას, რომ გაიძახიან ნადარეიშვილის ხელისუფლება გააუქმეთო? ამასთან, საჭიროა მუშაობა ლტოლვილებთან, რომლებსაც სიმართლე თუნდაც მწარე, პირდაპირ უნდა უთხრას ხელისუფლებამ, უნდა უთხრას, რომ უსაფრთხოების 100%-იანი გარანტია არ ექნებათ დაბრუნების შემთხვევაში, რომ საჭიროა გარკვეულ რისკზე წასვლა. ნუ ეწყინებათ აფხაზეთიდან დევნილებს და, მათ არ იციან, რას ნიშნავს ნამდვილი ლტოლვილის ცხოვრება. სამჯერ ვნახე ახლო აღმოსავლეთში პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკები და ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ლტოლვილები ამ ყოფისგან, რაშიც არაბები და სხვებიც არიან — უდაბნოში, კარვებში, დღისით 45 გრადუსი სიცხე, ღამით 0 გრადუსი, უპუროდ, უწყლოდ, უკანალიზაციოდ და ა.შ. აი, იქიდან გამოდიან კამიკაძეები. თუმცა აბსოლუტურად მესმის ჩვენი დევნილებისა, რომელთა პრობლემის მოგვარებას ვერა და ვერ დააყენა საშველი მთავრობამ. პრეზიდენტიც იძლევა განკარგულებებს, შედით ცარიელ სახლებშიო, მაგრამ კაცმა არ იცის, სად შეიძლება შესვლა და სად არა, მექანიზმი არ არის შექმნილი. თუნდაც ეწყინოთ, მაგრამ ვიტყვი, რომ როდესაც ვნახე ბოტანიკის ინსტიტუტში დიდი მამულიშვილის ნიკო კეცხოველის კაბინეტში როგორ ხარშავდნენ ღომს იქ შეჭრილი ლტოლვილები, მაპატიონ და სხვაგვარად განვეწყვე მათდამი. როგორ შეიძლება სადაც მოუნდებათ, იქ შეიჭრან? რაც შეეხება ბატონ ასლან აბაშიძის ჩართვას პროცესში, პესიმისტურად ვარ განწყობილი, თუმცა თუ მიაღწია არსებით შედეგს, გამიხარდება, რომ შევცდი პროგნოზში. პესიმისტურად ვუყურებ აბაშიძის ჩართვას მოლაპარაკებებში, იმიტომ, რომ იმას, რაც ვერ გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა, ვერ გააკეთებს რეგიონალური ლიდერი. მაგრამ თუ ეს შეძლო ასლან აბაშიძემ და ვერ შეძლო ედუარდ შევარდნაძემ, მაშინ სულ სხვა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა გვეძლევა, რომლისგანაც დღეს თავს შევიკავებ...

— **მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვინც აფხაზეთს დაუბრუნებს საქართველოს, დავით აღმაშენებლად თუ არა, ნაკლებად არ გამოაცხადებენ.**

— ცხონებული ტალეირანი ამბობდა, „პოლიტიკაში არასოდეს არა თქვა ეს შეუძლებელიაო, ვინაიდან პოლიტიკაში შეუძლებელი არაფერია“. ანუ ყველაფერს უნდა ველოდოთ, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც პრეზიდენტზეა და არა აჭარის ლიდერზე.

***ზურაბ მჭედლიშვილი***



ტრადიციულად, მირქმის ხატზე აღბეჭდილია ის ეპიზოდი უფლის ცხოვრებისა, როდესაც, მოსეს რჯულის თანახმად, წმ. მარიამმა და იოსებმა 40 დღის ჩვილი იესო იერუსალიმში, ტაძარში წაიყვანეს, რათა წარედგინათ უფლის წინაშე. სვიმონ მართალს ხელები აქვს გაწვდილი უფლის მისარქმელად-მისაგებებლად. იქვეა ანა წინასწარმეტყველი, რომელმაც ყრმაში უფალი შეიცნო...

გავიხსენოთ რა შემოგვინახა სალმრთო გადმოცემამ სვიმონ მიმრქმელის შესახებ. სვიმონ მართალი იყო იმ 72 სწავლულთა შორის, რომლებიც ეგვიპტის მეფემ პტოლემეოს ფილადელფოსმა (285-247 ქრისტეს შობამდე) მიიწვია იერუსალიმიდან წმინდა წერილის სათარგმნელად, რათა გაემდიდრებინა თავისი ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. სვიმეონი დააეჭვა ტექსტის იმ ადგილმა, სადაც ნაწინასწარმეტყველებია ქალწულისაგან მუცლად ღება და შობა. მან ჩათვალა, რომ დედანში შეცდომა იყო გაპარული და აპირებდა „ქალწულის“ ნაცვლად „დედაკაცი“ ჩაეწერა. მაგრამ ამ დროს ანგელოზი გამოეცხადა, ხელი დაუჭირა და აუწყა, არ მოკვდები მანამ, სანამ არ იხილავ ყოვლადწმიდა ქალწულისაგან შობილ იესო ქრისტესო, ამ დღიდან მოყოლებული, სვიმეონი მესიის მოლოდინით ცხოვრობდა. იმ დილითაც ეუწყა სვიმეონს, რომ სასწრაფოდ ტაძარში მისულიყო. და აი, მობრძანდა ჩვილი უფალი. სვიმეონ მართალმა წაიყვანა ყრმა იესო და შეჰღაღადა: „აწ განუტევე, მონაი შენი, მეუფეო“... და მშვიდად განუტევა სული 360 წლის მოხუცმა.

მირქმა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია, მაგრამ V საუკუნემდე იგი გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 582 წელს ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, ამას ზედ დაერთო შავი ჭირის ეპიდემია. ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ. მართლაც, როცა ამ დღეს ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა.

ღვთის მიმართ მადლიერების ნიშნად, 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მირქმა უფრო განდიდებულად აღენიშნათ.

მირქმის მეორე დღეს კი — 16 თებერვალს, სვიმეონ ღვთისმიმრქმელისა და ანა წინასწარმეტყველის ხსენების დღეა. სვიმეონი ითვლება ყველა ბავშვის მეოხად უფლის წინაშე.

მშრალ ხიდთან, ე.წ. „ბარახლოს“ ბაზრობას რამდენიმე წლის წინ თურმე „ინტელიგენციის ბაზარს“ ეძახდნენ. უსახსროდ დარჩენილ ბევრ მეცნიერს თუ ხელოვანს სწორედ აქ უცდია სარჩოს შოვნა და ოჯახიდან გასაყიდად გამოუტანიათ ნალოლიავები, რელიკვიად ქცეული ნივთები. შაბათს ამ უჩვეულო ბაზრობაზე კიდევ ერთხელ ვიგრძენი „უნებლიე გამყიდველთა“ ტკივილი — დახლებსა თუ პირდაპირ მიწაზე გაშლილი გასაყიდი ნივთებით თითქოს მათი ბავშვობის მოგონებები ცოცხლდება... ნეტავ, ვის რაში სჭირდება ეს ძველისძველი ორდენები, სამკერდე ნიშნები, ლენინისა და სტალინის გამოსახულებიანი დროშები და ბიუსტები-მეთქი, ვკითხე. პასუხს რატომღაც ყველამ თავი აარიდა, თუმცა ერთი 60 წელს გადაცილებული, ეროვნებით სომეხი ბატონი ვიტალი მაინც დავითანხმე ინტერვიუზე. იგი „ინტელიგენციის ბაზრობის“ სტაჟიანი თანამშრომელია და სულ ორდენებს, მონეტებს და სხვა უცნაურ ნივთებს ყიდის.



**— ბატონო ვიტალი, ეს ამდენი ლენინი და სტალინი ვის სჭირდება, ყიდულობს ვინმე?**

— უცხოელები ყიდულობენ სტალინს, ლენინი აღარავის აღარ აინტერესებს. რუსებმა საკუთარი ისტორიის პატივისცემა არ იციან და სტალინის სახელის გატეხვასაც ეგენი შეეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მე პატივს ვცემ სტალინის სახელს. ლავრენტი პავლოვიჩიც კარგი ვინმე იყო, მაგის მინისტრობის დროს სსრკ-ს უძლიერესი სპეცსამსახურები ჰყავდა. საქართველოსთვის ბერია ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა. სტალინმა კი სსრკ ააშენა, რომელსაც დღესაც ანგრევენ და ჯერ ვერ დაანგრიეს, ორივე ძალიან მაგარი იყო.



**— თქვენ ყიდულობთ და ყიდით ნივთებს?**

— თავიდან ჩემს კოლექციას ვყიდდი. უძვირფასესი მეფის რუსეთის დროინდელი ორდენების კოლექცია მქონდა. აღარაფერი დამრჩა, კოლექციის გაყიდვით ვარჩენ შვილიშვილებს. ახლა მოდის გაჭირვებული ადამიანი, მოაქვს ორდენები, აქ ბევრი თაღლითი სარგებლობს მათი უმწეობით, რეალურ ფასზე ბევრად ნაკლებს უხდიან ნივთის პატრონებს და მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობენ.

**— მყიდველი ბევრი არ უნდა გყავდეთ, დამთვალიერებლები უფრო სჭარბობენ.**

— რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს... იძულებული ვარ, ვიდგე და მყიდველს ველოდო.

**— თქვენს საქონელს ვინ უფრო ეტანება, ქართველი თუ უცხოელი?**

— რა თქმა უნდა, უცხოელი. ზოგი კოლექციონერია, ზოგს სუვენირად მიაქვს. ზოგსაც ჰგონია, რომ აქ შეძენილი ეგზოტიკური ნივთებით დიდ ფულს გააკეთებს უცხოეთში. ამერიკელი კლიენტები აუტანლები არიან, ერთ ლარზეც კი გევაჭრებიან. ამას წინათ ერთი ამერიკელი ძვირფას ვერცხლის ორდენზე მევაჭრებოდა — 5 ლარად მომეციო. ვუყვირე, შენი მყრალი ბიგ-მაკი 8 დოლარი უნდა ღირდეს და ამ ჯვარს 5 ლარად მთხოვ-მეთქი? უსიტყვოდ გაიძურწა... ყველაზე კარგები ინგლისელები და გერმანელები არიან. ფრანგები და იტალიელები არასდროს არაფერს ყიდულობენ. საშინლად ძუნწი ხალხია.

**— ყველაზე საინტერესო და იშვიათი ორდენი თუ გქონიათ?**

— ერთხელ შემხვდა წმ. გიორგის ორდენი, ოქროს ჯვარი. ნიკოლოზ I-ის დროს ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობდა. მქონდა სუვოროვის ორდენი... ახლა აქ მნიშვნელოვანი აღარაფერი შემოდის.

**— ამ ბაზარზე ალბათ ჩვენი ყოფის ბევრი თავისებურება ჩანს...**

— აქ ძალიან კარგად ჩანს ის უკუღმართობა, რაც ჩვენს ქვეყანას ჭამს. ახალი წლის წინა დღეებში ჩვილბავშვიანი ახალგაზრდა ქალი მოვიდა. ხელში შინიდან გამოტანილი ჭაღი ეჭირა. დიდხანს იდგა და მყიდველს ელოდებოდა, მაგრამ... აცრემლებული გაბრუნდა. აღარ მინდა ამის გახსენება, ულამაზესი ბავშვები მოდიან, უფროსებისგან გამოტანებულ ნივთებს დაიჭერენ ხელში და იმედგაცრუება სპობთ. გული მტკივა. ამ ქვეყანაში თითქოს ნორმალური, ღირსეული კაცი აღარ სჭირდება არავის. ყველას უჭირს იმათ გარდა, ვინც პარლამენტსა და მთავრობაში არ ზის...

*კიდევ ბევრი ვისაუბრეთ მე და ჩემმა რესპონდენტმა... ბაზრობიდან წამოსულს კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი კაცის ნათქვამი — საცოდაობაა, როცა გაჭირვების გამო კაცი შინიდან ხატს გამოიტანს და ყიდის. საცოდაობაა, რომ მართლმადიდებლურ ხატებს უცხოელები იძენენ და ქვეყნიდან გააქვთ. აქ კი ღირსეული ადამიანები გაყიდული ხატების მადლის გარეშე რჩებიან ისევ და ისევ ულუკმაპუროდ, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის იმედად...*

**ეკა ლომიძე**

რედაქციიდან გამოსული იქვე, კაფეში შევედი. კუთხეში ორი გოგონა იჯდა და ყავას სვამდა. ოდნავ მოშორებით კი ლუდ-არყით დატვირთულ სუფრას ოთხი-ხუთი კაცი მისჯდომოდა. დიდხანს არ გავჩერებულვარ. ჩაი დავლიე და ის-ის იყო, ადგომას ვაპირებდი, რომ იქიდან ბარბაცით წამოსული ბიჭი შევამჩნიე. მაგარი მთვრალი იყო, კურსი გოგონებისკენ აელო. მათ მაგიდას რომ მიაღწია, პლასტიკატის თეთრ სკამზე გაადინა ზღართანი. გოგონები შეცბნენ. ბიჭი თავმომწონედ ლუღლუღებდა, თან სიგარეტის მოკიდებას ცდილობდა. სცენით ისე გავერთე, რომ ამ ხნის განმავლობაში იქვე, ჩემს მაგიდასთან ვიდექი, წასასვლელად ფეხათრეული. ბიჭი კვლავ გამომწვევად ლუღლუღებდა... ალბათ ჩემი მზერა თუ იგრძნეს და გვარიანად დამფრთხალი გოგონები მუდარით მომაჩერდნენ. ლუდ-არყიანი მაგიდისკენ გავიხედე. როგორც ჩანს, ბიჭს დაქადნებული ჰქონდა, ორივეს გავიცნობ და ჩვენს სუფრასთან მოვიყვანო. რომ იტყვიან, ორ ცეცხლშუა ვიდექი — გოგონებს არ გამოვსარჩლებოდი, არ იქნებოდა. გამოვსარჩლებოდი და სუფრასთან დარჩენილი ჯეელები უკვე ისე მიყურებდნენ, რაც კი ინდური ფილმები მქონდა ნანახი, ყველა რომ გამეხსენებინა, მაინც გავილახებოდი. ასე თუ ისე, დიდი ყოყმანის დრო არ მქონდა, მაქსიმალურად მკაცრი სახე მივიღე და ნელი ნაბიჯით გოგონებისკენ გავეშურე. ფეხს კი ვითრევდი, მაგრამ იქვე მისვლას რა დრო უნდოდა — წამში უკვე მთვრალ „დონ ჟუანს“ წამოვადექი თავზე.



**გია კოზერიძე**

ეს კაცი ხომ არ გაწუხებთ-მეთქი, გოგონებს მივმართე. ბუღას რომ პანღურს ამოარტყამენ, ზუსტად ისეთი გამომეტყველებით ამომხედა.

— რა პრობლემაა, ძმაო, — წამოდგომა სცადა, მაგრამ ყავის ჭიქას გაჰკრა ხელი და მაგიდაზე მოამხო. ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მომესმა. „ამისი ძმაკაცებიც მოდიან... ხომ იცოდი, რაც იქნებოდა, რომელი დათა თუთაშხია შენ ხარ... რაღას იზამ, რა დროს მაგაზე ფიქრია. უკან ველარ დაიხევ, კაფედან გარეთ გაიყვანე და დალაპარაკება სცადე...“ — წამის მეათედებში, ჩემს გონებაში გაცხარებული კამათობდა ორი ხმა. ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მიახლოვდებოდა... ვიღაცამ მკლავში წამავლო ხელი. სწრაფად შემოვბრუნდი, მაგრამ უზარმაზარი კაცი ისეთი თვალებით მიყურებდა, მოქნეული ხელი ეგრევე დამრჩა ჰაერში. მოულოდნელად გადამეხვია და გადამკოცნა.

— კაი კაცი ხარ... ბოდიში, ძმაო...

— ვერ ხედავ, ქალებს გვაწერს, რას ედრასტები, მე მაგისი...

სკამზე მოქანავე ბიჭის კეფაზე ორმა ხელმა გაიღო ტკაცანი — მეორე ხელი „სამკარიანის“ იყო, რომელიც მთვრალ „დონ ჟუანს“ დევივით დასწვდა და იღლიაში ამოიჩარა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), დაზაფრულ გოგონებს ჯენტლმენურად დაუხარა თავი და მის ტორქვეშ მოფართხალე ბიჭს პატარა ბავშვივით დაუტატანა. „ბოდიშს გიხდით, ქალბატონებო. ასე იცის ხოლმე, წამით თვალს ვერ მოაშორებს კაცი. ნაცნობები არიანო, თქვენზე გვითხრა, თორემ ხომ ვიცით, ამის მყრალი ხასიათი, სად გამოვუშვებდით...“ კარისკენ მიმავალმა გამომძახა — კიდევ შევხვდებითო და თვალს მიეფარა.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც შევხვდი. იქვე, კაფესთან ახლოს, ბირჟაზე იდგა. გამოვეცნაურე — **გია კოზერიძე**, იგივე „კოკოშა“, როგორც თვითონ ამბობს, „მკვიდრი საბურთალოელია“.

**— ჩვენ ხომ ერთმანეთს არ ვიცნობდით, იმ დღეს რა მოხდა?**

— როგორ გითხრა... იმ დღეს ის ბიჭი მართლა სეირისთვის გამოვუშვით. ტრაბახობდა, გავიცნობ და თქვენც გაგაცნობთო. მერე, შენ რომ მიხვედი, დავფიქრდი... ადრე არ იყო ასე — ქალს შეურაცხყოფას იოლად არავინ მიაყენებდა. ალბათ, ჩვენი ბრალიც არის, ნაკლებად ვფიქრობთ ასეთ რამეებზე, ამასობაში კი თაობები იზრდებიან...

**— შენ ისე ლაპარაკობ, მთლად ბირჟაზე არ უნდა ათენ-აღამებდე...**

— ეგ არის, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა რა არ გადამხდენია... ერთ დროს ვჭიდაობდი, მერე, რუსეთში წავედი სასწავლებლად — ჩემებმა, ცოდნა იქ უფრო გადისო... იურიდიული დავამთავრე. ჩამოვედი და მილიციაში დავიწყე მუშაობა — პერსპექტივები კი იყო, მაგრამ ვერ გავჩერდი, რაც იქ ვნახე, სისხლი არ უნდა მქონოდა, რომ დავრჩენილიყავი... აფხაზეთში რომ ომი დაიწყო, როგორც ბევრმა თბილისელმა, მეც იარაღი ავიღე ხელში. დიდი ცოდვა-მადლი ტრიალებდა... რამდენი დაღუპეს უაზრობით და უცოდინარობით...

ეს დევივით კაცი უცბად მუჭის ტოლა გახდა. თვალები აუწყლიანდა.

— თავზე გადაგვამტვრიეს სამშობლოს სიყვარულიც და თავდადებაც, მე ამათი... მაინც არაფერს ვნანობ, ის დრო რომ დაბრუნდეს, მაინც იმავეს გავაკეთებ...

*„რამდენს არ ვფიქრობდით,*
*რა გზას არ ვადექით*
*და მაინც ხმლით ხელში*
*დიდგორთან დავდექით...“*

**— ლექსებსაც წერ?**

— ჰო, ჭიქასთან ვიცი... ყველა ტკივილი ერთად მახსენებს ხოლმე თავს — ტყვიის ჭრილობაც, ხელში ჩამკვდარი ძმის თვალებიც...

*„ჩვენ დავბრუნდებით*
*წვეთებად წვიმის,*
*ჩვენ დავიჭექებთ*
*მეხებად ცაში,*
*ჩვენ გამოვჩნდებით*
*თქვენს სახეებზე*
*ჩამოგორებულ ცრემლების*
*ზღვაში...“*

**— წელან თბილისზე ამბობდი, ასე არ იყოო...**

— უცნაური რამ ხდება — ჩემს ბიჭობაში არც ამდენი დისკოთეკა იყო და არც ამდენი რესტორანი, ან თუნდაც, აუზი და სპორტდარბაზი. მაგრამ მაინც, უფრო ლაღები ვიყავით... აბა, დღეს ნახე, როგორი დაბეჩავებული და დაბოღმილი ახალგაზრდობა მოდის. ჩემს დროს, „კილკაზე“ და არაყზე ქეიფი სირცხვილად ითვლებოდა. დღეს კიდევ, უბანში ასეთი რამე ფუფუნებაა... მერე დათვრებიან და ერთმანეთს დაერევიან ხოლმე. რამ გააბოროტა ეს ხალხი, ერთმანეთს დანას ისე დაარტყამენ, წარბს არც შეიხრიან... ეგ კი არა, აქამდე ჩავერეოდი ხოლმე, ვაშველებდი. მერე, ერთხელ მეც რომ დანა მომიღერეს, კისერიც გიტეხიათ-მეთქი, ვიფიქრე. რა ვიცი, ალბათ, სასწაული უნდა მოხდეს, ეს თაობა რომ შეიცვალოს...

**— რა არის ამის მიზეზი?**

— რა და, ბავშვი რომ უპატრონოდ გაიზრდება, ისე გაიზარდა საქართველოში მთელი თაობა უპატრონოდ — თუ ჩემი ძმა ხარ, ვის ეცალა „მომავლის საქართველოსთვის“, საკუთარი ეზოკარის აშენებაზე იყო მთელი მთავრობა გაფაციცებული... მაგრამ მაგათ ერთი რამე შეეშალათ — ის ქონება და ფული სად უნდა გამოიყენონ? მაგათმა გაზულუქებულმა შვილებმა სად უნდა იცხოვრონ?! ეს უპატრონოდ გაზრდილი თაობა ვინმეს რამეს შეარჩენს?! ჯუნგლებში „ხრუსტალის“ ვაზას რაში გამოიყენებ?!

სანამ სინანულის გრძნობა გვაქვს, არასოდეს არ არის გვიან. სანამ გვახსოვს, დავიწყებულად არ ითვლება, ე.ი. არც დაკარგულად...

*და კიდევ: იმედი ბოლოს კვდებაო, ნათქვამია. გიასთან საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენი ყოფა უბედურების ბოლო წერტილი არ არის. კიდევ შეიძლება უკეთესობისკენ შევცვალოთ ყველაფერი. თუმცა უარესობისკენ ცვლილებასაც იგივე შანსი აქვს, იქნებ, უფრო მეტიც — უფსკრულში ვარდნა გაცილებით იოლია, ვიდრე იქიდან ამობობღება... მოკლედ, ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული — უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებზე...*

**დაჩი გრძელიშვილი**



# „დამერწმუნეთ, ის რომ გიორგის მამა არ ყოფილიყო, სასამართლოში ვუჩივლებდი“

## ვის ემუქრება ხიზრი ალდამოვი?

**გიორგი სანაიას მამამ, ვახტანგ სანაიამ ელენე თევდორაძე შვილის მკვლელობაში დაადანაშაულა. ამ ამბავმა ყველა გააოგნა. მით უფრო, რომ ვახტანგ სანაიას დაჟინებული განცხადება არგუმენტებითა და, რასაკვირველია, მტკიცებულებებით გამაგრებული არ ყოფილა. თუმცა ვიდეოკასეტა, რომელიც გიორგი სანაიას მკვლელობიდან პირველ კვირაშივე ამოტივტივდა, კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. აქამდე ელენე თევდორაძე აცხადებდა, გიორგისთვის კასეტის მიცემა ვერ მოვასწარიო. დღეს ამბობს, 24 ივლისს გადავეციო. გიორგი კი 26 ივლისს მოკლეს. სხვათა შორის, ვეფხია მარგოშვილის გარდაცვალების შემდეგ, ელენე თევდორაძე პროკურატურაში ექვსი საათის განმავლობაში აძლევდა ჩვენებას და, მისივე თქმით, ყველა ინფორმაცია მისცა გამოძიებას. თავის მხრივ, პროკურატურა ელენე თევდორაძეს აფრთხილებს, რომ კასეტაზე ხმა არ ამოიღოს. ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება ცალკე ჯგუფსაც კი ქმნის, რომელიც კასეტის წარმომავლობასა და სანდოობას შეისწავლის. ამ კასეტით საკმაოდ გაღიზიანებულია ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში — ხიზრი ალდამოვი. იგი ამბობს, — ეს კასეტა მხოლოდ და მხოლოდ მე მეხება და მასში არანაირ მაღალჩინოსნების ნარკობიზნესში მონაწილეობაზე არ არის ლაპარაკიო. ხიზრი ალდამოვი განრისხებულია ელენე თევდორაძეზე, რომელმაც ამ კასეტის ამბავი გაახმაურა. უცნაური კი ის არის, რომ ხიზრი ალდამოვი და ელენე თევდორაძე უარს ამბობენ, კასეტა არა გვაქვსო. თუმცა ალდამოვი ძუნწად მაინც ჰყვება კასეტის შინაარსს და იმუქრება, ჩემი შვილის გამტაცებლებს აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროსო. სწორედ ამ საკითხებზე „კვირის პალიტრა“ ესაუბრა ხიზრი ალდამოვს და ელენე თევდორაძეს.**



### ხიზრი ალდამოვი:

— თევდორაძე კაცი რომ იყოს, აქამდე ათჯერ მეყოლებოდა ნაცემი. იმიტომ, რომ ამ კასეტას გადაჰყვა მთელი საქართველო. თუ გაქვს, აჩვენე! მე ხომ არ მითქვამს, არ აჩვენოთ-მეთქი! ამ კასეტას გადაჰყვა მარგოშვილი. იმდენი „იყვირეს“ იმის გარშემო, რომ მოაკვლევინეს სანაია. თევდორაძემ ჯერ თქვა, სტრასბურგში წავიღეო, მერე თქვა, არ წამიღია, იმიტომ მოვიტყუე, რომ ჩემი ოჯახი დამეცვაო. რა, მაგის ოჯახზე ნაკლებია ჩემი ოჯახი?! ერთხელ არ დაურეკავს და არ უკითხავს, — ბატონო ხიზრი (ბატონოსაც ნუ მეტყვის), შენი შვილი გატაცებული რომ ჰყავდათ, რატომ ერთხელ არ მოხვედიო... თუ ადამიანის უფლებებს იცავ, მე რა, მაიმუნი ხომ არ ვარ. სადაც არ მგონია, იქ დგას და ლაპარაკობს: კასეტა არსებობს, კასეტა არსებობსო! რა არსებობს, ერთი თქვას. კასეტა არის ჩემს ოჯახზე და ჩემზე. არანაირ მაღალჩინოსნებზე იქ ლაპარაკი არ არის. მოვითხოვ, მაპატიეთ და, ნუ იქექებით ჩემს „ლოგინში“. ხიზრი ალდამოვს არავისი ეშინია. მე ვინც შემეხო, იმ ხალხს მე მოვუვლი. თქვენ ნუ ერევით ჩემს საქმეში. თუ ვინმეს უნდა ამ კასეტის ნახვა, აჩვენეთ, კაცო!

— **არ ხართ წინააღმდეგი ამ ვიდეოკასეტის საჯარო ჩვენებისა?**

— რა შუაშია წინააღმდეგობა! დამიჯერეთ, იქ არაფერია არც უშიშროების მაღალჩინოსნებზე, არც შსს-ზე, არც ერთ სტრუქტურაზე. ამ კასეტაზე ჩემს შვილს იარაღით ადგანან თავზე და ეუბნებიან, — ასე უნდა თქვაო და ისიც ამბობს. ჩემი შვილი რუსულად ეუბნება, — კიდევ რამე თუ გაინტერესებთ, მკითხეთ, გიპასუხებთო. უკვე გატაცებულმა ტელეფონით დამირეკა. მე გავაფრთხილე, — არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწიო, რასაც გეტყვიან, ყველაფერზე დათანხმდი-მეთქი... მე ეს გატაცება რუსეთის მიერ მოწყობილი პროვოკაცია მეგონა. ვიფიქრე, ჩემი გატყუება უნდათ-მეთქი. კასეტაზე ჩემს შვილს ალაპარაკებენ, რომ თითქოს მე სუპერ-მარკეტები მაქვს, ჰუმანიტარული დახმარების მაფიაში ვარ, ნარკობარონი ვარ... გულახდილად რომ გითხრათ, იქ აქცენტი ჩემს დისშვილზე იყო. თავიდან ჩემი შვილის გამოშვებას აპირებდნენ, მაგრამ გამტაცებელთა შორის აღმოჩნდა აგენტი, რომელმაც, როგორც კი გაიგო, მეორე ჩემი შვილი იყო, თბილისში ერთ-ერთ სტრუქტურაში დარეკა. მაშინვე უთხრეს, — ხიზრის შვილი ალაპარაკეთ, ოღონდ ყველაფერი ვიდეოზე გადაიღეთო. „იტყვის?! როგორ არ იტყვის, აგერ გვიზის, იარაღის ქვეშ რასაც გვინდა, ვათქმევინებთო...“ კასეტა მთავრდება ასე: „ირშალა“, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ“.

— **ირშალა რას ნიშნავს?**

— არ ვიცი, რაღაც მუსლიმანურია. ეს კასეტა ჩემთვის რომ გამოეგზავნათ და შემოეთვალათ, ჩვენც გვაქვს მისი ასლი და ფული უნდა გადაიხადოო, მაშინ ამ გატაცებას ჩავთვლიდი მატერიალურ დაინტერესებად, მაგრამ აქ ფულზე საერთოდ არ იყო ლაპარაკი. ეს იყო შეკვეთა.

— **ვისი მხრიდან?**

— ყველაფერს ვერ ვიტყვი, რადგან სამაგიერო მაქვს გადასახდელი. მე რომ ახლა გვარი დაგისახელოთ და მერე ის კაცი, დავუშვათ, ავარიაში მოყვეს, მე დამაბრალებენ.

— **სამაგიეროში რას გულისხმობთ?**

— ეგ უკვე ჩემი საქმეა. პამიდვრის სროლას ხომ არ დავიწყებ. როგორც თვითონ მომექცნენ, მეც ისე მოვექცევი. ჩემი შვილი ხომ ალაპარაკეს, ახლა მე ვალაპარაკებ მათ. მერე მეც ვიტყვი, კასეტა მაქვს-მეთქი.

— **თევდორაძეზე რატომ ხართ გაბრაზებული?**

— იმიტომ, რომ ჩემი ტრაგედია იგივე ქართველი მოქალაქის ტრაგედია იყო. საპატიმროებში „პრისტუპნიკებს“ რომ დასდევს, ერთხელ მოდი და „პრისტუპნიკებისგან“ გატაცებულ ჩემს შვილს ჰკითხე, — როგორ არის საქმე, რა მოხდაო. ამის მაგივრად დარბიხარ, დაარბენინებ კასეტას და გადარიე მთელი საქართველო. არადა გიორგი სანაიას მკვლელობამდე რვა თვით ადრე, ჩემი შვილის გათავისუფლების შემდეგ, პრესკონფერენცია ჩავატარე და ვთქვი, რომ ჩემი შვილი და დისშვილი იყვნენ გატაცებულები და არსებობს იარაღის ქვეშ ჩაწერილი ვიდეოკასეტა-მეთქი, მაგრამ მაშინ გვერდში არც უშიშროება, არც შსს, არც თევდორაძე, არავინ დამდგომია.

ეს იცით რაზე იყო გათვლილი? ან ალდამოვი ესვრის, ან ალდამოვს ესროდნენ. ალდამოვი მოხვდება „კლეტკაში“. დაიხურებოდა წარმომადგენლობა. აღარ არის ალდამოვი, ფაფუ... და პრობლემაც მოიხსნებოდა: არასდროს ჩეჩნეთის წარმომადგენლობა საქართველოში აღარ იქნებოდა. აი, ეს იყო მიზანი. წარამარა რომ ახსენებს ჩემს გვარს და ამბობს, ხიზრი ალდამოვის შვილია კასეტაზეო, ჩემი ოჯახის საქმეებში რატომ ერევა?! რატომ მახსენებს ინტერვიუებში?! ეგ ქალი დასაჭერია! საქართველოში უნდა ჩატარდეს ღია სასამართლო, სადაც უნდა წარდგეს ეს ქალბატონი და პასუხი აგოს სანაიას მკვლელობის გამო...

— **ბატონო ხიზრი, თუ უკვირდებით, რას ამბობთ?**

— მაგან ააგორა ეს ტალღა. ამ კასეტის ხსენებაზე მე უკვე თევდორაძეს მოვთხოვ პასუხს. ამ კასეტაზე ორი ქისტია ნახსენები და მესამე მე ვარ. ეჩვენებინათ ეს კასეტა, დავუშალე?! სასაფლაოს ახლოს რვა გამტაცებელი ადგა იარაღით თავზე ჩემს შვილს და ისე ალაპარაკეს. მითხარით, ეს კასეტა სარწმუნოა?!

***ამ საშინელი ბრალდებებითა და მის წინააღმდეგ აგორებული ტალღით იმდენად შეძრწუნებულია ელენე თევდორაძე, რომ ინტერვიუს ჩაწერამდე ისიც კი გვითხრა, ნერვიულობისგან რამდენიმე დღეა, საჭმელს ველარ ვჭამო. ფაქტი კი ის არის, რომ ეს სკანდალი ამით არ დამთავრდება.***

— **ქალბატონო ელენე, ლაპარაკია ისევ და ისევ იმ გახმაურებულ ვიდეოკასეტაზე, რომელზეც რამდენიმე ხნის წინ „კვირის პალიტრას“ განუცხადეთ, რომ სტრასბურგში წაიღეთ, შემდეგ მასმედიის საშუალებით უარყავით ეს ინფორმაცია და თქვით, ეს ტყუილი ჩემი ოჯახის გადასარჩენად დამჭირდაო. დღეს რა შეგიძლიათ თქვათ... რა კასეტაა და რატომ აგორდა ამხელა სკანდალი?**

— როგორც კი ამ კასეტის არსებობა გავამხილე, მაშინვე ყველა არხით შევთავაზე პროკურატურას, მზად ვარ ჩვენების მისაცემად-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურატურა მაშინღა მოვიდა, როდესაც მარგოშვილი ცოცხალი აღარ იყო(!). შემდეგ გამომძიებელს ექვსსაათიანი ჩვენების მიცემის შემდეგ კიდევაც ვუთხარი, დიდი სიმძიმე მოვიშორე მხრებიდან-მეთქი.

— **თუ შეგიძლიათ მოგვიყევით, რა ხდება ამ კასეტაზე?**

— მე ეს ყველაფერი ვუთხარი პროკურატურას. ამ შემთხვევაში ვეთანხმები იმ აზრს, რომ ადამიანი იყო გატაცებული და არ ვიცით, რა პირობებში აძლევდა ჩვენებას, რამდენად თქვა სიმართლე, რამდენად მართალია იქ დასახელებული გვარები, ამიტომ ჩავთვალე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. მე უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ.

— **ლაპარაკია ხიზრი ალდამოვის შვილზე?**

— დიახ.

— **თქვენ მასმედიის საშუალებით განაცხადეთ, რომ 24 ივლისს ეს კასეტა გადაეცით გიორგი სანაიას და მის გაშვება-არგაშვებაზე 26 ივლისს უნდა მოგელაპარაკათ, მაგრამ ის მოკლეს...**

— კი გადავეცი. მოვილაპარაკეთ, რომ ორ დღეში უნდა შევხმიანებოდით ერთმანეთს...

— **გაქრა ეს კასეტა თუ პროკურატურამ ამოიღო მისი ბინიდან?**

— დაკითხვის დროს მითხრეს, რომ არ უპოვიათ.

— **ანუ დაიკარგა?**

— ვერ გეტყვით... პროკურორმა მითხრა, ჩვენ ვეძებეთ, მაგრამ არც მანქანაში და არც სახლში კასეტა ვერ ვნახეთო. გამომძიებელმა ისიც კი მითხრა, ბინა არც იყო ისე არეული, რომ ვილაცას რაღაცა ეძებნა. ეს საუბარი იყო ხურცილავას დაკავებამდე.

როდესაც ეს ტრაგედია მოხდა, დავიწყე ფიქრი, რატომ უნდა მოეკლათ ეს ბიჭი. უცბად ეს კასეტა ამოტივტივდა. გიორგის გასვენებაზე ეროსი კიწმარიშვილს ვკითხე, გიორგის კასეტის შესახებ ხომ არაფერი უთქვამს-მეთქი. არაო, — მიპასუხა. მასალებს ვის უთანხმებდა გიორგი-მეთქი. ან მე, ან ნიკა ტაბატაძესო. ნიკამაც არაფერი იცოდა კასეტის თაობაზე.



— **აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ჰქონდა თუ არა ამ კასეტას ის ღირებულება, რომ ამისთვის გიორგი მოეკლათ? თუ ჩნდება ეჭვი, მაშინ რა გამოდის, კასეტა ალდამოვზეა, გზას მისკენ მივყავართ?**

— არავითარ შემთხვევაში. თავიდან მართლა მქონდა ეჭვი, ხომ არ იყო ეს კასეტა მკვლელობის მიზეზი. მაგრამ მას შემდეგ, რაც დავადგინე, რომ იგი კახა თარგამაძისთვის ცნობილი იყო, აზრი შემეცვალა... ახლა ჩემზე ამბობენ, რომ მაშინ ასე თქვა, ახლა ასე ამბობსო. ყველა ადამიანს აქვს ვერსიის დასახელების უფლება და მეც ვთქვი, მაგრამ როცა განვაცხადე, ეს კასეტა მე მაქვს-მეთქი, ვინმეს ხომ უნდა მოვეკალი? ასე არ მოხდა. ამიტომ შევიცვალე პოზიცია და გიორგის მკვლელობას საერთოდ აღარ ვუკავშირებ ამ კასეტას.

— **ქალბატონო ელენე, მარგოშვილმა ეს კასეტა გადმოგცათ და გაბუქა, რომ იქ თითქოს მაღალჩინოსნები იყვნენ დასახელებული. რა გამოდის, მარგოშვილმა მოგატყუათ?**

— მაგრამ კასეტა მომცა... თუ საკითხს ასე დავსვამთ, რა იყო მარგოშვილის მიზანი... ის პრეზიდენტისგან ითხოვდა პატიებას. მეუბნებოდა, ნამდვილად ვეწეოდი კრიმინალს ა.შ. და ა.შ., საკმაოდ მძიმე ბრალდება მაქვს, მაგრამ გადავწყვიტე, ბიზნესი წამოვიწყო. მაპატიოს პრეზიდენტმა და მომცეს საშუალება, დავიწყო ახალი ცხოვრებაო. როცა ავუხსენი, რომ ასე არ ხდება, ჩადენილ დანაშაულზე კანონის წინაშე ყველამ უნდა აგოს პასუხი-მეთქი, მითხრა, ადამიანებს, რომლებიც „კრესლოებში“ სხედან და საშინელ დანაშაულობებს სჩადიან, არავინ ეხება და სწორედ ისინი მთხოვენ პასუხს მეო და მომიყვა კასეტაზე. შემდეგ მას არც შევხვედრივარ და არც სატელეფონო საუბარი მქონია გარდა „რუსთავი-2“-ში შემდგარი პირდაპირი ეთერისა.

— **ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ პანკისიდან წილის აღებაშიც კი დაგადანაშაულეს...**

— კი. ესეც გავიგე. მე რომ წამოვედი პანკისის ხეობიდან, მეორე დღესვე მარგოშვილს დაურეკავს ჟურნალისტ ლომიშვილისთვის და უთქვამს, — ახმეტის პოლიციის ყოფილი უფროსი არაბული ხმას ავრცელებს, თევდორაძემ იქიდან თანხა წამოიღოო.

— **თუ ესაუბრეთ სანაიას მამას?**

— ვესაუბრე, მაგრამ მას უთქვამს, ჩემს პოზიციას არ ვიცვლიო. ინტერვიუ გამოქვეყნდა და ვთვლი, რომ შეხვედრას აზრი უკვე აღარ აქვს.

— **არც მას დაურეკავს?**

— არა. დამერწმუნეთ, ის რომ გიორგის მამა არ ყოფილიყო, სასამართლოში ვუჩივლებდი.

— **ის კი აქეთ გიპირებთ ჩივილს...**

— ძალიან კარგი. იჩივლოს და ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

— **თქვენ ამბობთ, რომ სანაიას მკვლელობის მოტივის დამალვას ყველანაირად შეეცდებიან. პროკურატურა იგულისხმეთ?**

— დარწმუნებული ვარ, ბრალდებული ხურცილავა არ ამბობს სიმართლეს; ამიტომ სიმართლეს ვერ გავიგებთ. პროკურატურა კი იძიებს იმ მასალებს, რასაც აწვდიან.

— **თქვენ პირად საუბარში მითხარით, გიორგის მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით ციხეში სხვა ინფორმაცია ტრიალებსო.**

— დიახ, ციხეს აქვს თავისი ვერსია, მაგრამ მათ მთხოვეს, ჯერჯერობით ამაზე არ ვილაპარაკო, ის ვერსია სიმართლესთან ახლოს დგას.

— **ამ საშინელი ბრალდების გარდა, სომხეთის „პრაიმ-ნიუსმა“ არანაკლები ბრალდება გაავრცელა თქვენზე. დაგადანაშაულეს გელაევთან კავშირში და ასევე 14 სომხის დახვრეტაში. იცით, რა მაინტერესებს? როდესაც ადამიანების უფლებების დაცვა დაიწყეთ, სახელმწიფო მანქანა მაშინ უფრო ძლიერი იყო, მაგრამ ამხელა ტალღა თქვენს წინააღმდეგ არ აგორებულა. დღეს, როცა უკვე ასე ვთქვათ, „კედელი“ გატყდა და თქვენი საქმიანობა ჩვეულებრივ ჭრილში მოექცა, რატომ წამოვიდა ეს ბინძური კამპანია თქვენს წინააღმდეგ?**

— მიჭირს ახსნა. თუმცა ვერ დაგეთანხმებით. როგორც კი მანკიერებებზე დავიწყე ლაპარაკი, ეს „მანქანა“ მაშინვე ჩაირთო, მაგრამ მაშინ უფრო ქრთამების მიმართულებით „მუშაობდნენ“. თუმცა მიხვდნენ, რომ ამ ხერხმა არ გაჭრა. ვფიქრობ, ეს დარტყმა არის რევანში იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც დღეს თანამდებობებზე აღარ არიან. თავის დროზე ბევრი მოჰპარეს სახელმწიფოს და ახლა ნაქურდალს ამ სიბინძურეში დებენ.

— **ვის გულისხმობთ, ძალოვნებს?**

— ჯერ დასახელებას არ ვაპირებ. მინდა ყველაფერი კარგად გავაანალიზო და შემდგომში ჩემს პოზიციას, უკვე დაკონკრეტებულს, აუცილებლად დავაფიქსირებ. პარალელურად ახლოვდება ახალი საარჩევნო პერიოდი. მოდით, ვთქვათ ხმამაღლა. მაქვს მაღალი რეიტინგი? მაქვს. აქედან გამომდინარე, ეს არის გამიზნული ჩემი დისკრედიტაციისთვის, რომ ვეღარ გავაგრძელო პოლიტიკური მოღვაწეობა. მე კი ვადის გასვლის შემდეგ ისედაც ვწყვეტ პოლიტიკურ მოღვაწეობას და არასამთავრობო საქმიანობას გავაგრძელებ.

— **როგორც შევიტყვე, თქვენ გითხრეს, რომ ინტერნეტში შესული კოდის მიხედვით ეს ინფორმაცია ჩეჩნური სააგენტოს მიერ არის გავრცელებული...**

— კი. ეს ერთ-ერთმა დეპუტატმა მითხრა, მაგრამ გადასამოწმებლად უშიშროების სამინისტროს გადავეცი და ვთხოვე, რომ პასუხის შემდეგ შემოწმდეს ჩემი საქმიანობაც და საზოგადოებას დაუფარავად მიეწოდოს სიმართლე. მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით დავარწმუნო ხიზრი ალდამოვი, რომ აზრადაც არ მომსვლია და მანამდე არც არაფერი მითქვამს, სანამ თვითონ არ გააკეთა განცხადება. რაც შეეხება წარმომადგენლობას, მიმაჩნია, რომ მანამ, სანამ ჩვენს ტერიტორიაზე ჩეჩენი ლტოლვილები იმყოფებიან, ეს წარმომადგენლობა დადებით როლს თამაშობს. გარდა ამისა, ევროპაში ჩემი ნებისმიერი ვიზიტის დროს ვლაპარაკობ ჩეჩენი ლტოლვილების ბედზე. თუმცა ალდამოვის განწყობა ჩემ მიმართ გაუგებარია და გაოცებული ვარ.

*მარინა მამისაშვილი*




ამას წინათ პარლამენტის კულუარებში ხმა გავრცელდა, — რუსეთში ვიზიტების გამო რეფორმატორებს დასავლეთიდან უსაყვედურესო. ამიტომ ამერიკაში ჟვანია-სააკაშვილს მთლად მშვიდობიან ვოიაჟს არ უწინასწარმეტყველებენ. ჭორი ჭორად, მაგრამ მისი შინაარსიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსულ-ამერიკული ორგანიზაცია ქართულ პოლიტიკაში კვლავ კამათის საგნად რჩება. თავის დროზე საქართველომ დასავლეთი აირჩია, მაგრამ ამით „რუსულ პრობლემას“ არ ეშველა. ვისთან და რატომ სჯობს მეგობრობა, — ამ საკითხზე ორ განსხვავებულ შეხედულებას გთავაზობთ.

**აკაკი ასათიანი:** — ორი საუკუნის წინ მეფე ერეკლე რომ ასაკოვანი არ ყოფილიყო, რუსეთის მფარველობის ძებნას არ დაიწყებდა. მაგრამ მის ნაბიჯს მაინც ჰქონდა გამართლება, — მაშინ რუსეთი ევროპული კულტურის მქონე



ერთადერთი მეზობელი იყო. ამ არჩევანს თვით სტალინმა (ფაქტობრივად, რუსეთის იმპერატორმა) უწოდა „ნაკლები ბოროტება“ (Меньшее зло). სტალინს „ნაკლებ ბოროტებად“ მიაჩნდა რუსეთი თურქეთთან და ირანთან შედარებით. ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტებმა, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, სტალინის გამოთქმა „მცირე ბოროტებად“ გვითარგმნეს, ბოლოს კი ისიც თქვეს, — რუსეთის მფარველობაში შესვლა ბედნიერება იყოო. სახელმწიფოს გაქრობა ბედნიერებად მონათლეს(!) მაშინ, როდესაც თვით რუსმა მონარქისტებმა 1917 წლის შემდეგ ოფიციალური დოკუმენტაციით აღიარეს, — რომანოვებს ბაგრატიონთა სამეფოს გაუქმების ცოდვამ უწიათ, ღმერთმა გადაუხადა, რადგან არ შეიძლება მონარქმა მონარქია გააუქმოსო!

როგორ შეიძლება რუსულ ორიენტაციაზე ლაპარაკი, როცა ის თვითონ დგას ევროპის კარიბჭესთან და დასავლეთს მუხლმოყრილი ევედრება — თქვენთან მიმიღეთო. უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში რუსეთის უერთგულესი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ცენტრალურ აზიაში უკვე აშშ-ის ქარი ჩადგა. სხვათა შორის, აკაევი იმ ყირგიზ ყაენის შთამომავალია, რომელმაც რუსეთის მფარველობაში შეიყვანა თავისი ქვეყანა, დღეს კი აკაევიც ამერიკას ირჩევს, ბაზებს უთმობს, რადგან რუსებისგან განსხვავებით, ამერიკელები მონობას და კოლონიალიზმს კი არა, პარტნიორობას სთავაზობენ და ამაშიც ფულს იხდიან. ამერიკა იმპერია არ არის. ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო თანამშრომლობას გვთავაზობს, თავის კულტურას ის თავს არ გახვევს — გინდა უყურე მის ფილმებს, გინდ — არა; გინდა ჩაიცვი ჯინსები, გინდა ნუ ჩაიცვამ. რუსეთი კი გვეძალება, 200 წელი გაატარა აქ და კიდევ 200 წელი უნდა. თუ იმაზეა ლაპარაკი, ვისთან მეგობრობა სჯობს საქართველოსთვის, არ გვირჩევნია ძლიერთან ვიმეგობროთ? ამერიკა რომ რუსეთზე ძლიერია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მან მშვიდობიანად დაშალა საბჭოთა კავშირი — რუსეთის იმპერია და განა რუსეთი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს იყო?! რუსები აფრთხილებდნენ ამერიკას, — ავღანეთში ჩაეფლობითო. მაგრამ ეს არ მოხდა. ამერიკელებმა 2 კვირაში დაამთავრეს ყველაფერი, მაშინ როცა რუსები 10 წელი ებრძოდნენ ავღანეთს და იქიდან ნაცემ-ნაბეგვები გამოიქცნენ.

**— მაგრამ ზოგიერთებს მიაჩნიათ, სანამ ამერიკა მოვა და მოგვეხმარება, რუსეთი ჩაგვყლაპავსო.**

— მერე და არ მოსულა ამერიკა ჩვენამდე? უფრო შორსაც მივიდა — უზბეკეთში. ჩვენ თვითონ თუ არ ჩავბარდებით რუსებს, ისე არავინ ჩააბარებს ჩვენს თავს. ჩეჩნებს არ ანებებს ამერიკა რუსეთს და ჩვენ დაგვთმობს? ახლა წუწუნებს ივანოვი, — ამერიკა ჩეჩნებს ტერორისტებს არ უწოდებსო. იმიტომ არ უწოდებს, რომ ეს

# „ისეთმა სახელმწიფომ, რომლის მეთაურს ფრონტის ხაზზე უწევს ყოფნა, არ უნდა იომოს...“

ხალხი თავისუფლებისთვის იბრძვის. ახლა რისი ჩამყლაპავია რუსეთი, როცა ძალა ჰქონდა, მაშინ ვერ ჩაგვყლაპა.

**— ვერ ჩაგვყლაპა, მაგრამ მისი ხელი „კარგად“ გამოჩნდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.**

— ეს პრობლემები შევუქმენით საკუთარ თავს. თუ ვგრძნობდით, რომ რუსეთი პროვოცირებას გვიკეთებდა, რატომ ავყევით? საკუთარ უბედურებას და სიბრიყვეს ნურც რუსეთს დავაბრალებთ, ნურც ამერიკას. თუ გონივრულად ვიმოქმედებთ, ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს. რა დააკლეს ესტონეთს, სადაც 800 ათასი ესტონელი და 600 ათასი რუსი ცხოვრობს? თუ ჩვენ 200 წელი ვიყავით რუსეთის შემადგენლობაში, ბალტიისპირელები პეტრე პირველის დროიდან — 1700 წლიდან იყვნენ იქ, მაგრამ ჭკუა ეყოთ — თავისუფლება უნდათ და დაკარგულ იმპერიას არ მისტირიან.

როცა ეროვნული მოძრაობის ტალღა აგორდა, ლატვიიდან ამბავი ჩამოვიდა, — 23 თებერვალს რუსები რიგაში დემონსტრაციის მოწყობას აპირებენ, საბჭოთა არმიის დღის აღსანიშნავადო. საგანგებოდ ჩაჰყავდათ იქ პეტერბურგიდან და სმოლენსკიდან პროვოკატორები იმ მიზნით, რომ დემონსტრაციის მსვლელობისას ლატვიელი ახალგაზრდები გაეღიზიანებინათ და შეხლა-შემოხლა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მართლაც ცემა-ტყეპას გავმართავდით და მერე კიდეც ვიამაყებდით ამით. ლატვიელებმა კი მთელი სტუდენტობა და მოსწავლეები სოფელში გაიყვანეს კარტოფილის ამოსაღებად. იარეს რუსებმა რიგის ქუჩებში, იყვირეს, მაგრამ თავისას ვერ მიაღწიეს. ლატვია საბოლოოდ გათავისუფლდა.

ვწუხვარ, რომ ემოციურად მოვიქეცით სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. პროვოკაცია არ იყო, მათ მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება? ჩვენ კი ემოციებს ავყევით... შედეგად რა მივიღეთ?.. ნურავის მივცემთ საშუალებას, რომ გამოგვიყენოს.

ქართველებს ეროვნული ცნობიერება მაღალი გვაქვს, მაგრამ 200-წლიანმა მონობამ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა დაგვაკარგვინა. ახლა უნდა ჩამოგვიყალიბდეს სახელმწიფოებრივი აზროვნება. ქვეყნის სათავეში მყოფმა ადამიანებმა უნდა გვაჩვენონ სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითი. ის, რომ შევარდნაძე ომის დროს ფრონტის ხაზზე იყო, მისი პირადი ვაჟკაცობაა. მაგრამ მერჩივნა ის თბილისში ყოფილიყო და უკეთესად მომხდარიყო ჯარის ორგანიზება. ისეთმა სახელმწიფომ, რომლის მეთაურს ფრონტის ხაზზე უწევს ყოფნა, არ უნდა იომოს. ხორვატებსაც წაართვეს სერბებმა კრაინა, მაგრამ ხორვატიის პრეზიდენტი ფრონტის ხაზზე არ წასულა. სამაგიეროდ, ხორვატებმა 4 წელიწადში ისეთი არმია შექმნეს, 2 დღეში დაიბრუნეს ქალაქი და პრეზიდენტმა თავისი ხელით აღმართა ქალაქის თავზე დროშა.

ნელ-ნელა რუსეთშიც იცვლება ცნობიერება, მიდის ის თაობა, რომელსაც საბჭოთა ნოსტალგია აქვს. რუსეთის ტელევიზიით ვნახე — რუს კომუნისტებს საქართველოზე ჰქონდათ დავა. ადგა ერთი ბიჭი და თქვა — საბჭოთა კავშირის დროს ჩემი სამშობლო რუკაზე არ იყო. ძლივს მოვესწარი, რომ რუსეთი რუკაზეა. გაუშვით ეს ქართველები, რას გადაეკიდეთო. ის ბიჭი გაიზრდება და მისნაირი ცნობიერების ხალხთან ნორმალური ურთიერთობა აეწყობა. თუ რუსეთს ჩვენთან მეგობრობა სურს, იმეგობროს, მაგრამ მეგობრობა ორმხრივი უნდა. თანაც მირჩევნია მეგობარი ჩემდამი კეთილგანწყობილი, მდიდარი და მხიარული იყოს, ვიდრე — ამბიციური, პირქუში, გაყინული, უფულო და ჩემზე გაბოროტებული. რუსეთთან სამეგობროდ გვიწვევენ? ჯერ აღიაროს რუსეთმა ის უამრავი დანაშაული, რაც ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ჩაუდენია, დაგვიდოს თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება და მეგობრობაზე მერე ვილაპარაკოთ. „რუსული რულეტკა“ ვისაც სურს, იმან ითამაშოს (როგორც წესი, ის ცუდად მთავრდება), ჩვენ ჩვენს სახელმწიფოს მივხედოთ და დალაგებულ ქვეყანაში აღარც სეპარატიზმის პრობლემა იქნება.



**რაც მეტს აგინებ, მეტად გაწყენინებს. ქართველები აბეზარ, დიდგულა ძველბიჭს დავემსგავსეთ, რომელსაც ძალა არ აქვს და ენას მაინც არ აჩერებს, ამიტომაც სულ სცემენ. არ მოგვბეზრდა ამდენი ცემა?**

პარალელების გავლება 200 წლის წინანდელ ვითარებასთან არ შეიძლება. დღეს სხვა და სხვანაირი მსოფლიოა. თანაც ისტორიაში, როგორც წესი, პროცესები არ მეორდება.

მაშინ, როდესაც ტრადიციონალისტთა ლიდერი რუსეთთან ორიენტაციაზე ამგვარად საუბრობს, სოციალისტი ვახტანგ რჩეულიშვილი რუსეთთან მეგობრობის მსურველთა ხელმოწერებს აგროვებს და მოსკოვის მერის მიწვევებსაც სიამოვნებით იღებს. რუსეთში გამგზავრების წინ **ვახტანგ რჩეულიშვილმა** კიდევ ერთხელ სცადა თავის სწორ არჩევანში დავერწმუნებინეთ:

— საერთაშორისო ურთიერთობები დიდი სამეზობლოს ურთიერთობას ჰგავს, სადაც განსხვავებული ოჯახები ცხოვრობენ — ზოგი ძლიერია, ზოგი — სუსტი და ღარიბი, ზოგს დიდი ბინა აქვს და ზოგს — პატარა. ურთიერთობებიც ამის გათვალისწინებით იგება. შეიძლება ყველაზე სუსტმა (შესაძლოა, ძალზე განათლებულმაც) მოინდომოს ყველა მეზობლის იგნორირება, დაუძმაკაცდეს მეზობელ ქუჩაზე მცხოვრებ ღონიერს და მეზობლებს შეშინება დაუწყოს, — ჯეკს მოვიყვან და ის ყველას ცხვირ-პირს დაგინგრევთო. ერთხელ დაგეხმარება ჯეკი, მეორედ, მაგრამ როცა გვერდზე გაიხედავს, მოვა შენი მეზობელი ვანია და ამოგინაყავს ცხვირ-პირს. ამერიკის იმედად რუსეთთან დიდგულობა არ გამოგვივა. ყველაფერს სჯობს, ჩვენს ეზოშივე მოვაგვაროთ ურთიერთობა. ადამიანმა თუ ბავშვობაში გცემა, მთელი ცხოვრება უნდა დაიმახსოვრო და იძახო, — აწი ჩვენ მეზობლები არ ვართო? რაც მეტს აგინებ, მეტად გაწყენინებს. ქართველები აბეზარ, დიდგულა ძველბიჭს დავემსგავსეთ, რომელსაც ძალა არ აქვს და ენას მაინც არ აჩერებს, ამიტომაც სულ სცემენ. არ მოგვბეზრდა ამდენი ცემა?

იმ ერთი ახირებული ვანიას გამო ხომ არ შეიძლება მთელ ოჯახს გადაეკიდო. გგონიათ ამერიკას გულზე ეხატება რუსეთი? მაგრამ დასჭირდა და დაუძმაკაცდა. თუ ამერიკას არ უნდა მარტო ყოფნა, ხვდება, რომ რაც უნდა მდიდარი, ძლიერი და ღონიერი იყოს, მარტო ვერაფერს გააკეთებს, ჩვენ რატომ ვერ ვხვდებით ამას? რუსეთი ყველაზე დიდი სახელმწიფოა და რაღა ის მოვიკიდოთ მტრად ქართველებმა. მე კარგად ვხედავ, რაც დაგვიშავა რუსეთმა, მაგრამ ისიც ვიცი, რაც გაგვიკეთა.

**— რა გაგვიკეთა?**

— თავის დროზე ჩინელებმა ჩინგიზ ყაენს 800 წლის იუბილე გადაუხადეს, რაც გახდა კიდეც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების ერთ-ერთი მიზეზი — მონღოლების უღელი გვედო, თქვენ როგორ ზეიმობთ მის იუბილესო. ჩინელებმა უპასუხეს — მონღოლების უღელი ჩვენც გვედო, მაგრამ მონღოლებამდე ჩინეთი 5 ნაწილად იყო გახლეჩილი, ჩინგიზ ყაენმა კი გაგვაერთიანაო. ჩინელები მიხვდნენ დამპყრობლის „სიკეთეს“, ჩვენ კი ვერ ვხვდებით. რუსეთი წლების მანძილზე გვკრებდა ნაწილ-ნაწილ. რატომ დავივიწყეთ, რომ ქართულ სახელმწიფოდ რუსეთის კალთის ქვეშ გავერთიანდით. რუსეთს ერთიანი საქართველო აძლევს ხელს და არა დანაწევრებული. ისეთი სახელმწიფო უნდა შევქმნათ, სხვა ქვეყნები ჩვენით დაინტერესდნენ. რუსეთსაც და დასავლეთსაც სტაბილური საქართველო უნდათ და ხომ უნდა გვეყოს ჩვენც გონიერება, რომ აქ არ ავამღვრიოთ წყალი.

დამოუკიდებლობის 10 წელი რუსეთისთვისაც მძიმე იყო, მანაც ვერ გათვალა ბევრი რამ. ხომ ხედავთ, აფხაზეთთან თამაშით თავად ჩეჩნეთის პრობლემა მიიღო. ახლა წყნარი განსჯისა და დიალოგის დრო მოვიდა. მაგრამ აქ ვერ აცნობიერებს ზოგი ამას. სააკაშვილი რუსეთს ცოფიანს და სისხლისმღვრელს უწოდებს. სააკაშვილი რომ ცოფიანს დაუძახებს, არ იტყვის რუსეთი, — შენს დორბლებს მოუარეო?! დღეს უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს, რუსეთიც დასავლეთისკენ იყურება და ჩვენც ნუ დავჭამთ ერთმანეთს და ერთად წავიდეთ ამ გაზაზე.

# „ჯონდი ბაღათურია მრთი კვირაა ინტრიგანობს“

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მორიგი ხმაურიანი სკანდალი შედგა. როგორც 6 წლის წინათ, პარტიაში განხეთქილებაა. სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი ეროვნულ-დემოკრატების საქმის გარჩევა გინებისა და მუშტი-კრივის თანხლებით წარიმართა. თუმცა, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ეს არ ყოფილა ამ „რაზბორკის“ ყველაზე დრამატული ეპიზოდი.

პარტიიდან გარიცხული ბაღათურია ედპ-ის ყრილობაზე არ შეუშვეს — საკრებულოს ფავორიტს შტურმით მოუხდა დარბაზის აღება. გინებას, ცემა-ტყეპასა და მუშტების ქნევას, ჟურნალისტების შეურაცხყოფაც მოჰყვა. სარიშვილის ზუგდიდელმა მხარდამჭერმა გიზო მონიავამ მკლავის ძალა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ ნანა ლეჟავაზე სცადა (გულახდილად უნდა ვთქვათ, — ლეჟავას უპასუხოდ არ დაუტოვებია დიალოგის ამგვარი არაორდინარული ფორმა და თავადაც გვარიანად უთავაზა „ჯენტლმენს“). ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებმა „დახურულ კარს მიღმა“ განაგრძეს ურთიერთობა, მაგრამ გინებისა და მუშტების ბაგუნის ხმა მაინც სწვდებოდა გარეთ დარჩენილ ჟურნალისტთა ყურთასმენას. ამგვარ „პრესს“ ჯონდი ბაღათურიას მომხრეებმა 3 საათი გაუძლეს, მერე კი შეძახილებით „ჩვენ დღეს გავიმარჯვეთ“ დარბაზი დატოვეს.

**ჯონდი ბაღათურია:** ჩემს პროვოცირებას ცდილობდნენ, გაყვან-გამოყვანები და გაჭიმვები დაგვიწყეს. ირინა და მისი გუნდი ძალიან აქტიურობდა. არის რამდენიმე ინტრიგანი, რომლებსაც აღიზიანებთ სხვისი წარმატება, ცდილობენ ზიანი მომაყენონ. ამიტომ მივედით ამ ცირკამდე. ვიცი, უმეტესობა მე მიჭერს მხარს. მოვითხოვე ფარულად ეყარათ კენჭი — იყო თუ არა ყრილობა ჩემი გარიცხვის მომხრე, მაგრამ ეტყობა, ირინას არ აქვს გამარჯვების იმედი, ამიტომ ფარული კენჭისყრა არ ჩატარდა.



ჩვენ მალე პარტიის ყრილობას მოვიწვევთ და შესაძლოა დავაყენოთ კიდეც ირინა სარიშვილის გარიცხვის საკითხი. ირინა დღეს წამგებიანი ფიგურა გახდა პარტიისთვის.

**— კონფლიქტი პარტიის თავმჯდომარესთან „სახალხოს“ გამო ხომ არ მოხდა?**

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო... კარგი იქნება თუ ედპ და „სახალხო“ სარიშვილისა და გიორგაძის გარეშე გაერთიანდებიან. „სახალხოსთან“ ურთიერთობის აღდგენა ირინასაც სურდა, მაგრამ მის მხარდამჭერთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც შიშობენ — „სახალხოსთან“ გაერთიანების შემდეგ, უკანა პლანზე გადავიწევთო და ამ პროცესს აფერხებენ. სიმპათია მაქვს გიორგი კობახიძის მიმართ, რადგან ის არ გამხდარა პარტიის გახლეჩის მიზეზი.

**ირაკლი ქადაგიშვილი,** ედპ-ის სპიკერი: როდესაც მთავარი კომიტეტი ადგენს, რომ კენჭისყრა ღიად უნდა ჩატარდეს, პარტიის წევრი კი წინააღმდეგ მიდის და შიდაპარტიული დაპირისპირების პროვოცირებასაც არ ერიდება, ეს არის პარტიის გახლეჩის მცდელობა. ინტრიგანობა და ფარული ქსელების ხლართვა ჩვენთვის მიუღებელია. ბაღათურია ნებისმიერ პროვოკაციაზე შეიძლება წავიდეს. შესაძლოა ე.წ. ყრილობაც მოიწვიოს, მაგრამ არავითარი იურიდიული ძალა მათ დადგენილებას არ ექნება.

**— ედპ ისევ ორად გაიყო?**

— როგორ გეკადრებათ! ედპ აქ არის, გარეთ კი ის ადამიანი დარჩა, რომელმაც თავისი ადგილი ვერ დაინახა ჩვენთან.

**— როდის მიუხვდით ბაღათურიას ინტრიგანობას?**

— ბოლო ერთი კვირაა... მან რამდენიმე კაცი აიყოლია, მაგრამ პარტიიდან მის გარდა არავინ გაგვირიცხავს.

ეროვნულ-დემოკრატები თავიანთ შიდასამზარეულოზე აშკარად საუბარს ერიდებიან, მაგრამ მაინც გამოჟონა სარიშვილისა და ბაღათურიას დაპირისპირების მიზეზმა. ბაღათურიას მომხრეები ამბობენ, — მავანთ ჯონდის მაღალი რეიტინგი ესობოდათ გულზე, ირინას წარამარა ჩასჩიჩინებდნენ, — ჯონდიმ გაგასწრო, ლიდერობას წაგართმევსო და გააფუჭეს მათ შორის ურთიერთობა.

სარიშვილის მომხრეები კი ბაღათურიას აყვედრიან — მთავარ კომიტეტში თავისი მომხრეების შეყვანა უნდოდა, რეგიონებში დადიოდა და ხალხს იბირებდაო.

ყრილობის წევრებისგან შევიტყვეთ იმ „უსაქმური ინტრიგანების“ ვინაობაც, რომლებმაც თურმე სარიშვილთან დააპირისპირეს ბაღათურია. ესენი არიან პარტიის აღმასრულებელი მდივანი უტა ლიპარტია, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების თავმჯდომარე ჯაბა სამუშია და ედპ-ის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდივანი ბაჩუკი ქარდავა.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*

# რადიოაქტიური ნარჩენების საცავში ავარია მოხდა(?!)

## „რადიაციულ წყაროებს ეძებდნენ იქ, სადაც ისინი არ იყო“

**გასული კვირის ოთხშაბათ დღეს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მეგობარმა ტელეფონით შემატყობინა: სამინისტროში ერთი ამბავია, რადგან თბილისთან ახლოს მდებარე რადიაციული წყაროების სამარხი სარკოფაგის ჰერმეტულობა დაირღვა და გარემო რადიაციული გამოსხივებით ბინძურდება, ამ ინფორმაციას, ჯერჯერობით, არ ახმაურებენო.**

5 წუთში სამინისტროსთან გავჩნდი. მართლაც, შენობის წინ სამინისტროს ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობა გამოფენილიყო და სადღაც გამგზავრებას აპირებდნენ. აშკარად ეტყობოდათ, შეშფოთებულები იყვნენ. განკარგულებებს მინისტრის პირველი მოადგილე, ზურაბ თავართქილაძე იძლეოდა, რომელმაც ჩემს შეკითხვას ყური არ ათხოვა და ზურგი შემაქცია. ეს არც გამკვირვებია, რადგან მანვე დაუყოვნებლივ ჩამოსხა მიკროავტობუსიდან საფრანგეთიდან ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (რომელსაც პრესაში რატომღაც რუსული აბრევიატურით „მაგატე“-თი მოიხსენებენ, თუმცა ქართულად ამ ორგანიზაციას „ატენსასა“ ეწოდება) თანამშრომლებთან ერთად ჩამოსული უცხოელი ჟურნალისტიც და კინოოპერატორებიც, რომლებიც „ატენსასას“ დახმარებით, წალენჯიხის რაიონში ახლახან აღმოჩენილი რადიაციული წყაროს განეიტრალებას აშუქებდნენ და, იმავდროულად, ფილმსაც იღებდნენ. მათ გამგზავრებაზე უარი უთხრეს.

სხვა გზა არ იყო და, სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის ახალდანიშნულ უფროსს სოსო კაკუშაძეს მივმართე, ვკითხე — რა ხდება და საით მიემგზავრებიან თქვენი სამსახურის თანამშრომლები, „ატენსასას“ ექსპერტებსა და მინისტრის პირველ მოადგილესთან ერთად-მეთქი. ბატონმა სოსომ ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განმიცხადა, მაგრამ მერე, როცა ჩავაცივდი, მითხრა, თბილისთან ახლოს რადიაციული წყარო აღმოუჩენიათ და მის გასანეიტრალებლად მივემგზავრებითო. მივხვდი, ამ ძუნწი ინფორმაციის იქით კიდევ ბევრი საგულისხმო რამ იმალებოდა. საჩქაროდ ტაქსი დავიჭირე და სამინისტროს მიკროავტობუსს უკან გავყევი, მაგრამ არ გამიმართლა. როდესაც გეზი აეროპორტისკენ აიღეს, ისინი ჩემმა ტაქსის მძღოლმა დაკარგა და იძულებული გავხდი, სამინისტროში დავბრუნებულიყავი. სამინისტროში, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომლებმა ახალი რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ არაფერი იცოდნენ. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა ლერი მესხმაც. ასე რომ, ტყუილად გავისარჯე.



მარცხნივ ზურაბ კერესელიძე

მეორე დღეს კვლავ ვეწვიე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ისევ შევეცადე რაიმე გამეგო. ეტყობა, ჩემმა ცნობისმოყვარეობამ გააღიზიანა სამმართველოს უფროსი ქალბატონი მაია კაპანაძე და რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის უფროსს სოსო კაკუშაძეს უსაყვედურა, რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ ჟურნალისტთან რატომ იხუმრეო. როგორც ბატონმა სოსომ ბრძანა, მას ხუმრობა არც უფიქრია, ასეთი წყარო მართლაც აღმოუჩენიათ ხაშურის რაიონში მდებარე ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. ამის შესახებ სამინისტროს ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური უსაფრთხოების სპეციალურ ქვეგანაყოფს უცნობებია გარემოს დაცვის სამინისტროსთვის და უწყების თანამშრომლებიც წინა დღეს, ვითომ ხაშურში მიემგზავრებოდნენ წყაროს გასანეიტრალებლად. კაპანაძის და კაკუშაძის მიერ ჩემთვის გათამაშებული ეს სპექტაკლი შეიძლება კიდეც დამეჯერებინა, მაგრამ როგორც გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან მახსოვს, ხაშურის რაიონი თბილისიდან დასავლეთით მდებარეობს, ხოლო აეროპორტის გზატკეცილი დედაქალაქის აღმოსავლეთითაა. სწორედ იქ დავკარგე სამინისტროს მიკროავტობუსი წინა დღეს, თუმცა ეს პატარა საიდუმლო ჩემი რესპონდენტებისათვის არ გამიმხელია.

ერთი სიტყვით, ხელმძღვანელი მუშაკებისგან ვერაფერი შევიტყვე. სამაგიეროდ, ჩემმა მეგობარმა ამიხსნა საქმის ვითარება. მისი თქმით, „რადიაციული წყაროების სარკოფაგის ჰერმეტულობა მართლაც დარღვეული ყოფილა, მაგრამ არა იმდენად, რომ გარემოს რადიაციული დაბინძურება მომხდარიყო. დეფექტი, ანუ ბეტონის ბზარი კვლავ დაადუღაბეს და ახლა ყველაფერი წესრიგშია“.

**— ეს სიცრუეა. მინისტრი და სამინისტროს ხელმძღვანელობა უსირცხვილოდ იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ მე, სამსახურის უფროსს, წალენჯიხაში რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ არაფერი მითქვამს. ჩემს სიმართლეს სათანადო დოკუმენტებითაც დავამტკიცებ.**

ჩემი მეგობრის ნათქვამისა მჯერა და დარწმუნებული ვარ, რადიაციული წყაროს სარკოფაგი უკვე წესრიგშია, მაგრამ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტურმა გამოძიებამ დაადგინა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, უფრო სწორად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის დაარსების დღიდან, როცა მის ხელმძღვანელად საკმაოდ კომპეტენტური ფიზიკოსი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ კერესელიძე დაინიშნა, მასსა და მინისტრ ნინო ჩხობაძეს შორის შავ კატას გაურბენია. მიმდინარე წლის დასაწყისში კერესელიძე დააქვეითეს, ხოლო 14 იანვარს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა 21-27 იანვრის ნომერში, სტატიაში სათაურით „საქართველოში ქიმიური და რადიოაქტიური ნარჩენები საიდუმლოდ შემოდის და იმარხება“. საჭიროდ მიმაჩნია იმ სტატიიდან ერთი ნაწყვეტის მოყვანა, სადაც ნინო ჩხობაძე თავის სამსახურის უფროსს სამსახურებრივ დაუდევრობაში ადანაშაულებს, რომ კერესელიძემ მას არ მიაწოდა ინფორმაცია წალენჯიხის რაიონში აღმოჩენილი რადიაციული წყაროს შესახებ, რის



გამოც სამმა ადამიანმა რადიაციული დამწვრობა მიიღო. ჩხობაძე, კერძოდ, ამბობდა: „თანამშრომელზე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ არ შემეძლო აღნიშნული დაუდევრობის გამო იგი თანამდებობაზე დამეტოვებინა და მკაცრად პასუხი არ მომეთხოვა. კერესელიძე ალბათ შეეცდება ყველაფერი მე გადმომაბრალოს...“ ერთი სიტყვით, ინფორმაციის დამალვა, თუ რესპონდენტს დავუჯერებთ, კერესელიძეს ბრალდებოდა. მაშინ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზურაბ კერესელიძესთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. დღეს კი მკითხველისათვის ზემოთ აღნიშნულ სტატიაში მიცემულ დანაპირებს ვასრულებთ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების აწ უკვე ყოფილ უფროს ზურაბ კერესელიძესთან საუბარს გთავაზობთ.

**ზურაბ კერესელიძე:** — ქალბატონმა მინისტრმა ჩემი, როგორც ბირთვული და რადიაციული სამსახურის უფროსის თავისუფლების ხარისხი, პრაქტიკულად, ნულამდე დაიყვანა. ჩემს მოხსენებით ბარათებზე იშვიათად ახდენდა რეაგირებას. უმეტესად ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ამასთან, ისეთი დაგვიანებით, რომ მოხსენებით ბარათში დასმული საკითხები აქტუალობას კარგავდა. ხშირად ჩემი მისამართით გაცემული განკარგულებების შესრულება პარალელურად ჩემს მოადგილესაც ევალებოდა. 2001 წლიდან კი ასეთ განკარგულებებს თან დაერთო პირდაპირი რეზოლუციები უკვე სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ქალბატონ ჭელიძის მისამართით. ფაქტობრივად, მთავარი სპეციალისტი ჭელიძე მინისტრმა ჩემი, როგორც ბირთვული და რადიაციული სამსახურის უფროსის დაქვემდებარებიდან გაიყვანა. მაგალითად, 2001 წლის 16 მარტს „ატენსასას“ წარმომადგენელთან შეხვედრაზე ნინო ჩხობაძემ მას შემდეგ, რაც „ატენსასას“ ექსპერტს შეჰპირდა, რომ მე გარკვეულ თავისუფლებას მომცემდა, იქვე ყველა დავალება ჭელიძესაც მისცა და ჩემთვის მათ შესრულებაზე კონტროლიც კი არ დაუვალებია. ქალბატონმა მინისტრმა მიუხედავად ჩემი პირადი თხოვნისა, რომელიც განპირობებული იყო სამსახურებრივი აუცილებლობით, პრაქტიკულად, ჩამომაშორა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორის ექსპლუატაციიდან საბოლოოდ გამოყვანისათვის აუცილებელი ნებართვის გაცემის საკითხს.

**— რატომ დაგიპირისპირდათ მინისტრი?**

— 1998 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. კანონი ძალაში 1999 წლის 1 იანვარს შევიდა. იმავდროულად, სამინისტროში შეიქმნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურიც, სადაც ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად ნინო ჩხობაძესთან რეკომენდაცია გამიწიეს ზურაბ ჟვანიამ და ზურაბ ნოღაიდელმა. თვითრეკლამაში ნუ ჩამომართმევთ და, ორივეს კარგად მოეხსენებოდა, რა დონის ფიზიკოსი ვიყავი. ასპირანტურა დუბნაში დავამთავრე, 11 წელი ვმუშაობდი პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის ასოცირებული წევრიც გახლავართ. მაქვს კვალიფიკაცია ბირთვულ ფიზიკაში. 1989 წლიდან ვმუშაობ საქართველოში. მინისტრს ჩემი დანიშვნა ამ პოსტზე არ უნდოდა, რადგან უკვე ჰყავდა შერჩეული თავისი კადრი, მაგრამ როგორც ვიცი, ჩხობაძის კანდიდატურას ქართველი ფიზიკოსები არ უჭერდნენ მხარს.

**ამერიკელები ისეთი აპარატურით აპირებდნენ აეროგადაღებასა და ზონდირებას, რომლითაც თითქმის გამორიცხული იყო, რადიაციული წყარო ვერ ეპოვათ, თუნდაც ის კონტეინერში ყოფილიყო. მეორეც — მათი გადაღებები უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ფრანგებისა, მაგრამ ამერიკელები „მოტეხეს“.**

ერთხელ ქალბატონმა ნინომ დამირეკა კიდეც, მითხრა, რად გინდა ეს თანამდებობა, ჩვენთან ითანამშრომლეთ მხოლოდო, რა თქმა უნდა, ამ წინადადებას უარით შევხვდი... სწორედ იმ დროს ხაიშში აღმოაჩინეს რადიაციის წყარო, რომლის განეიტრალება ახალ სამსახურს ევალებოდა, მას კი ხელმძღვანელი არ ჰყავდა. ქალბატონი ნინო იძულებული შეიქნა, ორი თვის დაგვიანებით დაეწერა ბრძანება და სამსახური ჩემთვის ჩაებარებინა. მას შემდეგ, ცდილობდა რაიმე მიზეზი გამოეძებნა, სამსახურიდან გავეგდე და ჩემს ადგილზე თავისი ფავორიტი დაენიშნა.

**— და ეს მიზეზიც გამონახა და არცთუ უსაფუძვლოდ: როცა თქვენ გამოიჩინეთ სამსახურებრივი გულგრილობა. კერძოდ, არ შეატყობინეთ სამინისტროს ხელმძღვანელობას სამეგრელოდან და აგრეთვე სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია წალენჯიხის რაიონში მძლავრი რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ.**

— ეს სიცრუეა. მინისტრი და სამინისტროს ხელმძღვანელობა უსირცხვილოდ იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ მე, სამსახურის უფროსს, წალენჯიხაში რადიაციული წყაროს აღმოჩენის შესახებ არაფერი მითქვამს. ჩემს სიმართლეს სათანადო დოკუმენტებითაც დავამტკიცებ. კერძოდ, ჯერ კიდევ 2000 წლის გაზაფხულზე ფაქსით ანონიმურად მივიღე წალენჯიხის რაიონის ბუნების დაცვის მთავარი ინსპექტორის, ბატონ მანიას წერილი, რომლითაც იგი საეჭვო რადიაციული წყაროს არსებობის შესახებ იტყობინებოდა. მიუხედავად იმისა, წერილი ჩემს სახელზე არ იყო, ამასთან, საეჭვოდაც მეჩვენა. მისი შინაარსი სასწრაფოდ ვაცნობე უშიშროების სამინისტროს და შსს-ს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს, რათა კანონისამებრ გადაემოწმებინათ ინფორმაცია. არც 2000 წლის აეროორადიოტესტირებით დაფიქსირებულა მომატებული რადიაცია, ალბათ მაშინ წყარო კონტეინერში იყო. 2001 წლის მაისში, იმავე წყაროსთან დაკავშირებით, მივიღე წერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექციიდან. ყოველივე ამის შესახებ მოხსენებითი ბარათით მივმართე მინისტრის მოადგილეს ზაალ ლომთაძეს. სამინისტროს ეს მოხსენებითი ბარათი მიღებული აქვს. წერილი კი რეგისტრირებულია №22/01-22. მიუხედავად ამისა, მინისტრის მოადგილემ მოხსენებით ბარათს რეზოლუცია არ დაადო და სადღაც მიაგდო. გეკითხებით, ვინ გამოიჩინა დაუდევრობა — მე თუ მინისტრის მოადგილემ? არსებობს სხვა დოკუმენტიც, რომელიც ადასტურებს, რომ სამინისტრომ აღნიშნულის შესახებ იცოდა. ეს გახლავთ ჩვენი სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსის, ირაკლი ქოჩუას №01-07/45 12 ივნისით დათარიღებული წერილი, ასევე სამინისტროს წერილი №ფ-85, დათარიღებული 3 ივლისით. ყველა ეს დოკუმენტი იმას ცხადყოფს, რომ სამინისტრო საკმარისზე მეტად ინფორმირებული იყო. მაქვს სხვა დოკუმენტებიც, რომელთაც ვერ წარმოგიდგენთ, რადგან შესაძლოა ამ დოკუმენტების გაყალბება მოხდეს.



ნინო ჩხობაძე

**— თქვენ საკმაოდ მძიმე ბრალდებას აყენებთ. იქნებ ერთი დოკუმენტი მაინც გვაჩვენოთ, რითაც თქვენი ბრალდება დადასტურდება.**

— 2000 წლის 12 იანვრის მოხსენებით ბარათში, რომელიც უშუალოდ ნინო ჩხობაძეს გავუგზავნე, ზედმიწევნით ჩამოვაყალიბე ჩემი უარყოფითი პოზიცია 2000 წლის გაზაფხულზე სვანეთში დაგეგმილი აერორადიოლოგიური გადაღებების დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიაზე გადატანასთან დაკავშირებით. მე, და სხვათა შორის, სხვებიც, ვვარაუდობდით, რომ რადიაციის წყარო ენგურჰესის მშენებლობის დროს დადგმული კავშირგაბმულობის სარელეო მოწყობილობების გენერატორები უნდა ყოფილიყო. გენერატორები ხომ რადიაციულ წყაროებზე მუშაობდნენ. განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი ვარაუდი დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ აერორადიოლოგიური გადაღებები ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტების უშუალო მონაწილეობით და მათივე დაფინანსებით ხორციელდებოდა. მათივე დაკვეთით შეადგინა ჩვენმა სამსახურმა გადაღებების პროექტი. კერძოდ, თუ სად უნდა ეწარმოებინათ გადაღება. პრიორიტეტად მიჩნეული იქნა სვანეთის რეგიონი, კერძოდ, ენგურის კანიონი. მეორე პრიორიტეტული რეგიონი გახლდათ სამეგრელო. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონებს დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეები ჩაენაცვლა. მაშინ მოხსენებით ბარათში ვწერდი: „მიმაჩნია, რომ ახალი ტერიტორიის შერჩევა პრინციპულად არასწორია. არსებობს შარშან განხილული და შეთანხმებული გეგმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საძიებო ტერიტორიების მიმდევრობა პრიორიტეტების მიხედვით. ამრიგად მე, როგორც ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, რომელიც არ ეთანხმება უკვე არსებულ ახალ პროექტს, რომლის მიხედვითაც აეროძიება უნდა მოხდეს დასავლეთ საქართველოს ისეთ რეგიონებში, რომელიც ნაკლებად ალბათურია მძლავრი რადიაციული გამოსხივების წყაროების უკონტროლოდ გაბნევის თვალსაზრისით“. მოხსენებითი ბარათი სამინისტრომ მიიღო და რეგისტრაციაში გაატარა ნომრით — მ/ბ-06. მიუხედავად ამისა, მოხსენებით ბარათს მინისტრმა ასევე არ დაადო რეზოლუცია და იგი იგნორირებული დარჩა(?). როცა სამინისტროს შევახსენე ამ მოხსენებითი ბარათის არსებობა, სადაც ჩემი მოსაზრებების უტყუარობა დასტურდებოდა (კერძოდ, აეროგადაღებები რომ ეწარმოებინათ იქ, სადაც მე მივიჩნევდი საჭიროდ, წალენჯიხაში შემთხვევით აღმოჩენილი რადიაციული წყარო განეიტრალებული იქნებოდა და ხალხი არ დაზარალდებოდა), სამინისტროს ხელმძღვანელობამ თავის დასაძვრენად სამინისტროს კანცელარიის ჟურნალში, სადაც წერილების და მოხსენებითი ბარათების რეგისტრაცია წარმოებს, რეზოლუციის გრაფაში გააკეთა ჩანაწერი ძველი რიცხვით: „ქალბატონ დალი სეფერთელაძეს. გთხოვთ, სასწრაფოდ გაუკეთოთ ორგანიზება თათბირს. მოიწვიეთ ბატონები ზ. თავართქილაძე, ზ. კერესელიძე, გ. სოფაძე, ს. კაკუშაძე, ზ. ლომთაძე, დროზე შევთანხმდეთ. ნ. ჩხობაძე. 20.01.2000 წ.“ ჩანაწერი კი გაკეთდა, მაგრამ დაავიწყდათ, რომ რეზოლუცია უნდა დაედოთ მოხსენებითი ბარათის პირველ პირზე. მოგვიანებით კი გაახსენდათ და მოინდომეს რეზოლუციის დადება, მაგრამ როგორც გავიგე, ამის უფლება (მოხსენებით ბარათზე ძველი რიცხვის დასმა) მინისტრის აპარატის უფროსმა არ მისცათ, რის გამოც იგი სამსახურიდან დაითხოვეს. შემდეგ კი ჩემი მოხსენებითი ბარათიც გააყალბეს...

როცა „ატენსასას“ ექსპერტებმა აეროგადაღებების შესახებ ფრანგების წინადადება მოიწონეს, მე არ დავეთანხმე, რადგან არსებობდა ამერიკელების ალტერნატიული წინადადება, რომელიც უფრო შეესაბამებოდა საქართველოს რელიეფს. სახელდობრ, ამერიკელები ისეთი აპარატურით აპირებდნენ აეროგადაღებასა და ზონდირებას, რომლითაც თითქმის გამორიცხული იყო, რადიაციული წყარო ვერ ეპოვათ, თუნდაც ის კონტეინერში ყოფილიყო. მეორეც — მათი გადაღებები უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ფრანგებისა, მაგრამ ამერიკელები „მოტეხეს“.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# საარმიო დანაყოფების გამოყვანა სულაც არ ნიშნავს მთლიანად აფხაზეთის სვანეთის დაკარგვას

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ, რომელიც აფხაზეთის პრობლემას ეხებოდა, საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საერთაშორისო რეკომენდაციები (რომლებსაც უფრო ბრძანების ტონი დაჰყვებოდა) ქართული მხარისგან მოითხოვდა რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანებისთვის“ ნახევარი წლით მანდატის გაგრძელებას და კოდორის ხეობიდან ქართული არმიის დანაყოფების გამოყვანას, რისი წინააღმდეგნიც არიან საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი და ცხადია, აფხაზეთიდან დევნილები.

ხალხს ეშინია, ჯარის გამოყვანის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვატყუებენ და აფხაზი სეპარატისტები რუსი ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ უშუალო დახმარებისა თუ არა წაყრუების შემდეგ იერიშით აიღებენ კოდორის ხეობას და აიხდენენ სანუკვარ ოცნებას — აფხაზეთის მთელი ტერიტორიის გაკონტროლებას.

მოსახლეობას სრული უფლება აქვს, ასე იფიქროს, რადგან გაგრისა თუ სოხუმის დაკარგვა სწორედ სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების, ქართული შეიარაღებული ფორმირებებისა და მათი მძიმე შეიარაღების გამოყვანის შემდეგ მოხდა. ხალხს ეშინია, ოფიციალურმა თბილისმა ისევ არ გამოამჟღავნოს უმწეობა.

მაგრამ მეორე მხრივ, გაეროს რეზოლუციაში 8 წლის განმავლობაში პირველად ფიქსირდება, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში მოიაზრება აფხაზეთიც, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ოფიციალური თბილისი ამას დიდ მიღწევად მიიჩნევს და იმედი აქვს, პოლიტიკური გზებით აფხაზეთის საკითხის გადაჭრისა. სეპარატისტული სოხუმი აცხადებს, — სანამ ქართული არმიის დანაყოფები არ დატოვებენ კოდორის ხეობას, მანამდე მოლაპარაკებებს არ გავაგრძელებო. სეპარატისტების პოზიციას მხარს უჭერს რუსეთიც და თვით გაეროც.

თუკი კოდორის ხეობიდან არ გამოვა იქ თავის დროზე გადასროლილი თავდაცვის სამინისტროს დამატებითი ძალები, გაეროს რეზოლუცია არ შესრულდება, რაც ქართულ მხარეს დაბრალდება. შეიძლება დღევანდელმა ხელისუფლებამაც ისარგებლოს ამ მომენტით — საზოგადოებას წინააღმდეგობა რომ არ გაეწია, გამოვიყვანდი ხეობიდან სამხედროებს და შემდეგ, გაეროს რეზოლუციის თანახმად, აფხაზეთს პოლიტიკური გზით დავიბრუნებდიო.

ნუთუ მართლა ამხელა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს კოდორის ხეობაში არმიის დანაყოფების ყოფნას?

თქვენ, წარმოიდგინეთ, არა.

უბრალოდ აჟიოტაჟი ატყდა, თორემ ოპერატიული თვალსაზრისით, მათი იქიდან გამოყვანა დღესვე შეიძლება და თანაც ისე, რომ კოდორის ხეობის ქართული სოფლების დაცვა მნიშვნელოვნად არ დაზარალდება.

საზოგადოების უმრავლესობა (რომ აღარაფერი ვთქვათ ზოგიერთ ცნობილ პოლიტიკოსსა თუ ჩვენს კოლეგაზე) „ცოტათი“ ვერ ერკვევა, თუ რას წარმოადგენს კოდორის ხეობა.

***ჩვენი დოსიე:*** *კოდორის ხეობა მდ. კოდორს მოსდევს, რომელიც სათავეს იღებს სოფელ გენწვიშთან და შავ ზღვას უერთდება სოფელ ვარჩასთან. დღეს აფხაზი სეპარატისტები კოდორის ხეობას სოფ. ზემო ლათამდე აკონტროლებენ. ქართულ მხარეს კი შენარჩუნებული აქვს სოფლები: ქვაბჩარა, ზიმა, ჩხალთა, ქვემო და ზემო აჟარა, მარცხენა და მარჯვენა გენწვიში.*

მაგრამ აფხაზეთის სვანეთის ქართული სოფლები მარტო კოდორის ხეობაში როდია. გენწვიშთან მდ. კოდორს ქმნის ორი შენაერთი: მდინარეები: საკენი და კლიჩი, ჩხალთასთან კი მას მდ. ჩხალთა ერთვის. ასე რომ, ამ აუზში სხვა ქართული სოფლებიცაა განთავსებული. მათგან პირველ რიგში




კი აღსანიშნავია გენწვიში, ომარიშარა და საკენი და აი, რატომ:

1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების თანახმად, დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები მდ. ენგურსა და კოდორის ხეობაში განთავსდნენ. კოდორის ხეობაში მათ ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოაწყვეს სოფლებში ლათასა და ზემო ლათაში (თუ როგორ დავკარგეთ ეს სოფლები, ცალკე საუბრის თემაა).

სწორედ ზემო ლათა ითვლება საწყის წერტილად, საიდანაც გადაიზომება უსაფრთხოებისა და შეიარაღების შეზღუდვის ზონები. უსაფრთხოების ზონა 12 კმ-იან სივრცეს მოიცავს, როგორც აფხაზების (წებელდისკენ), ისე ქართული მხარისკენ (ჩხალთის მიმართულებით). ამ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი რეგულარული სამხედრო შენაერთების ყოფნა. შეიარაღების შეზღუდვის ზონა კი 24 კმ-ზე ვრცელდება (ასევე ორივე მხარეს) და მასში აკრძალულია მძიმე საბრძოლო ტექნიკისა და საარტილერიო სისტემების შეყვანა.

ამჟამად თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დაახლოებით 250-კაციანი დამატებითი დაჯგუფება უსაფრთხოების ზონაში იმყოფება, რითაც არღვევს 1994 წლის შეთანხმებას. ლაპარაკია სწორედ მათი, როგორც უსაფრთხოების, ისე შეიარაღების შეზღუდვის ზონებიდან გამოყვანაზე.

საზოგადოებაში კი არმიის დანაყოფების კოდორის ხეობიდან გამოყვანა დაახლოებით ისე აღიქმება, თითქოს ისინი ლამის თბილისამდე ჩამოიყვანონ.

სინამდვილეში საქმე, ასე სულაც არ არის. ქართულ მხარეს კოდორის ხეობის გამაგრძელებელ დალის ხეობაში (მდ. საკენის გასწვრივ) საკმაო ადგილი რჩება ამ დანაყოფების გადასაჯგუფებლად, რადგან ისინი ზემო ლათიდან 26-29 კმ-ით არიან დაშორებულნი და არ ხვდებიან შეიარაღების შეზღუდვის 24 კმ-იან ზონაში. თუმცა, ამდენი წვალება შეიძლება არ დაგვჭირდეს, რადგან სოფ. მარცხენა გენწვიში სწორედ 24 კმ-იანი ზონის საზღვარზეა და იქ სამხედრო ბანაკის დაცემა გაეროს სამხედრო დამკვირვებლების უკმაყოფილებას არ გამოიწვევს; თანაც გენწვიში, ფაქტობრივად, კოდორის ხეობის დასაწყისს წარმოადგენს და ორი კურდღლის დაჭერაც შეიძლება — საარმიო დანაყოფები გაყვანილი იქნება 24 კმ-იანი ზონის გარეთ და საზოგადოებაც დამშვიდდება, რადგან გენწვიშიც კოდორის ხეობაა.

უფრო რთულად იქნებოდა საქმე, რუსების საკონტროლო-გამშვები პუნქტი ზემო ლათასთან კი არა, იმავე ჩხალთასთან რომ ყოფილიყო, მაშინ ქართული მხარე იძულებული იქნებოდა, საარმიო დანაყოფები მზადყოფნაში ხიდას უღელტეხილის აქეთ მხარეს, სოფ. ჭუბერში ჰყოლოდა. არადა სწორედ ხიდას უღელტეხილი (ჭუბერ-საკენის შემაერთებელი „გლოვის“ გზა, რომელიც ათასობით დევნილმა სოხუმის დაცემის შემდეგ ფეხით გადმოიარა) წარმოადგენს ძირითად ბუნებრივ დაბრკოლებას, რომელმაც შეიძლება უარყოფითი როლი ითამაშოს აფხაზეთის სვანეთის დაცვაში. ზამთარში იგი დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია და მხოლოდ აპრილ-მაისში თუ გაიხსნება. ამიტომაც აფხაზეთის სვანეთის დამცველებს მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტით (შვეულმფრენებით და Ан-2 „კუკურუზნიკით“) მომარაგების იმედი თუ ექნებათ. საფრენი აპარატების ფრენა მთაგორიან პირობებში ყოველთვის ამინდზეა დამოკიდებული და რადგანაც ქართული შვეულმფრენები მეტეოროლოგიური რადიოლოკატორებით არ არიან აღჭურვილნი (ასეთები აფხაზეთის ომში დავკარგეთ), მათ მხოლოდ დარში და ისიც დღისით შეუძლიათ „მცირე მიწაზე“ — აფხაზეთის სვანეთში გადაფრენა. ყოველივე ამას შეიძლება დამატებით დაემუქრონ ის სადივერსიო ჯგუფები, რომლებიც სეპარატისტებმა ტყვარჩელიდან ხიდის უღელტეხილის მიდამოებში საზენიტო „სტრელებით“ შეიარაღებულნი გაგზავნონ ქართული შვეულმფრენების ჩამოსაგდებად.

ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება აფხაზეთის სვანეთის დაცვის საქმეში იმას კი არ უნდა მიექცეს, საარმიო დანაყოფებს ქვაბჩარასა და ჩხალთაში დავტოვებთ თუ გამოვიყვანთ, არამედ მათ ოპერატიულ გადასროლას იერიშსაშიში მიმართულებით და შესაბამის დონეზე საბრძოლო საჭურვლითა და საწვავ-საცხები მასალებით მომარაგებას. გენწვიშიდან ზემო ლათამდე სამანქანო გზით (ისიც არცთუ კარგი), რა თქმა უნდა, 24 კმ-ზე მეტია, მაგრამ ეს არც ისე ბევრია, რომ საჭირო დისციპლინისა და მეთაურობის შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს რეაგირება სეპარატისტების ყველა მუქარაზე.

უახლოესი აფხაზური სამხედრო შენაერთი ასევე 24 კმ-ის დაშორებით დგას ზემო ლათიდან მარცხნივ, წებელდაში, სადაც ოპერატიული მონაცემების თანახმად, ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი უნდა იყოს დისლოცირებული.

საერთოდ, შეტევა ვიწრო ხეობაში და ისიც ქვემოდან ზემოთ, არც ისე ადვილია. აფხაზებს კოდორის ხეობაში, რა თქმა უნდა, უპირატესობა აქვთ მძიმე ტექნიკაში, მაგრამ კარგად ორგანიზებული ეშელონირებული დაცვის სისტემის მოწყობის შემთხვევაში აფხაზური ტანკებისა და ჯავშანმანქანების უპირატესობა შეიძლება გაუვნებელდეს. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას ბევრად მეტი მნიშვნელობა მიენიჭება ნაღმსატყორცნებსა და ყუმბარსატყორცნებს.

აფხაზების შეტევის დაწყება კოდორის ხეობაში ბოლომდე გამორიცხული, რა თქმა უნდა, არ არის. მით უმეტეს, რომ შარშანდელი შემოდგომის მოვლენების შემდეგ სეპარატისტული სოხუმი ყოველთვის შიშის თვალით უყურებს აფხაზეთის სვანეთს — ემანდ, ახალი იერიში არ წამოიწყონო. ამიტომაც სეპარატისტებისთვის აფხაზეთის სვანეთი ყოველთვის ყელში გაჩხერილი ძვალი იქნება.

ყოველივე ზემონათქვამთან ერთად, უსათუოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს კოდორის ხეობის ქართული სოფლების დაცვა. ქართულ მხარეს სრული უფლება აქვს, ხეობაში შექმნას პარამილიტარული დანაყოფი — პოლიციისა და შინაგანი ჯარის შენაერთის სახით, რომლებიც მთლიანად ხეობის დაცვის დამატებითი გარანტია იქნებოდა.

თუკი სეპარატისტები მაინც შეუტევენ კოდორის ხეობის ქართულ სოფლებს, პირველ დარტყმას თავის თავზე ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული პოლიციელები, შინაგანი ჯარის დანაყოფის მებრძოლები თუ მესაზღვრეები მიიღებენ, შემდეგ კი მათ დახმარებას ოპერატიულად აღმოუჩენენ 24 კმ-იანი ზონის იქით, გენწვიშში მდგარი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დანაყოფები. სწორედ ასეთი ეშელონირებული დაცვით შეიძლება იმის შენარჩუნება, რასაც ჯერ კიდევ ვაკონტროლებთ აფხაზეთიდან.

სიმართლე რომ ითქვას, კოდორის ხეობის ყველაზე დიდი მტერი — პანიკაა, რის გამოწვევაც საჰაერო შეტევებს შეუძლიათ. აფხაზეთის სვანეთის დამცველები ოფიციალურმა თბილისმა პირველ რიგში მობილური საზენიტო საშუალებებით უნდა შეაიარაღოს (ისინი არ ხვდებიან შეიარაღების შეზღუდვის ნუსხაში). და ერთიც: „კვირის პალიტრა“ ამაზე მერამდენედ წერს — კოდორის ხეობაში შეტანილი უნდა იქნეს რადიოლოკაციური მობილური სისტემა, რომელიც არა მარტო საჰაერო მიზნებს დააფიქსირებს და მათ მონაცემებს მეზენიტეებს მიაწვდის, არამედ შეძლებს ხეობის ქვემო ზოლის რადიოელექტრონულ დაზვერვას — რადიოეთერში გახშირებული საუბრები ხშირად იმაზე მეტყველებს, რომ მოწინააღმდეგე შეტევას გეგმავს.

# პანკისის პრობლემები

## რამდენად შედის საქართველოს ინტერესებში პანკისის ხეობაში შეიარაღებული ჩეჩნების ყოფნა?

რუსეთ-საქართველოს ბოლო დღეების საიდუმლო კონსულტაციებზე ერთ-ერთ მთავარ თემას პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების საკითხი შეადგენდა.

ამჟამად უკვე არსებობს ყველა ის ნიშანი, რომლებიც შემდეგზე მეტყველებენ — პუტინმა და შევარდნაძემ თავიანთ მოხშირებულ სატელეფონო დიალოგებში შეიძლება მიაღწიეს ერთგვარ წინასწარ შეთანხმებას, რომ ჩეჩენი ლტოლვილების დიდი ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდეს.

ამის თქმის საფუძველს იძლევა საქმეში რუსეთის საგანგებო სიტუაციათა და სამოქალაქო თავდაცვის უწყების წარმომადგენელთა „ჩარევაც“. მართალია, მათი ვიზიტი გასულ კვირას მოულოდნელად გადაიდო, მაგრამ ცოტა ხანში ისინი თბილისში ჩამოვლენ და თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად (მათი მასპინძლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა) შეიმუშავებენ ლტოლვილების დაბრუნების გეგმას.

სხვა საკითხია, შეძლებენ თუ არა ქართველი სამართალდამცავები თავიანთი რუსი კოლეგების უხიფათო შეყვანას და მით უმეტეს, გამოყვანას პანკისის ხეობაში. შეიძლება ამის გამოც იყო, რომ ოფიციალურმა თბილისმა სთხოვა მოსკოვს ჯერ არ გამოეგზავნა დელეგაცია. პანკისის ხეობაში რუსების და მით უმეტეს, ძალოვანი სტრუქტურის (რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო გასამხედროებული ორგანიზაციაა) წარმომადგენლებს არა გვგონია პურმარილით შეხვდნენ, უფრო უარესი რომ არ ვთქვათ. სიტუაციის გამწვავება კი არც ქართული მხარის ინტერესებში შედის.

მაგრამ ფაქტია, რომ პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

ამას მოითხოვს შექმნილი დაძაბული სიტუაცია კახეთის რეგიონში. ადგილობრივი მოსახლეობის ამ სახის მოთხოვნები უკვე ხმამაღლა ისმის.

პრინციპში ის 7,5 ათასამდე ჩეჩნეთიდან ლტოლვილი, რომლებმაც თავი თავდაპირველად პანკისის ხეობაში მოიყარეს, ხელს არავის შეუშლიდა, რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები — პირუტყვის გახშირებული მოტაცებები, რომლებსაც ავტომობილების მოპარვაც ემატებოდა და რაც საბოლოოდ ადამიანების გატაცებებით დაგვირგვინდა. ყოველივე ამას კი პანკისის ხეობიდან ნარკოტიკების მუდმივი გავრცელება ემატებოდა, რომელიც დამღუპველი ხდება არა მარტო კახეთის რეგიონისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

შეიძლება ყოველივე ამაში ჩეჩენი ლტოლვილების ხელი ნაკლებად ერიოს და მას ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის ზოგიერთი დამნაშავე პიროვნება სჩადიოდეს, მაგრამ ყოველივე ეს საზოგადოებაში ძალაუნებურად ასოცირდება ჩეჩნეთიდან თავშეფარებულებზეც.

1999 წლის შემოდგომაზე საქართველომ გააკეთა ის, რაზეც ბევრ ქვეყანას შეიძლება უარი ეთქვა — სიცოცხლე შეუნარჩუნა ათასობით ჩეჩნეთიდან დევნილს. მაშინ, არღუნის ხეობით შატილისკენ გამოქცეულ ჩეჩენ დევნილებს რუსეთის საბრძოლო ავიაცია და არტილერია უმოწყალოდ ბომბავდა. მაგრამ დღეს ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აღარ მიმდინარეობს და ცოტა ძნელად დასაჯერებელია, რომ კრემლმა თავისი ჯარები იჩქერიიდან გაიყვანოს, როგორც ეს 1996 წელს მოხდა.

1998 წლის 6 სექტემბერი, გროზნო. ჩეჩნები სამხედრო აღლუმზე პრეზიდენტ მასხადოვს ესალმებიან. დღეს მასხადოვი ამოად ელის ამ მეომრების ნაწილს, რომლებიც ამჟამად შესაძლოა თავს პანკისის ხეობას აფარებენ




ე.ი. სანამ რუსების ჯარი ჩეჩნეთში იდგება, მანამდე ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი თავს პანკისის ხეობაში შეაფარებს? ეს შეიძლება ათწლეულობით გაგრძელდეს და არა გვგონია, რომ ისედაც იძულებით დევნილებით „გაჯერებული“ საქართველოს ინტერესებში კიდევ შვიდი ათასზე მეტი ჩეჩენის შეფარება შედიოდეს.

მით უმეტეს, როდესაც საუბარი ჩეჩნების შეიარაღებულ რაზმებზეცაა. სწორედ ესაა პრობლემის თავიდათავი. რუსეთი არასოდეს მოითმენს, რომ მეზობელ ქვეყანაში ის შეიარაღებული დაჯგუფებები არსებობდნენ, რომლებიც პერიოდულად დაეხმარებიან ჩეჩენ პარტიზანებს. ეს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებში შედის და იგი გამუდმებით ეცდება საქართველოზე ზეწოლას, რათა ასეთი დაჯგუფებები ლიკვიდირებულ იქნეს.

მოვლენები დაახლოებით ამ მიმართულებით მიდის. ოფიციალური თბილისი, რომელიც ორი წლის წინ კატეგორიულად უარყოფდა შეიარაღებული ჩეჩნური დაჯგუფებების პანკისის ხეობაში არსებობას, ნელ-ნელა ამას აღიარებს. ეს პროცესი ჯერ ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა დაიწყო — გელაევი და მისი რაზმი ჩვენ მიერ უკონტროლებელ ტერიტორიაზე გავაძევეთო; შემდგომში პრეზიდენტმა განავრცო — გელაევი განათლებული ახალგაზრდააო; დაბოლოს, უშიშროების მინისტრმა დაასრულა გასულ კვირას — ოპერატიული ინფორმაციით დადგენილია, რომ გელაევი თავისი რაზმით პანკისის ხეობაში გამოჩნდება ხოლმეო.

ფაქტობრივად, წრე იკვრება — თბილისი აღიარებს არა მარტო გელაევის რაზმის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობას, არამედ კონკრეტულ ადგილსამყოფელსაც — პანკისის ხეობას.

საქართველო-რუსეთის დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების დადების წინ კი ჩეჩნების ცნობილი შეიარაღებული დაჯგუფების ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე ნონსენსად ჩანს.

პრეზიდენტი შევარდნაძე ადრეც რომ ცდილობდა ეს რაზმი (რაზმი ჰქვია, თუმცა შეიძლება ათასს კაცამდეც ითვლიდეს) საქართველოდან გაეყვანა, ამას გასული წლის მოვლენებიც ცხადყოფს. ასეა თუ ისე, რუსმა მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთი-ჩეჩნეთი-დაღესტნის მონაკვეთი მეტ-ნაკლებად საიმედოდ გადაკეტეს. გელაევის თავისი ასეულობით შეიარაღებული ჩეჩენის გადაყვანა უკვე აღარ შეეძლო. დაიბადა აზრი, კოდორის ხეობის გავლით მათი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში შეღწევაზე, რისთვისაც განხორციელდა ყბადაღებული საავტომობილო მარათონი მარშრუტით „პანკისის ხეობა-კოდორის ხეობა“, მაგრამ ეს ოპერაცია, ისე როგორც დანარჩენი სხვა ქართული წამოწყება, რომელიც კანცელარიის შენობაში დაიგეგმა, თავიდანვე ცნობილი გახდა კრემლისთვის (თუ საერთოდ ლუბიანკაზე არ დაიგეგმა).

*(გაგრძელება იხ. გვ. 9)*

# პანკისის პრობლემები

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

კოდორის ხეობაში აღმოჩენილი ჩეჩნები (ჩვენი ინფორმაციით, პანკისიდან კოდორში 375 შეიარაღებული პირი გადმოვიდა) ერთგვარ „ტომარაში" აღმოჩნდნენ, რადგან მოსკოვმა ჩაკეტა გადასასვლელები ჩრდილო კავკასიაში. ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთ საზღვრებზე ოპერატიულად გადაისროლილი იქნა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს 58-ე არმიის დანაყოფები (რომლებიც საარტილერიო სისტემებით იყვნენ გაძლიერებული) და შინაგანი ჯარების ასეულები. მათ რუს მესაზღვრეებთან ერთად გააძლიერეს საზღვარი და მთლიანად გამორიცხეს გადასვლის შესაძლებლობა.

არსებობს ვარაუდი, რომ კოდორში მოქცეული ჩეჩნები მოსკოვს აფხაზების დახმარებით მთლიანად უნდა ამოეწყვიტა, რითაც საბოლოოდ გადაწყვეტდა იმ საველე მეთაურის — გელაევის ბედს, რომელმაც ჩეჩნეთში რუსი ფედერალების ბევრი სისხლი დაღვარა.

ეს ასე არ მოხდა. გელაევის რაზმი ისევ პანკისის ხეობაში იქნა დაბრუნებული. სწორედ ეს წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რაც მოსკოვსა და თბილისს შორის არსებობს.

დღეს შეიარაღებული ჩეჩნები გათქვეფილნი არიან იმ დანარჩენ ჩეჩენ ლტოლვილებს შორის, რომლებიც პანკისის ხეობაში იმყოფებიან. მათ ჩეჩნეთში დაბრუნება ოფიციალური გზით არ შეუძლიათ, რადგან რუსეთის სპეცსამსახურებს მათზე ნადირობა აქვთ გამოცხადებული. დანარჩენი მშვიდობიანი ლტოლვილები ძირითადად მათ დედებს, დებსა თუ შვილებს წარმოადგენენ და ბუნებრივია, მარტო არ დაბრუნდებიან ჩეჩნეთში. ამიტომაც ჩეჩენი ლტოლვილების საკითხი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება.

აქ საინტერესო იქნებოდა ერთი პარალელის გავლება — ცოტა ხნის წინ ნებაყოფლობით გადადგა ინგუშეთის პრეზიდენტი რუსლან აუშევი. ავღანეთის ომის გმირი, გენერალი აუშევი სამშობლოში უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა და არაფერი მოასწავებდა მისი დიდი პოლიტიკიდან წასვლას. თუმცა, პრეზიდენტმა პუტინმა აიძულა იგი ეს ნაბიჯი გადაედგა, რადგან მოსკოვი არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა, რომ ინგუშები, განსაკუთრებით კი მათი პრეზიდენტი დიდ დახმარებას უწევდა ჩეჩენ პარტიზანებს. თუკი კრემლი მთლიანად მოხსნის ინგუშეთის ფაქტორს, ჩეჩენი მებრძოლები ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავარდებიან, რადგან ბასაევისა და ხატაბის ცნობილი გალაშქრებების შემდეგ დაღესტნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი მათ მიმართ. ჩეჩნებს რჩებათ ერთი, სამხრეთი მიმართულება — პანკისის ხეობა თავშეფარებულთა ახალი შემოდინებისგან დახმარებების მიღებისა, რის გამორიცხვასაც ასე ცდილობს მოსკოვი. რუსეთი დღეს იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც 20 წლის წინ საბჭოთა კავშირი იყო, როდესაც ავღანელ მოჯაჰედებს მეზობელი პაკისტანიდან და ირანიდან ეხმარებოდნენ.

საქართველოს ინტერესებში თავიდანვე არ ჯდებოდა, რომ მის ტერიტორიაზე თავი შეიარაღებულ ჩეჩნებს შეეფარებინათ. არსებობს ეჭვი, რომ ყოველივე ეს დასავლეთის და შეიძლება ზოგიერთი, ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნის სპეცსამსახურების დიდი სურვილი იყო, რასაც (განსაკუთრებით დასავლეთის მხრიდან) კიდევ დაჰყვა ოფიციალური თბილისი. ამას დაემატა ქართული სპეცსამსახურებისა თუ ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთი კორუმპირებული მაღალჩინოსნის პირადი გამორჩენის სურვილიც — ოღონდ მათ მწვანე დოლარები მიეღოთ და საქართველოში არათუ „კალაშნიკოვიან" ჩეჩენს, ზურგზე ატომურბომბაკიდებულ ბინ ლადენსაც შემოუშვებდნენ.

გასაგებია, რა ამოძრავებდათ უცხოურ სპეცსამსახურებს — რაც უფრო მეტხანს გაგრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი ჩეჩნეთში, მით უფრო მეტ თანხებს დაახარჯავს მოსკოვი მას და ნაკლები დარჩება სტრატეგიული დანიშნულების იარაღის — ბალისტიკური რაკეტებისა თუ ატომური წყალქვეშა ნავების სამოდერნიზაციოდ. ეს დასავლური ქვეყნების და მათი სპეცსამსახურების გათვლაში ზის.

არაბული ქვეყნების (სავარაუდოდ საუდის არაბეთისა თუ იორდანიის) სპეცსამსახურები ყოველმხრივ უწყობენ ხელს ჩრდილო კავკასიაში (თუმცა არც სამხრეთ კავკასიას ივიწყებენ) ფუნდამენტალური ისლამიზმის გავრცელებას — ბასაევსა და ხატაბს დაღესტნისკენ მარტო საკუთარი ინიციატივით როდი გაულაშქრიათ. ამაზე მეტყველებს ის საეჭვო პირები, რომლებიც პანკისის ხეობას ბოლო დროს არ მოჰკლებია და ამათში უცხოელი ვაჰაბიტების ამოცნობა არცთუ ისე ძნელია.

წესით, როდესაც 1999-2000 წლის მიჯნაზე შატილში ჩეჩნეთიდან ლტოლვილების ნაკადი გადმოდიოდა, უნდა მოწყობილიყო სპეციალური ბანაკი, რომელშიც ინტერნირებული იქნებოდა ყველა გადმოსული შეიარაღებული პირი. მათ ჩამოერთმეოდათ იარაღი, დადგინდებოდა მათი ზუსტი ვინაობა და მხოლოდ შემდეგ გადაიგზავნებოდნენ სხვა ადგილას. სწორედ ისე, როგორც იმ ქართველ მებრძოლებს მოექცნენ რუსეთის სპეცსამსახურები, ვინც 1992 წლის ოქტომბერში გაგრიდან და განთიადიდან უკანდახევისას გადაკვეთეს რუსეთის საზღვარი მდ. ფსოუზე.

როგორც ვხედავთ, არაფერი ამის მაგვარი არ მოხდა. პირიქით, რამდენჯერმე დაფიქსირდა, თუ როგორ შედიოდა იარაღის სერიოზული პარტიები პანკისის ხეობაში.

იმ ჩეჩენი მებრძოლების საწინააღმდეგო, ვინც გასული წლის შემოდგომაზე კოდორის ხეობაში ქართველ პარტიზანებთან ერთად სისხლს ღვრიდა, შეიძლება ბევრი არაფერი გვქონდეს, მაგრამ დადგა დრო, რომ ყველაფერი გაირკვეს — არ შეიძლება პანკისის ხეობაში კიდევ არსებობდეს უცხო ტომის მსხვილი შეიარაღებული ფორმირება, რომელზეც კბილებს კრემლი უკვე დიდი ხანია ილესავს. სამწუხაროდ, გელაევის რაზმის მიღებაზე არავინ დაგვეთანხმება — არც აზერბაიჯანი და არც თურქეთი.

არადა, ეს პრობლემა სასწრაფოდაა გადასაწყვეტი, რაზეც შემდგომი ფაქტიც მეტყველებს — რამდენიმე დღის წინ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა არმიის გენერალმა კვაშნინმა მასმედიას ღიად განუცხადა — თუკი საქართველოს ხელისუფლება თხოვნით მოგვმართავს, პრეზიდენტი პუტინი მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა რუსულმა სპეცდანიშნულების დანაყოფებმა გაწმინდონ პანკისის ხეობა შეიარაღებული ჩეჩნებისგანო.

მკითხველს არ დაავიწყდეს, რომ ოფიციალურ თბილისს პანკისის ხეობაში შეიარაღებული ჩეჩნებისა და მათი ლიდერის გელაევის ყოფნა უკვე აღიარებული აქვს. ერთ მშვენიერ დღეს, რუსულმა სპეცდანიშნულების დანაყოფებმა, ისე შეიძლება დაიწყონ ოპერაცია პანკისის ხეობაში, რომ საქართველოს მოქალაქეები ვერც კი მიხვდნენ, იყო ასეთი თხოვნა მათი დღევანდელი ხელისუფლებისგან თუ არა.

ასეთი ოპერაცია, თავდაპირველად ალბათ ინტენსიური საჰაერო დაბომბვებით დაიწყება, რასაც მასობრივი საჰაერო დესანტიც მოჰყვება. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩანს შთამბეჭდავი, თორემ პანკისის ხეობაშიც ისევე გაიწელება საბრძოლო მოქმედებები, როგორც ეს ჩეჩნეთში ხდება. უბრალოდ, თუკი რუსი სამხედროები ე.წ. ინტერნაციონალურ დახმარებას გაუწევენ დღევანდელ ოფიციალურ თბილისს, დაიმახსოვრეთ, მათი სამხედრო ბაზების გაყვანაზე საუბარი აღარც იქნება და მთლიანად საქართველოც ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ამიტომაც, იქნებ სჯობს, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ თავად სცადოს პანკისის ხეობის პრობლემების თავადვე მოგვარება, ვიდრე ჩრდილოელი მეზობელი დათვი თავის სისხლში მრავალჯერ გასვრილ ტორს „დაგვადებს".

# რუსეთი სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთ სტრატეგიულ მოკავშირეს იძენს

## საქართველო კი სახიფათო მარტოობაში რჩება?

ზუსტად ერთი წლის წინ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ბაქოში აზერბაიჯანელ კოლეგას ეწვია. მაშინ მან და ჰეიდარ ალიევმა ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე ისაუბრეს და გარკვეულ შეთანხმებებსაც მიაღწიეს — ეს იყო აზერბაიჯანელებისთვის სავიზო რეჟიმის შემოუღებლობა და ოფიციალური ბაქოს დახმარება აზერბაიჯანში მოქმედი ჩეჩნური დიასპორის მარწუხებში მოსაქცევად...

მაგრამ შარშან მოსკოვი და ბაქო ერთ მთავარ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ — გაბალის რადიოლოკაციური სადგურის შემდგომ ბედზე.

გაბალის სადგური აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დარჩენილი ერთადერთი რუსული სამხედრო ობიექტია, თუმცა მას ათასჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმავე რუსულ სამხედრო ბაზებს ბათუმში, ახალქალაქსა თუ გიუმრიში.

***ჩვენი დოსიე:*** *გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან აზერბაიჯანში, ქ. მინგიჩაურის რაიონში ამოქმედდა გაბალის ფაზირებული რადიოლოკაციური სადგური. სულ საბჭოთა კავშირს ჰქონდა 9 ასეთი სადგური, რომლებიც სარაკეტო თავდასხმის ადრეული შეტყობინების ერთიან სისტემაში იყვნენ გაერთიანებულნი. მათ ევალებოდათ, დაეფიქსირებინათ მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების სტარტის მომენტი და ფრენის ტრაექტორია. მიღებული ინფორმაცია რეალური დროის მასშტაბში გადაეცემოდა მოსკოვს, რომელიც, თავის მხრივ, საპასუხო ბირთვული დარტყმის ბრძანებას გადასცემდა თავის სარაკეტო ბაზებს. გაბალის რადიოლოკაციური სადგურის მთავარი ფუნქცია გახლდათ საბჭოთა კავშირის სამხრეთი მიმართულების გაკონტროლება თვით ინდოეთის ოკეანემდე. ამის ტექნიკური შესაძლებლობა კი არსებობდა, რადგან უზარმაზარი ფაზირებული რადიოლოკატორი 6.500 კმ-ის სიშორეზე აფიქსირებდა მფრინავ ობიექტებს. მაშინ კრემლში ყველაზე მეტად ამ მიმართულებიდან თავდასხმისა ეშინოდათ — ინდოეთის ოკეანის სიღრმიდან ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის მიერ გაშვებულ ბირთვულქობინებიან „პოლარისს" სულ ოციოდე წუთი თუ სჭირდებოდა მოსკოვის ცენტრამდე მისაღწევად.*

მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ერთმანეთზე დამიზნებული ბირთვულქობინებიანი ბალისტიკური რაკეტები აშშ-მაც და რუსეთმაც თავის შეიარაღებაში კვლავ დაიტოვეს. ბუნებრივია, დარჩა მათი სტარტის დამაფიქსირებელი რადიოლოკატორების არსებობის აუცილებლობაც.

მით უმეტეს, რომ ვაშინგტონის მიერ დაფინანსებულმა სუვერენულმა ლატვიამ პირისაგან მიწისა აღგავა ამგვარი რადიოლოკაციური სადგური სკრუნდეში, რის შემდეგაც რუსეთი ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით დაუცველი აღმოჩნდა, მაგრამ მალე კრემლს გვერდში ამოუდგა ერთგული ლუკაშენკო და რუს სამხედროებს ანალოგიური სადგური ბარანოვიჩში გაახსნევინა.

ამ ცოტა ხნის წინ ამერიკული მხარე დემონსტრაციულად გამოვიდა 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან და ინტენსიურად შეუდგა ეროვნული ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნას. ამის ფონზე მოსკოვისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა საჰაერო სივრცის შორეული გაკონტროლების სისტემის შემდგომი განვითარება თუ არა, შენარჩუნება მაინც. სწორედ ამაზე მეტყველებს ერთი საოცარი ფაქტიც — შარშან ოფიციალური ბაქო, გაბალის რადიოლოკაციური სადგურის იჯარით გაცემის შემთხვევაში, ყოველწლიურად მოსკოვისგან 5 მლნ აშშ დოლარს მოითხოვდა, ხოლო კრემლი კი მხოლოდ 1,5 მლნ დოლარზე იყო თანახმა.


გაბალის რადიოლოკაციური სადგური აზერბაიჯანიდან ინდოეთის ოკეანეს აკონტროლებს.

ჰოდა, მოხდა საოცრება — რამდენიმე დღის წინ მოსკოვში, პუტინმა და ალიევმა მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთი იჯარის ფასად ყოველწლიურად 7 მლნ დოლარს გადაუხდის ბაქოს! ე.ი. კრემლმა აღარ გააგრძელა ვაჭრობა რამდენიმე მლნ დოლარზე და დაეთანხმა აზერბაიჯანელების მოთხოვნას, რადგან მას გაბალის რადიოლოკაციური სადგური ამად უღირს.

შეთანხმების თანახმად, გაბალის რადიოლოკაციური სადგური აზერბაიჯანის საკუთრებად გამოცხადდა და იგი ათი წლით იჯარით გადაეცა რუსეთის ფედერაციას, რისთვისაც ეს უკანასკნელი ამ ხნის განმავლობაში 70 მლნ დოლარს გადაუხდის ბაქოს. ამასთან□ ალიევმა არც წარსული დაივიწყა და კრემლს ძველი ვალიც მოსთხოვა, რაზეც პუტინი უყოყმანოდ დაეთანხმა — 1997 წლის 4 ივლისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე გაბალის რადიოლოკაციური სადგურის გამოყენების ხარჯები, 31 მლნ დოლარის ოდენობით, ბაქოს უახლოესი 5 წლის განმავლობაში აუნაზღაურდება. როგორც ხედავთ, სამხრეთ კავკასიის ორმა ქვეყანამ თითქმის მოაგვარა თავისი სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა რუსეთთან. სომხეთი, გარდა იმისა, რომ გიუმრის სამხედრო ბაზა 25 წლით აქვს გადაცემული მოსკოვისთვის, ამ რეგიონში რუსეთის მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორად ითვლება. აზერბაიჯანიც მიდის უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე რუსეთთან. რჩება მხოლოდ ერთი — საქართველო, რომლის დამოკიდებულება თავისი დიდ ჩრდილოელ მეზობლისადმი კვლავ არცთუ ისე სახარბიელო რჩება. ფიქრი იმაზე, რომ რუსი სამხედროები ბათუმის ან ახალქალაქის ბაზების მოხმარებისთვის თბილისს ფულს გადაუხდიან, ზედმეტი თუ არა, ნაადრევია.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი — თურქეთი აღფრთოვანებული დარჩენილიყო პრეზიდენტ ალიევის გადაწყვეტილებით. დიდ სიხარულს არც ამერიკელი სამხედროები გამოხატავენ, რაშიც მათ, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, თვით ირანიც კი მხარში უდგას, რომ არაფერი ვთქვათ ისრაელზე.

რუსეთ-აზერბაიჯანის შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს, რომ რუსი სამხედრო სპეციალისტების მიერ გაბალის რადიოლოკაციური სადგურით მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ირანსა და ოპერატიულ ვითარებას კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში, გადაეცემა ოფიციალურ ბაქოს.

ეს შემთხვევით არ ხდება. ბოლო ხანს გარკვეულწილად დაიძაბა ურთიერთობა აზერბაიჯანსა და ირანს შორის, რომელიც კასპიის ზღვის შელფიდან ნავთობის მოპოვების განაწილებამ გამოიწვია. ირანელებმა სამხედრო კატარღებიც კი დაიხმარეს საკამათო საზღვაო აკვატორიის გასაკონტროლებლად.

ნავთობს კი აზერბაიჯანის და უპირველესად, პრეზიდენტ ალიევის მომავლისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ოფიციალურმა ბაქომ შეიძლება გარკვეულწილად შეიცვალოს კიდევაც პრიორიტეტები — თურქეთისა და აშშ-ის შემდეგ მზერა რუსეთს მიაპყროს. მით უმეტეს, თუკი კრემლი ბაქოს ყარაბაღის კონფლიქტში დახმარებას აღუთქვამს — დღემდე რუსეთი ხომ მხოლოდ სომხეთის ინტერესებს ითვალისწინებდა...

# მკითხველის სვეტი

*„გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინგლისური წარმოების ტანკების „ჩიფტენისა" და „ჩელენჯერის" შესახებ, რომლებიც სპარსეთის ყურეში მომხდარ კონფლიქტში მონაწილეობდნენ.*

***მინდია ტაკიძე, ბათუმი***

## ფოლადის „ურჩხულები" ნისლიანი ალბიონიდან

საქართველო უკიდურესობების ქვეყანაა — ან ძალიან უყვართ და აფასებენ, ანდა ზედაც არ უყურებენ. ასეა სამხედრო საქმეშიც — რატომღაც ჩვენთან მიჩნეულია, რომ მძიმე საბრძოლო ტექნიკა და უპირველესად ტანკები, ეფექტიანად ვერ იბრძოლებენ მთაგორიან რელიეფზე. ამაში, რა თქმა უნდა, არის გარკვეული სიმართლე, მაგრამ ტანკების იმედად არიან




ჩვენზე არანაკლებ მთაგორიანი ქვეყნები (ინდოეთი, პაკისტანი, თურქეთი და სხვ.) და არცთუ უსაფუძვლოდ.

ამიტომაც ოცამდე ქვეყანა გამუდმებით აუმჯობესებს ტანკების სახეობებს, რომლებსაც მსოფლიოს დანარჩენი სახელმწიფოები სიამოვნებით ყიდულობენ, რადგან ეს საბრძოლო მანქანა ახალ საუკუნეშიც დარჩება სახმელეთო ოპერაციების მთავარ შემსრულებლად.

ეს 11 წლის წინ სპარსეთის ყურეშიც გამოჩნდა, სადაც სხვადასხვა ტანკის გვერდით აქტიურად გამოიყენებოდა ინგლისური წარმოების „ჩიფტენები" და „ჩელენჯერები".

„ჩიფტენი" ინგლისელებმა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შექმნეს, სწორედ მაშინ, როდესაც ასპარეზზე გამოდიოდნენ ფრანგული AMX-30, გერმანული „ლეოპარდი", ამერიკული M60 და საბჭოთა T-62. მაშინ „ცივი ომი" ზენიტში იმყოფებოდა — დასავლეთ ბერლინში ძრავაჩართული ამერიკული და საბჭოთა ტანკები ერთმანეთს ლულებით მისჩერებოდნენ. მსოფლიო ევროპაში ახალი დიდი ომისთვის ემზადებოდა. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, გრანდიოზულ სატანკო ბრძოლებში რომელი ტიპის ტანკი გაიმარჯვებდა. ინგლისელებმა, თავისი მოკავშირეებისგან განსხვავებით, აქცენტი კარგად შეიარაღებულ და შეჯავშნულ, ანუ მძიმე ტანკზე გააკეთეს, რის გამოც „ჩიფტენის" წონამ 55 ტონას გადააჭარბა. მას 120 მმ კალიბრის ქვემეხი ეყენა, ეკიპაჟი კი 4-კაციანი იყო. მძიმე წონის გამო მოასფალტებულ გზაზე 50კმ/სთ სიჩქარესაც ვერ ავითარებდა. ამ ტანკებს ირან-ერაყის ომის დროს ფართოდ იყენებდა თეირანი, სადაც ისინი ერაყელების შეიარაღებაში არსებულ საბჭოთა წარმოების T-62-ებს დაუპირისპირდნენ. თუკი ისტორიკოსები არ ტყუიან, სატანკო ბრძოლებში გამარჯვება ერაყელებს დარჩათ. მოგვიანებით, ქუვეითმა სცადა „ჩიფტენებით" დაეცვა თავი სადამ ჰუსეინისაგან, მაგრამ ერაყელმა ტანკისტებმა, რომელთა განკარგულებაში უფრო თანამედროვე T-72 ტიპის ტანკები იყო, აქაც იმარჯვეს. 2265 „ჩიფტენიდან" ათასამდე მაინც, ჰუსეინის ტანკისტებმა გაანადგურეს ან ალაფად წაიღეს.

ინგლისელი კონსტრუქტორები მიხვდნენ, რომ „ჩიფტენი" მალე სირცხვილს აჭმევდა „ტანკების სამშობლოს" — დიდ ბრიტანეთს და 1983 წლიდან ახალი ტანკის „ჩელენჯერის" წარმოებას შეუდგნენ. მისი მასა წინამორბედისგან განსხვავებით კვლავ გაიზარდა და 62 ტონას მიაღწია, რის გამოც 1200 ცხ. ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავის დაყენება გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, მისმა სიჩქარემ მოასფალტებულ გზაზე 56კმ/სთ შეადგინა. „ჩელენჯერის" ძლიერი შეჯავშნის გამო ერაყელებმა ვერც ერთი ასეთი




ტანკის აფეთქება ვერ მოახერხეს, მაშინ როდესაც დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი — ჯავშანგამტანი ჭურვით „ჩელენჯერმა" 5 კმ-ის სიშორიდან ააფეთქა ერაყელების T-55.

1993 წლიდან ინგლისელებმა დაიწყეს მოდერნიზებული „ჩელენჯერ-2"-ის სერიული წარმოება. მას გააჩნია ულტრათანამედროვე დამიზნებისა და ცეცხლის მართვის ელექტრონული სისტემა და ისვრის 120მმ კალიბრის ჯავშანგამტან ჭურვებს, რომლებიც გაღარიბებული ურანისგანაა დამზადებული. დასავლელი სპეციალისტების მტკიცებით ამ ტიპის ჭურვებს თანამედროვე რუსული T-90C ტანკების აფეთქებაც შეუძლიათ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ორი ზესტაფონელი ლენინის გულისათვის ერთმანეთს თავს ვაკლავდით...

***ცხრა აპრილის მონაწილე, საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ბატონი შოთა გორგოძე კვლავაც ისეთივე მხნე და ენერგიულია, როგორც იმ ავადმოსაგონარ დღეს. ამ კაცს თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავი წინააღმდეგობა გადაულახავს, საცაა თორმეტი წელი ჩათავდება მას შემდეგ, ის კი დუმს. კანტიკუნტად, ათასში ერთხელ თუ გაიხსენებს რაღაცას. ამჯერად კი ალბათ გაზეთის ავტორიტეტმა და იმანაც იმოქმედა, რომ მე მისი ყოფილი ხელქვეითი გახლავართ და საუბარზე დაგვეთანხმა.***

— ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მეც და სამინისტროც განზე არ გავმდგარვართ. ჯერ ერთი, სულითა და გულით ვუჭერდით მხარს და თანავუგრძნობდით. მეორეც, — საქმე საქართველოს დამოუკიდებლობას, ქვეყნის გაჯანსაღებას ეხებოდა და სხვაზე ნაკლებად როდი გვინდოდა მისი ბედნიერება.

თუმცა, ყველაფერში როდი ვეთანხმებოდი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, ამას ვეუბნებოდი კიდეც და ერთობლივი განსჯა-განხილვის შემდეგ საერთო აზრამდეც მივდიოდით. მიუხედავად ამისა, მაინც სამართებლის პირზე გვიწევდა სიარული — ჩვენ ხომ არც ერთხელ არ გამოგვიყენებია არც ხელკეტი, არც სხვა იარაღი. მხოლოდ სიტყვით, დარწმუნების მეთოდით ვმუშაობდით და ორივე მხარე კმაყოფილი ვიყავით. ის კი არავინ იცოდა, რა იქნებოდა ხვალ, რადგან მოსკოვს ყოველწუთს შეეძლო „კორექტივი“ შეეტანა ამ ურთიერთობებში. სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა ლენინის ძეგლებს დავერიეთ. ჩვენ ხომ ყველაფერში პირველები ვართ და ეს საქმეც პირველებმა დავიწყეთ.

1989 წლის 25 თებერვალი ახლოვდებოდა, საქართველოს გასაბჭოების დღე. ასეთ დროს განსაკუთრებით დაძაბული იყო სიტუაცია და ამის გამო ადრიანად მივდიოდი ხოლმე სამსახურში. ჩვენგან განსხვავებით მოსკოვი ორი-სამი საათის შემდეგ იწყებდა მუშაობას და ამიტომაც გამიკვირდა, როცა მაცნობეს, საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრი ბაკატინი გირეკავთო. მინისტრმა მიუკიბ-მოუკიბავად, ყოველგვარი შესავლის გარეშე მომახალა — იცით თუ არა, რომ თქვენ მიერ აღზევებული ვანდალიზმის გამოისობით, წუხელ, აფხაზეთში, ლენინის ოცდათორმეტი ძეგლი და ბიუსტი გაანადგურესო. არ ვიცოდი, რა მეთქვა, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი ინაურის მოადგილის, ვოიციცკის ნახელავი იყო — უშიშროების მიერ მოპოვებული ინფორმაცია გადასცა მოსკოვს, ჩვენ კი ჯერ არაფერი ვიცოდით. ბაკატინი სულ გადაირია. როგორ? იმის ნაცვლად, რომ ძეგლები დაიცვათ, ანგრევთ და ამასთან, ამბობთ, არაფერი ვიცითო... ერთი სიტყვით, გაუტია და გაუტია. ერთი პირობა, ისიც ვიფიქრე, ახლა მომეცა მარჯვე შემთხვევა და ყველაფერს მივახლი, ამ ჯოჯოხეთიდან გავთავისუფლდები-მეთქი. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ იტყვიან, ჩიტი ხელის აქნევას ელოდებაო. მართლაც, არც ვაციე, არც ვაცხელე, ვაჯახე — ჯერ თქვენ მოსკოვს მიხედეთ, სადაც ლენინის პორტრეტებს წითელ მოედანზე წვავენ და იმ გორბაჩოვსაც უთხარით, ბოლოს და ბოლოს, რას აპირებს, ან მწვადი დაწვას, ან შამფური, თორემ, ასე არ გამოვა, მე ამ აბსურდულ სპექტაკლში თამაშს აღარ ვაპირებ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ-მეთქი და ყურმილი დავახეთქე. ისე გავნერვიულდი, ერთი სული მქონდა, როდის შესრულდებოდა ცხრა საათი, რომ განცხადება გადამეცა პატიაშვილისთვის გადადგომის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მომახსენეს, ისევ ბაკატინი რეკავსო. არც ამჯერად ვაპირებდი უკან დახევას და „საბრძოლველად“ მოვემზადე, მაგრამ ტელეფონში მინისტრის ისეთი მშვიდი ხმა გაისმა, რომ სათქმელი ენაზე შემეყინა. ბაკატინმა მეგობრულად მთხოვა, ნერვებს ნუ აჰყვები, ვიცი, რაც ხდება, ჩვენც უარეს პირობებში ვართო და მომიბოდიშა. სხვა რა გზა მქონდა, მეც ასევე ვუპასუხე...

...უცნაურად ვითარდებოდა მოვლენები. აშკარა იყო, ცენტრმა თვითონ აამღვრია წყალი და ახლა ხალხის მხარდაჭერით ცდილობდა თევზის დაჭერას — ათწლეულების მანძილზე დაგროვილი ლექისა და ნაგვის გადაყრას; ანუ ცენტრი თავის თავსვე უცხადებდა ბრძოლას, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მან ვეღარ გააკონტროლა საზოგადოება, ანუ მასა და მოხდა სულ სხვა რამ, მოხდა ის, რასაც არ ელოდნენ. მაგრამ ამას მოგვიანებით მივხვდით. მანამდე კი არ მასვენებდა კითხვა — რას აპირებენ, რა უნდათ?.. ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და მოსკოვში ჩავაკითხე შევარდნაძეს. დაუფარავად, პირდაპირ ვკითხე, უფრო სწორად, ვთხოვე — იმედია მენდობით და იქნებ მითხრათ, რა ხდება-მეთქი. თუ გადატრიალებას აპირებთ, მითხარით და საქართველოში ამ საქმეს მე მოვაგვარებ, თანაც ისე, ერთი თოფი არ გავარდება, ხელისუფლებაშიც ნორმალურ ხალხს დავსვამთ, ეროვნული მოძრაობის ლიდერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ესენი ყველაფერს დაანგრევენ და ქვეყანაც დაიღუპება. თუ არადა, ვერ გამიგია, რისთვისღა უნდა ვუყარაულოთ ლენინის ძეგლებს, როცა ისედაც ნათელია კომუნისტების აღსასრული-მეთქი. შევარდნაძე წამოდგა, მხარზე ხელი მეგობრულად დამადო და წყნარად მითხრა — შოთა, კიდევ ორი-სამი თვე გაუძელი და შემდეგ ყველაფერი ძალიან კარგად იქნებაო...

...გახარებული დავბრუნდი თბილისში. იმედი გამიჩნდა, ადრე თუ გვიან, მეც მეშველება და ქვეყანასაც-მეთქი. ენერგია მოვიკრიბე და ლენინის ძეგლების დაცვა გავაძლიერე (იცინის). რაკი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს სიტყვა მივეცი, უნდა გამეძლო და ყველაფერი უნდა გამეკეთებინა არა იარაღით ან ხელკეტით, არამედ სიტყვით, დარწმუნებით და ურთიერთპატივისცემით, მაგრამ 25 თებერვალი ახლოვდებოდა და ბიჭები მაინც ლენინის ძეგლს უკირკიტებდნენ. განსაკუთრებით კი ირაკლი წერეთელი (კვლავ იცინის). არადა, რა ვილონო? მიტინგის გამართვა ითხოვეს, არ დაგვიშლია. ან კი რატომ უნდა დაგვეშალა, იმდენად ერთიანები ვიყავით თითქმის ყველაფერში, რომ პირიქით ვუწყობდით ხელს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს სათქმელსაც ისინი ამბობდნენ და ამდენად, ეს მიტინგები ორივე მხარეს აძლევდა ხელს. მიტინგი 1990 წლის 25 თებერვალს, ნაშუადღევს, ოთხ საათზე დაიწყო. ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი, ვინ გამოვიდოდა სიტყვით, რას იტყოდა და ასე შემდეგ. ისიც ვიცოდი, მიტინგი ექვს საათზე რომ უნდა დამთავრებულიყო და მშვიდობიანად დაშლილიყო. ასეთი მოლაპარაკება გვქონდა ჩვენ და ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, მაგრამ ექვსის ნახევარზე ერთი ჩემი სანდო კაცი მირეკავს და მეუბნება, მიტინგის დამთავრების შემდეგ მომიტინგეები ლენინის მოედანზე გადაინაცვლებენ და ბელადის ძეგლს ჩამოაგდებენო. მართალი გითხრა, ვერ დავიჯერე. როგორ? ჩვენ ასეთი შეთანხმება არ გვქონია-მეთქი, გავიკვირვე, მაგრამ, როცა ჩემმა ინფორმატორმა ისიც დაამატა, საამისოდ ავტოამწე სადღაც მახლობლად ჰყავთ გადამალულიო, ავფორიაქდი და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს გრიშა შალამბერიძეს დავავალე — სასწრაფოდ შემოიარე ახლომახლო ქუჩები და ამწე მოიძიე-მეთქი.



> ვიფიქრე, დავუდებ დინამიტის მცირე დოზას, ისე, რომ ხმამაც არ გამოაღწიოს, მერე პნევმატურ ჩაქუჩსაც წავახმარ და ოდნავ თუ გვერდზე გადაიწია, ძეგლის მოხსნის საბაბიც სახეზე იქნება-მეთქი (იცინის). აი, ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედი შინაგან საქმეთა მინისტრი იმდროინდელი იდიოტური სინამდვილის გამო.

## გენერლის და ნიღბიანის დუელი

ცოტა ხანში მიტინგმა მართლაც ლენინის მოედანზე გადაინაცვლა. ამასობაში შალამბერიძემ დამირეკა, ამწე რიყეზე ჰყავთ გადამალული და რა ვქნაო. ამავე დროს მიტინგზე უკვე გაისმა მოწოდება, ლენინის ძეგლი დღესვე გადმოვაგდოთო! დრო აღარ რჩებოდა და განკარგულება გავეცი — პისტოლეტით დაეცხრილათ ამწის საბურავები, მოედნამდე რომ ვეღარ ააღწიოს-მეთქი და კმაყოფილმა გავხედე მომიტინგეთა სახელდახელო ტრიბუნას.

— ამწე უკვე აღარა გყავთ და ერთი ვნახოთ, როგორ გადმოაგდებთ პროლეტარიატის ბელადის ძეგლს, გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ დასაცინი თურმე მე ვყოფილვარ... ცოტა ხანში პუშკინის ქუჩიდან ავტოამწე ამოგრიალდა, ხალხით გაჭედილი მოედანი გადმოკვეთა და იმ სიჩქარით ამოვარდა ძეგლის გარშემო მარმარილოთი მოპირკეთებულ ფილაქანზე, რომ ერთ ბიჭს ფეხი მოსტეხა, მე კი რომ არ გამესწრო, ცოტაც და, კვარცხლბეკზე მიმასრესდა. შალამბერიძე ცოტა ფრთხილი კაცი იყო და ეტყობა, ვერ გაბედა ჩემი ბრძანების შესრულება. მანქანში მხოლოდ მძღოლი იჯდა, მხრებგანიერი, ზორბა ახალგაზრდა, რომელსაც სახეზე ნიღაბი ჰქონდა და მხოლოდ თვალები უჩანდა. ფიქრის დრო არ იყო. ერთბაშად კაბინის კარი გამოვაღე და ის იყო, მძღოლის მარჯვენა ხელი ამწეს მექანიზმის ბერკეტს მისწვდა, რომ ხელი მარცხენათი დავუჭირე და გასაქანი აღარ მივეცი. ჩემზე ჯანიანი ბიჭი ჩანდა, მაგრამ არც მე ვიყავი დაძაბუნებული (სხვათა შორის, ახლაც მხნედ ვარ). ჩვენ ერთმანეთს ვეძიძგილავებით, ხალხი კი ამწის ამოქმედებას ელოდება. ვილაცებმა ჩემს მხარეს კარი გამოაღეს და რომ დარწმუნდნენ, ამწეს მე ვაბრკოლებდი, მარჯვენა ხელში მწვდნენ და ძირს ჩამოგდება დამიპირეს, მაგრამ როგორღაც ფეხი კაბინის ლავგარდანს მივაბჯინე და ასე თხუთმეტი-ოცი წუთი ძვრაც ვერავინ მიყო. მერე ერთბაშად ვიგრძენი, რომ მარჯვენა მკლავი მომიდუნდა და მეც დავნებდი. აი, ნახე, როგორ შევწირე დიდ ბელადს ჩემი მარჯვენა. მადლობა ღმერთს, მხოლოდ ნაწილობრივ (ისევ იცინის), — ბატონ შოთას მკლავზე მართლაც აშკარად მოჩანს გაწყვეტილი კუნთი და ამის გამო წარმოქმნილი ღრმული, რომელიც სამახსოვრო დამღასავით აზის ამ დღის მოსაგონებლად მის მარჯვენას. თვითონ კი აგრძელებს:

— ამ გაწამაწიაში რომ ვიყავი, ჩემს ხელქვეით მაღალჩინოსნებს მოვკარი თვალი, — მიცნეს თუ არა, ჩაიკუზნენ და ისე გაეცალნენ იქაურობას. იქნებ ამ საქციელის გამო იყო, რომ მერე ერთმა მათგანმა ეროვნულ მთავრობაში მინისტრის სავარძელიც გაინაღდა, ხოლო სხვები ახლაც დეპუტატობენ. პარლამენტის ტრიბუნიდან გვმოძღვრავენ, კაცობის მეტრებად ასაღებენ თავს. არადა, განა დიდი დახმარება მჭირდებოდა. იქვე შემთხვევით, წერეთლის პარტიელი ახალგაზრდა დავლანდე და ვთხოვე, გაიქეცი, ირაკლის გადაეცი, რაც შეიძლება, სწრაფად მოვიდეს-მეთქი და მანაც ორ წუთში ირაკლი წერეთელი მომიყვანა. აკი გითხარი, ისეთი ურთიერთობები გვქონდა, რომ ერთმანეთის გვესმოდა-მეთქი, გარდა ამისა, ყველაფერში ვეხმარებოდი. დიდი საშიმშილო აქცია რომ წამოიწყეს, ბავშვთა კოლონიიდან გასაშლელი საწოლები ჩამოვუტანე და დავუდგი — ბიჭებო, არ გაცივდეთ-მეთქი... ჩემი ზოგიერთი თანამშრომლისაგან განსხვავებით, ამ ხალხს დღესაც ახსოვს ჩემგან ბევრი სიკეთე და პატივსაც მცემენ. იმ დღესაც კაცურად მოიქცა ირაკლი. მძღოლს დაეტაკა — ამ პატარა ამწით როგორ გადმოაგდებ ამოდენა ძეგლსო და უბრძანა — ახლავე აქედან დაიკარგეო. შემდეგ ისევ მიტინგს მიაღებინა გადაწყვეტილება, — თუ მთავრობა მარტის ბოლომდე არ აიღებს, ჩვენი ძალებით დავანგრიოთ ეს სატანის ძეგლიო... ეს კარგი, მაგრამ მანამდე მანქანიდან ხომ უნდა გადმოვიდე. ფეხი გადმოვდგი თუ არა, ხალხმა იხუვლა — აი, შე იუდავ, შე საქართველოს მტერო, შე კომუნისტების ლაქია, შე ლენინის მენაგვეო. ერთი სიტყვით, ისე მლანძღავდნენ, იმგვარი სიტყვებით მაგინებდნენ, ყურში რომ არ შეიშვება. მეტი ძალა არ იყო, კვლავ მანქანაზე ავედი და რაც შემეძლო, მთელი ხმით ვიყვირე (სწორად გამიგე, გამწარებული ვიყავი) — ამის დამდგმელის დედაც, ლენინის დედაც და თქვენი დედაც-მეთქი — ეს ვიღრიალე და ატყდა ტაში — გამიკეთეს კორიდორი და ტაშით მიმაცილებდნენ ქალაქის საბჭოს შენობისაკენ. უცებ მესმის — შოთა ვარლამიჩ! შოთა ვარლამიჩ! — ქალაქის საბჭოს შენობაში შემალული გურამ მგელაძე, გივი გუმბარიძე, ნუგზარ საჯაია, ნოდარ ჭითანავა და კიდევ რამდენიმე ცკ-ის ბიუროს წევრი ყოფილა— უყურებდნენ სეირს და ხმას არ იღებდნენ, ახლა კი, როცა გამარჯვებული ვბრუნდები, მეძახიან, ჩვენთან ამოდიო. მოვტრიალდი, მათი სახეები რომ კარგად დავინახე და იმაშიც დავრწმუნდი, ყველა ამის ღირსი იყო, არც დავფიქრებულვარ, ახლა იმათ შევუკურთხე — წადით თქვენი დედაც, თქვენი ბიუროც და თქვენი ცეკაც-მეთქი (ორივენი ვხარხარებთ). ხალხი სულ გადაირია, აი, ჩვენი კაცი, ეს ჩვენზე უარესი ყოფილაო და დიდი ზარ-ზეიმით გამომაცილეს.

ის იყო ჩემი კაბინეტის მისაღებში შევედი, რომ მდივანმა მომახსენა, ერთი ახალგაზრდა წერილით გელოდებათო. წერილი გავხსენი და ვკითხულობ, „მალე გაიგებს მსოფლიო, საქვეყნოდ გამოჩენილი დიდი ლენინი რომ არის, გორგოძის გადარჩენილი.“ ლექსი ხელმოუწერელი იყო, მაგრამ ეჭვიც არ შემპარვია, რომ ასე მეხუმრა მისი ავტორი რუსლან მიქაბერიძე, ჩემი ერთგული და საყვარელი მეგობარი.

მეორე დილით ირაკლი წერეთელი მირეკავს — ბატონო შოთა, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ წევრს პატარა თხოვნა აქვს თქვენთან და თუ არ დაგვზარდებით, იქნებ მიიღოთო. ეს ახალგაზრდაც მივიღე. კაბინეტში შემოვიდა მხრებგანიერი, ზორბა ახალგაზრდა, რომელსაც ისეთივე ქურთუკი ეცვა, როგორიც იმ ბიჭს, ამწის კაბინაში რომ ვეჭიდავე წინა დღეს და თუმცა, მისი სახე არ დამინახავს, მაინც ეჭვი შემეპარა და ვკითხე, შენ ის ბიჭი ხომ არა ხარ-თქო და მართლაც, ძალიან შეცბა. თითქოს უარის თქმაც დააპირა, მაგრამ თავს მოერია და გულწრფელად მითხრა, — მე გახლავართო. სადაური ხარ-მეთქი — ზესტაფონელი ჩხეიძე გახლავართო, მითხრა. მერე როგორ გგონია, ეს ორი ზესტაფონელი ლენინის გულისათვის ერთმანეთს რომ თავს ვაკლავდით, გიჟები არ ვართ-თქო? ბევრი ვიცინეთ მაშინ. სხვათა შორის, დღემდე ვმეგობრობთ — გელა ჩხეიძე წესიერი და პატიოსანი კაცია.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, როგორც მოგახსენე, სამი თვე უნდა გამეძლო და ყველაფერთან ერთად ლენინის ძეგლებიც უნდა დამეცვა, მით უმეტეს, მისივე სახელობის მოედანზე. თანაც, ერთი სული მაქვს, როდის დაინგრევა ეს საშინელება, მაგრამ არა ასე, თვითნებურად, რაზეც პასუხი უნდა ვაგო. მინდა რამე სარჩული მოვუძებნო და ვინმეს შესაბამისი დადგენილება მივაღებინო მისი მოხსნის და არა დანგრევის შესახებ, მაგრამ საფუძველი ხომ უნდა ამას და ასეთი რამ მოვიფიქრე: ჩავძვერი მოედნის ქვეშ, სადაც მთაწმინდის პლატოდან ჩამონადენი ღელეები იყრის თავს — ამ მოედნის ქვეშ ოდნავ ნაკლები მოცულობის ხიმინჯებით სავსე კიდევ ერთი მოედანია. მარტის თვეა და, წესით, ამ ღელეებმა უნდა მოიმატოს. რაკი ასეა, ხომ შეიძლება წყალდიდობამ ხიმინჯები დააზიანოს, მაშასადამე, საჭიროა მათი მორყევა. ვიფიქრე, დავუდებ დინამიტის მცირე დოზას, ისე, რომ ხმამაც არ გამოაღწიოს, მერე პნევმატურ ჩაქუჩსაც წავახმარ და ოდნავ თუ გვერდზე გადაიწია, ძეგლის მოხსნის საბაბიც სახეზე იქნება-მეთქი (იცინის). აი, ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედი შინაგან საქმეთა მინისტრი იმდროინდელი იდიოტური სინამდვილის გამო.

ავდექი და ამ გეგმით ცეკას პირველ მდივანს, გუმბარიძეს მივადექი. მოკვდა სიცილით კაცი, ეგ საიდან მოიფიქრეო და მირჩია, ასე მოიქეციო... მაგრამ მარტო მე და შენ რომ არ დაგვაბრალონ, ძეგლის აღების შესახებ გადაწყვეტილება ქალაქის საბჭომ გამოიტანოსო... აქ კი გავიჭედე. გუმბარიძეს კი ვენდე, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას ვეღარ გავანდე ჩემი ჩანაფიქრი. უკვე ის დრო იყო, როცა ბევრი მაშინდელი ფუნქციონერი ორმაგ თამაშს თამაშობდა და გაშიფვრას მოვერიდე. ასე რომ, ეს გეგმა ვერ განვახორციელე. სამაგიეროდ, ძეგლს სიგნალიზაცია დავუყენე და იქვე, მოედანზე, ჩვენი სამინისტროს ვიზებისა და რეგისტრაციის სამსახურის შენობას მივუერთე. სიგნალიზაცია იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ძეგლი ქვემოდანაც დაცული იყო და ზემოდანაც. თუ ვინმე მის ახლოს გაივლიდა, იმწამსვე განგაში ცხადდებოდა შესაბამის პულტზე. ამის გამო ქალაქში ანეკდოტიც დადიოდა — როგორც კი ვინმე მიუახლოვდება ილიჩის ძეგლს, იმწუთას ყვირის შოთა, მიშველე, შოთა მიშველეო!

ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ სიცილის თავი ვის ჰქონდა. აი, ასეთ ტრაგიკომიკურ, პირდაპირ ანეკდოტურ გარემოში გავატარე მარტო ის წლები კი არა, თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება. რა დავაშავე, ამის ფასი, ვერაფრით გავიგე?! ან რა დააშავა იმ ძეგლმა, რომლის დანგრევა ასე გვეჩქარებოდა, ან იმას როგორ წარმოვიდგენდი ადრეულ წლებში, ლენინი თუ ჩემი დასაცავი გახდებოდა?! თუმცა იმედი მქონდა, რომ სამი თვის შემდეგ ამ აბსურდს ბოლო მოეღებოდა, მაგრამ გავიდა ის სამი თვეც და არაფერი შეცვლილა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ კი პოსტიდან გადადგომის განცხადება გააკეთა. შევრჩით ისევ ერთმანეთს პირისპირ მე, ლენინის ძეგლი და ამ უკანასკნელზე ხმალამართული ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

P.S. *ბატონი შოთა დაგვპირდა, რომ კვლავაც ბევრ რამეს „გაიხსენებს“.*

***ვაჟა გავაშელი***

# საქართველოს არა აქვს თავისი „დაღუპული“ ხალხის გასამართლების უფლება...

ლამზირა ჩ-ძე 48 წლისაა. ორი წლის წინ გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

— როცა დამაპატიმრეს, ნიკა 12 წლის იყო, ეკა — 10-ის. გამოვედი და 18-16 წლის ზრდასრული ადამიანები დამხვდნენ, რომლებიც იმდენად დამოუკიდებელი გაეხადა უდედოდ გატარებულ ექვს წელიწადს, თავი ზედმეტად ვიგრძენი. არადა მეგონა, მათ სჭირდებოდათ „თავგანწირვა“...

**— უდანაშაულოდ მოხვდით გისოსებს მიღმა?!**

— ეს არც თავის დროზე მიმტკიცებია. საკმაოდ გახმაურებული საქმეა — მილიონები მიიტაცეს ერთ საწარმოში. მე მთავარი ბუღალტერი ვიყავი. წინააღმდეგობა რომ გამეწია, დოკუმენტებს ვერ გააყალბებდნენ. დიდი თანხა შემომთავაზეს წილად და ვერ გავუძელი ცდუნებას, არც დამიტანებია თავისთვის ძალა. 8 წლის წინ ისე იყო არეული ქვეყანა, პატიოსნებაზე ძნელი იყო ფიქრი. ჩემი ინჟინერი ქმარი უმუშევარი დარჩა. დიდი ხელფასი არ მქონდა და...

**— რა რაოდენობის თანხა იყო?**

— ორ წელიწადში ვიყიდე ქალაქის საუკეთესო უბანში კერძო სახლი, მანქანა, ქმარს ბიზნესში წილი ვუყიდე!

**— დატაცებული ფულით შეძენილი ქონება არ ჩამოგართვეს?**

— არც სახლი და არც მანქანა არ არის ჩემი ოჯახის წევრებზე გაფორმებული — სახლში იჯარით ვცხოვრობთ, მანქანას დღემდე „მინდობილობით“ ატარებს ჩემი ქმარი...

ვისთან გამოვიჩინო პატიოსნება და ვის დავუბრუნო „დატაცებული“ — ამ მთავრობას, რომელიც თავად ყაჩაღობს?!

იმ ექვსი წლის განმავლობაში ბევრი გადავიტანე, ვიფიქრე, ვიწვალე, ვინანე!..

ქალთა კოლონია არ უნდა არსებობდეს! ეს ნამდვილი უბედურების კუნძულია, განუკითხაობით და მკვდარი ოცნებებით სავსე. არის ქალთა კატეგორია, რომლისთვისაც უარესი პირობებიც კი არ დაგენანება. იქ იყვნენ ქალები, რომელთაც არც ვიკარებდით სიახლოვეს. მაგალითად, ერთ დედაკაცს უკანონოდ შობილი ჩვილი მოეშთო და სანაგვეზე დაემარხა. მეორეს — სიმთვრალეში მოხუცი მამისთვის გაეჩეხა ნაჯახით თავი... მათ გვერდით რომ ჩემნაირებს ჩასვამ, არაა ეს კანონიერი. მე მოვიპარე მაინც და საკმაოდ დიდი თანხაც. ჩემთან იჯდა 23 წლის გოგო, რომელსაც ავარია მოსვლოდა და გვერდით მჯდომი მეგობარი დაღუპვოდა. ძალიან იტანჯებოდა, ორჯერ სცადა თავის მოკვლა. დღე და ღამე მეგობარს დასტიროდა. ასეთებს ალბათ სასამართლომ კი არა, ეკლესიამ უნდა დაადოს სასჯელი — თვითგვემაც ეყოფა მონანიებად.



24 წლის ქვრივიც იჯდა ნარკოტიკების რეალიზაციაზე. სამი და ოთხი წლის შვილები რომ არ დახოცვოდა შიმშილით, ამიტომ უკისრია ეს საქმე.

ერთი აჭარელი ქალი იყო, 56 წლის. კიბო ჰქონდა და რომ გათავისუფლდა, სამ თვეში დაიღუპა. მეზობლის ძროხის მოპარვა და გაყიდვა ბრალდებოდა... იმ მეზობელსაც რა ვუთხარი, ამისთვის რომ ციხეში გაუშვა ქალი.

**— არ მოუპარავს?**

— როგორ არა!.. დაკავებისთანავე აღიარა. ქმარი ჰყავდა ინსულტით რეანიმაციაში, წამლის ფული არ ჰქონდა, სესხადაც ვერ უშოვია. არ შეიძლება ქალი ციხეში გაუშვა და არ გაითვალისწინო დანაშაულის გამომწვევი, ხშირად მართლა გამოუვალი მდგომარეობა.

ციხეში სულ სხვა მხრიდან გავიგე პატიოსნების არსი და ფასი. არ შეიძლება პატიოსანი იყო იმ ქვეყანაში და იმ დროში, სადაც არავის სჭირდება შენი პატიოსნება. თან თუ შინ ავადმყოფი, მშიერი ბავშვები და ახლობლები გყავს და განკითხვის, დახმარების იმედი არ გაქვს, შეიძლება იფიქრო, სად იწყება და მთავრდება დანაშაული?! საქართველოს არა აქვს თავისი დაღუპული ხალხის გასამართლების უფლება...

ორი წელია ციხიდან გამოვედი. ვეცადე სამსახურის შოვნა. ვერაფერს გავხდი. ვაჭრობის არც ნიჭი მაქვს და არც სურვილი. ჩემი სპეციალობით კი არსად მიღებენ — ნაპატიმრალი ხარო. ის საწარმო, სადაც ადრე ვმუშაობდი, ჯართად გაიყიდა... ჩემს ქმარს რომ არ ჰქონდეს საქმე, რა უნდა გვექნა? ბავშვები სტუდენტები არიან, გოგონა ფასიან ფაკულტეტზე სწავლობს. სულ არ იყო იმ სპეციალობაზე უფასო ადგილები, რაც მან აირჩია და ესაა პატიოსნება?! გვიკვირს, რატომ გამრავლდნენ არასრულწლოვანი ქურდები, მეძავები, მაწანწალები. ისინი ჩვენ შევქმენით ჩვენი გულგრილობით და უაზრობამდე მისული მორჩილებით!

საქართველო აბელ სეთურის სოფელს დაემსგავსა...

**— რას აპირებთ?**

— საქართველოდან წასვლას ვფიქრობთ, ოღონდ ჯერ ბავშვებთან არ გვილაპარაკია. უდედობის ექვსმა წელმა ალბათ მათ სულშიც ჩაკლა სიყვარული და პატრიოტიზმის გრძნობა.

**— დარწმუნებული ხართ, რომ მოიპოვებთ ემიგრაციის უფლებას — ამისთვის ხომ სერიოზული მოტივია საჭირო?**

— მეტი მოტივი რა გინდათ — მე საქართველოს მთავრობას ერთადერთს ვთხოვ — სამუშაოს და პატიოსანი შრომით ცხოვრების უფლება დამიბრუნოს... ის ექვსი წელი დამიბრუნოს, ჩემს შვილებთან რომ მაშორებს... იმ ექვს წელიწადში აგურ-აგურ დაშლილი და გაყიდული ქარხანა ამიშენოს და დამიბრუნოს და მერე მელაპარაკოს რაიმე უფლებებსა და პრეტენზიებზე. სულ ტყუილად მალაპარაკებ ახლა ყველაფერ ამაზე.

**— რატომ?**

— არ დაბეჭდავენ და იმიტომ. არც თქვენი გაზეთი ისურვებს ამ ხელისუფლების წყენინებას და არც გაემტყუნება — მასაც ისევე გადათელავენ და გასვრიან ლაფში, როგორც ცალკეულ ადამიანებს იმეტებენ...

# „თავის გადასარჩენად სიგიჟე მოვიგონე!..“

რომანა კ-ს სადაც დაუღამდება, იქ უთენდება. ძირითადად, ბაზრობებს და სადგურებს აფარებს თავს. თუ სამუშაო იქნა, არაფერს თაკილობს. გასამრჯელოდ სულერთია, რას მისცემენ — პურს თუ ფულს. ისე, ყველაფერს სასმელი ურჩევნია. თითქმის სულ მთვრალი და სულ კარგ გუნებაზეა. ზოგჯერ ფულს იმაშიც აძლევენ ბაზრის ლაზღანდარები, მათ გასართობად დავლურს თუ ჩამოუვლის...

მას ყველა რომანა გიჟს ეძახის და არც სწყინს. მეც გიჟი მეგონა და ორიოდე თეთრს ვაძლევდი ხოლმე. დამიმახსოვრა და რატომღაც სალამზე ასე მპასუხობდა, — გულმოწყალე დაიას გაუმარჯოსო.

ამ ცოტა ხნის წინ კი ისეთი ამბის შემსწრე გავხდი, მივხვდი, რომანა სულაც არაა გიჟი და მის სულში რაღაც ქარიშხალი დატრიალებულა-მეთქი..

ბაზრის წინ 88 წლის მოხუცი კარლო პაპა ვაჭრობდა ცელოფანის პარკებით. ყველა პატივს სცემდა კაფანდარა მოხუცს, რომელსაც შინ ქვრივი ქალიშვილი ჰყავდა სამ ობოლთან ერთად და ცდილობდა, ტვირთად არ დასწოლოდა ოჯახს.

ერთ დღეს გულმა უმტყუნა მოხუცს — ჩაჯდა ბაზრის მტვერში და გათავდა კაცი...

რომანა გიჟმა შეამჩნია პირველმა კარლო პაპას წაქცევა. მივარდა, ხელში აიტაცა, ცარიელ დახლზე დააწვინა და როცა დარწმუნდა, აღარ იყო საამქვეყნოს, ბავშვივით ატირდა. კარგა ხანს იზლუქუნა. ვიღაცამ მოკიდებული სიგარეტი მიაწოდა, ვიღაცამ მხარზე ხელი მოუთათუნა, მერე წავიდ-წამოვიდნენ და მოხუცის გვამიც წაასვენეს სადღაც...

იჯდა თავჩაქინდრული რომანა გიჟი. მთავარი მისი თვალები იყო: ტირილისგან დაწითლებული, მაგრამ მაინც საოცარი სითბოთი, სევდით და... ჭკუით სავსე თვალები...

როდის-როდის ადგა და წასვლა დააპირა. რატომღაც დავუძახე და — წამო, კაფეში დავსხდეთ-მეთქი, შევთავაზე. უსიტყვოდ და მორჩილად გამომყვა. საჭმელი რომ დავუკვეთე, შემეხვეწა — ორი ღერი პაპიროსი მოატანინეო... გაუხსნელი კოლოფი დაუდეს წინ. იგრძნო, კაფეს სტუმრები გაკვირვებული გვიცქერდნენ და დამნაშავესავით მომარიდა თვალი, — იჭორავებენ თქვენზე, თორემ მე დასაკარგი რა მაქვსო!..

— **იჭორავებენ და გაჩერდებიან, ასეთ რამეებს კარგა ხანია არ ვაქცევ ყურადღებას!** — მივუგე.

— ეგ არაა ადვილი და ნერვები რომ მოთოკო, ჩემსავით გიჟი უნდა იყო!

**— შენ გიჟი არა ხარ, რომან!**

— აბა, ვინ ვარ?

**— სიმართლე გითხრა, მაგის გასაგებად უფრო დაგიძახე.**

— მე კი მეგონა, გულმოწყალე ქალბატონი ყოველთვის უანგაროდ ირჯებოდა... მაინც რა გაინტერესებთ?

**— ყველაფერი.**

—...იცი, რატომ ვიტირე? ერთ მშვენიერ დღეს მეც ასე ამომძვრება სული ქუჩაში და დამმარხველიც არ მეყოლება. ისე, შვილი მყავს! 26 წლისაა ახლა ჩემი გოგო, შეიძლება გათხოვდა კიდეც. უკანასკნელად რომ ვნახე, ორი წლისა იყო...

სოფლელი ბიჭი ვიყავი და არც ვიცოდი, ჩემი სოფლის იქით რანაირი ქვეყანა არსებობდა, არც მაინტერესებდა. ვიყავი მთებში ჩაკეტილი და ჩემი მეგონა ცაც და დედამიწაც... 16 წლისა დავქორწინდი, ჩემი ცოლიც ჩემი ტოლი იყო, მეზობელი სოფლიდან. ბავშვი შეგვეძინა და ორ თვეში ჯარში გამიწვიეს. ჯერ ქუთაისის და თბილისის ნახვამ გადამრია და როცა ჩელიაბინსკში მიკრეს თავი, ხომ მთლად დავფრთხი. არც ენა მესმოდა, არც




მოთხოვნა. მარტო რუსებმა კი არა, ქართველმა ჯარისკაცებმაც სასაცილოდ ამიგდეს. სვანი კაცის ამბავი ხომ იცით — გული გვერჩის და მერე როგორ! შეურაცხყოფას ვერავის ვპატიობთ. ერთხელაც შეშის მოსაჭრელად წასულს რუსმა დაცინვა დამიწყო, მერე ზურგზე მოჯდომა დამიპირა — ვითომ ფეხი მეყინება და ვირი მჭირდებაო... დავარტყი მუშტი საფეთქელში და გავთიშე, მერე ნაჯახი ჩავარტყი თავში ყუით და მოვკალი. ვიცოდი, ამისთვის ტრიბუნალი არ ამცდებოდა და თავის საშველად, ხე რომ მოვჭერი, ისე წავაქციე — ის ჯარისკაცი ქვეშ მოვატანე და გავიქეცი ნაწილში „მშველელის“ მოსაყვანად...

**— დაგიჯერეს?**

— შეეჭვდნენ, მაგრამ რატომღაც არ გააგრძელეს საქმე, თანაც... სიგიჟე მოვიგონე... ან იქნებ გამაგიჟა კიდეც შიშმა, ვინ იცის... შევძვერი საწოლის ქვეშ და არ გამოვდიოდი — ხე დამეცემა-მეთქი! — ძალით რომ გამომათრიეს, ისტერიკა გავმართე, თან ისე მონდომებით, გულიც წამივიდა. საავადმყოფოში ჩამკეტეს და ფსიქიატრი მომიყვანეს.

**— ფსიქიატრი ვერაფერს მიგიხვდათ?**

— არც გამოვუკვლევივარ სერიოზულად. ფხიზელი არც მინახავს... დამაბრუნეს „დაბრაკული“ საქართველოში. თბილისში კომისიაზე გამატარეს — შიშისგან თვალებს ვატრიალებდი, არ ვპასუხობდი კითხვებს, ვტიროდი... შემაგინა ერთმა, — რა კვლევა უნდა, გაუშვით ეგ ვირიშვილი, აქ არ ჩაკვდესო!..

წელიწადიც არ იყო გასული, რომ დავბრუნდი შინ. რაიონში ამიყვანეს აღრიცხვაზე, მეთვალყურე მომიჩინეს და იქაც მომიწია სიგიჟის თამაში — მშობლები და ცოლიც დავაჯერე... მერე კი ყველაზე საშინელი რამ მოხდა — ჩემმა ცოლმა არ მინდომა „გიჟი“ და მღალატობდა, თან ჩემთან შეზრდილ ბიძაშვილთან — ფუი, იმის კაცობასაც! ერთხელ სათივეზე წავასწარი და უსიტყვოდ თოფი დავახალე, ერთმანეთს ზედ დავაკალი.

რომ ნახეს სიტუაცია, არც ჩემი ცოლის ოჯახმა გამამტყუნა და არც ბიძა-ბიცოლამ. პოლიციას საქმის აღძვრის უფლება არ მისცეს, არც მათ აწყობდათ ზედმეტი ხმაური და დამანებეს თავი. არ შემეძლო სოფელში დარჩენა და გამოვიპარე...

**— არავის უძებნიხარ?**

— როგორ არა. უფროსმა ძმამ მომძებნა, მაგრამ არ წავყევი. დავემუქრე: თუ თავს არ დამანებებ, ერთ დღეს შეიძლება შენც გამოგისვა დანა ყელში-მეთქი. წავიდა და წავიდა...

**— მას შემდეგ ნათესავების ამბის გაგების სურვილი არ გქონია?**

— არა! მე გიჟი ვარ... აბა, სამი კაცის მკვლელი ნორმალური ვიქნები? — ადგა, მადლობა გადამიხადა და სხვა დროს აღარაფერი მკითხოო, შემეხვეწა.

...მას შემდეგ თვალს მარიდებს რომანა გიჟი და არც მესალმება. არ სიამოვნებს ჩემი დანახვა! ალბათ ნანობს კიდეც, რომ მენდო და...

რისთვის ვწერ მის ამბებს საქვეყნოდ.

ისე, ყოველი შემთხვევისთვის... კაცი რომ უმიზეზოდ არ გიჟდება — ამაზე მინდა იფიქროს ყველამ!..

***ინგა ჯაყელი***

# რადიოაქტიური ნარჩენების საცავში ავარია მოხდა?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

ფრანგების აპარატურით კი ქალაქ ფოთში მხოლოდ ერთი შიშველი წყაროს დაფიქსირება მოხერხდა. ის კი, რომ რადიაციული ფონი დასახლებულ პუნქტებში ნორმალურია, ისედაც ვიცოდით. ასე რომ, ის 700 ათასი ეკიუ, რაც „ატენსასამ“ და კიდევ 20 ათასი ლარი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოყო, რბილად რომ ვთქვა, წყალში გადაყრილად მიმაჩნია.

**— ბატონო ზურაბ, სამინისტროს ხელმძღვანელობა პრესით და ტელევიზიით იტყობინებოდა აერორადიოგადაღებების შედეგებს, თქვენ კი საპირისპიროს ამტკიცებთ. განაწყენებული კაცის პოზიციიდან ხომ არ ლაპარაკობთ?**

— როგორ გეკადრებათ. პირდაპირ ვაცხადებ — ამ რეკლამაში იყო სრული დილეტანტიზმის ელემენტები. მაგალითად, თითქოს აერორადიოგადაღებებით საქართველოში დაფიქსირდა ურანის საბადო. კავკასიის მთები რომ მცირე რაოდენობით ურანს შეიცავს, ნებისმიერი გეოლოგისათვის კარგად ცნობილი ფაქტია. საერთოდ, სამინისტროს რომ კარგად ემუშავა თუნდაც სვანეთში აღმოჩენილი რადიაციული წყაროების შემდეგ, წალენჯიხის ფაქტი არ მოხდებოდა. მიჩნდება ლოგიკური კითხვა: „ატენსასასთან“ მოლაპარაკებების დროს ჩხობაძემ აქცენტი რატომ გააკეთა აერორადიოგადაღებებზე და გაცილებით მეტი ყურადღება რად არ დაუთმო საქართველოსთვის აუცილებელ და გადაუდებელ რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების თანამედროვე საცავის საკითხს?..

ჩხობაძე იქამდეც კი მივიდა, რომ ხშირად თათბირებზეც არ მიშვებდა. ერთხელ იმ დროებითი საცავის ტექნიკურ აღჭურვაზე, სადაც დღეს ინახება ბოლო წლებში მოძიებული რადიაციული წყაროების უმრავლესობა(!), სპეციალური პროგრამის ფონდიდან მცირეოდენი თანხა გავხარჯე. ისიც მახსოვს, რომ სამინისტროში გამართულ თათბირებს გამონაკლისის სახით ვესწრებოდი. მახსოვს, ერთ-ერთ სხდომაზე სახტად დავრჩი, როდესაც მინისტრმა ეს ხარჯი არამიზნობრივად ჩამითვალა და იქვე მისცა დავალება სამინისტროს ერთ-ერთ თანამშრომელს ამის შესახებ ეცნობებინათ საქართველოს კონტროლის პალატისათვის. არადა, საცავის ტექნიკური წყაროები სათანადო პირობებში არ ინახებოდა. ამაზე არსებობს ოფიციალური მიმართვა იმ უწყებიდან, რომელსაც ეკუთვნის საცავი. მეორე სხდომაზე კვლავ შევეცადე, დამეყენებინა საცავის საკითხი. ქალბატონმა მინისტრმა გამაწყვეტინა სიტყვა და ის არააქტუალურად მიიჩნია. ეს ასეც რომ ყოფილიყო, ამაზე დასკვნა უნდა გაეკეთებინა სხდომას. არაფრისმომტან აერორადიოლოგიურ გადაღებებს რომ ამხელა რეკლამა გაუწია, რატომ არ აცნობა ფართო საზოგადოებას იმ რადიაციული დაბინძურებული ლაქების არსებობის შესახებ, რომელიც საქართველოს რუკაზე აერორადიოლოგიურმა გადაღებებმა აჩვენა. ახლა დაიდო მაგიდაზე ყველა ის რუკა და სქემა, სადაც რადიაციული წყაროების ადგილმდებარეობებია მითითებული. ხომ შეიძლებოდა ამ რუკების მოძიება მანამდე?

მართალია, აღარ ვარ სამსახურის უფროსი, მაგრამ მთელი სულით და გულით მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ჩემს თანამშრომელს, რომელიც სიცოცხლისათვის რისკის ფასად ჩემთან ერთად ანეიტრალებდა რადიაციულ წყაროს...

*მიუხედავად იმისა, რომ „კვირის პალიტრაში“ მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს გამოქვეყნებულ სტატიაში გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საკმარისზე მეტი კომენტარი გააკეთა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურზე და მის აწ უკვე ყოფილ უფროსზე, ზურაბ კერესელიძეზე, სტატიის ავტორმა თავი ვალდებულად მიიჩნია და სამინისტროს ხელმძღვანელობას კერესელიძის მიერ გამოთქმული ბრალდებების შესახებ კომენტარი სთხოვა. ჩვენდა გასაკვირად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა აღიარა, სამინისტრომ წალენჯიხაში არსებული რადიაციული წყაროს შესახებ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში იცოდა, თუმცა ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდაო. არადა, გახსოვთ, ალბათ, მინისტრი ერთ-ერთ მთავარ დანაშაულად წალენჯიხასთან დაკავშირებით, კერესელიძეს ინფორმაციის მიუწოდებლობას უთვლიდა(?). ისიც თქვეს, მინისტრის მოადგილეს, ლომთაძეს მოხსენებით ბარათზე რეზოლუცია უნდა დაედოო, მაგრამ გასამართლებელი საბუთიც მოუძებნეს. რაც შეეხება საბუთების გაყალბების ფაქტებს, მას ცილისმწამებლური უწოდეს და განაცხადეს, ენას ძვალი არა აქვსო.*

**P.S.** თუ ყველაფერი ის, რასაც ზურაბ კერესელიძე გვიამბობს, მართალია, მაშინ კიდევ კარგად გადავრჩენილვართ, რომ უპატრონოდ მიტოვებული რადიაციული წყაროებისგან დაზარალებული ჯერ მხოლოდ ათეულობით ადამიანია. როგორც შევიტყვეთ, ამასთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მოკვლეულ მასალებს უშიშროება არ ახმაურებს. საინტერესო იქნება, ვინ გამართლდება?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „Осторожно, двери открываются”
# რუსი იმიჯმეიკერების მისია საქართველოში...



მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ახალ, „ცხელი მშვიდობის“ ფაზაში შევიდა.

„ცხელი მშვიდობა“ კი ცივი ომისგან იმით განსხვავდება, რომ ცივი ომის დროს მხარეები ერთმანეთს პერმანენტულად ემუქრებიან, მათ მიერ მართვადი მცირე სახელმწიფოები კი თავდაუზოგავად ებრძვიან საკუთარ თანამემამულეებს იდეოლოგიური ზეიდეალებისთვის (კორეა, ვიეტნამი, ავღანეთი).

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები კარგა ხანია მოწესრიგდა, ჩვენი და რუსეთის ურთიერთობები კი კვლავ დაძაბულია. ამის დამადასტურებელია ავიადაბომბვები, ეკონომიკური ბერკეტები, ენერგოკრიზისები, დიპლომატიური ავანტიურები თუ ფსიქოლოგიური ომი. რუსეთი თავგამოდებით გვებრძვის, ჩვენ კი გულზე მუშტს ვიბრაგუნებთ და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ქვას-ქვაზე არ ვტოვებთ საკუთარ ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც ქვაც კი გაყიდულია.

რა ვუწოდოთ ასეთ მდგომარეობას, თუ არა ცხელი ან სულაც „ძალიან ცხელი მშვიდობა“.

დღემდე საქართველოს მიმართ რუსეთის ტაქტიკა უცვლელია. სახეცვლილება განიცადა მხოლოდ ფსიქოლოგიური ომის წარმოების ტაქტიკამ. აი მაგალითად: თუ აქამდე რუსეთი ღიად ცდილობდა საერთაშორისო დონეზე დაებლოკა საქართველოს ნებისმიერი ინიციატივა, დღეს ქართული ინიციატივების დამთრგუნველი ფუნქციით და რუსეთის ჯარისათვის სტატუსის გაგრძელების რეკომენდაციით თავად გაეროს გენერალური მდივანი გამოდის, რუსეთი კი ამ დროს აქტიურად იწყებს საუბარს მეგობრობის ჩარჩოხელშეკრულების გაფორმების დაჩქარებაზე, თუმცა ეს სიტყვები ლამაზ ზღაპრად რჩება (ცნობისათვის, ამ ხელშეკრულებას საქართველომ ცალმხრივად სამი წლის წინ უკვე მოაწერა ხელი). რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი რუშაილო, რომელსაც რუსულ მედიაში სიტყვაძუნწ კაცად იცნობენ, ქართულ ტელეკომპანიებს მხურვალედ ესაუბრებოდა ორი ქვეყნის „მეგობრობასა“ და თანამშრომლობაზე, რითაც რუსეთის „მეგობრული სახის“ ლობირებას ცდილობდა.

თერთმეტი სექტემბრის მოვლენების შემდეგ მსოფლიოში „ახალი წესრიგის“ დამყარება, რეალურად კი რეგიონებზე გავლენის სფეროების გადანაწილება დაიწყო. რა სტატუსი, ფუნქცია და ადგილი შეხვდება საქართველოს? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ერთი რამ კი ფაქტია — რუსეთი კვლავაც შეეცდება შეინარჩუნოს თავისი გავლენა საქართველოზე. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი იძულებული გახდება შეასრულოს სტამბულის ხელშეკრულება, გაიყვანოს სამხედრო ბაზები, გავლენის შენარჩუნების ერთადერთი გზა მისთვის იქნება პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსთა ლობირება და მათი ხელისუფლებაში მოყვანის მცდელობა.

როგორც ჩანს, რუსეთის ანალიტიკოსები მიხვდნენ, რომ ათწლიანმა ფსიქოლოგიურმა ომმა შედეგი გამოიღო. საქართველოს მოსახლეობა იმედგაცრუებულია და არსებულ პრობლემებს პესიმისტურ ჭრილში ხედავს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი და იგივე ჭიქა ოპტიმისტ ხელისუფლებას ნახევრად სავსე, პესიმისტ მოსახლეობას კი ნახევრად ცარიელი ეჩვენება. საქმე შეიძლება არც ისე ცუდადაა, ჩვენ კი ყველაფერს უფრო მუქ ფერებში აღვიქვამთ. ასეთ დროს „გზა ხსნისა“ მყვირალა დაპირებების მქონე პოლიტიკოსები ხდებიან ხოლმე.

1994-96 წლების რელობაში ასეთი პოლიტიკოსი შეიძლებოდა ღიად პრორუსული ყოფილიყო, დღეს კი ალბათ რუსეთისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა პროდასავლური, ჭრელი ლოზუნგებით შეიარაღებული ე.წ. „გავლენის აგენტის“ ხელისუფლების სათავეში მოყვანა, რომელიც თავის ჭეშმარიტ ორიენტაციას ძალაუფლების ხელში ჩაგდების მერე გამოავლენდა...

მოახლოებული არჩევნების ციებ-ცხელება საქართველოში რეკლამისა და ე.წ. PR-სპეციალისტთა მოზღვავებას უკავშირდება. უკანასკნელი ორი არჩევნების პერიოდში ორივე მოწინააღმდეგე ბანაკს ქართველ „რეკლამშჩიკებთან“ ერთად რუსეთიდან ჩამოყვანილი ლეგიონერი PR-სპეციალისტები უმაგრებდნენ ზურგს. ალბათ მათ გარეშე ვერც მომავალი არჩევნები ჩაივლის. რუსეთში სახელგანთქმული საიმიჯმეიკერო კომპანიებს შორისაა პოლიტიკური კონსულტაციების ცენტრი Никколо M-იც, რომლის მოღვაწეობის შედეგად რუსეთს უკვე მოევლინა რამდენიმე ათეული გუბერნატორი, მინისტრი თუ სხვა სახელმწიფო მოღვაწე. Никколо M-ის დამფუძნებლები მიხეილ გრიგორიანი და ანდრეი ბირიუკოვი პირადად მონაწილეობდნენ ბორის ელცინის პრეზიდენტად არჩევაში. ელცინის მაშინდელი პირადი მრჩეველი და ამჟამად Никколо M-ის დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინა ეგოროვა პირადად ხელმძღვანელობდა საარჩევნო პროცესებს სამხრეთ კორეაში (კიმ-ტე-ჯუნის სასარგებლოდ), კოლუმბიასა და ვენესუელაში, სადაც 90%-იან გამარჯვებას მიაღწია. ეკატერინა ეგოროვა ითვლება „პოლიტიკური ლიდერობის ფსიქოლოგიის“ რუსული კონცეფციის შემქმნელად. იგი 1991 წლიდან აშშ-ის ოცდაერთ სხვადასხვა უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. სავარაუდოა, რომ ასეთი რანგის PR-სპეციალისტების ჩამოსვლა თბილისში არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე შემთხვევითი არ უნდა იყოს და, შესაძლოა, ამ ვიზიტმა სულაც არჩევნების დაჩქარებასაც შეუწყოს ხელი. PR ქართულად საზოგადოებრივ ურთიერთობებს ნიშნავს და იგი თავის თავში ისეთ მეცნიერებებს მოიცავს, როგორებიცაა, ჟურნალისტიკა, სარეკლამო საქმე, კომუნიკაცია, პოლიტიკური კონსულტაცია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია, ვერბალური და არავერბალური ქცევის კორექცია, სხვადასხვა საარჩევნო ტექნოლოგიები, პროპაგანდა და კონტრპროპაგანდა, ფსიქოდიაგნოსტიკა, ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივი პოლიტიკური და საინფორმაციო დაზვერვა.

**PR-ის სპეციალისტთა შესაძლებლობები თითქმის შეუზღუდავია და მათ დიუმასეული „რუხი კარდინალების“ მსგავსად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.**

PR-ის სპეციალისტთა შესაძლებლობები თითქმის შეუზღუდავია და მათ დიუმასეული „რუხი კარდინალების“ მსგავსად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ერთხელ გენშერს ჰკითხეს, ვინ არის კარგი პოლიტიკოსიო. „ის, ვისი საქმეებიც ხალხის განწყობას ემთხვევა, კარგი იმიჯმეიკერი კი ის არის, ვისაც შეუძლია საჭირო დროს საჭირო განწყობა აღძრას საზოგადოებაში“ — უპასუხა მან.

სამწუხაროდ, საქართველოში არა თუ PR-ის სპეციალისტები, არამედ მასში შემავალ ცალკეულ მეცნიერებათა სპეციალისტის მოძებნაც ძნელია. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, გაგანია ბრძოლის დროს ტაქტიკა ისევ ჩრდილოელი მეზობლებისაგან ვისწავლოთ. აღსანიშნავია, რომ დასავლელი მეგობრები სულაც არ ჩქარობენ, ხეზე ასვლა მანამ გვასწავლონ, სანამ ხის ძირას ჩაცუცქულებს მურა დათვი შეგვჭამდეს. რუსები კი... რუსები მუდამ ჩვენ გვერდით არიან, ისინი არც ლხინში გვტოვებენ და არც ჭირში. გამიგია, მეგობრად, ამხანაგად იმას ამოირჩევ, ვინც შენ გსურს, უფროს ძმას კი შენ მაგივრად ღმერთი და მშობლები ირჩევენო. ჰოდა ასეა ჩვენი საქმეც, ბატონებო.

„Осторожно, двери открываются!“

Никколо M მთელ მსოფლიოში თუ არა, მსოფლიოს ერთ მესამედში მაინც ძალზე სახელოვანი კომპანიაა, უკვე რამდენიმე თვეა, რაც მან საქართველოში გახსნა თავისი ფილიალი.

ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ არც ერთი ინვესტორი, არ შევა არც ერთ ქვეყანაში ისე, რომ იქ საკუთარ ინტერესი არ ჰქონდეს. რატომ არ უნდა მივესალმოთ Никколо M-ის შემოსვლას საქართველოში, თუკი შევრონის, BMW-სა თუ მარტინ-ბაუერის შემოსვლა გვიხარია, ისინიც ხომ თავის გარკვეულ ინტერესებს ხედავენ ჩვენს ქვეყანაში. განა PR-ის საკითხების კარგად ცოდნა ნაკლებად სჭირდება ქვეყანას, ვიდრე ჩაის გაშენება ან მანქანათმშენებლობა? თავად ეს დარგებიც ხომ წარმოუდგენელია რეკლამისა და PR-ის გარეშე, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ შანსი ჩვენს სასიკეთოდ, ვისწავლოთ სხვისგან ის, რისი კეთებაც ხეირიანად ჯერ არ ვიცით. მით უმეტეს, რომ Никколо M-ის ქართული ფილიალი უკვე ერთი კვირაა რაც ქართველი მსმენელებისათვის ღია ლექციებს ატარებს PR-ის აქტუალურ საკითხებზე. ამ ლექციების კურსში მონაწილეობენ ჩვენი სპეციალისტებიც: რამაზ საყვარელიძე, პაატა ჩახნაშვილი, ლერი გიგინეიშვილი, ზვიად დევდარიანი და სხვ.



ეკატერინა ეგოროვა და ანდრეი ბურაკოვი ლექციაზე

ამ სემინარის ორგანიზატორის საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელის მარიკა დარჩიას თქმით: „სემინარი ამჟამად არავითარ კავშირში არ არის კონკრეტულ საარჩევნო ან საკონსულტაციო მოღვაწეობასთან. დაგეგმილია, რომ ასეთი ტურები ჩატარდეს წელიწადში რამდენჯერმე და აუცილებლად რეგიონებისთვისაც. ეს საჭიროება სწორედ ჩვენი PR-ის ბაზრის განუვითარებლობამ და მოუმზადებლობამ გამოიწვია. ჩვენ ხშირად მოგვმართავდნენ თხოვნით თუ შეკითხვით საგანმანათლებლო გადამზადების პრობლემების გამო. ამიტომ, სწორედ ქართველი და მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით შევადგინეთ კურსი სახელმწიფო და ბიზნეს PR სტრუქტურებისთვის. ეს დღეს მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესთან არის დაკავშირებული, რაც ხვალ არაპროფესიონალიზმისაგან დაგვიცავს“.

ერთი მხრივ, ჩვენ გვთავაზობენ ცოდნას — რომელიც გვჭირდება და ამაში ცუდი არაფერია. მეორე მხრივ კი, პარლამენტთან დაახლოებული ზოგიერთი წყაროს ცნობით, გარკვეულ პოლიტიკოსებს უკვე ჰქონდათ კონსულტაციები ჩამოსულ ლექტორებთან და მათი თხოვნით Никколо M არჩევნებში მათთვის სასურველი კანდიდატის გაყვანის შანსებს შეისწავლის. სავარაუდოდ, ამ კანდიდატის სახელი მაისის ბოლოს გაჟღერდება.

ალბათ დროა, ქართულმა საზოგადოებამაც საფუძვლიანად იფიქროს ქართული პოლიტიკური ფსიქოლოგიის თეორიის ჩამოყალიბებაზე, დრო ხომ ყოველთვის ცვლის რეალობას და უკანმოუხედავად გარბის წინ. ვფიქრობ, დროა დავფიქრდეთ, როგორი ტიპის პოლიტიკური ლიდერები და სახელმწიფო მოხელეები სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ევროპის უმეტესი სახელმწიფოების ამომრჩეველთა ფსიქოლოგიისთვის ცალსახად მიუღებელია ჟირინოვსკის ტიპის გულზვიადი და პოპულისტი პოლიტიკოსი. ჩვენთან კი ასეთი ემოციურობა ჯერაც პოპულარულია. იქნებ თავად ქვეყანასაც სჭირდება ახალი იმიჯი, უფრო მიმზიდველი და უფრო საქმიანი, ვიდრე დღეს გვაქვს?

როგორც მოგეხსენებათ, ხეზე ასვლას არავინ გვასწავლის, ეს საქმე ჩვენით უნდა ვისწავლოთ, მანამდე კი შეგახსენებთ ათასჯერ გაგონილს: „Осторожно, двери открываются“ ანუ რუსეთი კარს გვიღებს, კარს, რომელსაც დიდი ხანია ვამტვრევთ, წინ კი... ფრთხილად, წინ საშიში მოსახვევია...

*დავით გაჩეჩილაძე*


**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს კონკურსს გორის ახლად შექმნილი რეგიონალური ოფისის დირექტორის თანამდებობაზე. წარმატებული კანდიდატი იმუშავებს გორში და საქმიანობას განახორციელებს შიდა ქართლის რეგიონში.**

*სათანადო კვალიფიკაცია:*

- არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება
- სამუშაო გამოცდილება მიწის/უძრავი ქონების სფეროში
- კარგი რეპუტაცია ადგილობრივ სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო სექტორებთან ურთიერთობაში
- კომუნიკაციის კარგი უნარი
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა

*სასურველი კვალიფიკაცია:*

- ინგლისურის კარგი ცოდნა (წერა და საუბარი)
- შესაბამისი განათლება

დაინტერესებულ კვალიფიციურ კანდიდატებს გთხოვთ, გამოგზავნოთ რეზიუმე (CV) ფაქსით ან ელ-ფოსტით. გთხოვთ, რეზიუმეს დასაწყისში გაუკეთოთ წარწერა: „გორის რეგიონალური ოფისი“.
განცხადებების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2001 წლის 15 თებერვალი.
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია
ფაქსი: (995 32) 98 62 91 ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net


## რას გვეტყვი, მამაო?

**— კათოლიკობის მართლმადიდებლობისაგან განმასხვავებელ ნიშანთა შორის არის ე.წ. „განსაწმენდელი“. რის საფუძველზე უარყოფს მართლმადიდებლობა „განსაწმენდელის“ არსებობას?**

— მართლმადიდებლური სარწმუნოება არ ცნობს სწავლებას „განსაწმენდელის“ შესახებ იმიტომ, რომ ის არ იხსენიება არც უფლის გამოცხადებაში, არც წმინდა წერილსა და არც ზეპირ გადმოცემებში.

**— რით შეიძლება ადამიანმა გამოხატოს უფლის მიმართ თავისი სიყვარული?**

— ადამიანი უფლის მიმართ თავის ჭეშმარიტ სიყვარულს გამოხატავს უფლის ათი მცნების ერთგული დაცვით.

**— რატომ ნათლავენ ქრისტიანები ადამიანს ბავშვობის ასაკში?**

— ბავშვებს ნათლავენ პატარაობისას იმიტომ, რომ: 1. გამოჰყონ ისინი ურწმუნოთაგან და შეუერთონ უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს;

2. რათა ისინი იზრდებოდნენ პირველქმნილნი ცოდვის გარეშე, უფლის მადლით მართალნი;

3. რათა მივსდიოთ მორჩილებით ქრისტეს შეგონებას; „აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისთანებისაა ცათა სასუფეველი“ (მათე 19,4);

4. და კიდევ იმიტომ, რომ წმინდა ნათლისღებამ დაიკავა ძველი აღთქმის წინადაცვეთის ადგილი, რომელიც აგრეთვე ბავშვობის ასაკში ხდებოდა.

**— შეიძლება თუ არა სხვა ადამიანის ცოდვაში დაიდოს ადამიანმა წილი?**

— სხვის ცოდვებზე პასუხისმგებელნი ვართ იმ შემთხვევაში, როდესაც შეგნებულად ვაქეზებთ მოყვასს ბოროტი საქმის ჩასადენად. კიდევ მაშინაც ვართ პასუხისმგებელნი მათზე, როცა რაიმე უგვანოს ვუქებთ და ამით ხელს ვუწყობთ მათ, ჩვენი სიტყვების დასტურად ჩაიდინონ ჩვენ მიერ მოწონებული ცოდვიანი საქციელი.

**— ვინ შთაგვაგონებს ჩვენ ცოდვიან აზრებსა და სურვილებს?**

— ცოდვიან აზრებსა და სურვილებს ჩვენ შთაგვაგონებენ:

1. ეშმაკი; 2. ცუდი, უკეთური ადამიანები; 3. ჩვენი საკუთარი მიდრეკილება ცოდვებისაკენ.

**— ჩვენს სოფელში არსებულ წმინდა ანდრიას სალოცავთან დაკავშირებით მპასუხობდით, რომ წმ. ანდრიას ხსენების დღე 13 დეკემბერს აღინიშნება. გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა წმინდა ანდრიას სახელობის ტაძარი თბილისში და სად შეიძლება ამ წმინდანის ხატის შეძენა?**

— თბილისში წმინდა ანდრიას სახელობისაა ეკლესია, რომელსაც „ლურჯი მონასტერი“ ეწოდება, ხოლო პირველწოდებული მოციქულის ხატის შეძენა შეგიძლიათ როგორც მართლმადიდებლურ ტაძრებში, ისე მართლმადიდებლური წიგნების, ხატებისა და საეკლესიო ნივთების სპეციალურ მაღაზიაში.

**— მართალია თუ არა, რომ ნეფერტიტის სურათი ოჯახში უბედურების მომტანია?**

— ნეფერტიტის სურათს საეკლესიო თემასთან არავითარი შეხება არ აქვს და შემეცნების თვალსაზრისით შეძენილი ისტორიული ეპოქის ამსახველი სურათის მიერ უბედურების გამოწვევის შესაძლებლობა — ცრურწმენაა.

**— ეკლესიაში ამბობენ ხოლმე, „მღვდელმა წაიკითხა „კვერექსი“. რას ნიშნავს სიტყვა „კვერექსი“?**

— კვერექსები — ეს არის მოკლე ლოცვები, რომელთაც კითხულობენ მღვდელი ან დიაკვანი. დიდი კვერექსი, სახელდობრ, იწყება სიტყვებით: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

**— დამეკარგა ნაკურთხი წმიდა გიორგის გულსაკიდი. რამეს ხომ არ ნიშნავს ეს ამბავი?**

— უთუოდ ნიშნავს — თქვენს დაუდევრობას და უყურადღებობას. სხვა დროს, მეტი სიფრთხილე და კრძალვა უნდა გამოიჩინოთ საეკლესიო სიწმიდეთა მიმართ.

**— გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის სერაფინე საროველის შესახებ.**

— წმიდა სერაფინე საროველი რუსეთში მე-18-19 საუკუნეებში (1760-1833) გაბრწყინდა ღვთისსათნო მოღვაწეობითა და სასწაულმოქმედებებით. მასვე ეკუთვნის წინასწარმეტყველება რუსეთის მომავალი ბედის შესახებ. 1903 წელს სერაფიმე საროველი კანონიზირებულია რუსული ეკლესიის მიერ და შერაცხულია წმინდანად. წმიდანის სიკვდილის შემდეგ არაერთი სასწაული აღსრულდა. მორწმუნეები ხშირად მიმართავენ მას მეოხებისა და ნუგეშისცემისათვის.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლამდიდებლური წიგნები და საკითხავები***

# ვაკის პარკის „საკუთრება" მხოლოდ ჩანჩქერი და შადრევანი ყოფილა(!)



მშენებლობა პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე

დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ თბილისელები პანიკამ მოიცვა. მავანნი ვაკის პარკის შესაძლო გაყიდვაზე ალაპარაკდნენ. მოქანდაკე ზურაბ წერეთლის ინიციატივას, ჩაედოთ ვაკის პარკში სოლიდური ინვესტიცია და გაეშენებინათ „დისნეილენდი", გარკვეული პოლიტიკური ძალების გარდა, ლამის მთელი დედაქალაქი აუჯანყდა. მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ დაინტერესებული ჯგუფები თბილისელთა გულწრფელ ემოციებს სათავისოდ სცდიდნენ. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ — პროექტი ჩაიშალა, თუმც ვაკის პარკის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი ამით არ დასრულებულა. უფრო მეტიც, ამ ყბადაღებული თემით მანიპულირება ბოლო დროს ერთგვარ მოდადაც კი იქცა.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და პარკის დასაცავად, ან კიდევ, მის ტერიტორიაზე მიმდინარე ე.წ. უკანონო მშენებლობების საწინააღმდეგოდ მიმართული აქციები რატომღაც(!) ყოველთვის არჩევნებს ემთხვევა ხოლმე, თუმცა ეს ალბათ საუბრის სხვა თემაა...

საკუთარი პოზიცია აქვთ საქართველოს „მწვანეებს". ისინი ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ ვაკის პარკში უკანონო ნაგებობები შენდება და ამ ყველაფრის უკან არნახული კორუფცია იმალება. უკანონო ნაგებობებად ისინი მშენებარე სასტუმროს, აგრეთვე უკრაინისა და ირანის საელჩოებს ასახელებენ. ცნობისთვის, საელჩოების მშენებლობა საერთოდ არც კი დაწყებულა. რაც შეეხება სასტუმროს, იქ საძირკველი უკვე ჩაყრილია. „ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს უნიკალური პარკი გაყიდონ, გაჩეხონ და გააპარტახონ", — აცხადებს „მწვანეთა" ლიდერი.

იყიდება თუ არა ვაკის პარკი?

შენდება თუ არა მის ტერიტორიაზე უკანონო ნაგებობები?

ვინ დგას ამ ე.წ. უკანონო მშენებლობების უკან?

„კვირის პალიტრა" შეეცდება შეძლებისდაგვარად უპასუხოს კითხვებს, რომლებიც არა ერთ თბილისელს (და არა მარტო თბილისელს) აწუხებს. ამ მიზნით პირველ რიგში დავუკავშირდით „მწვანეთა" ლიდერს ***გია გაჩეჩილაძეს***, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ ყოველთვის ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა.

**— ბატონო გია, ყველა მშენებლობა, რასაც თქვენ უკანონოდ მიიჩნევთ, შესაბამის უწყებებში ოფიციალურად არის გაფორმებული...**

— 1993 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც პარკების, ბაღების და სკვერების მიმდებარე ტერიტორიებზე ყოველგვარი მშენებლობა აიკრძალა, მაგრამ ვინ დაგიდევს კანონს. იცით, რას აკეთებენ? საბუთებს წინა რიცხვით აფორმებენ, ვითომ მიწა იჯარით მანამდე აქვთ აღებული, სანამ დადგენილება გამოვიდოდა. რომელ კანონიერებაზეა საუბარი? ეს არის შემთხვევითი ხელისუფლება. ვაკის პარკილა დარჩა გასაყიდი და ამასაც ყიდიან.

**— პარკში რაიმე რომ აშენდეს და კეთილმოეწყოს, გაყიდვას ნიშნავს?**

— რა უნდა კეთილმოეწყოს? გგონიათ ვინმე კეთილმოწყობაზე ფიქრობს ან იმ მშენებლობებიდან პარკს რამეს შეაწევენ? ნურას უკაცრავად. ცოტა ხნის წინ მერიამ ყველასგან დამალულ-დაფარულად გაავლო ე.წ. წითელი ხაზები და სასტუმროც და უკრაინისა და ირანის საელჩოებიც პარკის კუთვნილი ტერიტორიის გარეთ მოაქცია. ვაკის პარკი კაპიკს ვერ მიიღებს იქიდან. ეს ხაზებიც იმიტომ გაავლეს, რომ მერე ეთქვათ, ტერიტორია პარკს არ ეკუთვნისო.

**— რამდენი ხანია, რაც თქვენ მწვანეთა პარტიას ხელმძღვანელობთ?**

— 1995 წლიდან.

**— ამ ხნის მანძილზე რამდენი ახალი ნერგი დაგირგავთ ვაკის პარკში?**

— ასეთი ტიპის პარკებში ახალი ნერგების დარგვა საერთოდ აკრძალულია. გამწვანება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ არსებული დეკორატიული ნახაზის მიხედვით. ამის განხორციელება კი სახელმწიფო სტრუქტურების კომპეტენციაა... იცით რა, მე მინდა ვაკის პარკი და არა „დისნეილენდი", რითაც წერეთელი მაყუთს გააკეთებს. არც სასტუმროები მინდა და არც საელჩოები. იცით, ვინ გამოუყო საელჩოებს ტერიტორია? უკრაინის საელჩოს — გათახსირებულმა პარლამენტარებმა, ირანის საელჩოს კი — უშუალოდ პრეზიდენტმა. აი, ასეთი ხელისუფლების ხელში ვართ.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ვაკის პარკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს **თემურ ჯიბლაძესაც**:

— სულ ახლახან, ვაკის პარკის არქივში აღმოვაჩინეთ უნიკალური დოკუმენტი, რომელიც 1985 წლით არის დათარიღებული. პარკის მაშინდელი ხელმძღვანელობა მოსკოვში წერილობით ანგარიშს აბარებს შესაბამის უწყებას და ატყობინებს, რომ გამარჯვების პარკი (მაშინ ასე ერქვა) მოიცავს 150 ჰექტარ ტერიტორიას. დღეს არ გაინტერესებთ, რამდენია? — 17 ჰექტარი! 150-იდან 17-ღა დარჩა.

**— დანარჩენი სად წავიდა?**

— სად წავიდა და ჩამოეჭრა. კუსტბა გამოეყო, აგრეთვე ლოკომოტივის სტადიონიც. დანარჩენი მერე მიაჭრეს და... პარკს წითელი ხაზები რომ შემოვავლეთ, აღმოჩნდა, რომ 17 ჰექტარიღა დარჩა.

**— და იქაც, როგორც ამბობენ, არაერთი უკანონო ნაგებობა შენდება.**

— იცით რა, ამას საქმეში ჩაუხედავი ხალხი ამბობს. არც ის საელჩოები და არც სასტუმრო, რომელზეც გაჰყვირიან — უკანონოაო, ვაკის პარკს არ ეკუთვნის.

**— ადრე ეკუთვნოდა?**

— ადრე შეიძლება ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა ნამდვილად აღარ ეკუთვნის. ეს აჟიოტაჟი ვიღაცას რაღაცაში სჭირდება, თორემ რატომ იმაზე არ ატარებენ აქციებს, ვაკის პარკის ტერიტორიაზე ყველა ნაგებობა გასხვისებული რომ არის?

**— ამაზე ალბათ თვითონ პარკის ხელმძღვანელობამ უნდა ჩაატაროს აქციები...**

— ა, ბატონო, გეუბნებით, ჩვენი არაფერი აღარ არის-მეთქი. 1992-98 წლებში ყველაფრის გაყიდვა მოასწრეს.

**— რატომ წავიდა ამაზე პარკის მაშინდელი ხელმძღვანელობა?**

— კი, მაგრამ, პარკის ხელმძღვანელობას ვინ შეეკითხა. ყველაფერი ქალაქის ქონების მართვის სამმართველომ გააკეთა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. არც ერთ დოკუმენტში ვაკის პარკის დირექციის ხელმოწერა არ ფიგურირებს. ზოგიერთი ობიექტის მეპატრონეც კი ვერ დავადგინეთ. ახლა ქალაქის მერიასთან ერთად ბრძოლა დავიწყეთ, მაგრამ... უკან ისეთი ხალხი დგას, „კრიშას" რომ ეძახიან, გაოგნებული დავრჩი.

**— ვინ არის ეს ხალხი?**



— ვინ არიან და ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარეები, მაღალჩინოსნები. თვითონ არსად, არც ერთ დოკუმენტში არ ფიგურირებენ, ყველგან სხვები ჰყავთ გაფორმებული. ჯერ თავს ვიკავებ, მაგრამ თუ საჭირო გახდება, გვარებსაც დავასახელებ. ამისი არც მერიდება და არც მეშინია.

**— ამბობთ, ყველაფერი გასხვისებულიაო. რაღა ეკუთვნის ვაკის პარკს რეალურად?**

— ვაკის პარკისა არის მხოლოდ და მხოლოდ ჩანჩქერი და შადრევანი, რომელთა შენახვაც საკმაოდ ძვირი გვიჯდება. პარკში არის აგრეთვე ღია კინოთეატრი. შეგებრალებათ, ისეთ დღეშია. ესეც არენდითაა გაცემული, მაგრამ ახლა ვიბრძვით, გვინდა, რომ დავიბრუნოთ და ჩვენი ძალებით გავაკეთოთ. დანარჩენზე რა გითხრათ, ყველაფერი გაყიდულია, ჩემი კაბინეტიც კი აღარ არის ჩემი.

**— აბა, ვისია?**

— გგონიათ, ვიცი ვისია? ხვალ შეიძლება ვიღაცა მოვიდეს და უბოდიშოდ გაგვყაროს. რა უნდა ვქნათ? უნდა წავიდეთ და მთელი თანამშრომლები ბუჩქებზე ჩამოვსხდეთ? აი, ასეთ დღეში ჩაგვყარეს. ჩემი სავარძელიც გაყიდულია, ანეკდოტი არ არის?

„კვირის პალიტრამ" მიაკვლია მშენებარე სასტუმროს ერთ-ერთ მეპატრონეს **ლადო დოხნაძეს**, რომელიც მცირე ყოყმანის შემდეგ ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

— ტერიტორია, სადაც სასტუმრო შენდება, ვაკის პარკს არ ეკუთვნის. შეგიძლიათ შეამოწმოთ. თქვენი თვალით ნახავთ, რომ სასტუმრო პარკის წითელი ზოლის გარეთაა მოქცეული.

**— აბა, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი ამ სასტუმროს ირგვლივ?**

— საერთოდ ასეა — როგორც კი რამის კეთებას დაიწყებ, მაშინვე ათასი მტერი და მოშურნე ჩნდება. ვერ გაიგებ, რა უნდათ. მოსახლეობას ვეკითხებოდით, რას გიშლით, აქ სასტუმრო რომ აშენდესო და, ჰაერის უკმარისობას გამოიწვევსო — გვპასუხობდნენ. ეს ხომ აბსურდია. რომელ ჰაერის უკმარისობაზეა ლაპარაკი. თქვენი თვალით ნახავთ, ცოტა ხნის შემდეგ ეს სასტუმრო პარკს როგორ გამოაცოცხლებს.

**— როგორც ამბობენ, ამ მშენებლობის უკან გარკვეული მაღალჩინოსნები დგანან. საზოგადოების გაღიზიანება ალბათ ამანაც გამოიწვია.**

— რას ნიშნავს ჩინოვნიკები ან მაფიოზური კლანები?! თავისუფლების მოედანზე „მარიოტი" უზარმაზარ სასტუმროს აშენებს. შეიძლება ახლა ვთქვათ, რომ „მარიოტის" ქსელის სისტემა მაფიოზური კლანია? ან კიდევ, აგერ „მაკდონალდსი" შემოვიდა — უზარმაზარი კომპანია, უზარმაზარი ფულის პატრონი. რა შუაშია აქ მაფია და ჩინოვნიკები?

**— ფაქტია, რომ ეს წინააღმდეგობა ნამდვილად არსებობს.**

— იცით, რატომ არსებობს? ამ საქმეში ვიღაცის მიზნები ვერ მოხვდა და იმიტომ. აბა უთხარი, მოდი, შენც შენი ინტერესი გაატარეო, თუ ვინმემ კიდევ ხმა ამოიღოს.

**„წერეთელს აქეთ გამოხედვაც აღარ უნდა..."**



**— რეალურად ვინ დგას ამ მშენებლობის უკან?**

— ვინ და ჩვენ, ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭები. ზოგმა ბინა ჩადო, ზოგმა მანქანა გაყიდა, ზოგმა კიდევ რაღაც და საქმის კეთება დავიწყეთ.

**— როგორც ამბობენ, აქ უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ინტერესიც არის.**

— დიახ, ასეა. ინვესტორები ძირითადად უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები არიან.

**— ამბობენ — ბაგრატიონებიო...**

— არა, სისულელეა. ბაგრატიონები ნამდვილად არ არიან.

**— ისინი საქართველოში დაბრუნებას აპირებენ და ნიადაგს იმზადებენ თუ მათი დაინტერესება კიდევ სხვა რამითაა გამოწვეული?**

— საერთოდ, ყველა ემიგრანტს სურს, რომ საბოლოოდ მაინც სამშობლოში დაბრუნდეს.

**— რა რაოდენობის ინვესტიციაზეა საუბარი?**

— დასაწყისისთვის დაახლოებით მილიონ ნახევარზე. მერე ვნახოთ, რამდენსაც მოითხოვს. სხვათა შორის, ჩვენ გვეკუთვნის რესტორნის აშენების იდეაც. ეს რესტორანი, სასტუმროსგან განსხვავებით, პრაქტიკულად ვაკის პარკის ტერიტორიაზეა, მაგრამ აქ რამდენიმე წლის წინ იყო ერთი გაუბედურებული, პრაქტიკულად გაუქმებული საპირფარეშო. მოხდა მისი პრივატიზაცია, მომზადდა პროექტი და ყველა იურიდიულ-სამართლებრივი წესის დაცვით აშენდა რესტორანი. რამე დაშავდა? პირიქით. ის ხალხი, ვინც უწინ ამ მშენებლობის წინააღმდეგი იყო, ახლა შემოდის, ისვენებს და მადლობასაც იხდის.

**— ამბობენ, ინვესტიცია გოგი თოფაძემაც ჩადოო...**

— დიახ, ინვესტიცია თოფაძის კომპანია „ყაზბეგმაც" ჩადო. ყველაფერი კანონიერად გაკეთდა. დღესდღეობით ვაკეში არავინ არაფერს აგაშენებინებს, თუ დოკუმენტაციით ყველაფერი წესრიგში არ გაქვს. აგერ, პარკში ერთი ღია კინოთეატრია, რომელიც თან არის და თან არა — წლების მანძილზე ფუნქციადაკარგული, დანგრეული და გაპარტახებულია. გვინდა, რომ ეს კინოთეატრი მოქმედ ობიექტად ვაქციოთ — გადავხუროთ და ახალგაზრდული ცენტრი გავაკეთოთ. ათასი მოწინააღმდეგე გამოგვიჩნდა. მითხარით, ის ჩამკვდარი ტერიტორია გირჩევნიათ თუ ცოცხალი გასართობი ცენტრი? ინვესტორი უკვე ვიპოვეთ და დღეს უკვე პროექტი ხორცშესხმის სტადიაშია. თუ ვინმეს ჰგონია, ამ კინოთეატრს, ან რესტორანს, ან სასტუმროს მერე ზურგზე მოვიკიდებთ და შინ წავიღებთ, ძალიან ცდება...

**დათო ოქტაშვილი** — თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი:

— ვაკის პარკის ტერიტორიაზე არანაირი უკანონო მშენებლობა არ მიმდინარეობს. გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს არ არის ვაკის პარკის ტერიტორია. ვიღაცას აწყობს ამის ყვირილი. პოლიტიკური პარტიების თუ რაღაცის ზოგიერთ თავმჯდომარეს ურჩევნია პოპულისტურ გამოხდომებს თავი დაანებოს. ამ პოპულისტური წივილ-კივილით ჩაშალეს ის გრანდიოზული პროექტიც, რომელიც ზურაბ წერეთელს უნდა განეხორციელებინა.

**— „დისნეილენდის" გაკეთებას გულისხმობთ?**

— დიახ. ისიც კი არ იციან, საერთოდ რას ნიშნავს „დისნეილენდი". ახლა გაახსენდათ საელჩოები და სასტუმროები? ქალაქში ყველა ხის ძირში რესტორანი რომ არის გახსნილი, იმაზე რატომ არ ლაპარაკობენ, მაშინ არ ფუჭდება ბუნება? ახლა არჩევნები ახლოვდება და რას აღარ მოიგონებენ, მაგრამ ამათმა მატარებელმა უკვე დიდი ხანია ჩაიარა. პარკის წითელ ხაზებს რომ ვაკეთებდი, ოჯახის ამოწყვეტით მემუქრებოდნენ. ნამდვილი ომი დამჭირდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე.

**— ვინ გემუქრებოდათ?**

— ანონიმური ზარები იყო. მემუქრებოდნენ, საზღვრები არ გააკეთო, თორემ ამას გიზამთ, იმას გიზამთო. რა მიქნეს? აგერ დავდივარ ცოცხალი. ეტყობა, ვაკის პარკში ბევრის ინტერესია ჩადებული. „მწვანეებს" ასე ძალიან თუ შესტკივათ გული ვაკის პარკზე, შემოვიდნენ და ერთი ხე მაინც დარგონ.

**— ამბობენ, ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო.**

— კარგი რა, აბა რა შედის მათ კომპეტენციაში — მარტო ყვირილი და აურზაური?

**— ზურაბ წერეთლის პროექტის განხორციელებას წერტილი დაესვა?**

— ზურაბ წერეთელს აქეთ მოხედვაც კი აღარ უნდა, მაგრამ სულერთია, მაინც გავაკეთებ. ამერიკული პროექტის განხორციელება გვაქვს ჩაფიქრებული... როცა ასეთ პროექტებზე იწყება საუბარი, ხეები და ბუჩქები მაშინ ახსენდებათ ხოლმე. ახლა ვაკის პარკში საზღვრები უკვე დადგენილია და ჩვენ გარეშე ვერავინ ვეღარაფერს ააშენებს. არც არავითარი უკანონო მშენებლობები არ არსებობს. თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ მიხვიდეთ არქიტექტურის სამმართველოში და ყველაფერი თავად გადაამოწმოთ.

***სიმართლე გითხრათ, დავიბენით და ჩვენს მკითხველსაც დიდი ვერაფერი გავაგებინე. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მაინც დარჩა უამრავი უპასუხო შეკითხვა და გულისტკივილი — დღეს ვაკის პარკის თემა ერთ დიდ ლაბირინთად არის ქცეული. ამაში ალბათ ჩვენი რესპონდენტების ერთმანეთის გამომრიცხავი კომენტარებითაც დარწმუნდით. ერთი რამ ფაქტია, ორიოდ თვეში ზაფხულის სეზონი დაიწყება და დიდ-პატარა პარკს მიაწყდება. ვაკის პარკს კი სასწრაფო მიხედვა ესაჭიროება. ცნობისთვის: 1987 წლიდან ვაკის (გამარჯვების) პარკი ხელოვნების ძეგლად არის გამოცხადებული. ხელოვნების ძეგლებს კი ყველგან განსაკუთრებულად უფრთხილდებიან.***

***ხათუნა ყვირალაშვილი***

EC English with computer

გთავაზობთ
ყველას, ვინც სერიოზულად ფიქრობს კარიერაზე

ინგლისური ენის საფუძვლიანი შესწავლის უმოკლეს გზასა და სრულიად ახალ ფორმას უნიკალური კომპიუტერული ინტერაქტიული პროგრამების მეშვეობით

- ყველა მსურველისათვის 14 წლის ასაკიდან;
- ინგლისური ენის პროფესიულ დონეზე შესწავლა;
- Elementary, pre-intermediate, intermediate, upper-intermediate;
- ინგლისური ბიზნესისათვის BUSINESS ENGLISH;
- აუდიო და ვიდეო გაკვეთილები, კომპიუტერული ენობრივი თამაშები off/on line რეჟიმებში;
- ყოველდღიური ტესტირება;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები;
- დამატებითი მეცადინეობა;
- სწავლების კომფორტული გარემო;
- სწავლის დაწყება ნებისმიერ დღეს და საათს;
- ინტერნეტით სარგებლობა;
- დიაგნოსტიკა-ტესტირება უფასო
- გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა უფასო
- მინიმალური კომპიუტერული მომზადება უფასო
- თითოეული კურსის ხანგრძლივობა 1-დან 5 თვემდე

გახსოვდეთ, თქვენ ჩვენთან იხდით მხოლოდ ცოდნისთვის

თბილისი, გიორგი წერეთლის 3, VIII სართული
ტელ/ფაქსი: 23 38 75 e-mail: megasoft@gol.ge

რეპორტაჟი პანკისიდან

# „საქართველო ჩვენი სამშობლოა“

**ის, რომ პანკისის ხეობა უცხოებისთვის ჩაკეტილია, წინასწარ ვიცოდით. — ბლოკ-პოსტების გასავლელად საშვია საჭირო, თანაც იცოდეთ, პანკისში რუსები არ უყვართო, გაგვაფრთხილეს თბილისიდან გამგზავრებისას. ადგილზე მისვლისას აღმოჩნდა, რომ ხეობა ჩაკეტილი კი არ იყო, უბრალოდ საკონტროლო-გამშვები რეჟიმი გამკაცრებულა...**



სოფელი დუისი ხეობის ცენტრში, მთებს შორის არის მოქცეული. გზები დანგრეულია, თავისუფლად დაიარებიან შეიარაღებული მამაკაცები.... მანქანიდან წვერმოშვებული, მოკლეშარვლიანი კაცი გადმოვიდა. პოლიციელებისგან ვიყავით გაფრთხილებული — ასე ვაჰაბიტები დადიანო.

აქაურები — ქისტები თავის თავს ქართველებს უწოდებენ. ჩვენს მეგზურ ქისტს ოთარი ჰქვია.. მისი მამა-პაპაც აქ ცხოვრობდა და შთამომავლებიც ამ სოფელში მკვიდრობენ. ოთარი ამბობს, საქართველო ჩემი სამშობლოა და აქედან არსად წავალ. აქ ოდითგან მშვიდობიანად ვცხოვრობდით, ეტყობა, ვიღაცას შეშურდა ჩვენიო... იგი წინააღმდეგია ხეობაში ვაჰაბიზმის დამკვიდრებისა — აქ ყველანი მუსლიმანები ვართ და ვაჰაბიზმი საშიშროებას უქადის ჩვენს შვილებსო. მაგრამ ვაჰაბიტებზე მეტად შეიარაღებულ ხალხს უფრთხის — ვაჰაბიტებს ჯერჯერობით ჩემი ოჯახისთვის არაფერი დაუშავებიათ, თანაც მათ ბანდიტებისა არ ეშინიათ, გადაწყვეტილი აქვთ, ხალხის ან პირუტყვის მომტაცებლებს თავადვე გაუსწორდნენო.

— მართალია, რომ ვაჰაბიტთა ამ ჯგუფს რუსლან გელაევი ხელმძღვანელობს? — ვკითხე ოთარს..

— არ ვიცი, ერთი კია, ხალხი ამბობს — გელაევს აქ არავისთვის არაფერი დაუშავებიაო.

აქ წყალი ისეთივე გემრიელია, როგორც მთელ საქართველოში, პურსაც ისეთსავე გემრიელს აცხობენ, როგორც ქართველები და ერთმანეთშიც ქართულად ლაპარაკობენ. ჩეჩნეთიდან დევნილთა ენა მათ არ ესმით და რუსულად ელაპარაკებიან, მაგრამ ხიზნები აქ უცხოობას არ გრძნობენ, ალბათ იმიტომ, რომ ქისტებმა სტუმარმასპინძლობაც ისეთივე იციან, როგორც ქართველებმა.

ქისტები პანკისში ჩეჩნეთიდან 90 წლის წინ გადმოვიდნენ. დროთა განმავლობაში ქართველები ბარში გადასახლდნენ, ჩეჩნებმა ასიმილირება განიცადეს, ქართული ენა მათთვის მშობლიური გახდა, გვარ-სახელიც ქართული დაირქვეს, ზოგმა მართლმადიდებლობა აღიარა, ბავშვიც მონათლა, ეკლესიაშიც დადის. ისინი 8 ათასნი იყვნენ და ექვსი სოფელი ეკავათ, მაგრამ ხუთი წლის წინ ყველაფერი აირია — პანკისში ქისტების ისტორიული სამშობლოდან გადმოსული შეიარაღებული წვეროსნები გამოჩნდნენ. სტუმარ-მასპინძლებმა მალე მეჩეთი ააშენეს და ქისტებმა შვილების მონათვლა შეწყვიტეს, ზოგმა ცოლს სახის დაფარვაც მოსთხოვა.

სამი წლის წინ კი ჩეჩნეთიდან ლტოლვილებიც მოადგნენ პანკისს... 1999 წლის ზამთარში მათ კავკასიონის ქედი გადმოლახეს, გზადაგზა ნათესავ-ახლობელთა ასობით ცხედარი დატოვეს...

ლტოლვილებს მიგდებული საწყობები, ფარდულები და პოლიკლინიკა დაუთმეს. პანკისში ცხოვრება შეიცვალა — დარდმა და სიძულვილმა იმატა. მაგრამ არც ერთი ქისტი არ აყვედრის ჩეჩნებს, რომ მათთან ერთად ქისტების მიწაზე უბედურება მოვიდა...

## არაადამიანური საერთო საცხოვრებელი



მათ საშინლად სძულთ ყველაფერი, რაც რუსეთთანაა დაკავშირებული

პანკისის ხეობის ცენტრის, სოფელ დუისის მთავარი ღირსშესანიშნაობა ჩეჩნეთიდან დევნილთა დიდი საერთო საცხოვრებელია, რომელიც 1999 წლამდე პოლიკლინიკა იყო. ხეობაში ახლა 6 ათასი ჩეჩენი ცხოვრობს. მათ საშინლად სძულთ ყველაფერი, რაც რუსეთთანაა დაკავშირებული, ამიტომაც უჩვენებენ ზურგს რუსეთიდან ჩამოსულ კორესპონდენტებს. ნუთუ არ გინდათ, რომ თქვენზე სიმართლე დაიწეროს და რუსეთმა გაიგოს თქვენი გასაჭირიო, — ჰკითხეს...

— ნახეთ, როგორ ვცხოვრობთ, პირუტყვებივით!.. რა მდგომარეობაში ჩაგვყარა თქვენმა პუტინმა, აი, რა გვიქნეს თქვენმა „სალდატებმა“, — ამ სიტყვებით შეეგებნენ „კომერსანტის“ კორესპონდენტს ხიზნები.

ორსართულიანი შენობა გაჭედილია ლტოლვილებით. უმრავლესობა ბავშვია. საერთო საცხოვრებელში 18 ოჯახი ცხოვრობს, ყოველ რვამეტრიან ოთახში 8-10 ადამიანი შეყუჟულა, საცხოვრებლად გადაუქცევიათ ტუალეტიც კი. არ არის წყალი, სინათლე, გაზი.

„შემოდგომაზე ნაურიდან სხვებთან ერთად მთებში, სათიბად ვიყავი, — იხსენებს ჰამიდ ალიევი, — ზამთარში რუსებმა ჩვენი დაბომბვა დაიწყეს და იძულებული გავხდით, ბილიკებით გადავსულიყავით საქართველოში. ათნი ვიყავით, ბავშვები და ქალები გვახლდნენ. ფეხსაცმლის ლანჩებზე ლურსმნები დავაჭედეთ, რომ ყინულზე არ დავცურებულიყავით...“

ჰამიდის ჯგუფიდან საქართველომდე მხოლოდ ხუთმა მოაღწია.

გროზნოელი კაიპა აციევა უღელტეხილზე ქმართან და ოთხ შვილთან ერთად გადავიდა, მათ რამდენიმე მეზობელი და ნათესავი დაემგზავრათ, მაგრამ სამშვიდობოს მხოლოდ აციევას ოჯახმა გააღწია. კაიპას ახლაც ზარავს იმის გახსენება, თუ როგორ ცვიოდნენ მისი ახლობლები კლდის ნაპრალებში, შველა კი შეუძლებელი იყო. ქალს ისიც ახსოვს, როგორ აყრიდათ ნაღმებს რუსის თვითმფრინავი... აღმოდებული სხეულები მის თვალწინ იფერფლებოდა. „ისინი იწვოდნენ, ჩვენ კი ტირილ-ტირილით მოვდიოდით...“

— ვინ არიან, რისთვის მოსულან, რა უნდათ? — გამწარებული მიიწევს კორესპონდენტისკენ შავოსანი ქალი.

— ვერა ხვდებით? პუტინის აგენტია, — პასუხობენ და თან ქალს აკავებენ.

— გვინდა, რაიმე გიშველოთ, სიმართლე მაინც გავაგებინოთ მოსკოვს, თქვენ ხომ რუსეთის მოქალაქეები ხართ, — თავს იმართლებს დაუპატიჟებელი სტუმარი. მაგრამ გამწარებული დევნილები ერთხმად ყვირიან, — არაფერი აღარ გვინდა რუსეთისა, არც მისი მოქალაქეობა, არც ფული, არც დახმარება და არც მისი მარიონეტული მთავრობა! — ფეხით წავალთ შინ, როცა რუსები იქიდან გაეთრევიან...

— ჩვენ გვესმის, რომ თქვენ მარტო ლტოლვილები არ გაინტერესებთ, ჩვენც არ გვინდა, აქ დამნაშავეები გვყავდნენ, მაგრამ ყველა არ გვემორჩილება, — ამბობენ კაცები.

— რატომ არ გინდათ ჩეჩნეთში დაბრუნება? — ეკითხება მათ კორესპონდენტი — შეიძლება ახლა იქ უკეთ ცხოვრობენ?

კაცები სიმწრით იღიმებიან: — არავითარ შემთხვევაში. წავალთ მხოლოდ მაშინ, როცა ჯარებს გაიყვანენ. გამოაცხადონ ჩეჩნეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და დავბრუნდებით. ახლა იქ ცხოვრება არ შეიძლება. ვინც დაბრუნდა — გვებრალება. გინახავთ ვინმე იქ წელგამართული? გაიმართები და მაშინვე ხერხემალს გადაგიტეხავენ...

***კომერსანტი №16***


კრიმინალი
CRIME NEWS
სპეციალური გამოშვება
SPECIAL EDITION
ფასი 50 თეთრი
გამოდის ყოველ ხუთშაბათს

გაზეთ „კრიმინალის“ 7 თებერვლის სპეციალურ გამოშვებაში თქვენ იხილავთ შემდეგ მასალებს:

- სპეც-რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან, პირდაპირ მარგოშვილის სახლიდან;
- კონტრაბანდის როგორ ფორმებს ირჩევს „ომეგას“ მეპატრონე, ზაზა ოქუაშვილი;
- როგორ აუპატიურებდა სიძეს სექსუალურად აღტკინებული სიდედრი;
- გრძელი გზა კანონიერ ქურდად კურთხევამდე;
- დუდუ დადიანის მკვლელობა ქილერის ხელით არ შესრულებულა;
- გალში უკვე 1500 ადამიანია მოკლული;
- ფრთხილად, წინ საშიში სექტაა.


# სოხუმი გაეროს წინააღმდეგ წავიდა



საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს პირველი ცდით არაფერი გამოუვიდა — მან ვერ დაარწმუნა აფხაზეთის მთავრობა განსახილველად მიეღო უშიშროების საბჭოს 31 იანვრის რეზოლუცია. დიტერ ბოდენმა აფხაზური მხარის მიდგომას გაეროს რეზოლუციისადმი „არცთუ პოზიტიური“ უწოდა, თუმცა, მაინცდამაინც არც მოელოდა, რომ აფხაზეთი გაეროს ყველა რეკომენდაციას გაიზიარებდა, განსაკუთრებით იმას, რაც თბილისისა და სოხუმის კონსტიტუციური უფლებამოსილების განსაზღვრას ეხებოდა.

— საჭიროა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, — განაცხადა გაეროს საგანგებო წარმომადგენელმა, — მთავარია თბილისისა და სოხუმის პოზიციების დაახლოება, ეს კი ჭირს.

სოხუმში ჯიუტად იმეორებენ — აფხაზეთმა დამოუკიდებლობა 1993 წელს მოიპოვა და არაფრით აღარ დათმობსო. დიალოგი თბილისთან შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნება დიალოგი ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, — აცხადებს აფხაზეთის პრეზიდენტის თანაშემწე ასტამურ თანია და ამ აზრს იზიარებს პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენიაც.

გამოდის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუცია, რომელსაც თბილისში ისტორიული უწოდეს, ჰაერში გამოეკიდა. მაგრამ დიტერ ბოდენი ოპტიმისტურად არის განწყობილი.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მკაფიოდ აღნიშნავს, რომ თბილისი კვლავ დაბეჯითებით ითხოვს რუსეთის მედესანტეების მიერ კონტროლირებადი 24 კმ-იანი ზონის გაფართოებას მდინარე ენგურიდან მთელი გალის რაიონის ჩათვლით და ამ საკითხის დასმას აპირებს დსთ-ის ალმა-ათის სამიტზე. კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, თბილისი მზად არის სოხუმთან განიხილოს გაეროს პროექტი კონსტიტუციური უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ.

გაეროში უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან გამომდინარე, თბილისის პოზიცია აშკარა უპირატესობით სარგებლობს. სოხუმის სიჯიუტე კი მრავალ კითხვას ბადებს. ფაქტობრივად, აფხაზეთის მთავრობამ გაეროს ზურგი უჩვენა და სიტუაციას სულ უფრო ჩიხში აქცევს — უარს ამბობს სოხუმისა და თბილისის უფლებამოსილების განსაზღვრის დოკუმენტის განხილვაზეც კი.

ედუარდ შევარდნაძის აზრით, უშიშროების საბჭოს მსგავსი პრინციპული და მკაცრი დოკუმენტი აფხაზეთის საკითხზე არასოდეს მიუღია. თუ მსოფლიო საზოგადოებრიობა დარწმუნდება, რომ 31 იანვარს მიღებული რეზოლუციის რეკომენდაციები არ სრულდება, გაეროს „ძალის გამოყენებაც შეუძლია“. თბილისი არ მალავს, რომ ეს ქართული მხარისთვის საუკეთესო ვარიანტია.

***ბი-ბი-სი ნოვოსტი***

# ჩეჩნებს ჩეჩნეთში დააბრუნებენ...

## ვლადიმირ პუტინის ბრძანებით

პრეზიდენტმა პუტინმა საგანგებო სიტუაციების მინისტრს სერგეი შოიგუს საქართველოს პანკისის ხეობიდან ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების გეგმის შემუშავება დაავალა.

ამ ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული აქციის ჩატარების ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. ჯერ გაურკვეველია, რამ მიიყვანა ასეთ გადაწყვეტილებამდე საქართველოს მთავრობა, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ლიდერმა თავისი ინიციატივა დიპლომატიური გზებით ჯერ „რუსეთის პრეზიდენტს გააცნო“ და „ლტოლვილთა დასაბრუნებლად საჭირო ერთობლივი აუცილებელი ზომები“ შესთავაზა, მერე კი, ეს საკითხი რფ-ის უშიშროების საბჭოს მდივანთან ვლადიმირ რუშაილოსთან განიხილა. ამავე დროს, შევარდნაძემ აუცილებელი პირობა დააყენა, რომ ლტოლვილთა გაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ უცხოელ დამკვირვებელთა თანდასწრებით.

ქართული მხარის მონაცემებით, პანკისის ხეობაში დაბანაკებულ 6 თუ 7 ათას ლტოლვილთაგან ბევრი არც აპირებს ხეობის დატოვებას, რადგან ისინი ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ფედერალური ჯარების დაბომბვებსა და „წმენდებს“ გამოექცნენ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა პუტინმა შოიგუს დაავალა, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს ხეობიდან ჩეჩნების ევაკუაციის გეგმა.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტროში საგონებელში არიან ჩავარდნილნი, ჯერჯერობით არ იციან, როგორ განახორციელონ ეს ოპერაცია, რადგან შინ დაბრუნებას იმათ უპირებენ, ვინც ამის სურვილს გამოთქვამს. არც კი ვიცით, ვინ სად მოინდომებს დაბრუნებას, ან რა დოკუმენტები გააჩნიათ. არ ვიცით, ხეობაში მყოფთ როგორ შევატყობინოთ ამის შესახებ, — გაკვირვებას ვერ მალავენ მაშველები, რომელთაც, სხვათა შორის, არასოდეს აღმოუჩენიათ ჰუმანიტარული დახმარება ჩეჩენი ხიზნებისთვის (სამაგიეროდ, ეხმარებოდნენ და ეხმარებიან ლტოლვილებს ავლანეთში).

მაშველები ამბობენ, გეგმა, რომლის განსახორციელებლად პუტინმა ერთი კვირა მოგვცა, შედგება მხოლოდ „საქართველოდან მიღებული დაწვრილებითი ინფორმაციის შემდეგ“. თორემ, წარმოიდგინეთ, ხეობაში შესულებს ლტოლვილების მაგივრად ბოევიკები რომ დაგვხვდნენო, — შიშობენ რფ-ის მაშველები.

***იზვესტია №22***

# სოხუმს კვლავ მოსკოვის იმედი აქვს



თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის მოსკოვის წარმომადგენლობაში დაბეჯითებით უარყვეს — ვლადისლავ არძინბა არც საავადმყოფოში წევს და არც საოპერაციოდ ემზადებაო. შეგახსენებთ, რომ ჭორების თანახმად, აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი ბურდენკოს სახელობის ჰოსპიტალში მძიმე ოპერაციის შემდეგ, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არძინბას მხოლოდ გეგმური გამოკვლევა ჩაუტარდა და სოხუმში მალე დაბრუნდება. ხმა, აფხაზეთის პრეზიდენტს ჯანმრთელობა შეერყაო, ჯერ კიდევ შარშანდლიდან დაირხა. თანაც დამკვირვებლებმა არაერთგზის აღნიშნეს, თუ როგორ განმტკიცდა პრემიერ-მინისტრ ანრი ჯერგენიას პოზიციები. ანრი ჯერგენია თანამედროვე ფორმაციის პრაგმატული პოლიტიკოსის სახელით სარგებლობს, მაგრამ მისი აზრი თბილისთან ურთიერთობის საკითხში, სავსებით ემთხვევა სოხუმში გაბატონებულ შეხედულებებს. აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა არ აპირებს 1993 წელს მოპოვებული ფაქტობრივი სუვერენიტეტის დათმობას და ორიენტაცია საქართველოზე კი არა, რუსეთზე აქვს აღებული. თან ისიც ესმის, რომ მოსკოვზე მანევრირების შანსები შემცირდა — კრემლმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს პრეზიდენტი არაერთხელ გამოსულა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში სოხუმისთვის ყველაზე ფართო ავტონომიური სტატუსის მინიჭების ინიციატივით.

საგულისხმოა, რომ ქართველ და აფხაზ მეთაურთა შორის ძალიან კორექტული დამოკიდებულებაა. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, შევარდნაძე და არძინბა არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს, ცდილობდნენ არა მარტო პოზიციების დაახლოებას, არამედ უამრავი ლტოლვილის ბედის შემსუბუქებასაც. ამიტომ, საფიქრალია, რომ ცნობები, აფხაზეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუარესების თაობაზე, არ უნდა ესიამოვნოს თბილისის პოლიტიკურ წრეებს. რადგან მათთვის უფრო სასურველია საქმე იქონიონ ნაცად პოლიტიკურ ოპონენტთან, ვინაიდან იციან, მოლაპარაკების პროცესში რას უნდა ელოდონ მისგან.

მიუხედავად იმისა, რომ გადაუწყვეტელია მთავარი საკითხი აფხაზეთის სტატუსის შესახებ, გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოდავე მხარეების ურთიერთობა არა მარტო შესაძლებელია, არამედ ზოგიერთ საკითხში შეიძლება ნაყოფიერიც აღმოჩნდეს. ეს კი, თავის მხრივ ურთიერთსასარგებლო კომპრომისის მიღწევის იმედსაც იძლევა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №15***

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინითხობენ

**2 წლის დათა თადუმაძის** დედამ სამსახურიდან დარეკა. — ჯერჯერობით შინ ვერ მოვდივარო. დათამ დედის ხმის გაგონებაზე ტირილი დაიწყო.
— რა გატირებს, დათა! — ჰკითხა ბებიამ.
— დედიკო ტელეფონში ჩაძვრა და ველარ მოდის, — ქვითინებდა პატარა.

***

**6 წლის თამთა თუჯიშვილი** სეირნობის დროს ეკითხება დედას:
— დედა, შენ ხომ ყველაზე ძლიერი ხარ?
— კი, — დედას არ უნდა ბავშვს იმედი გაუცრუოს.
— დევს მოერევი?
— აბა რა! — კვლავ თავდაჯერებულად პასუხობს დედა.
— ალქაჯს?
— კი.
— უკვდავ კაშჩეის?
— რაზეა ლაპარაკი?!
— შევარდნაძესაც?
დედა უცებ გაჩუმდა.
— აუ, მიდი რა, დედა, მოერიე!

***

მამა წიგნს კითხულობს. **5 წლის ნატო იარაჯული** ეკითხება:
— მამიკო, ამ წიგნს სარჩული აქვს (სარჩევი)?

***

**4 წლის რეზიკო ბაქრაძემ** ბებიას აუწყა:
— ბებო, მე და დედა ეკლესიაში ვიყავით და მე ღმერთი დავლოცე!

***

**4 წლის ნინუცა ხუციშვილი** დედას ეკითხება:
— დედიკო, პეპელა ფრინველია?
— არა, მწერია, — პასუხობს დედა.
— რატომ, სულ წერს? — იკითხა გაოცებულმა ნინუცამ.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ, ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ გაზაფხულის მახარობელი ყვავილის სახელს.

II



## იპოვე 13 განსხვავება





გამოიცანი, რომელი პეპლის ორეული დაიჭირა ბიჭმა

დააწყვილე საგნები





პუდელს ბულდოგზე მეტი ძვალი აქვს, სპანიელს — პუდელზე მეტი, ბალონკას კი — პუდელზე ნაკლები. გამოიცანი, ვის აქვს ყველაზე ბევრი და ყველაზე ცოტა ძვალი?

რომელი არხით უნდა მორწყას გოგონამ თავთავი?





იპოვე ორი ერთნაირი სახე



## I რებუსი





ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

## ჭიაყელა

| მაიმუნის სახეობა | ... საიდან მოდიხარო | გაზაფხ. მახარობელი | მელია რუსულად | ხელმა ... დაბანა, ორივემ კი პირიო (ანდ.) | ფუტკრის სახლი | მდინარის ნალექი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სტალინის მშობლიური ქალაქი | თამარის ძე ...-გიორგი | პიანინოს უფროსი ძმა | ... გატეხას, თავის გატეხა სჯობიაო (ანდ.) | საწერ-... |
|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მობრძანდი, ილუზიონ ბიძია!..



საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი, მეტად პოპულარული გადაცემა „ილუზიონი“ იყო, რომლითაც მაყურებელი მსოფლიო კინოს ისეთ შედევრებს გაეცნო პირველად, როგორიც იყო „ომი და მშვიდობა“, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „როკო და მისი ძმები“, „ორნი ქალაქში“, „მონპარნას-19“, „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“, „ქარწაღებულნი“ და მრავალი სხვა. ქუთაისელებზე ხუმრობდნენ კიდეც, კვირის დღეებს ასე ითვლიანო: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და... ილუზიონი!

ჰოდა, ეს ამბავიც, ახლა რომ მოგითხრობთ, სწორედ ქუთაისში მოხდა.: ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ოთარ სეფიაშვილი, „ილუზიონის“ ცნობილი წამყვანი, ქუთაისში ჩავიდა მატარებლით და ტაქსის გაჩერებასთან მივიდა. რიგში რამდენიმე კაცი იდგა, რომელთაც ერთი ახალგაზრდა გამოეყო, ბატონ ოთართან მივიდა და შინაურივით უთხრა:

— გამარჯობა, ილუზიონ ბიძია, მობრძანდი, ჩემს რიგს გითმობ და თვითონ რიგის ბოლოში გადაინაცვლა.

„ილუზიონად“ მონათლულ ბატონ ოთარს ისღა დარჩენოდა, ტაქსიში ჩამჯდარიყო...

**„კვირის პალიტრის“ მემატიანე**

## წაქცეულს ავაყენებო!..



ჩემმა ახლობელმა, ნოე გაჩეჩილაძემ ბათუმიდან მშვენიერი რუსის ქალი ჩამოიყვანა. პატარძალმა სულ რამდენიმე სიტყვა იცოდა ქართულად, მაგრამ მეუღლის ახლობლებს პირობა მისცა, სულ მცირე ხანში ქართულსაც ვისწავლი და ხინკლის გაკეთებასაცო...

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, რუსმა რძალმა ხინკლის გაკეთებაც ისწავლა და მოხვეული ქადებისაც... ოღონდ ქართულში ისევ „მოიკოჭლებდა“. ერთხელაც, მეზობლის მოხუცი კაცი ეკითხება: — რა ჰქენი, რძალო, ისწავლე ქართული?

— კი, როგორ არა, წაქცეული ავაყენებ! (უნდოდა ეთქვა — გაქცეულს მოვაბრუნებო)...

**ავთანდილ ხარაზიშვილი, თბილისი**

## მშვიდად დაიძინე, მამი!..



ეს ამბავი ჩემს ოჯახში მოხდა.

ერთხელ, გვარიანად ნაბახუსევი ვიწექი და თავი მისკდებოდა. კარგა ხნის გათენებული იყო, მაგრამ ვერა და ვერ ავიღე თავი ლოგინიდან.

ქალების ამბავი ხომ იცით, ჩემმა მეუღლემ სულ წიოკობით გამაღვიძა და თან „დავალებაც“ მომცა:

— ადე, შე არგასახარელო, ვირთხამ იატაკი სულ ამოჭრა, ცოტა სიმინდილა დაგვრჩა და იმასაც შეგვიჭამს, ამოსასვლელი მაინც ჩაუკეტე!..

ახლავე-მეთქი, წავილუღლუღე და მეორე გვერდზე გადავბრუნდი...

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი 7 წლის „ვაჟკაცი“ მაღვიძებს:

— ნუ გეშინია, მამი, მშვიდად დაიძინე. ის სიმინდი სულ იმ ნახვრეტში ჩავყარე და ვირთხა მაღლა ველარ ამოვა!..

**მიხო, ყვარელი**

## ბაუბებრობის „მახვერპლი“

იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ჩემი მამიდაშვილი თენგიზ დუნდუა, ერთხელ ოზურგეთის ცენტრში ჟიგულზე მიყრდნობილი იდგა ბირჟაზე. ამ დროს, სად იყო და სად არა, „კალიასკიანი“ მოტოციკლეტით მიუახლოვდა ინსპექტორი და მანქანის გადაყენება უბრძანა.

— არსადაც არ გადავაყენებ და რამდენი ხანიც მინდა, აქ ვიდგები! — გაბედულად უპასუხა თენგომ.



— მაშინ წავალ, ძამა და ბრეზენტს მოვიტან, გადავაფარებ შენს მანქანას, არ გაგიფუჭდეს, წვიმას აპირებს, მგონი! — ხუმრობა სცადა ინსპექტორმა („სტარშინამ“).

ახლა თავის მხრივ თენგომ დაუსვა შეკითხვა ინსპექტორს:

— რამდენი ხანია მილიციაში მუშაობ?

— რამდენი და 25 წელი...

— ბიჯოს! ყოველ წელიწადს კონიაკს ემატება თითო ვარსკვლავი და შენ რაია აგი, ვარსკვლავის მაგივრად ჩალა რო გახატია მაგ პაგონზე?

— დასაჯარიმებელი ხარ და აქით დამცინი? ახლავე მომეცი საბუთები! — გაცხარდა „სტარშინა“.

— საბუთები არა, რა გინდა კიდევ!

— მაშინ ნომრებს მოგიხსნი!

— აბა, გაბედე, თუ მაგარი ხარ!

გაბრაზებულმა ინსპექტორმა დააძრო ქანჩსაღები („კლუჩი“) და დაიწყო უკანა ნომრის მოხსნა. დიდი ხნის ჯაჯგურის შემდეგ ძლივს მოხსნა.

— ახლა წინა ნომერიც მოხსენი, თუ ვაჟკაცი ხარ!.. — არ ეშვება თენგო.

ამაზე სულ გაგიჟდა ინსპექტორი და ახლა წინა ნომრებს დაეძგერა. დიდი ხნის წვალების შემდეგ ისიც მოხსნა, ჩაყარა „კალიასკაში“, დაიძრა ადგილიდან და თან თენგოს დაექადნა, მობრძანდები ინსპექციაში და იქ გაჩვენებ სეირსო.

— რა სეირი უნდა მაჩვენო, „პრავა“ ცხოვრებაში არ მქონია და ეს ჟიგულიც არ ვიცი ვისია!.. — მიაძახა „სტარშინას“.

გაისმა მსუბუქი შეჯახების ხმა და გონმიხდილი ინსპექტორი თავისი მოტოციკლეტით ხეს შემოეხვია...

**ბენჟამენი, ბათუმი**

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკიას დილით ბირჟაზე ცინცხალი ამბავი უთხრეს: — გაიგე ბიჭო, ჩვენი მთავრობის მეთაური გაუტაციათ და გამტაცებლები 5 მილიონს თხოულობენ, თორემ... გამოვუშვებთო!..



ჭიჭიკია თბილისში მგზავრობს ავტობუსით. მიეპარა ქურდი და ჩაუყო ჯიბეში ხელი. ისიც მაშინვე მიხვდა და ხელი მაგრად მოუჭირა ხელზე. ქურდმა იყვირა:

— ვაიმე, რევმატიზმი მაქვს, ხელი მტკივა!

— მერე ბიძია, ჩემი ჯიბე წყალტუბო ხო არ გგონია! — მშვიდად მიუგო ჭიჭიკიამ.

**ნიკო გორგი, თბილისი**



მოსამართლე: — თქვენ პასუხი უნდა აგოთ ბანკის გაქურდვის მცდელობისათვის.

ბრალდებული: — რა ქურდობა ბატონო, მე თქვენ ისე ნუკი მიყურებთ, ჩემი შემოსავალი ექვსი ნულით ბოლოვდება.

— მაშ, ბანკში რა გინდოდა? — ჰკითხა მოსამართლემ.

— ეჰ, იმ ექვსი ნულის წინა ციფრს ვეძებდი, — უპასუხა ქურდმა.

**მარიამ გელაშვილი, სურამი**

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## „გორაობა“ სამარშრუტო ტაქსიში



ეს ამბავი შარშან, 31 დეკემბერს საკმაოდ გვიან, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას გადაგვხდა ვარკეთილის მეტროდან ვაზისუბნისკენ მიმავალთ. ახალი წლის დადგომამდე მცირე დრო რჩებოდა და, რა თქმა უნდა, ყველას შინ მიგვეჩქარებოდა. რაღაც ეშმაკად, მანქანა შუა გზაში გაფუჭდა... მამაკაცები მაშინვე ჩამოვედით და ვცდილობდით დავხმარებოდით მძღოლს. მანქანას ხან წინ ვაწვებოდით, ხან უკან, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვერა და ვერ დავქოქეთ. კარგად რომ დავიქანცეთ ამ საქმით და თან შეგვცივდა, მანქანაში ავედით, ჩემ გვერდით ერთი შეღებილ-გამოპრანჭული ახალგაზრდა ქალი იჯდა და გამწარებული მობილურზე ყვიროდა — იქნებ გამომიდგეთ, ერთი საათია ეს მძღოლი წინ და უკან მაგორავებს და მაინც ვერაფერს აკეთებს, თუ ჩამოხვალთ მანქანით და წამიყვანთ, კარგია, თუ არა ამ მძღოლთან მომიწევს ახალი წლის გათენება აქეთ-იქით გორაობაშიო. ცოტა ხანში გამწარებული ახალგაზრდა კაცი მოვარდა და წაიყვანა თავისი „ნაგორავები“ კნეინა... ბედად ჩვენი ტაქსიც დაიქოქა...

**ტ. ჭიოკაძე, თბილისი**

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი



ალიბაბა — ცეცხლი, მამიკო!
არისტოტელე — ტელევიზორი აჩვენებს, ტო
ასტრახანი — „ასტრის“ ხანი (მონოპოლისტი)
კალამბური — ბურების საწერი მოწყობილობა
კაკადუ — ორი კანფეტი
კანიბალი — ბლის ქერქი
კალენდარი — მაჩუქე მუხლები
კარტოფილი — კარტის ტრფიალი
ლეიბორისტი — ორლეიბოსანი
კოკორი — ორი გემის მზარეული
კურტანი — ქათმის ტანი
კურანტები — ქათმის მოწინააღმდეგენი

**მახარე წიკლაური, თბილისი**

# რომ გამიშვან მინდორ-ველში, ჩემთვის, ჩემს ნებაზე...

**ვისაც ახსოვს საქართველო გასული საუკუნის ორმოციან წლებში, აუცილებლად გაიხსენებს ჯიბეში დებისგან გაცრეცილ, მრავალჯერ გადაწერილი ლექსების კრებულს. მათ ავტორს შემდეგ არაერთხელ უწოდეს პოეზიის დედოფალი. გავიდა წლები, ამ ხნის მანძილზე ქალბატონმა ანა კალანდაძემ ბევრი მკითხველი მონუსხა თავისი ჯადოსნური სიტყვით. ბევრს კიდევ მონუსხავს, რადგან ჭეშმარიტ ხელოვნებას დროის დინება ელფერს ვერ უცვლის.**

**ქალბატონ ანას შინ, კედელზე, სხვა სურათებს შორის უკიდია ხიდისთავის პეიზაჟიც, რომელზეც მხატვარს პოეტის ეზო და ოდა დაუხატავს...**

— მე ხიდისთავში კი ვარ დაბადებული, მაგრამ იქ არ მისწავლია. ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე. ხიდისთავში მხოლოდ ზაფხულობით ჩავდიოდით. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი მაქვს მოსაგონარი... ერთხელ ისიც კი მკითხეს, გურიაში გატარებული რომელი კალანდა გახსენდებათ ყველაზე მეტადო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთ კალანდობას მე გურიაში არ დავსწრებივარ, ზამთარში იქ არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი ლექსი, „შემოდიოდა ჩვენში კალანდა“, წარმოსახვით მაქვს დაწერილი, მაგრამ წარმოსახვა ზოგჯერ შეიძლება ყველაზე რეალურიც იყოს. ერთი ამბავი მახსენდება: რადიო ჩავრთე. მუსიკას გადმოსცემდნენ. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ „რიწის ტბა“ იყო, რატომ მოხდა ასე, დღესაც არ ვიცი. დამთავრდა და გამოაცხადეს: გადმოცემული იყო ანდრია ბალანჩივაძის „რიწის ტბა“. არ არის ეს დამთხვევა საოცრება? მერე, როცა ბატონი ანდრია გავიცანი, სხვათა შორის, ეს ამბავი ვუამბე. მითხრა: ამ სიმფონიურ სურათს რომ ვწერდი, რიწის ტბა თვალით არ მქონდა ნანახი. ნანახი რომ მქონოდა, შეიძლება აღარც დამეწერაო. მერე თავადვე დაასკვნა: ხედავთ, წარმოსახვა რამდენად უფრო ძლიერია, ვიდრე სინამდვილეო...

**— მაგრამ მაინც შორეულ რეალობას მივუბრუნდეთ: თქვენს ბავშვობას ვგულისხმობ.**

— არ ვიცი, ალბათ ყველასთვის ასეა — სკოლის წლები და სკოლა კარგა ხანია მომყვება გვერდიგვერდ. ეტყობა, რაც უფრო ხანში შედის ადამიანი, ბავშვობის წლები უფრო მეტად უდგას თვალწინ. ძალიან ცელქი ვიყავი, განსაკუთრებით შვიდწლედში... მერვე კლასში რომ გადავედი, მერე დავდინჯდი, არ ვიცი, რატომ.. მანამდე კი, თუ სოფელში ვიყავი, ღელე-ღელე დავდიოდი ბავშვებთან ერთად. ისინი თევზაობდნენ, მეც ვერთობოდი... ბავშვობა უმთავრესად ქუთაისში, რიონის პირას მაქვს გატარებული... მასწავლებელს გაკვეთილზე თვალს არ ვაშორებდი, მაგრამ ზარი რომ დაირეკებოდა, პირველი მე გავვარდებოდი ხოლმე გარეთ. ამას ხომ ვერავინ დაიჯერებს? ცოტა რომ წამოვიზარდე, სკოლიდან მეგობრებთან ერთად პირდაპირ ბაგრატის ტაძართან მივდიოდი, იქიდან კი წყალწითელაზე გადავდიოდით იების საკრეფად. სხვა რა გიამბოთ... ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. ეს კი იყო, მიყვარდა უფროსებთან ურთიერთობა. სოფელში მყავდა ერთი მეზობლის ქალი, ბებიაჩემის ტოლი. ის მიმაჩნდა მეგობრად, სულ მიმიხაროდა მასთან.

**— საკუთარ ბებიასთან არ მეგობრობდით?**

— არც ერთი ბებია არ მახსოვს... მე მამის დედის მოსახელე ვარ. შარაშიძის ქალი იყო, ჩემს დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა და მისი სახელი იმიტომ დამარქვეს. დედაჩემის დედა ნახევრად პოლონელი იყო. ჩვენი წინაპარი — იან ბუძინსკი — ზარმაცი ბიჭი ყოფილა და მამამისს ძმის ნაცვლად გაუგზავნია ჯარში. ჯერ ბათუმში მოხვედრილა, მერე ქუთაისში. მამაზე განაწყენებულს უკან დაბრუნებაზე აღარ უფიქრია. საქართველოში დაოჯახებულა. თუმცა, ბოლოს სულ ნანობდა თურმე პოლონეთში რომ არ დაბრუნდა. ბებიაჩემი, ნადეჟდა ბუძინსკაია წარმოსადეგი ქალი ყოფილა. მისი ლორნეტი მაქვს შენახული, როგორც საგვარეულო რელიკვია. სხვათა შორის, შესანიშნავად ვხედავ ამ ლორნეტით. კარგად მახსოვს დედაჩემის მამა — ვასილ სულავა. არაჩვეულებრივი კაცი იყო. დილით, ბავშვები რომ ვიღვიძებდით, ბალიშის ქვეშ ყოველთვის ვპოულობდით რაღაც სასუსნავს — ამას ბაბუა გვახვედრებდა.

**— თქვენს აღზრდაში თურმე მამიდებსაც დიდი წვლილი მიუძღვით...**

— წერა მეხუთე კლასიდან დავიწყე. ეს ამბავი ფოცია მამიდას უკავშირდება: ერთ ზაფხულს სოფელში ვიყავით, ეტყობა, ძალიან ვცელქობდით, ვეღარ გაგვიძლო მამიდამ, დაგვსვა ეზოში, ოდის წინ და საინტერესო ამბების მოყოლა დაიწყო. მთვარე ამოდიოდა, მისი ნათელი დაეფინა მთებს. ამან გაგვაოცა, ყურადღება გაგვეფანტა. მოგეწონათ? — გვკითხა მამიდამ, — აბა, ამაღამ იფიქრეთ და იქნებ, დილისთვის აღწეროთ ეს სურათი და დაწეროთო. მთელი ღამე არ მიძინია. დილით ლექსი მივართვი მამიდას — „ბადრი მთვარე“. შეკრიბა ოჯახის წევრები, წაუკითხა და ძალიან მოიწონა, ცაში ამიყვანა ქებით. მამიდა ასე რომ არ მოქცეულიყო და რამე დაეწუნებინა, ხომ აღარასოდეს მოვკიდებდი კალამს ხელს! მახსოვს, ის კი არ მიხაროდა, რომ რაღაც მოვახერხე, მიხაროდა, რომ მამიდას სურვილი ავუსრულე. მერე მამიდა სულ დაინტერესებული იყო ჩემი შემოქმედებით. ის, რომ ვიღაცა დაინტერესებულია შენით, ბევრს ნიშნავს, სკოლა რომ დავამთავრე, მამიდასთან ვცხოვრობდი თბილისში. ვწერდი, მაგრამ არავის აღარ ვაკითხებდი. მამიდა იმას კი არ მთხოვდა, წამაკითხეო, — მითხარი, თუ მუშაობო, მეკითხებოდა. ვწერ-მეთქი ვპასუხობდი და ისიც მშვიდდებოდა. 7 წლისა ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა, მაგრამ მამიდების წყალობით ობლობა არ მიგრძვნია.

**— თქვენ შესანიშნავი არქივი გაქვთ, იქ ბევრი საინტერესო წერილი ინახება...**

— წარსული, რაც არ უნდა კარგი იყოს, არ მაინტერესებს. კარგიც ბევრი მინახავს, ცუდიც, მაგრამ მაინც მხოლოდ მომავლისკენ ვიყურები. არადა, რა რჩება ჩემთვის მომავალში...



**— მაგრამ წარმოუდგენელია, არ გენატრებოდეთ წარსულის კუთვნილებად ქცეული თქვენთვის ძვირფასი ადამიანები...**

— რა თქმა უნდა. მონატრება ყველასთვის არსებობს, ჩემთვისაც ასეა... მამა რომ გარდამეცვალა, მაშინ ვერ განვიცადე, პატარა ვიყავი. დიდობაში სულ მენატრებოდა. რამდენი კარგი ადამიანი იყო ჩემ გვერდით, ერთმა ახალგაზრდა მწერალმა მითხრა, — რა ბედნიერი ხართ, თქვენ სიმონ ჩიქოვანს მოესწარითო... თუნდაც ეს რად ღირს! გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია — რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთ რამეს ნამდვილად მივხვდი: ადამიანურ ურთიერთობებზე საინტერესო არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე. ჩემს იღბლად ვთვლი, — ჩემი ლექსები რომ დაიბეჭდა პირველად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი იყო. ლადო ავალიანმა დაწერა ერთგან: სადაც იყო სიმონ ჩიქოვანი, ლიტერატურული ცენტრიც იქ იქმნებოდაო. ერთხელ გიორგი ნატროშვილმა მიამბო: როცა შენი ლექსების შესახებ ვუთხარი ბატონ სიმონს, პარტიული კრება იწყებოდა. ვთხოვე, იქნებ კრების შემდეგ ამომყვეთ-მეთქი. მან კი მიატოვა ყველაფერი და წამომყვაო. აი, ასეთი იყო სიმონ ჩიქოვანი. თუნდაც ერთი სტრიქონი, ან ერთი სიტყვა რომ მოსწონებოდა ახალგაზრდა მწერლისა, კლდესავით დადგებოდა და დაიცავდა... ახალგაზრდებმაც იცოდნენ, რომ ასეთი იყო და სულ მასთან ტრიალებდნენ. მისი სახლი ახალბედა ავტორთა წიგნებითა და ხელნაწერებით იყო სავსე. ბატონ სიმონს იშვიათი, საოცარი ნიჭი ჰქონდა — ახალგაზრდის დანახვის და შეგრძნების ნიჭი. საეჭვოა, ამგვარი რამ ვინმეს ჰქონდეს კიდევ. ეს, ჩემი აზრით, ხელოვნების ნიჭზე გაცილებით დიდია...



**ახალგაზრდა მწერალთა კონფერენციის მონაწილენი. 1947 წელი**
**სხედან: ანა კალანდაძე, სიმონ ჩიქოვანი, ცკ-ის წარმომადგენელი, ალექსი გომიაშვილი; დგანან: ცკ-ის წარმომადგენელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ხუტა ბერულავა, მურმან ლებანიძე, ცკ-ის წარმომადგენელი.**

განსაკუთრებით, იცით, ვინ მენატრება? — ქეთო მაღალაშვილი. არაჩვეულებრივი ქალი იყო. როცა ჩემს პორტრეტს ხატავდა, გაუთავებლად მელაპარაკებოდა, იგონებდა თავის მეგობრებს... მიამბობდა გრიგოლ წერეთელზე, ვისი ხსენებაც, როგორც „ხალხის მტრისა“, აკრძალული იყო.

**— თქვენ ბრძანეთ, ცუდიც ბევრი მინახავს და კარგიცო. ალბათ ბევრი გაჭირვება გახსოვთ, თუნდაც 40-იან წლებში, ომის დროს...**

— ყოფითი გაჭირვება კი იყო, მაგრამ მამიდასთან ვიყავი და არაფერი მიგრძვნია. მამიდაჩემი დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ და რაღაც შეღავათები ჰქონდა. მახსოვს, როგორ მთხოვდა, — ტრამვაიში არ ჩაჯდე, ფეხით იარეო. მაშინ ტრამვაიში ხალხმრავლობა იყო, ანტისანიტარია და ადვილად შეგეყრებოდა სახადიც. მეც ვუჯერებდი და მაშინდელი კლარა ცეტკინის ქუჩიდან უნივერსიტეტამდე ფეხით დავდიოდი. ხომ ომი მძვინვარებდა — ქვეყანაში მაინც არაჩვეულებრივი წესრიგი იყო. შუაღამითაც რომ გასულიყავი, არაფრის შეგეშინდებოდა, პატრულები დადიოდნენ. ახლა არც ომია და არც არაფერი, მაგრამ...

**— თქვენ პოეტი ბრძანდებით, თუმცა თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრეთ. ეს გრამატიკის ჯგუფი იყო და არა ლიტერატურისა. რატომ გააკეთეთ ასეთი არჩევანი?**

— მეორე კურსიდან გადავედი კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. რა ვიცოდი, რა მელოდა იქ... მე ხომ არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა ამ ჯგუფში სწავლა. უბრალოდ, ჩემი პოეტური მოსაზრებით, კავკასია, კავკასიელი ხალხი, მათი ყოფა და ენა მაინტერესებდა. აღმოვჩნდი გრამატიკის ცივ სამყაროში. თავიდან ოთხნი ვიყავით, სამი უკანვე გაიქცა. მე დავრჩი იმიტომ, რომ განსხვავებული საგნები მქონდა ჩაბარებული და დამენანა გამოცდების ხელახლა ჩაბარება. ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა. რატომ ვამბობ ამას, იცით? აქ გაძლიერებულად ისწავლებოდა ძველი ქართული ენა და როცა ბიბლიის სახელსაც კი ვერ ახსენებდი ქვეყანაში, ჩვენ ეს წიგნი ხელში გვეჭირა. ჩვენი ფაკულტეტისთვის ეს დაშვებული იყო. სხვანაირად ძველ ქართულს ვერ ვისწავლიდით. აი, ეს ბედნიერება მქონდა. დავამთავრე და ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ შემომთავაზა მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

**— ბატონი არნოლდი ვერ მიხვდა, რომ თავს გრამატიკის ცივ სამყაროში გრძნობდით?**

— არა... ალბათ, არ უგრძვნია. მარტო ვიყავი ამ გარემოში. ამან ასახვა პოვა ჩემს ლექსებში. 1952 წელი იდგა. მიმდინარეობდა მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულზე. საჭირო იყო მასალების შეგროვება. ბატონი არნოლდი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს აღმოსავლეთ საქართველოში გვიშვებდა, აღმოსავლელებს — დასავლეთში. ასე აღმოვჩნდით ფშავში მე და ჩემი მეგობარი ნუნუ საყვარელიძე. ჩვენ ფშავი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ვიცნობდით დედიკა, თინათინ, ირაკლი, გიორგი ოჩიაურებს და იქ მათი ოჯახი გვეგულებოდა. ფშავში მათ მშობლებთან — ალექსი ოჩიაურსა და ნათელა ბალიაურთან ვცხოვრობდით. ძალიან კარგი ხალხი იყო. ამ ოჯახმა რამდენი კარგი ადამიანი მისცა სამშობლოს. ალექსი ოჩიაურს, დეიდა ნათელას, მათ ქალიშვილს — თინათინს ბევრი საინტერესი ეთნოლოგიური წიგნი აქვთ გამოცემული... ირაკლი და გოგი ოჩიაურებს ხომ ყველა იცნობს. დედიკაც შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება იყო. ამ ოჯახზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი. დეიდა ნათელა არაჩვეულებრივი ქალი გახლდათ. დედის ტოლი იყო და მეგობარივით კი გვექცეოდა. მასალების შეკრების დროს კარდაკარ დაგვყვებოდა. მისი ძმა იყო ცნობილი მწერალი ლადო ბალიაური. იგი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. აღმერთებდა მას. ახლაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები. როცა რამეზე დაიფიცებდა, ამბობდა: ჩემის ლადოს მზემაო. ის აგვყვა პირველად ლაშარის წმინდა მთაზე, მაშინ მივუძღვენი:

„მარჯვე მუხლი გაქვს, ნათელავ,
გული — ყელთამდე მდიდარი.
ლემადესავით გადავლე
გზები ფეხმოუკიდარი...“

ძალიან გაეხარდა. მისი პირადი წერილები ბევრი მაქვს შენახული. ნათელას ჰყავდა დედა, 90 წელს მიღწეული ლელა წიკლაური. ბერდედას ეძახდნენ ბავშვები. ბერდედა ხევსურულად ბებიას ნიშნავს. გურამ თიკანაძეს ფოტოფირზეც ჰყავს აღბეჭდილი. ფოტოს „საუკუნის ქალი“ ჰქვია. საკვირველი იყო ლელა წიკლაური. ქისტები ხომ ხევსურების მტრები იყვნენ ისტორიულად, ის კი მათ ქება-დიდებაში იყო. ვკითხე: რატომ აქებთ ასე ქისტებს, ისინი ხომ მტრები არიან-მეთქი და — რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნესო, მომიგო. მათ შეეძლოთ მტრის ვაჟკაცობის დანახვა. თუ ვინმე მოეწონებოდათ თვალტანადობით, ქისტებს ადარებდნენ. განა ეს საოცარი არ არის? ამან დამაწერინა „რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედა“. დეიდა ნათელა, იცით, როგორი იყო? თავისი ხევსურეთისთვის კვდებოდა. სულ ცდილობდა, მისთვის არაფერი მიეკლო. დაგვიჯდებოდა აივანზე ხელსაქმით ხელში და გვიყვებოდა თავისი წარსულის, ახლობლების შესახებ... პირველად ძალიან მეუცხოებოდა ხევსურული. მერე გამეხედნა ყური, მივეჩვიე.

საერთოდ, თავიდან ბევრი რამ მეუცხოებოდა. პირველად იქ ვნახე არაგვის პირზე ბორბოლიჭყები — ბროლნარევი კენჭები. ისე მომეწონა — ვაგროვებდი. ბოლოს, აღმოჩნდა, იმდენი მომეგროვებინა, „სახლი აშენდებოდა“. ამდენს ხომ ვერ წამოვიღებდი თბილისში! ცოტა ავიღე, დანარჩენი კი დეიდა ნათელას ეზოში მიმოვაბნიე. მეორე წელს ისევ ჩავედით ფშავში და რა ვნახე! დეიდა ნათელას მოეგროვებინა ჩემი გადაყრილი ბორბოლიჭყები, ჩაეყარა ბადეში და კედელზე ჩამოეკიდა. შემრცხვა. ახლაც კი, როცა მახსენდება ამ ბორბოლიჭყების ამბავი, მრცხვენია დეიდა ნათელასი.

შატილში პირველად დედიკა ოჩიაურმა აგვიყვანა. როგორც კი გამოზაფხულდებოდა, ვიცოდი, დარეკავდა დედიკა და გვეტყოდა, — გეგმა მაქვს შედგენილი, წავიდეთ არხოტში ან შატილშიო... პროფესიით ბოტანიკოსი იყო და ყველა ყვავილის, ბალახის სახელი იცოდა. ერთხელ ფშაველ ქალს ვკითხე ერთ მინდვრის ყვავილზე — ამას რა ჰქვია-მეთქი? ყვაილიო, — მითხრა. სახელი არ იცოდა. დედიკამ ყველაფერი იცოდა. ახლაც კი ალპური მდელოები და კლდეები დედიკას მაგონებს, ახლაც სულ მისი ხმა მესმის, თითქოს უცხო ყვავილი უჭირავს ხელში და გვეძახის, უნდა გაგვაცნოს...

**— როგორი ცხოვრებით გინდოდათ გეცხოვრათ და როგორ იცხოვრეთ? დიდია სხვაობა თქვენს ნაოცნებარსა და სინამდვილეს შორის?**

— არც თქვენ დამიჯერებთ და არც დღევანდელი ახალგაზრდები, მე კი მართლა დაუფიქრებლად მივყვებოდი ცხოვრების დინებას. რაც შემემთხვეოდა, კარგი იყო თუ ცუდი, ალბათ, ასეც იყო საჭირო... კმაყოფილი ვიყავი ყველაფრით. ყოფიერება თითქოს არც არსებობდა. ჩემთვის არაფერი არსებობს იმაზე უფრო სასურველი, ვიდრე მშვიდად, მარტო, უცხო თვალის გარეშე ყოფნაა. რომ გამიშვან მინდორ-ველში, ძალიან კარგად ვიქნები, ჩემთვის, ჩემს ნებაზე, ბუნებასთან ახლოს.

**— ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა გიხდებოდათ. მაინც როგორ გადაურჩით იმ საშინელ წლებს, ღმერთისა და ჯვრის ხსენება რომ არ შეიძლებოდა? თქვენ კი წერდით, „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა, და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი..“**

— იყო წინააღმდეგობა. ჩემს გამო რედაქტორები ცეკაშიც გამოუძახებიათ, მაგრამ შიში არ მიგრძვნია, ხალხის სიყვარულს ვგრძნობდი.

**— ღვთის ნებით, სულ ყურადღების ცენტრში ბრძანდებით, მკითხველის ქებით, სითბოთი გარემოცული...**

— სასიამოვნოა, როცა აუგად არ გახსენებენ, თორემ ქება სულ არაფერს ნიშნავს ჩემთვის. ნამდვილი სიხარული სულ სხვა არის, სიტყვით ვერც კი იტყვი... ხალხის ყურადღების ცენტრში ყოფნა არ არის ჩემი საქმე, არ მიყვარს გამოსვლები და შეხვედრები. როცა ასეთი რამ ხდება, ყოველთვის თავს ძალას ვატან ხოლმე. რაც დრო გადის, უფრო და უფრო განვიცდი ყველაფერ ამას. ვერ შევეჩვიე — ვერც შევეგუები. თურმე ადამიანი როგორიც დაიბადება, ისეთი რჩება ბოლომდე... რა ვქნა, იმდენად არ მიყვარს განსაკუთრებული ყურადღება, მაღაზიაშიც კი რომ მიცნონ, იქ მეორედ აღარ შევალ...

**— ერთხელ, მახსოვს, ბრძანეთ, გამოცდები არ მიყვარდაო. ალბათ ესეც ყურადღების ცენტრში ყოფნის გამო...**

— გამოცდა ვის უყვარს?! ეს ხომ რაღაც საშინელებაა. სახელმწიფო გამოცდები რომ მქონდა უნივერსიტეტში, ვფიქრობდი: აი, დამთავრდება ეს და თავისუფალი ვიქნები-მეთქი... რა ვიცოდი, თურმე მთელი ცხოვრება გამოცდა ყოფილა...

**პოეტთან საუბარი, თანაც ისეთ პოეტთან, როგორიც ქალბატონი ანა კალანდაძეა, უსასრულოდ გინდა... მაგრამ მის პორტრეტს ყოველთვის დააკლდება შტრიხები. შემოქმედი მაინც სხვაგან რჩება. თვითონვე ამბობს ერთ ლექსში: „არსება ჩემი ნამივით ბალახებზეა ცვრეული“. დანარჩენი ამ მოციმციმე ნამის დანახვითა და შეგრძნებით უნდა შეივსოს...**

**ლელა ჯიყაშვილი**

# სახელმწიფოს ბედით დაინტერესებულ ქართველ პოლიტიკოსს ჯერ არ შევხვედრივარ



*აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ახალი ანუ ცხენის წელი 2002 წლის 12 თებერვალს დგება, წყლის ცხენიც ამ დღიდან შეუდგება მბრძანებლობას. სწორედ ამიტომ მოვიწვიე სტუმრად გადაცემის — „ვარსკვლავები გვამცნობენ" ავტორი და წამყვანი* ***მიხეილ ცაგარელი.***

**— ბატონო მიხეილ, რას უნდა ველოდოთ ამ წელში, რით იქნება იგი განსხვავებული, გასული, გველის წლისაგან?**

— რევოლუციური, მაგრამ ზანტი გველის წლისაგან განსხვავებით, ცხენის წელი აქტიური და ენერგიული იქნება. 12 თებერვლიდან რადიკალურად შეიცვლება მოქმედების რიტმი. ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. ვინც ვერ აჰყვება ამ ტემპს, ოჯახის უფროსი იქნება თუ სახელმწიფოს მმართველი, პრობლემებს შეუქმნის როგორც საკუთარ თავს, ისე ოჯახს ან სახელმწიფოს. წლევანდელი წელი დაემსგავსება სპრინტს, რომელზეც ბევრი ვერ აჰყვება ცხენის ტემპს და როცა გონს მოეგება, მის ადგილს უკვე სხვა დაეპატრონება.

**— დაიწყება თუ არა წელს აღმშენებლობა?**

— ამ წლის მფარველია პლანეტა მარსი, ორმხრივი მოქმედების პლანეტა, ანუ მისი დადებითი პოზიცია აღმშენებლობითია, უარყოფითი კი დამანგრეველი, ანუ წელს თანაბრად შეიძლება აღმოვჩნდეთ ორივე სიტუაციაში. მაგრამ უფრო მეტი შანსია აღმშენებლობის დაწყებისა, ვინაიდან წელს იწყება სატურნის 32-წლიანი ციკლი. ეს არის დიდი ზემოქმედების პლანეტა, რომელიც დიდი ხანია ბნელ ფაზაში იმყოფებოდა. ახლა ჩვენ გადავდივართ აღმშენებლობის ეპოქაში, თუმცა სხვა საქმეა, რამდენად სწრაფად მოვახერხებთ წარმატების მატარებელზე ახტომას.

**— ანუ თუ ჩვენი სახელმწიფოს მმართველები ტრადიციულ უნიათობას გამოიჩენენ, 32-წლიანი კარგი ცხოვრების შანსს ვკარგავთ?**

— შანსს არ ვკარგავთ, მაგრამ რაც უფრო გვიან დავიწყებთ აღმშენებლობას, მით უფრო ნაკლები იქნება შედეგებიც. როცა ვამბობ, რომ ქვეყანას ეძლევა 32-წლიანი სატურნის ციკლის გამოყენების შანსი, ამაზე უნდა იზრუნონ სათანადო პირებმა, თორემ საქართველოს მმართველი ძალები უფრო გაართულებენ ჩვენი ერის წინსვლას.

**— რამდენად აინტერესებთ პოლიტიკოსებს ასტროლოგია და გეკითხებიან თუ არა ისინი ქვეყნის ბედზე?**

— ძალიან ბევრ მათგანს შევხვედრივარ. მხოლოდ პირადი ჰოროსკოპები, პირადი საქმეები და წარმატებები აღელვებთ. სახელმწიფოს ბედით დაინტერესებულ ქართველ პოლიტიკოსს კი ჯერ არ შევხვედრივარ. არავინ არ არის დაინტერესებული, რომ ასტროლოგია იაპონელების მსგავსად სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით გამოიყენონ. ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა კარგად იცის იაპონელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მას იაპონელებმა მანამდე არ მოუწერეს ხელი ერთ ხელშეკრულებაზე, სანამ ასტროლოგიური გათვლებით ამისათვის წარმატებული დღე არ დადგა. დღეს იაპონიის მსგავსად მოქმედებს ჩინეთი და ბევრი აღმოსავლეთის ქვეყანაც და სრულებით არ არის გასაკვირი პროგნოზი, რომ მომავალი აღმოსავლეთის ქვეყნებისაა, რადგან მათ უკვე დაიწყეს ძველი სიბრძნის შეხამება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, რაც დიდი წარმატებების გარანტიაა.

**— ბატონო მიხეილ, ამბობენ, 2002 წელი ოჯახის შექმნის წელიაო, როგორ ფიქრობთ, შემცირდება თუ არა წელს დემოგრაფიული პრობლემები?**

— 2002 წლის რიცხვი 2 მთვარის სიმბოლიკას უკავშირდება. მთვარე ოჯახის, ქალის პლანეტაა, ამიტომაც წელს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ოჯახური საკითხების მოგვარებას. ეს წელი პირადი საკითხების მოწესრიგების წელია ყველასათვის. ვისაც ოჯახი აქვს, მან უნდა დაარეგულიროს ურთიერთობა თავის პარტნიორთან და ვინც მარტოა, ოჯახის შექმნაზე უნდა იფიქროს. ცხენის წელს მართავს წყლის სტიქია, ამიტომაც ეს წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება წყლის ნიშნებისათვის, მაგრამ აქაც ადამიანის სისწრაფესა და მოქნილობაზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი.

**— ანუ მხოლოდ ცხენის წელი ვერ მოგვგვრის საქმროებს და საცოლეებს?**

— ასტროლოგია გაფრთხილებთ. ჭკვიანი კაცი კი შეიარაღდება, ანუ მოახდენს სიტუაციის ან საკუთარი ხასიათის კორექციას.

**— თქვენს პერსპექტივაში თუ ყოფილა შემთხვევა, რომ დამკვეთის პირად პერსპექტივაზე მუშაობისას, პირდაპირ გითქვამთ მწარე სიმართლე.**

ჩემი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მქონდა ასეთი შემთხვევა. ახალგაზრდა ქალის ჰოროსკოპზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ თუ ის დაფეხმძიმდებოდა და გაიკეთებდა აბორტს, მოსალოდნელი იყო, შვილი აღარასოდეს გასჩენოდა. როცა ეს ვუთხარი, ქალი დეპრესიაში ჩავარდა, თურმე მას უკვე გაეკეთებინა აბორტი. ორი კვირა დამჭირდა, გონს რომ მომეყვანა. ეს ის მომენტია, როცა სიმართლის თქმა შესაძლოა მომაკვდინებელი გახდეს, ამიტომ ასტროლოგი კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს და პირდაპირ არ უნდა მიახალოს ადამიანს სათქმელი.

**— როგორც ცნობილია, ეკლესია ეწინააღმდეგება ასტროლოგიას, ხომ არ აუკრძალავთ თქვენთვის მუშაობა სასულიერო პირებს?**

— ვისაც კი ვხვდები ამ წრიდან, არავის უთქვამს ჩემთვის მსგავსი რამ. ისინი ყოველთვის კეთილგანწყობილები არიან ჩემ მიმართ. ასტროლოგია რელიგიის და მეცნიერების შემაერთებელი რგოლია და მისი აკრძალვა არ შეიძლება. ასე იყო საუკუნეების მანძილზე. სოფლებში დღესაც კი იციან გლეხებმა, მთვარის დღეების მიხედვით, როდის რა უნდა დათესონ და ა.შ.

**— ძველი ეგვიპტელები, არაბები და სხვები უდიდეს ასტროლოგიურ ცოდნას ფლობდნენ, რატომ „დახურეს" ეს ცოდნა?**

— საზოგადოება არ იყო მზად ამის მისაღებად, ანუ კვლავ გავიმეორებ, რომ არავინ იცოდა, ვინ როგორ გამოიყენებდა ამ უდიდესს ცოდნას. მე პროფესიით ბიოქიმიკოსი ვარ. გამიკვირდა, რომ აშშ-ში ყველა ბიოქიმიკოსი „ცეერუს" მეთვალყურეობის ქვეშაა. მერე კი მივხვდი, რამდენად საშიშია მათი უკონტროლობა. წყალში უმნიშვნელო რაოდენობის ნივთიერების ჩაშვებით მათ შეუძლიათ მთელი ქალაქი გაანადგურონ. ასეთივე ძალა აქვს ასტროლოგიას. მისი ბოროტად გამოყენებით შეიძლებოდა ესარგებლათ ბოროტ ადამიანებს, ამიტომაც დაუმალეს კაცობრიობას უდიდესი საიდუმლო ძველმა ეგვიპტელმა თუ არაბმა ასტროლოგებმა. დღეს კი, თუ გონივრულად მოვიხმართ ამ ცოდნას და სიკეთის სამსახურში ჩავაყენებთ, დიდ სარგებელს მივიღებთ.

*ეკა ლომიძე*

17 თებერვალი — კვირა

16 თებერვალი — შაბათი

15 თებერვალი — პარასკევი

14 თებერვალი — ხუთშაბათი

13 თებერვალი — ოთხშაბათი

12 თებერვალი — სამშაბათი

11 თებერვალი — ორშაბათი



## ფონოგრამით სიმღერა ჩემთვის იგივეა, რაც ვთქვათ, სექსი გასაბერ ქალთან

*თბილისში მეუღლის დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამოვიდა. მესამე დღეს, დილაადრიან, ისევ მოსკოვში გაფრინდა — აეროპორტიდან პირდაპირ შეხვედრაზე გაემართა, შემდეგ ჩაწერა ჰქონდა, მერე გადაღება, მოგვიანებით ერთ-ერთ კონცერტზე იმღერა, იქიდან სტუდიაში შეიარა და მისი იქ არყოფნის დროს დაგროვილი საქმე მოაგვარა. მოსკოვური ბინის კარი გამთენიისას შეაღო, ტახტზე ჩაცმული მიწვა და გაყუჩდა — ორი საათის შემდეგ, დღე იმავე რეჟიმით უნდა დაეწყო...*

*მისთვის თბილისში ოჯახთან, ახლობლებსა და მეგობრებთან გატარებული ყოველი წუთი უდიდესი ფუფუნებაა. ამიტომაც თბილისში ყოფნისას ცდილობს იშვიათად გავიდეს შინიდან. უყვარს, როცა მასთან იყრიან თავს მეგობრები. გრძნობას, რაც ამ დროს ეუფლება, არც სიამოვნება ჰქვია, არც სიმშვიდე და არც ნეტარება — იმდენად ლამაზი და აუხსნელია, სახელიც არ აქვს...*

*როგორი საღამო აღარ ახსოვს* ***სოსო პავლიაშვილს*** *— უცხო ქალაქების უზარმაზარ დარბაზებში ფეხზე წამომდგარი აუდიტორია... აპლოდისმენტები... ოვაციები... ყვავილების ზღვა... ისიც ყოველ კონცერტზე ბოლომდე იხარჯება, თავისთვის ენერგიის ნატამალსაც კი არ იტოვებს... ამიტომაც უყვართ... ის კი ბევრმა არ იცის, რომ ამ მწვერვალის მიღმა ერთი პატარა თბილისელი ბიჭი იდგა, რომელიც წლების წინ, ყოველ დილით ვიოლინოთი და სანოტო რვეულებით ხელში მიუყვებოდა „ნახალოვკის" (დღემდე ასე ეძახიან „ნაძალადევს" თბილისელები) ერთ პატარა ქუჩას... საღამოს თავის ციცქნა სახლში ბრუნდებოდა და ცდილობდა გაკვეთილები სასწრაფოდ მოეთავებინა — გარეთ ხომ ბურთი და უბნელი ბიჭები ელოდებოდნენ...*

— სულით და ხორცით თბილისელი ვარ, უბრალოდ, მოსკოვში ვმუშაობ... ძალიან მადლიერი ვარ იმ ხალხის, ვინც იქ გვერდით მიდგას. საოცრად მაღიზიანებენ ის ჟურნალისტები, რომლებიც დაჟინებით მეკითხებიან ერთსა და იმავეს: — რატომ წახვედი? როდის დაბრუნდები? მე თბილისიდან არ წავსულვარ. აქ არიან ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები და ახლობლები. მე იქ იმიტომ ვარ, რომ აქ ჩემიანები კარგად იყვნენ, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს დავეხმარო და რაც შეიძლება მეტი კარგი ვილაპარაკო საქართველოზე. ჩემი კი სჯერათ მოსკოვში... სულ არ მაინტერესებს, ვინ რას ფიქრობს, ვინ რას იტყვის... ბოლმა, შური და გაუტანლობა მკლავს... სამწუხაროდ, უამრავი საქმის გამო, დიდი ხნით ვერ ვახერხებ ხოლმე ჩამოსვლას... ახლა გადაღებებიც დამემატა...

**— ფილმში ისეთი ცნობილი მსახიობების პარტნიორი ხართ, როგორებიც არიან ზურა ყიფშიძე, საშა აბდულოვი, მაშა მირონოვა...**

— ამ ფილმს „განგსტერული ომები" ჰქვია. ზურა ქართული მაფიის ბოსს თამაშობს, მე მის თანაშემწეს... ეს ჩემი დებიუტია კინოში. ზურაც მხარში მიდგას, მოხიბლული ვარ მისი ნიჭით... ერთად ყოფნაც ძალიან გვიხარია, მაგრამ... ძალიან დიდი დრო მიაქვს გადაღებებს...

**— მოსკოველი ქართველები თუ იკრიბებით ხოლმე ხშირად?**

— რომელ ქალაქშიც უნდა ჩავიდე — რუსეთში იქნება ეს, თუ სხვა ქვეყანაში, აუცილებლად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს ქართველები... იქ, სამშობლომონატრებულებს უფრო უხარიათ შენი დანახვა, ამაყობენ შენით, აქ კი გჭამენ, ჭორებს გივრცელებენ... თუ რამეს ვაკეთებ, უპირველესად ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ხალხისთვის... მოსკოვში მოღვაწე ქართველებს არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, ყველამ კარგად ვიცით, რა ფასად გვიჯდება ეს ყველაფერი. ქალბატონ ნანის დედას ვეძახი, ისე მიყვარს. დიდ პატივს ვცემ ბატონ ვახტანგ კიკაბიძეს. ესენი ის ადამიანები არიან, ვის გაკვალულ გზაზეც მივდივარ და სხვა გზას არ ვეძებ, ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე მათი ტრადიციების გამგრძელებლად მიმიჩნევენ. დრო მიდის, თაობები იცვლებიან, მათ მიმართ კი ხალხის სიყვარული არ ნელდება. საოცრად უყვართ ჩვენი ნინო ანანიაშვილი, თამრიკო გვერდწითელი... ყოველთვის, როცა აუდიტორიასთან შეხვედრის საშუალება მეძლევა, ვამბობ — პოლიტიკოსები ხშირ-ხშირად იცვლებიან, ჩვენ, უბრალო ადამიანები კი ვრჩებით ჩვენი ოცნებების და მისწრაფებების ამარა. მოდი, უფრო მეტად გვიყვარდეს ერთმანეთი, უფრო მეტი სითბო ვაჩუქოთ გარშემომყოფთ... ყველა ფეხზე წამოდგება ხოლმე და აპლოდისმენტებით მიჭერენ მხარს...

(გაგრძელება იხ. გვ. 20)







# იური მეჩითოვის ფიროსმანი და მუშების გარეშე დარჩენილი თბილისი...

გაუმარჯოს! რა კარგია, რომ მოხვედით, გამეხარდა... ვა, რა ყველა ერთად მოხვედით... დაბრძანდით, სკამები იპოვეთ... ყველა არ დაეტევით, მაგრამ... მაინც დაბრძანდით... ახლავე ყველას მოგხედავთ... ვინ არის კარგი ბიჭი, ფირზე ვინ წავა? ორნი მიდიხართ? მალე მოდით, არ დაიკარგოთ! თქვენ რა გინდათ? პასპორტის სურათი... აქეთ მობრძანდით, დაბრძანდით, ახლავე შუქს ჩავრთავ...

იური მეჩითოვი თავის ამპლუაშია. წინ და უკან დაქრის, თან უნდა ყველას მოეფეროს, ყურადღება მიაქციოს, გზადაგზა უცნაურ ფრაზებს ისვრის...

— ეს რა იყო, რა ხდებოდა, კაცო! ძლივს დავაბით ძაღლი... სხვათა შორის, სანდრო მრევლიშვილის ძაღლი გვყავდა მოყვანილი... ეს ჩვენი გენიალური მსახიობები, რასაც ვეუბნებოდი, იმას აკეთებდნენ, ძაღლი კი დაძრწოდა, დაქროდა... საშინელება იყო...

უცებ ახსენდება, რომ სკამზე კაცი ზის კოსტიუმ-ჰალსტუხით შებორკილი, თვალებში მინათებული პროჟექტორებით შეწუხებული...

— ახლავე... ახლავე... — თვითონაც წუხდება. აპარატთან მიირბენს, დააჩხაკუნებს და განათებას აქრობს...

სტუდიის კარი არ ჩერდება... ისიც ყველას ოვაციით ხვდება. სად იური და სად პასპორტის სურათი... მაგრამ, რას იზამ, ასეთი დროა... ის კი, ვინც მის სულიერ სამყაროში შეაღწევს, ასე ფამილარულად ვეღარ ეტყვის — იურა, სურათი გადამიღე, რა!..

— დღეს გიჟი დღე მაქვს... ხვალ და ზეგ უფრო გიჟ დღეებს ველოდები... ზდრასტი, კრასავიცა, როგორა ხარ, გენაცვალე?..

ახლა ახალი საქმე წამოიწყო... ფიროსმანის ნახატებს აცოცხლებს... გადაღებაზე უნდა ნახოთ, რა დღეშია...

— მრა-ვააალ-ჟაა-მი-ეერ... გაუმარჯოს! — დარბის, განწყობას ქმნის, არ იცის, სად წაიღოს მოზღვავებული ენერგია. სუფრას სამნი უსხედან, სამი თავადი — ბატონები გურამ საღარაძე, ედიშერ მაღალაშვილი და გოგი გეგეჭკორი... მათ წინ ძაღლი ჩამომჯდარა და ჭკვიანი თვალებით შეჰყურებს აპარატს... ეს ფიროსმანის ცნობილი სურათის იურისეული ვერსიაა... თქვენ „აქტრისა მარგარიტა“ უნდა ნახოთ! შიშველ ტანს თეთრი შიფონის გამჭვირვალე კაბა უფარავს...

— ეს სერია სწორედ მარგარიტათი დაიწყო. ერთხელ ერთი აქციისთვის დიდ ტილოზე დამიხატა ფონი ჩემმა მეგობარმა მხატვარმა ნოდარ სულემანაშვილმა — ვიღაცებს უნდა გაეყოთ თავი და უაზრო სურათები გადამეღო. მახსოვს, ცნობილმა მსახიობმა ალექსანდრე ფილიპენკომაც გაჰყო თავი და... აბსოლუტური სისულელე გამოვიდა. ეს ფონი დიდხანს ინახებოდა... ერთ დღესაც მომივიდა იდეა — გამეცოცხლებინა ფიროსმანი...

**— შენი მარგარიტა თითქმის შიშველია...**

— ფიროსმანი აღმერთებდა მარგარიტას. მან კი მილიონი ვარდი მიიღო და მაინც გაექცა... მამაკაცის ვნება მაინც იქითკენ მიდის, რომ ქალი გააშიშვლოს... მოვინდომე ჩემებურად წარმომეჩინა ეს ცნობილი აქტრისა...

**— ცნობილმა რუსულმა ჟურნალმაც ხომ მოაწყო მსგავსი აქცია...**



ამჟერად ფიროსმანის „მეთევზის“ პერსონაჟი ცნობილი ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილია.

— Караван истории-ის ჰქონდა ამდაგვარი პროექტი... იქ მხოლოდ გამოჩენილ ადამიანებს აცმევდნენ რეტროს სტილში და ცდილობდნენ ზუსტად გაემეორებინათ ცნობილი მხატვრების ნამუშევარი, ანუ მინიმალური სხვაობა ყოფილიყო კომპოზიციის ელემენტებს შორის. მე სხვა მიზანი მაქვს — ფიროსმანის ახლებური გააზრება, ჩემეული ინტერპრეტაცია.

**— ამ პროექტს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს პოსტმოდერნისტული...**

— პოსტმოდერნიზმი ახლა იმდენად მოდური და ყოვლისმომცველი სიტყვაა, რომ ერთდროულად არაფერსაც არ მოიცავს და თან ყველაფერს იტევს. დღეისათვის იმდენი ფასეულობა დაუგროვდა კაცობრიობას, რომ გინდა — არ გინდა, მათი ახლებურად გააზრება ხდება. საერთოდ, კაცი ყოველთვის თავიდან იწყებს რაღაცას, ყველაფერი მეორდება ახლებურად... არ ვიცი, რამდენად წარმატებული ვიქნები, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, სულიერება არ დავაკნინო, არ დავკარგო და ჩემს ნამუშევრებს დღევანდელი განცდაც შევმატო.

**— რატომ მაინცდამაინც ფიროსმანი?**

— ფიროსმანი ჩვენი ყოფიერების არქეტიპული ნიშანია. მისი ნახატები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, სიმბოლოდ იქცა. სიმბოლოდქცეული შედევრის გამოყენება დიდ შანსს გაძლევს, უფრო ბევრი რამ უთხრა მაყურებელს, რომელიც გარკვეულწილად უკვე მომზადებულია. საერთოდ ყველა ვიღაცის ნაკვალევს მივყვებით. არ დაუჯერო მას, ვინც იტყვის, რომ ახალი გზა გაკვალა. ყველა გზა კარგა ხანია გაკვალულია...

ისევ ჭრიალებს კარი... ოთახში ფუფალასავით მორთული ქალბატონი შემოყოფს თავს... იური, რა თქმა უნდა, წამოხტება...

— ვაა! ეს ვინ მოსულა! რა ლამაზი ხარ, შე ოხერო...

სანამ იური თავის ახალ ტირადას წარმოთქვამს გამოგონილი პათოსით, მახსენდება... ერთხელ, ერთად აღმოვჩნდით ერთ გამოჩენილ პოლიტიკოსთან — ცნობილ ფოტოხელოვანს მისთვის სურათი უნდა გადაეღო. იური კი არ ჩქარობდა. ბოლოს მიუახლოვდა და უთხრა — ბატონო, ეგრე არ ივარგებს, პორტრეტისთვის თქვენი განუმეორებელი ეშმაკურ-მზაკვრული ღიმილი მჭირდებაო... გარშემო ყველანი გავშრით... საბედნიეროდ, ის პოლიტიკოსი იუმორზე მწყრალად არ გახლდათ და სწორედ ისე მზაკვრულ-ეშმაკურად გაიღიმა, როგორც სთხოვეს. იურიმ აპარატი დააჩხაკუნა და...

ამ ამბავს ვიხსენებ. ყველას ეცინება.

— კანადაში ერთი ძალიან მაგარი სომეხი ფოტოგრაფი ცხოვრობს — იუსუპ კარში... თავის დროზე ჩერჩილმა შეუკვეთა ფოტო და თხუთმეტი წუთი დაუთმო ამ საქმისთვის. ფოტოგრაფმა მოამზადა სტუდია, განათება, დადგა სავარძელი... შემოვიდა ჩერჩილი. ცალი ხელით სავარძლის სახელური ჩაბღუჯა, მეორეთი ნერვიულად ჩაბღუჯულ სიგარას ეწეოდა, უცებ კარში გაირინდა, მივარდა ჩერჩილს და პირიდან სიგარა გამოჰგლიჯა. კინაღამ გაგიჟდა კაცი, სულ ცოფები ჰყარა, ორივე ხელი სავარძლის სახელურს ჩაავლო და განრისხებული ფეხზე წამოიმართა. ამ დროს კარშმა აპარატი დააჩხაკუნა და... ისტორიას ასეთი ჩერჩილი შემოუნახა. ხანდახან ასეთ რისკზეც უნდა წახვიდე... იმ დღეს ერთი პოლიტიკოსი უნდა გადამეღო... მივედი... რას ვხედავ — აუჩაჩია ჭრელაჭრულა ტანსაცმელი... ვერ დავმალე აღშფოთება და ვუთხარი — რა პაპუღასავით გამოწყობილხართ-მეთქი. ვიგრძენი გაცოფდა, კინაღამ მეცა... ასე იყო და რა მექნა...

**— ყოველ „შენს ფიროსმანში“ უცნაური ნივთები „იჭრებიან“ — მაგნიტოფონი, მობილური, ჯინსები...**

— ყველა სურათში შემაქვს პატარა ცვლილება. ამგვარი შტრიხით იჭრება ჩემს ნამუშევრებში დღევანდელობა. მთავარია, გამაღიზიანებელი არ იყოს...

**— ფონს ისევ ნოდარ სულემანაშვილი ხატავს?**

— ნოდარი ჩემი მეზობელი და მეგობარია. ის ფიროსმანს ჰგავს თავისი არსით, ცხოვრების წესით, პატიოსნებით. ყველაფერი სხვანაირად ესმის, დაბუდებულია თავის სამყაროში, ძირძველ ქართულ სიმღერაში და არ სჭირდება და არც ჰყვება დღევანდელ სიგიჟეს. მან დამიხატა ეს ყველაფერი...

**— სულ რამდენი ნახატი უნდა გააცოცხლო?**

— თორმეტი. კალენდარი მინდა გავაკეთო და, რა თქმა უნდა, გამოფენა... პატარა ზეიმი მინდა მოვაწყო, მივიპატიჟო ჩემი ნოდარი... ჩემი მეგობრები. წელს ხომ ფიროსმანს 140 წელი უსრულდება...

კუთხეში თაბაშირისგან გამოძერწილ თეთრ პატარა სააღდგომო ბატკანს ვხედავ — ფიროსმანის ციკლისთვის მომზადებულს...

— ვაახ! გაგაგიჟებს ეს ხალხი... გუშინ აქ, თეატრში ერთი მუშა დავინახე, წვერით, უცნაური ქუდით... გავგიჟდი, ვკითხე — რა გქვია, ჯიგარო-მეთქი. — დათოო — მითხრა. დათო, ცოტა ხნით ამოდი, სურათი უნდა გადაგიღო-მეთქი. დამიწყო გამოკითხვა — რატომ, რისთვის... მოდი და აუხსენი, რომ ტიპაჟი მომეწონა... ბოლოს, მოვიფიქრებო — მითხრა... გუშინ გამომეცხადა — გაპარსული და დაბანილ-დასუფთავებული... გადავირიე — რამ გაგპარსა, შე ოხერო-მეთქი — ვუთხარი...

კარს ვაღებ, მემშვიდობება... როგორც ყოველთვის — თავისებურად, არაადეკვატური სიტყვებით და ღიმილით. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები დაახლოებით ასე ჟღერდა:

— გაგიგია? მუშა ვერ გადავიღე, ვერ ვიპოვე თბილისში... სამაგიეროდ, იმდენი პრეზიდენტია რამდენიც გვინდა... რა ვქნა, კაცო? მე ხომ პრეზიდენტები არ მაინტერესებს!!!

# როგორ ცხოვრობს სოსო პავლიაშვილი

## ფონოგრამით სიმღერა ჩემთვის იგივეა, რაც ვთქვათ, სექსი გასაბერ ქალთან

(დასაწყისი იხ. გვ 19)

**— არ შემიძლია, არ გავიხსენო ის ცნობილი დუეტი, რომელიც ქალბატონ ნანისთან ერთად ჩაწერეთ...**

— მუდამ ვღელავ, როცა იმ სიმღერაზე ვლაპარაკობ... მახსოვს, ბავშვივით განიცდიდა, ნერვიულობდა. ჩემთვის ჩემი სტუდია პატარა სამოთხეა და მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ნანიმ შემოდგა იქ ფეხი და იმღერა, უფრო მეტად შემიყვარდა. ჩვენ ამ სიმღერის რუსული ვარიანტიც ჩავწერეთ, ტანიჩმა დაგვიწერა ტექსტი. საშემოდგომოდ გამოვუშვებ ახალ ალბომს, რომელიც ამ სიმღერით დაიწყება.

**— ვიცი, რომ ჩამოსვლისთანავე არცთუ სასიამოვნო განწყობა შეგექმნათ...**

— ჩამოვედი თუ არა, ზოგიერთი გაზეთი ჩამივარდა ხელთ. რამ გააცოფა ეს ხალხი? ერთმანეთის ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფა სიამოვნებთ? ყოველთვის ასე კი არ მილხინდა... შრომით მივაღწიე იმას, რაც მაქვს. წადი, შენც გააკეთე საქმე, რატომ ილანძღები? დღეს რაღაც გადაცემა ვნახე. ავღელდი — ჟურნალისტები პირდაპირ თავს დაესხნენ დათო ოქიტაშვილს. დათო ჩემი მეგობარია, მისი ყოველი ნაბიჯი ვიცი. ერთი რამ ვერ გამიგია — რა უნდოდა იქ, რატომ მივიდა?.. რა შეიცვალა? ჭორაობით საქმე არ კეთდება. იმაზე რატომ არაფერი თქვეს, რაც დათოს გაუკეთებია. სიტყვებზე გამოკიდება შეიძლება? ხშირად წამომძახებენ ხოლმე — შენ მოქალაქეთა კავშირის გვერდით დადექიო... სხვათა შორის, სწორედ მოქალაქეთა კავშირმა შემომთავაზა მაშინ საქართველოში ტურნე მომეწყო — კუთხე-კუნჭულ მოვიარეთ ქვეყანა, თითქმის ყველა ქალაქში კონცერტი გავმართე. ერთი ბილეთი არ გამიყიდია. სხვა პარტია რომ მოსულიყო და იგივე შემოეთავაზებინა, მასაც დიდი სიამოვნებით გავყვებოდი... კარგა ხანია, დამთავრდა არჩევნები და არც მოქალაქეთა კავშირის არც ერთი წევრი და არც სხვა პოლიტიკოსი არ ფიქრობს ჩემი ოჯახის კეთილდღეობაზე. რატომ უნდა იფიქროს? მე კაცი არ ვარ თუ რა? ჩემს ოჯახზე მე უნდა ვიზრუნო და არა სხვა ვინმემ...

...იცი, ყველაზე მეტად რა საჩუქარი გამიხარდა? 1995 წელს არეულ-დარეულ სენაკში მოხუცი ქალი მოვიდა და მითხრა — შვილო, შვილიც მომიკლეს და შვილიშვილიც, არავინ დამრჩა, ეს მურაბა რომ ვაჭამო და შენ წაიღე, შაქრად შეგერგოსო. როცა ეს ამბავი მახსენდება, სულ ცრემლებად ვიღვრები — ჩემი პრიზიც ეს არის და პრემიაც...

**— ჩამოსვლიდან ჩამოსვლამდე თბილისში უამრავი რამ ხდება. ყველაზე მეტად თვალში საცემი მაინც რა არის?**

— ხალხს აღარაფრის და არავის აღარ სჯერა. მართლებიც არიან. მობეზრდათ ტყუილი დაპირებები. შეიძლება სწორედ ამისთვისაც სჭირდებათ ეს სკანდალური გაზეთები და გადაცემები — ხალხი რომ გაერთოს და პრობლემები დაივიწყოს.

**— მოსკოველ ქართველებზე თუ ვრცელდება რუსეთთან საქართველოს დაძაბული ურთიერთობა?**

— პირიქით... ვისაც ვიცნობ, ყველა შეყვარებულია თბილისზე, ქართველებზე...

ქართველებთან შედარებით რუსები უფრო მიამიტები არიან. რაც ეგენი ჩვენს ლანძღვაგინებას იტანენ... თუ ვინმეს აქ გაუჭირდა, რუსეთში მიდის და ლუკმაპურის ფულს იქიდან უგზავნის ახლობლებს. ადრე იმას ვყვიროდით, რუსები ცუდები არიან და მათთან მეგობრობა და მეზობლობა არ შეიძლებაო, ახლა შევიცვალეთ პოზიცია და უცებ მივხვდით, რომ კარგები ყოფილან...

**— მთელი დღის შრომის შემდეგ შინ როცა ბრუნდებით და მარტო რჩებით, ვინ და რა გენატრებათ ყველაზე მეტად?**

— მთელი დღე ხან გადაღებაზე ხარ, ხან ჩაწერაზე, ხან უნდა იმღერო, რამდენიმე შეხვედრაზეც უნდა მიხვიდე. სახლის კარს რომ შეაღებ, ბალიშზე თავის დადებასაც ვერ ასწრებ — უკვე გძინავს... დილით, სანამ ძილბურანიდან გამოვალ, ხელის ცეცებით ვპოულობ ტელეფონს და აქ, თბილისში, სახლში ვრეკავ, რომ ჩემიანების ენერგიით დავიმუხტო... მერე ისევ იგივე მეორდება — გადაღებები, ჩაწერები... რა ნერვების ფასად ჯდება ეს ყველაფერი, ამას ის ჭორიკანა ჟურნალისტები გაიგებენ?..

**— სხვათა შორის, ყოველ ჟესტში ჩანს, რომ თქვენი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია.**

— სხვანაირად არ შეიძლება... გახსოვს ალბათ ის კონცერტი, სპორტის სასახლეში, რომელზეც ვიღაც პატარა თავხედმა ბიჭმა ბოთლი მესროლა. ეს ჩემს თბილისში მოხდა... გამიკერეს წარბი... დავრჩი, კიდევ ორი საათი ვიმღერე და არც ის მითქვამს, რომ აღარასოდეს ჩამოვალ-მეთქი... სხვებმა რა დააშავეს? მე ხომ ორი საათი სიმღერით სიყვარულს გიხსნი, მუხლებზე გიდგები, თავს არ ვზოგავ! თუ არ მოგწონვარ, ნუ მოხვალ! ასეთი არაკაცობა გინახავს? საშინლად მეტკინა გული... მაგრამ კიდევ ბევრ კონცერტს ვაჩუქებ ჩემს თბილისელებს...

**— იმ სახლის გადაღმა, სადაც დაიბადეთ და გაიზარდეთ, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი აშენდა...**

— ჩემმა უბნელებმა ააშენეს... აბანოდქცეული ტაძარი ისევ ეკლესიად აქციეს... ამით ბედნიერი და ამაყი ვარ... რაც შეეხება რწმენას... ღმერთის გწამდეს ერთია, ერთმანეთის გჯეროდეს — მეორე. ჩვენ ღმერთმა ერთმანეთის სიყვარული გვასწავლა. მე თუ შენ მძულხარ და ცუდი მინდა შენთვის, მშურს, გლანძღავ, ბოთლს გესვრი, დანას გიღერებ, რაღა მადლი აქვს ჩემს ლოცვას? ფარისევლობა ხომ საშინელი ცოდვაა...

**— სოსო, თბილისში ჩამოსვლისას ალბათ თვალს ადევნებთ ქართულ ეს-**



**ტრადაზე გამოჩენილ ახალ სახეებსაც...**

— ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის... მაგრამ ყველა ერთმანეთს ბაძავს. არ ცდილობენ საკუთარი სახის დამკვიდრებას. როგორც გავიგე, ძირითადად, ერთი კომპოზიტორი და ერთი პოეტი წერს თურმე ყველასთვის... ამით ნიჭი იკარგება... მთელ კონცერტზე თითქოს ერთ დიდ სიმღერას მღერიან ყველანი: „მე შენ გელოდებოდი, ცრემლი ჩამომდის, ღამეა, შენ სხვასთან წახვედი...“ სიტყვებსაც არ გამოთქვამენ ნორმალურად. საკუთარი სტილი უნდა მოძებნოს ყველამ — მომღერლებმაც და კომპოზიტორებმაც. შეიძლება სულ იტირო? მრავალფეროვნებაა საჭირო. თუ გამუდმებით ცუდად ხარ, ნუ ახვალ სცენაზე! ბრმად ნუ გადმოიღებ ამერიკულ სიმღერებს!.. ნუ დაკარგავ სახეს!..

**— ალბათ ისიც გეცოდინებათ, აქ ერთი ამბავი იყო ატეხილი ფონოგრამით სიმღერაზე...**

— ფონოგრამით სიმღერა ჩემთვის იგივეა, რაც ვთქვათ, სექსი გასაბერ ქალთან... ნუთუ მომღერალი თვითონ არ იღებს სიამოვნებას სიმღერით? შეიძლება იმ ადამიანს მოატყუო, რომელიც შენს კონცერტში უკანასკნელ კაპიკებს იხდის? ჩემთვის ეს წარმოუდგენელია! რომ არ ვიმღერო, მოვკვდები... კონცერტზე სამი სიმღერის შემდეგ თავიდან ბოლომდე გასაწური ვხდები... იმ ენერგიას, რაც შენშია, მხოლოდ პირის გაღებით ვერ დახარჯავ... ნუთუ არ გინდა მაყურებელი დამუხტო, აიყოლიო? მილიარდი რომ მომცე, სიმღერას ვერ დავანებებ თავს, იმიტომ, რომ ამით ვსუნთქავ... შეიძლება ცოტა არანორმალური ვარ, მაგრამ ნამდვილი მომღერლები გამიგებენ...

**— მოსკოვში კიდევ რამდენიმე ქართველი მომღერალი ჩამოვიდა — დათო ხუჯაძე, თამუნა ამონაშვილი... ძნელია ახლა იქ თავის დამკვიდრება?**

— მე გამიმართლა, რომ კარიერა მოსკოვში იმ დროისთვის ყველაზე სერიოზულ და პრესტიჟულ იურმალის კონკურსში გამარჯვების შემდეგ დავიწყე... ახლა უკვე რომც არ გამოვჩნდე ტელეეკრანზე, ჩემი ადგილი დამკვიდრებული მაქვს. ყველა ასაკის მაყურებელი მიცნობს, რადგან არასდროს გამითვლია რეპერტუარი რომელიღაც ფენაზე...

დღეს მოსკოვში თავის დასამკვიდრებლად ძალიან დიდი ფულია საჭირო... და, რა თქმა უნდა, ნამდვილი მუსიკა... მუდამ ამას მეუბნებოდნენ — ლამაზი და ნამდვილი არავის სჭირდება, მთავარია, მოდური იყოსო... არავის მოვუსმინე, ამიტომ ხანდახან სულელსაც მეძახდნენ, მაგრამ დავამტკიცე ჩემი სიმართლე... დღეს ყველაფერი ფულზეა. დილის გადაცემაში შენი სიმღერა ერთხელ რომ გაუშვა, ოთხი ათასი დოლარია საჭირო... ერთი სიტყვით, ყველა გადაცემას თავისი ფასი აქვს... ნულიდან რომ დაიწყო, რაც უნდა ნიჭიერი იყო, სულ ცოტა მილიონი დოლარი გჭირდება... შარშან — ნახევარი მილიონი გეყოფოდა... რომც იშოვო ეს თანხა, იმის გარანტია მაინც არ გაქვს, რომ მისი დახარჯვის შემდეგ აუცილებლად მიგიღებენ იქაური ელიტარები. რაც უფრო მეტი გამოჩნდება იქ, მოსკოვში ნიჭიერი, ნორმალური და ჩემიანი, მით მეტად გამიხარდება... თორემ ე.წ. „ცისფერებმა“ წალეკეს იქაურობა... დათო ხუჯაძე და დათოსნაირები რომ იქნებიან ნებისმიერი ნორმალური მომღერლის გვერდით, რასაკვირველია, ძალიან კარგია... დათოსთვისაც არაერთხელ მითქვამს და სხვებმაც იციან, რომ ჩემი სტუდია მათ განკარგულებაშია...

*გვერდი მოამზადა ეკა მახარაშვილმა*

# თუნდ საკუთარი სიცოცხლის ფასად ტყვეობიდან უნდა მეხსნა მეუღლე...

ჩვენი სტუმარი ქალბატონი სამაჩაბლოდან არის, ძირძველი შიდაქართლიდან, დღეს რომ ოსებს რესპუბლიკად გამოუცხადებიათ. მის ნაამბობში გაუნელებელი სევდა იგრძნობა, სევდა ახლობლების, ოდესღაც კეთილი მეზობლების, მეგობრების, მიწის, ეზო-კარის და იმ ხალისიანი დღეების დაკარგვით გამოწვეული, რომელიც მოგონებადღა შემორჩენია.

ერგნეთელი ლამარა კასრაძე ცხინვალელ უშანგი ხმიადაშვილს რომ გაჰყვა ცოლად, მისმა ახლობლებმა ძალიან გაიხარეს, რადგან უშანგის სამაჩაბლოში კაცურ კაცად, საქმიან და მოსიყვარულე ადამიანად იცნობდნენ.

ქალბატონმა ლამარამ მთხოვა, უფრო შინაურულად რომ ვისაუბროთ, დეიდა დამიძახეო. ვასრულებ მის თხოვნას.

**— ლამარა დეიდა, ალბათ ძალიან გიჭირთ წარსულის გახსენება...**

— საკმაო დრო გავიდა, შვილო. ახლა წარსულის გახსენება უფრო მსიამოვნებს, ვიდრე მიჭირს. მაგრამ ცხინვალში გატარებული ბოლო თვის გახსენება მზარავს.

**— თქვენი თავგანწირვის ამბავი სხვებისგან გამიგონია. თურმე, ტყვედ ჩავარდნილი მეუღლე სანამ არ გამოიხსენით ოსებისგან, მანამდე არ დატოვეთ იქაურობა.**

— განა გმირობაა, ქმარს ქალი მხარში ამოუდგეს, მისთვის იზრუნოს და თუ საჭირო გახდა, იბრძოლოს კიდეც? იმ დროს ალარაფერზე და არავისზე ალარ ვფიქრობდი: არც სიცოცხლესა და სიკვდილზე, არც შვილებსა და მშობლებზე, რომლებიც ცხინვალს რახანია, გარიდებული გვყავდა, ჩემი არსება მთლიანად შეიპყრო ფიქრმა — გადამერჩინა უშანგი, თუნდაც ჩემი სიცოცხლის ფასად.

**— მოდით, თავიდან დავიწყოთ ყველაფერი.**

— (ეღიმება) ალბათ ის გაინტერესებს, როგორ გავიცანით ერთმანეთი, არა? ცხინვალის სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ბავშვთა პოლიკლინიკაში დავიწყე მუშაობა. ერთხელ, გორში მივდიოდი რაღაც საქმეზე. გზად ჩამოიარა უშანგიმ — მძღოლად მუშაობდა. თბილისში მიდიოდა, ორი მგზავრი ეჯდა მანქანაში. ერთი ძალუაჩემი გამოდგა. მეც ჩამსვეს და გორამდე ჩამომიყვანეს. მაშინ 22 წლის ვიყავი, უშანგი კი — 25-ის. გამომშვიდობებისას ძალუამ იხუმრა: თვალი დაგიდგეს, ასეთ კარგ გოგოს როგორ ვერ ამჩნევო... რამდენიმე დღეში ჩვენებს მაჭანკლები მოუგზავნა. როცა მკითხეს, რას იზამ, გაჰყვები თუ არაო, გაუბედავად ვუპასუხე, — როგორც თქვენ გინდათ-მეთქი.

სამი შვილი შეგვეძინა: ელენე, ლევანი და ალეკო. უშანგი უკეთილშობილესი ადამიანი იყო. საკუთარი თავის გამო არავის შეაწუხებდა, სხვისთვის კი ყველაფერს გააკეთებდა.

ჩვენს სამეზობლოში ბევრი ოსი იყო. არც მათთან და არც ჩვენთან ჭიქა არ აიწეოდა უერთმანეთოდ.

მერე ყველაფერი აირია. 1990 წლის დეკემბერში დაძაბულობამ იმატა. როცა ოსებმა სამაჩაბლო რესპუბლიკად გამოაცხადეს, გამსახურდიამ ცოტა ხანში ოლქის გაუქმება გადაწყვიტა და სწორადაც მოიქცა. ახლა ბევრ რამეს აბრალებენ იმ ცხონებულს, ვითომც მისი არასწორი ნაბიჯის გამო დაიკარგა სამაჩაბლო, მაგრამ ეს ხომ სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველაფერი წინდაწინ გათვლილი იყო, რუსები მართავდნენ იქაურ ოსებს. ყველაზე გაწონასწორებულ ოსებსაც კი დაკარგული ჰქონდათ ზომიერების გრძნობა. ცხინვალში იმართებოდა მიტინგები — ცალკე ქართველების, ცალკე — ოსების. ჩემი მეუღლე აქაც და იქაც გამოდიოდა სიტყვით და ორივე მხარეს ერთიანობისკენ მოუწოდებდა. ისე არ გავაკეთოთ, რომ ორივე წავეკიდოთ ერთმანეთს და მერე მესამემ, სრულიად უცხომ გაიხაროს ჩვენს მიწაზეო. მართალი გითხრათ, თავისებურად მეცოდებოდა ისინიც. რას ითხოვდნენ, რა მიზნები ჰქონდათ... ასეა, შვილო, უფესვო ხალხი შესაცოდიც არის და საფრთხილოც. როდის დაგიდებს კვანტს, ღმერთმა იცის. 11 დეკემბერს, როცა ოლქი გაუქმდა, გასაოცარი სიწყნარე ჩამოვარდა. გაკვირვებულებიც კი ვიყავით ქართველები, რომ მიტინგი არ ჩატარებულა. რაღაცნაირი ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. 12 თუ 13 დეკემბერს თბილისიდან „არაფორმალები" ჩამოვიდნენ ცხინვალში. ცოტა ხანს იყვნენ ქალაქში, მერე ბაზარში შეიარეს, რაღაცები იყიდეს და თბილისისკენ გაბრუნება დააპირეს.

არაფერი დაუშავებიათ, ალბათ იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ, მართლა სიწყნარე იყო თუ არა ცხინვალში. ოსები მათ მანქანას გამოეკიდნენ. წამოეწივნენ ქალაქის ცენტრში, რაიკომის წინ და ყველას დასანახად ჩაცხრილეს მანქანაში. მეორე დღესვე გამოცხადდა კომენდანტის საათი. 6 იანვარს ჩვენი მილიცია შემოვიდა და რამდენიმე ცენტრალური ადგილი დაიკავა. ამან ოსები ძალიან გაალიზიანა. ქუჩაში თვალს შეგვასწრებდნენ თუ არა, ფაშისტებს გვეძახდნენ. რამდენიმე დღეში გორბაჩოვის ბრძანება გამოვიდა, — ქართულმა მილიციამ დატოვოს ცხინვალიო. ისეთი ჟრიამული ატეხეს ოსებმა, ახლაც მზარავს გახსენება. ძალიან კარგი მეზობელი გვყავდა — დათო კისიევი. მან სიხარულისგან ქვაბის ხუფებს წამოავლო ხელი და რახარუხით გამოხატა აღფრთოვანება. მაშინ თქვა კიდეც ჩემმა ქმარმა, — ახლა კი მართლა წახდა საქმეო. შვილები მეორე დღესვე გავუშვით ჩემს მშობლებთან, ერგნეთში. ცხინვალში მე და უშანგი დავრჩით. ჩვენთან ერთად იყო რამდენიმე ქართული ოჯახი. მაშინ კიდევ გვჯეროდა, რომ დაძაბულობა მალე შენელდებოდა. არადა დღითი დღე მძაფრდებოდა სიტუაცია. პურის საყიდლადაც ვერ გავდიოდით. საჭმელს ისევ კეთილი მეზობელი — ვალერი ბესტაევი გვაწვდიდა. ოსებმა ქართველებს ელექტროსადენი ჩაგვიჭრეს. ვალერიმ კი დამაგრძელებლით თავისი სახლიდან შემოგვიყვანა შუქი. შეშფოთებული ვეხვეწებოდი ჩემს ქმარს, — დროზე გავეცალოთ აქაურობას, სანამ ჩავუხოცივართ-მეთქი. ღიმილით მამშვიდებდა: აქ ყველა მიცნობს და პატივს მცემს, უკადრებელს არაფერს მკადრებსო. მან და რამდენიმე ოჯახის (შერეზადაშვილების და ჭოველიძეების) თავკაცებმა, ასევე ოსმა მეზობლებმა მორიგეობა დაიწყეს ღამღამობით, ოსებს რომ ქართველთა სახლები არ გადაეწვათ, მაგრამ საუბედუროდ, სახლები მაინც იწვებოდა. ჯერ გაძარცვავდნენ, მერე ცეცხლს მისცემდნენ. მარტო 26-27 იანვარს 26 სახლი (გაუძარცვავად!) დაწვეს. ჩვენ თვალწინ დაწვეს მერაბ ელიოზიშვილის სახლი და ვერაფერი ვუშველეთ. როგორც კი ჩვენს სახლს ოსების ჯგუფი მოადგებოდა, ჩვენზე წინ გამორბოდა ოსი მეზობელი — ბესტაევი და უხსნიდა მათ — ესენი „იმათ" არ ჰგვანან, კარგი ქართველები არიანო.



ერთ-ერთი მორიგეობის დროს უშანგი აღარ მოვიდა. ილასა კაბისოვმა (ისიც ჩვენი მეზობელი იყო) მითხრა: ნუ გეშინია, ოსებმა წაიყვანეს, ქართველებს თავიანთ ტყვეებში რომ გაუცვალონ და ხვალ დილით დაბრუნდებაო. აღარ დაბრუნდა. მაშინვე გავიქეცი ტეკზე (რუს სამხედროებთან) და განცხადება დავწერე. ახლა მეცინება ჩემს თავზე, რა გულუბრყვილო ვიყავი, როცა მჯეროდა, ქმარს მომიძებნიდნენ. გავიდა რამდენიმე დღე. სიმწრისგან აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. ერთხელაც, ერთი ნაცნობი ოსი დამიკავშირდა და მითხრა, შეგახვედრებ იმ ხალხს, ვინც შენი ქმარი დაატყვევა, იქნებ მოილაპარაკოთ და შეთანხმდეთო. მართლაც, ერთ საღამოს მიმიყვანა ნიღბიან კაცებთან. ერთ-ერთმა მითხრა: გამიგე, სად არიან ჩემი მშობლები და ძმა, გაათავისუფლებინე ისინი და ქმარსაც დაგიბრუნებთ და მეზობელსაცო (უშანგისთან ერთად შერაზადაშვილიც დაატყვევეს). დავიწყე ძებნა. რაც გავიგე, იმ ამბავმა თავზარი დამცა. თურმე ძარწემელი ქართველი ბეგლარ კასრაძე ოსებს ცხენის კუდით უთრევიათ და ისე მოუკლავთ. მისი დასაფლავებიდან წამოსულ გამწარებულ ქართველებს კი იმ ოსის, ჯატიევის (მას ჩემი ქმარი ტყვედ ჰყავდა) მშობლები და ძმა საკუთარ სახლში გამოუწვავთ. მე თვითონ მივედი ჯატიევების სახლში. კედლებიღა იყო დარჩენილი. მუხლამდე ნაცარში ვიარე, ძვლებიც კი ვერ ვნახე მათი... აბა, რანაირად მიმეტანა ეს ამბავი მისთვის? ალბათ, ცოცხალს აღარ დატოვებდნენ ჩემს ქმარს. ბოლოს, ვაცნობე, — მარტოხელა ქალი ვარ, სად უნდა ვიარო, ვის უნდა მივმართო ამ არეულობაში. ისევ ის მითხარით, რა თანხა გინდათ, რომ გაათავისუფლოთ უშანგი და შერაზადაშვილი-მეთქი. თავდაპირველად 55 ათასი მანეთი დამისახელეს, მერე კი 30-30-ზე ჩამოვიდნენ. რამდენიმე დღეში წვალებ-წვალებით მოვაგროვე ფული და წავედი დათქმულ ადგილზე. მკერდზე და მუცელზე შემოვირტყი 30-30 ათასი მანეთი. მართალი გითხრათ, იმ წუთებში ქართველებისაც მეშინოდა და ოსებისაც. არეული დრო იყო, რა ვიცი, გაჭირვებული კაცი რას იზამდა. ზღუდეს (ზუდრი-გვერდას ვეძახდით) ეკლესიასთან დავდექი. ნანგრევებიდან დამიძახეს, მარტო ხარ თუ ვინმე გახლავსო. როგორც მითხარით, ისე მოვიქეცი-მეთქი, — ვუპასუხე. ჯერ შერაზადაშვილი გამოუშვეს. ფული რომ გავატანე, მერელა გაათავისუფლეს ორივე. ისეთი გალურჯებულები იყვნენ სიცივისა და შიმშილისგან, ადამიანის ფერი არ ედოთ სახეზე. ორი კვირა იყვნენ ოსების ტყვეობაში. ხშირად უცვლიდნენ თურმე ადგილსამყოფელს. მაშინაც, როცა მე მივედი, ის კი არ უთქვამთ, რომ გამოსასყიდი მივიტანე, თვალებახვეული წამოიყვანეს ზღუდესთან. მათ ჰგონებიათ, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ... როგორც კი ჩემმა ქმარმა დამინახა, ერთი კი დაიძახა: ოჰ, ლამარა, რატომ არ დაგიჯერეო და გულში ჩამიკრა...

თბილისში ჩამოსულებს ბაგების დასაწყისში, სასტუმრო „ვაკეში" მიგვიჩინეს თავშესაფარი — ციცქნა ოთახი. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები ვცხოვრობთ იქ.

ჩემმა ქმარმა ეს დიდი ტკივილი ვერ აიტანა და გული გაუსკდა. ერთ წუთში გათავდა...

ჩემმა ბიჭებმა ბინები კი იყიდეს თბილისში, აი, გოგო კი ძალიან დამეჩაგრა. მეც უფრო ხშირად იმ შვილთან ვარ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს. სამსახური ვიშოვე, პოლიკლინიკაში დავიწყე მუშაობა. ძალიან ვემადლიერები ჩემს თანამშრომლებს, გვერდში მიდგანან. უშანგის გარეშე დარჩენილ სიცარიელეს რა ვუყო? ვერაფრით ვავსებ...

მაგრამ რას იზამ, ცხოვრება გრძელდება. აწი ჩვენმა შვილებმა უნდა გააკეთონ ის, რაც ჩვენ არ დაგვცალდა...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გვიახლოვდება წმინდა ვალენტინის დღე



თუმცა წმ. ვალენტინის დღესასწაული ევროპიდან შემოგვეპარა და როგორც ვატყობთ, ფეხსაც იკიდებს ჩვენში, მაინც გეტყვით, რომ ქართველებს ყოველი დღე სიყვარულისა აქვთ.

განა შეიძლება იმ ხალხმა, რომელმაც ასე შემღერა სატრფოს —

წითელ ღვინოს მიგადარე,
ჭიქაში მდგომიარესა,
სასუფეველი რად უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა, — მხოლოდ ერთ დღეს იზეიმოს სიყვარული!

მაგრამ... ჩვენც ევროპელები ვართ! ამიტომაც ეს დღე ყველა შეყვარებულის დღეა.

თუ მხოლოდ ახლა — 14 თებერვალს აპირებთ სიყვარულის პოვნას, გულისყურით მოეკიდეთ გარეგნობას. საქმიანი კოსტიუმი სამსახურისთვის შემოინახეთ, ჩაიცვით მიმზიდველად, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ გამჭვირვალე ტანსაცმელი მოდაში აღარ არის.

თუ მაინცდამაინც კოხტა ტანი არა გაქვთ, მაინც შეიძლება მამაკაცის მოხიბვლა თვალებით, თმით, ღიმილით, ქცევით... ქალს უხდება მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ის ქალურობას შეგმატებთ. ზომიერად იხმარეთ მაკიაჟი, ოღონდ ტუჩები გამოკვეთეთ.

თავი მაღლა ასწიეთ, წარამარა ნუ შეისწორებთ ტანსაცმელსა და ვარცხნილობას, იყავით სიტყვაძუნწი, ყველაფერზე ნუ გაიცინებთ.

თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, გჯეროდეთ, სასურველი მამაკაცი ხელიდან ვერ გაგისხლტებათ!

### იუმორი

**რას ინატრებ, — საყვარელ საქმეს, მოყვარულ ქმარს თუ ძალიან წყნარ შვილებს?**

**— ვისურვებდი, ყველაფერ ამისგან ერთი კარგად დამესვენა...**

## გახსოვდეთ... გახსოვდეთ... გახსოვდეთ...



— არა მარტო კოსმეტიკური საშუალებებით შეიძლება ჯანმრთელი და ნაზი კანის შენარჩუნება, არამედ წვენებით. სვით რაც შეიძლება მეტი ხილის წვენი.

— ერთი ფინჯანი სურნელოვანი ჩაი სხეულსაც გაგითბობთ, სულსაც და გუნებაზეც მოგიყვანთ.

— აბაზანის მიღებისას წყალს დაუმატეთ დამარბილებელი და დამატენიანებელი თვისებების მქონე არომატული ზეთები. კანი ვარდის კოკორივით მკვრივი და სალუქი გახდება.

— ქარით და სიცივით დამსკდარ-დაწითლებულ ხელებს ზეთის თბილი აბაზანები შველის.

— ძილის წინ, დაღლილობის მოსახსნელად გაიკეთეთ გვირილის ექსტრაქტის თბილი აბაზანა.

— მშრალ კანს ძალიან უხდება ნუშის ზეთი და მისი კრემები.

— მიირთვით დღეში ერთი ვაშლი და დაგავიწყდებათ გზა ექიმისკენ.

— არ გადაღვაროთ ბოსტნეულის ნახარში, გააცივეთ და ყვავილებს დაუსხით.

— ყველის გახეხვის წინ სახეხს ზეთი წაუსვით — აღარც ყველი გაიგლისება და სახეხსაც იოლად გარეცხავთ.

## შალეულის მოვლის ათი ხერხი

1. შალის ქსოვილიდან სისხლის ლაქებს აშორებს წყალში გახსნილი ასპირინის აბები.
2. ტალახის ლაქა ჯერ გააშრეთ, მერე მშრალი ჯაგრისით გაწმინდეთ.
3. ფერი რომ არ გაუვიდეს, შალის ქსოვილი მდოგვიან წყალში გარეცხეთ (150 გ X1 სათლი).
4. გაყვითლებული შალი ფერის დასაბრუნებლად ერთი დღე-ღამე დაჭრილ ლიმონიან წყალში გააჩერეთ.
5. შავი ნაქსოვი რომ არ გახუნდეს, დროდადრო ლუდში გაავლეთ.
6. შემდგარი ტანსაცმელი გაჭიმეთ და სველი ტილოთი დააუთოეთ.
7. გაპრიალებული ადგილები ძმრიან წყალში დასველებული ტილოთი დააუთოეთ.
8. შალის ტანსაცმელი შედარებით დიდხანს შეინარჩუნებს სიახლეს, თუ უკუღმა მხრიდან გარეცხავთ და თანაც ხელით.
9. ბუსუსები ფრთხილად ჩამოპარსეთ ორლესული საპარსით და ამ საქმისათვის გამოშვებული სპეციალური ხელსაწყოთი.
10. თუ ჩრჩილი შემოგეჩვიათ, კარადაში და ტანსაცმლის ჯიბეებში თუთუნი მიმოაბნიეთ. ამ საშუალებით ჩვენი წინაპრები სარგებლობდნენ.

### ჩვენი სამზარეულო

## ინდაურის რულეტი



დაკეპეთ 200 გ ქამა სოკო, 2 თავი ხახვი და 1 ს/კ ერბოში შებრაწეთ, მოაყარეთ მარილი და წიწაკა. ასევე მოაყარეთ მარილი და წიწაკა მშრალი ინდაურის თეთრ ხორცს (4 ნაჭერი), წაუსვით ღვიძლის პაშტეტი, მოაფინეთ სალათის ფოთლები, დადეთ ზედ მზა სოკო და ხახვი, გადაახვიეთ რულეტი და შეკარით სამზარეულოს ძაფით. ტაფაზე გააცხელეთ ერბო და რულეტი ორივე მხრიდან თავდახურული შეწვით.

საწებლისთვის 50 გ ქამა სოკო დაკეპეთ, მოშუშეთ ერბოში, დაუმატეთ 120 გ ნაღები ან არაჟანი და განაგრძეთ შუშვა თავდახურულ ტაფაში, დაუმატეთ შავი პილპილი და მარილი.

გარნირად მოუხდება შემწვარი კარტოფილი.

CMYK



მეკობრეობას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორიც თვით ზღვაოსნობას. ფლინტის (ალბათ, ყველას ახსოვს „განძთა კუნძულის" გმირი) ბიჭები რომ სიმღერას გაჰკივიან, ის სიმღერა ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქაშია შეთხზული. პირველი სახელგანთქმული მეკობრე იყო პოლიკრატე სამოსელი — ძვ.წ.აღ. VI ს-ში ხმელთაშუა ზღვაზე რომ დათარეშობდა და ფინიკიელ დიდვაჭრებს თავზარს სცემდა. მისი ნაალაფრით აგებული სასახლე ქვეყნიერების ერთ-ერთ საოცრებად მიაჩნდათ. სამი საუკუნის შემდეგ ილირიელების მბრძანებელმა, სკუტარიმ მეკობრეთა მთელი სახელმწიფო შექმნა — შედეგად ადრიატიკისა და ეგეოსის ზღვებზე საერთოდ შეწყდა ვაჭრობა. მოკლე ხანში ილირიელებს კილიკიელები ჩაენაცვლნენ. ერთხელ მათ ტყვედ ჩაუვარდათ თვით კაიუს იულისუს კეისარი. ის, ცხადია, მალე გამოისყიდეს. შემდგომში, მადლიერების ნიშნად იმის გამო, რომ ტყვეობაში ადამიანურად მოეპყრნენ,



კეისარმა ბრძანა, ჯვარზე გაკვრის წინ მეკობრეებისთვის ყელი გამოეჭრათ.

შუა საუკუნეებში სარფიანად მეკობრეობდნენ ნორმანები. „ნორმანთა მძვინვარებისგან დაგვიფარე, უფალო!" — ლოცულობდა სრულიად საქრისტიანო. 845 წლის მაისში ნორმანებმა პარიზი აიღეს, 911 წელს — საფრანგეთის ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად ნორმანდია ეწოდება. 1066 წელს ნორმანდიელი დუკა ვილჰელმ დამპყრობელი ინგლისში შეიჭრა და იქ გამეფდა.

ყველაზე დიდი სახელი მოიხვეჭა საფრანგეთში მოღვაწე რობერ სიურკუფმა. ეს იყო ირლანდიელი ემიგრანტი, პროფესიონალი მეზღვაური. სიჭაბუკეში იგი აფრიკიდან მონების გადამყვან გემებზე მსახურობდა, სიცოცხლის ბოლოს კი უკვე ერთ-ერთი უმდიდრესი გემთმფლობელი იყო და უდრტვინველად აღესრულა საკუთარ სარეცელზე, პარიზში. სიურკუფის გარდაცვალებით, ფაქტობრივად, კორსარების ისტორიაც დასრულდა.

ერთი შეხედვით, დღეს თითქოს კორსარების ადგილი მხოლოდ მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში დარჩა, მაგრამ სრულიად სხვას მეტყველებს საერთაშორისო საზღვაოსნო ორგანიზაციის მონაცემები, სადაც წარმოდგენილია უკანასკნელ წლებში საზღვაო ყაჩაღობის სტატისტიკა:

1995 წ. — 134 შემთხვევა; 1996 წ. — 228; 1997 წ. — 252; 1998 წ. — 210; 1999 წ. — 285; 2000 წ. — 309; 2001 წ. I ნახ. — 165 შემთხვევა.

ზღვის მეკობრეთა ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით 20 მილიარდი დოლარია. ერთი ეგ არის — თვითონ მეკობრეებმა იცვალეს ნირი — თუკი ადრე ოქროთი დატვირთულ გალიონებს იყვანდნენ აბორდაჟზე, დღეს 20-მეტრიანი ბაგირისთვისაც არ დაიხევენ უკან.

იმავე წლის ნოემბერში ბრაზილიაში, სანტუშის ნავსადგურში კვიპროსული ტვირთმზიდი იდგა. ღამით მოულოდნელად გემს დიდი სისწრაფით მიადგა სადესანტო კატარღა. როგორც სათავგადასავლო რომანებში ხდება, თავდამსხმელებმა ბორტს ჭანგები მოსდეს. თვალის დახამხამებაც ვერავინ მოასწრო, რომ გემბანზე „MOHEU"-ს ღრიალით ამოვარდა პისტოლეტებით შეიარაღებული ექვსიოდე დაკუნთული ჯეელი. მეკობრეებმა გვარიანად მიბეგვეს კაპიტანი, ეკიპაჟი და ერთი-ორი კაცი დანებით დაჭრეს. მათი ნადავლი იყო 7700 ამერიკული დოლარი და პირადი ძვირფასეულობა — ძირითადად, საქორწინო ბეჭდები.

ბევრად უარესი თავდასხმებიც ხდება — შარშანწინ, ზამთარში ვიეტნამის ნაპირებთან იპოვეს თევზსაჭერი გემი, რომლის ეკიპაჟის 27-ვე წევრი გემბანზე იწვა თავმოჭრილი. თუმცა ამგვარი საშინელება ჩვენს დროში მაინც გამონაკლისს წარმოადგენს.

თანამედროვე მეკობრეები ბიზნესმენები არიან. ისინი, ჩვეულებრივ, შემდეგი ტაქტიკით მოქმედებენ — მოულოდნელად დაეცემიან გემს, ეკიპაჟს წყალში გადაუძახებენ და გემიანად ქრებიან. შემდეგ გემს გადაღებავენ, სახელს შეუცვლიან და ყალბი დოკუმენტაციით აღჭურავენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გემისთვის ყალბი დოკუმენტების გაფორმება 5-6 ათასი დოლარი ჯდება. ჩიტი ბდღვნად ღირს — ასეთ გემში შემკვეთი 300 ათასს იხდის. გემის ლეგალიზებას რაც შეეხება, ამას უპრობლემოდ აგვარებენ რამდენიმე ქვეყანაში, ვთქვათ, ლიბერიაში, პანამაში ან ჰონდურასში.

მეკობრეობასთან ბრძოლა დღესაც, ისევე როგორც 300 და 1000 წლის წინ, ნაკლებეფექტიანია.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტერორიზმი უკავშირდება ძალადობის აქტებს ხმელეთსა და საჰაერო სივრცეში. მაგრამ, როგორც ჩანს, ხიფათი ზღვიდანაცაა მოსალოდნელი. უკვე დღესვე აუცილებელია საერთაშორისო ძალისხმევა მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თორემ ხვალ შეიძლება შოკში ჩაგვაგდოს ცნობამ, რომ ტერორისტებმა ხელთ იგდეს საოკეანო ლაინერი, სუპერტანკერი, ან ატომური წყალქვეშა ნავიც კი...

*ოგონიოკი №51*

# „ნათლია" – გაგრძელება იქნება

ნიუ-იორკში ახალი წლის წინა დღეებში დატრიალებული ამბები თავისი სიმძაფრით შეიძლება ფრენსის კოპოლას „ნათლიის" მორიგ სერიად ჩაითვალოს. ჯენოვეზეს მაფიოზური კლანი, რომლის ბევრი წევრი ახლა დაპატიმრებულია, ძალიან ჰგავს კორლეონეს კლანს.

აშშ-ის ძიების ფედერალურმა ბიურომ დიდი დარტყმა მიაყენა ორგანიზებულ დანაშაულს. სათანადო მტკიცებულებების წყალობით, პროკურატურამ ნიუ-იორკის ყველაზე მძლავრი და გავლენიანი მაფიოზური კლანის — ჯენოვეზების ოჯახის 73 წევრს ბრალდება წაუყენა. მათი დაპატიმრების ოპერაცია, პრაქტიკულად, ერთდროულად ჩატარდა. როგორც პროკურორი მერი ჯო უაითი ამბობს, ჯენოვეზეს კლანი მეტად გონივრულად და ფრთხილად იქცეოდა. ამ კლანის სინდისზე უამრავი სისხლიანი საქმეა. თუმცა ოჯახმა ბოლო დროს ტაქტიკა შეცვალა — ძალადობის აქტები წარსულს ჩაბარდა. სამართალდამცველთა და პრესის ყურადღება რომ არ მიექციათ, ჯენოვეზე საბანკო მაქინაციებზე, საკრედიტო ბარათების



გაყალბებაზე, რეკეტსა და გამომძალველობაზე გადაერთო. უხმაუროდ, დაუსჯელად მათ ამ გზით 14 მლნ დოლარი მიითვისეს. სამართალდამცავი ორგანოებისთვის ყველაზე რთული იმის დამტკიცებაა, რომ მაფიის ბოსები კანონს არღვევენ. დონ ვიტო კორლეონეს მემკვიდრეები, რომელთაც უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტთა გუნდი ემსახურება, ცდილობენ კვალი არ დატოვონ. როგორც წესი, მათი ციხეში გამომწყვდევა მხოლოდ გადასახადების გადაუხდელობის ბრალდებით თუ ხერხდება. სხვათა შორის, სწორედ ასეთი უმნიშვნელო ბრალდებით ჩასვეს ციხეში ლეგენდარული ალ კაპონეც.

თითოეული ორგანიზაციის შიგნით მკაცრი კონტროლია. „დუმილის აღთქმის" დარღვევა სიკვდილით ისჯება. „დისციპლინა და კიდევ ერთხელ დისციპლინა", — ასეთია მაფიოზური ოჯახების შეუვალი კოდექსი. დანაშაულებრივი სტრუქტურების საფუძველს ავტონომიურად მოქმედი უჯრედები შეადგენენ, რომლის წევრები მხოლოდ თავიანთ ხელმძღვანელს — კაპოს იცნობენ. ეს კი ძალზე ართულებს ინფორმაციის შეგროვებას მაფიის მოღვაწეობაზე. მიუხედავად ამისა, ძიების ფედერალურმა ბიურომ მაინც მოახერხა ბრალდებების შეგროვება. როგორც სამართალდამცველებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, დიდი ღვაწლი ამ საქმეში სინდიკატში ჩანერგილ საიდუმლო აგენტს გაუწევია, რომელსაც მეტსახელად დიდი ფრენკი შეარქვეს. აგენტი, რომლის ვინაობა გასაგები მიზეზების გამო, გასაიდუმლოებულია, სიცოცხლისთვის რისკის ფასად, რამდენიმე წლის მანძილზე ცდილობდა, ჯენოვეზეს კლანში ფეხის მოკიდებას და ნდობის მოპოვებას. კრიმინალური სამყაროც მას დიდი ფრენკის სახელით იცნობდა, იგი ხორცის პროდუქტებით ამარაგებდა სუპერმარკეტებს. თანდათან ფრენკის მომსახურებით სარგებლობა სინდიკატის ზოგიერთმა წევრმაც დაიწყო. მან ულალატო კაცის რეპუტაცია მოიპოვა და შემთხვევითი კავშირები მუდმივ პარტნიორობად იქცა. აგენტი თვითონ სთავაზობდა განგსტერებს სარფიან გარიგებებს. მაგალითად, თავის სახელოსნოში მაფიოზების კუთვნილ ოთხ ძვირად ღირებულ მანქანას მალავდა, მოგვიანებით მაფიოზებმა განაცხადეს — ოთხივე დაიკარგაო და დიდი სადაზღვევო თანხაც ჩაიჯიბეს. მანქანები კი დამალეს და ნაწილ-ნაწილ გაყიდეს. ერთხელ დიდმა ფრენკმა ჯენოვეზეს ოჯახს გასასაღებლად 40.000 ყალბი დოლარი გადასცა. დიდი კმაყოფილებით შეხვდა კლანი კონტრაბანდული სიგარეტების ტვირთსაც. როცა განგსტერებმა გადაწყვიტეს, საგამოცდო ვადამ წარმატებით ჩაიარაო, ფრენკი ბოსთან — კოპო პასკალე პარელოსთან წაიყვანეს. ერთმანეთს იტალიურ რესტორან „რიგოლეტოში" შეხვდნენ, სადაც მოგვიანებით ფრენკი პარელოს ძმასთან ერთად გაცილებით ფართომასშტაბიან ოპერაციებს გეგმავდა — მაგალითად, როგორ გაეყიდათ მოპარული ბრილიანტები ან სპირტიანი სასმელების პარტია.

პასკალე პარელო მანიაკალურად ეჭვიანი იყო გარშემომყოფების მიმართ — ყველგან პოლიციის აგენტები ესიზმრებოდა და ყოველი შემთხვევისთვის თან დაატარებდა საიდუმლო ხმის ჩამწერი აპარატის აღმომჩენ სკანერს, თუმცა დიდი ფრენკი მასზე ფრთხილი აღმოჩნდა და საბოლოოდ, ბოსის ნდობა მოიპოვა. ახლა უკვე ქორწილებსა და დაბადების დღეებზეც იწვევდნენ. როგორც გამოცდილი კადრი, „ოჯახთან" დაახლოებულ წრეშიც უნდა შეეყვანათ. იოლი წარმოსადგენია, რად უჯდებოდა ყოველივე ეს აგენტს და როგორი რკინის ნერვები ჰქონდა. დიდი ფრენკი უცოლო იყო, სამაგიეროდ, ჰყავდა მშობლები, რომლებსაც თავს ევლებოდა. ერთხელაც სახლთან, სინდიკატის ერთ-ერთი წევრი დალანდა, აღელდა, შეშინებულმა, ახლობლებს არაფერი ავნონო, ბინა გამოიცვალა — მშობლები მეზობელ შტატში გადაიყვანა და გვარ-სახელებიც შეუცვალა.

სამართალდამცველებისთვის ფრენკისაგან გადაცემული ერთ-ერთი უკანასკნელი ინფორმაცია „ნიუ-იორკ თაიმსის" სტამბის გაძარცვას შეეხებოდა. წარმატების შემთხვევაში, მაფიოზები 6 მლნ დოლარს ჩაიჯიბავდნენ. რა თქმა უნდა, მათი გეგმა ჩაიშალა და დამნაშავენი დააპატიმრეს.

ჯერ უცნობია, როდის წარდგებიან მაფიოზები სასამართლოს წინაშე. აგენტს, რომელმაც მაფიაში დამკვიდრება შეძლო, გაძლიერებულად იცავენ და არავინ იცის, სად იმყოფება. დიდი ფრენკი მთავარი მოწმეა ჯენოვეზეს დანაშაულებრივი საქმიანობისა. მხოლოდ მის ჩვენებას შეუძლია ბოროტმოქმედების ხანგრძლივი დროით ციხეში გასტუმრება.

ასე რომ, გაგრძელება იქნება.

*ეხო პლანეტი №2*

# ენდეთ ქურდს, სხვა ქურდებისგან

1963 წლის 8 აგვისტოს ღამით მატარებელი გლაზგო-ლონდონი წითელი შუქის სიგნალმა გააჩერა. სულ რამდენიმე წუთში უცნობებმა მატარებელი პირწმინდად გაძარცვეს და საფოსტო ვაგონის ტვირთი 2,5 მლნ გირვანქა სტერლინგით შეამსუბუქეს.

მსოფლიოს პრესამ ამ უპრეცედენტო შემთხვევას „საუკუნის ძარცვა" უწოდა.



რამდენიმე წლის შემდეგ სქოთლენდ-იარდი მძარცველების კვალს დაადგა და მალე ქეჩოშიც სტაცეს ხელი. ერთ-ერთ მათგანს, რონალდ (რანი) ბიგსს 30 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

2 წლის შემდეგ მისი სახელი ისევ ამოტივტივდა, რადგან პატიმარი ციხიდან გაიქცა და შორეულ ბრაზილიაში დასახლდა. ამ ქვეყანასთან ინგლისს არ ჰქონდა დადებული შეთანხმება დამნაშავეების გადაცემის თაობაზე. ყოფილი მძარცველი უზრუნველად ცხოვრობდა რიო-დე-ჟანეიროში, საკუთარი სადაზღვევო კომპანიაც კი შექმნა.

სხვათა შორის, ბიგსმა სარეკლამო ფანდიც კი მოიგონა — გაზეთში განცხადებას აძლევდა: „ენდეთ ქურდს, რათა თავი სხვა ქურდებისგან დაიზღვიოთ".

ამ რეკლამის თუ სხვა რამის წყალობით, უძრავი ქონების დამზღვევი კომპანია დღითი დღე მდიდრდებოდა.

წლების შემდეგ ბრაზილიასა და ინგლისს შორის დაიდო ორი ქვეყნის პოლიციელებისთვის სასურველი კონვენცია, მაგრამ ბიგსი დანაშაულის ჩადენიდან დიდი დროის გასვლის გამო აღარ დაუპატიმრებიათ.

შარშან, გაზაფხულზე, გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ 71 წლის რონალდ ბიგსი სამშობლოში დაბრუნდა და ნებაყოფლობით ჩაბარდა ინგლისელ სამართალდამცავებს.

— 36 წლის განმავლობაში ისე დამღალა სხვა ქვეყანაში ცხოვრებამ, რომ მინდა დარჩენილი წლები ჩემს ქვეყანაში, ინგლისში გავატარო, თუნდაც ციხეში, — განაცხადა დამნაშავეობრივი სამყაროს ლიდერმა.

სხვათა შორის, ბიგსი მძიმე ავადმყოფია და ამბობენ, იმიტომ დაბრუნდა, რომ სურს, სამშობლოში დაიმარხოსო.

*კრიმინალნაია ხრონიკა №2*



სად ინახავდა თავის საგანძურს სახელგანთქმული მონტე-კრისტო?

ინგლისის გაზეთებმა ეს ამბავი 1997 წელს ჩადენილ უდიდეს თაღლითობასთან დაკავშირებით გაიხსენეს. ამ შემთხვევამ მართლაც რომ შეარყია ბრიტანეთის საბანკო სისტემა.

პირველი დაზარალდა უძველესი ბანკი „ბერინგსი". იგი 1762 წელსაა დაარსებული. აფინანსებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნაპოლეონის საწინააღმდეგო კამპანიებს. XIX საუკუნის დამდეგს მას „ევროპის მეექვსე უძლიერესი ზესახელმწიფო" უწოდეს (ინგლისთან, საფრანგეთთან, რუსეთთან, ავსტრიასა და პრუსიასთან ერთად).

„ბერინგსი" მოხსენიებულია ჩარლზ დიკენსის, ჟიულ ვერნის, ალექსანდრე დიუმას ნაწარმოებებში. სწორედ დიუმამ „შეანახვინა" მონტე-კრისტოს საგანძური „ბერინგსში".

ალბათ, მის ძლიერებას ვერავინ შეარყევდა, რომ არა... 28 წლის ნიკ ლისონი.

„ბერინგსში" ლისონმა სწრაფად მოიპოვა საფინანსო გენიოსის სახელი.

იღბლიანი ყმაწვილი ბანკის სინგაპურის განყოფილების დილერი იყო, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე თამაშობდა და დიდი ინტუიციის, კონიუნქტურის ცოდნის წყალობით სულ იგებდა. მან პატრონებს მილიონობით გირვანქა სტერლინგი შესძინა. ლისონს ძალიან ენდობოდნენ და სწორედ ეს გახდა კრახის მიზეზი.

ერთხელ, იღბალმა ლისონს ზურგი აქცია, მეპატრონეებთან შეუთანხმებლად დიდი გარიგებები დადო და თითქმის 1 მილიარდი წააგო. უძველესი ბანკი გაკოტრდა, თავად ლისონი გაიქცა.

ბანკის მეანაბრეები მაინც სასწაულს ელოდნენ და ფიქრობდნენ, რომ რაღაცნაირად გადაურჩებოდნენ გაკოტრებას, მაგრამ ასე არ მოხდა.

ლისონი მალაიზიაში დააპატიმრეს და 6 წელი მიუსაჯეს.

*ჩორნი კოტ №2*



## ᲕᲪᲐᲓᲝᲗ, ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ
# ტკბილი ბიზნესი

ბევრი რამ დაგვიწერია წინაპართა საგმირო ამბებზე და თავიც მოგვწონს, მაგრამ მცირე რამ გვსმენია იმ უბრალო და ყოფით საქმეებზე, რითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრებას ახერხებდნენ. არადა, კარგად რომ ჩავუკვირდეთ, იქნებ მათი გამოცდილება ჩვენც გამოგვადგეს... იცით, როგორ ხდებოდა 1861-1921 წლებში თბილისში თავისუფალი ვაჭრობის განვითარება? დღეს ამგვარ საქმიანობას მცირე ბიზნესს ეძახიან. ერთ პატარა ამბავს გიამბობთ ჩემი ბაბუის ცხოვრებიდან — დაუკვირდით, ეგებ რაიმე სახეირო ნახოთ!..

მე ბაბუას არ ვიცნობდი — ის კომუნისტებმა დახვრიტეს, მაგრამ მამამ მიამბო, ბაბუაჩემი სავაჭრო საქმეში ალღოიანი კაცი ყოფილა. გოლოვინზე (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი) აუღია სარდაფი ქირით და პირველი სახაშე გაუხსნია. მერე როგორც ხდება, ხომ იცით — სულ 5 თვეში თბილისში სოკოებივით მომრავლებულა სახაშეები და ბაბუაჩემს საქმე ისე წასვლია, ბინის ქირის გადახდას ძლივს ახერხებდა თურმე... ამასობაში, აღდგომაც მოსულა და მთელი ქალაქი რომ ზეიმობდა, გაღარიბებული ბაბუაჩემი ცხვირჩამოშვებული მჯდარა სახლში, რადგან გროშიც აღარ ჰქონია. ცხონებული ბებიაჩემი როგორ არ ეცადა თურმე მის გამხიარულებას, მაგრამ არაფერი გამოსვლია. მერე საწყალ ბებიას სარდაფიდან თიხის დიდი ქილით კაკლის მურაბა ამოუტანია და თათრის მოედანზე წაუღია გასაყიდად, მოვაჭრე ქალების გვერდით დამდგარა და სულ ცოტა ხანში შინ დაბრუნებულა. გაუკვირვებია ბაბუაჩემი — სულ ნახევარ საათში დავცალე ვედრო, თითო კაკალს ჯერ 2 კაპიკად ვყიდდი, მერე 3 კაპიკზე ავწიე ფასიო...

ბაბუაჩემი ჭკვიანი კაცი იყო — წამში გადაუზომ-გადმოუზომია ეს ამბავი და გადაუწყვეტია მურაბის სარდაფი გაეხსნა... ასეც მოიქცა და გახარებული ამბობდა თურმე: ჩემს სარდაფში იმდენი ჩაი ისმება, მთელი საქართველოს ორთქლმავლებს ეყოფაო — ქილებით იყიდებოდა თურმე მურაბა. ასე გააფართოვა ბაბუაჩემმა „ტკბილი ბიზნესი", რომელიც მერე კომუნისტებმა გაუმწარეს... მამაჩემის მონათხრობით რომ ვანგარიშობ, იმ სარდაფში ჩაის სმა (რა თქმა უნდა, პურფუნთუშეულთან ერთად) დაახლოებით 1 ლარამდე ეღირებოდა...

მსგავსი სავაჭრო დაწესებულება ჯერ თბილისში არ არის, ჩემი რწმენით, თუ გამოჩნდა ხალხი, ვინც ამ საქმით დაინტერესდება, ნამდვილად არ წააგებს — მომხმარებელი — მოხუცი თუ ახალგაზრდა ბლომად ეყოლება.

***ნიკო გორგი***

## ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲨᲘ
# რას ვყიდით და რას ვყიდულობთ

როგორი იყო 2001 წელს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ძნელია, თუკი ვიტყვით, რომ იმ 115 ქვეყნიდან, ვისთანაც გასულ წელს ქვეყანას ჰქონდა ეკონომიკური ურთიერთობა, მხოლოდ 30-თან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო ბალანსი (20.1 მლნ აშშ დოლარი), ანუ როდესაც ქვეყნიდან გატანილი პროდუქცია (ექსპორტი) ჭარბობს ქვეყანაში

**საგარეო სავაჭრო ბრუნვა** — 1. 004. 126.4 ათასი აშშ დოლარი (მ.შ. იმპორტი — 684, 1 მლნ. ექსპორტი — 320.0 მლნ).




შემოტანილს (იმპორტი). ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება თურქმენეთი, ინდოეთი, შვეიცარია, სომხეთი და სხვ. რაც შეეხება დარჩენილ 85 პარტნიორ ქვეყანას, სავაჭრო დეფიციტმა აქ 384. 2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საბოლოოდ, ეკონომისტების შეფასებით, 2001 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და იგი -364. 1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. თუკი ამ ვითარებას 2000 წელს შევუდარებთ, შეიძლება ითქვას, რომ არც მაშინ ფიქსირდება სახარბიელო მდგომარეობა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საქართველო 115-ის მაგივრად 112 ქვეყანასთან ვაჭრობდა. როგორც ხედავთ, ბევრი არაფერი იცვლება. არ იცვლება სავაჭრო პარტნიორების პირველი ათეული. მათი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 75.3 პროცენტია.

2001 წელს რუსეთთან სავაჭრო ბრუნვამ 164.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 2.0 პროცენტით მეტია. საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობებს, ეტყობა, კარგი პირი უჩანს. თუკი 2001 წელს აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვამ 83.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2000 წელს იგი 76.6 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. საგრძნობლად აქტიურდება ურთიერთობა თურქმენეთთან. ეს ქვეყანა 2000 წელს ძირითად პარტნიორი ქვეყნების ათეულში საერთოდ ვერ მოხვდა. შარშან კი საქართველოს საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობაში მთელი 4.6 პროცენტი დაიკავა. რაც შეეხება გერმანიას, სავაჭრო ურთიერთობები 2000 წელთან შედარებით 0,9 პროცენტით შემცირდა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ალჟირი, მონღოლეთი, პაკისტანი... ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა მხოლოდ ექსპორტს. ესტონეთთან, ვიეტნამთან, ტაივანთან (ჩინეთის პროვინცია), ქუვეითთან და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ იმპორტით იყო შემოფარგლული. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, გასულ წელს საქართველო საფრენ აპარატებს ისევე დიდი წარმატებით ყიდდა, როგორც ყიდულობდა. საფრენი აპარატები ქვეყნის ექსპორტის ყველაზე დიდ წილს იკავებს, ანუ მთელ 11.2 პროცენტს. ამ მაჩვენებელს ცოტათი ჩამოუვარდება შავი ლითონების ჯართის ექსპორტი — 10.3 პროცენტი. 10.1 პროცენტი ფიქსირდება ღვინის ექსპორტში. თურმე საქართველო საკმაოდ აქტიურად ახორციელებს არა მარტო ელექტროენერგიის, ნახმარი ტანსაცმლის, ოქროს, ალუმინის, მინერალური წყლების ექსპორტს, არამედ ისეთი პროდუქციის ექსპორტსაც, როგორიცაა ახალი ან გამხმარი თხილის გატანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ უკანასკნელს ექსპორტის 3.0 პროცენტი უკავია. რაც შეეხება საფრენ აპარატებს, მას იმპორტის 2.9 პროცენტი უკავია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე. მას იმპორტის 12.8 პროცენტი უკავია. სამკურნალო საშუალებები, შაქარი, სიგარეტი, ელექტროენერგია, ფქვილი, მსუბუქი ავტომობილები, ხორბალი — ეს ის ჩამონათვალია, რომელზეც ქვეყანაში მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და შესაბამისად, იმპორტში მათი წილობრივი „მონაწილეობაც" საკმაოდ დიდია.

*(მომზადებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით)*

„ტონსტროინგ" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს);
899-51-51-09; 899-902-091

# ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲐᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ

1998 წლის 30 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ". თავის დროზე ამ კანონმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ბუნებრივიც იყო, კანონი ხომ საზოგადოებას უკვე ღია ლობირებას სთავაზობდა. ავიღოთ თუნდაც კანონის მე-7 მუხლი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ლობისტი იღებს დავალებას და ეს დავალება ითვალისწინებს ერთი ნორმატიული აქტის (მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების) მიღებას ან ნორმატიული აქტის ერთი პროექტის შეცვლას ან უარყოფას. დამკვეთს, ფაქტობრივად, აღარაფრის დამალვა აღარ უწევს. იგი უკვე აშკარად აფიქსირებს არა მარტო ლობისტის ვინაობას, არამედ იმ თანხის რაოდენობასაც, რომელსაც იგი „საქმისთვის" იხდის.

„ამათ რაღა ჯანდაბა უნდათ? — აი, სწორედ ასეთი რეაქცია ჰქონდათ ჩვენს ჩინოვნიკებს, როცა ერთ-ერთი საქმის გამო, — ჩვენ მათ ოფიციალური რეგისტრაცია მოვთხოვეთ — ამბობს საქართველოში ერთ-ერთი პირველი ლობისტი — **ირაკლი მელაშვილი,** — იყო შემთხვევა, როცა მთავრობის სხდომაზე დამსწრეთა სიიდან ამოგვიღეს. როცა მიხვდნენ, რომ ამას დიდი სკანდალი მოჰყვებოდა, მერე დაგვიშვეს, თუმცა მთავრობის სხდომა მთელი ნახევარი საათით გვიან დაიწყო.





ჩვენ მიერ უკვე განხორციელებული საქმიანობიდან, ყველაზე უფრო გახმაურებული იყო ყოფილი „თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის" ამჟამად ს/ს „ბაგრატიონი 1882"-ის საქმე. — ამერიკულ კომპანიას, რომელიც აღნიშნული კომპანიის მფლობელია, ქართველ ჩინოვნიკთა და ძალოვანთა არამართლზომიერი ქმედების შედეგად, რეალური საფრთხე შეექმნა. საწარმოს მფლობელთა წინააღმდეგ, აშკარად თუ ფარულად, მოქმედებდა ქართველ ძალოვანთა, ჩინოვნიკთა და ბიზნესმენთა ერთი ჯგუფი. ისინი ცდილობდნენ ან ხელში ჩაეგდოთ საწარმოს მენეჯმენტი, ანდა კანონიერად ჩატარებული პრივატიზაციის შედეგების „გადახედვით" საწარმოს მფლობელის შეცვლისთვის მიეღწიათ. ინვესტორებს საქართველოში თავიანთი მოღვაწეობის ერთი წლის მანძილზე 34 სასამართლო პროცესში მონაწილეობა მოუწიათ. ჩვენ, ფაქტობრივად, საქმეში ბოლო ეტაპზე ჩავერთეთ. სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შემდეგ, რაც ჩვენი მოქმედების მთავარი იარაღია, შევძელით საქმე ინვესტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ქართველ ჩინოვნიკს მხოლოდ მაშინ აჯობებ, თუკი მას აშკარად, საჯაროდ დაუპირისპირდები, სხვაგვარად გამორიცხულია! ლობისტურ საქმიანობას თუკი ცოტა გლობალურად შევხედავთ, რა თქმა უნდა, საქართველოს მასშტაბებით, ეს არ არის „ერთთავიანი" — თუკი, მაგალითად, ლევან მამალაძის ძალაუფლება ვრცელდება მთელ „საგუბერნიოზე", შესაბამისად, იმ ობიექტებზე, რომელიც მუშაობს „მის მიწა-წყალზე", ენერგეტიკის სექტორში მძლავრად იგრძნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელი. ერთ-ერთ ძლიერ ეკონომიკურ დაჯგუფებას ახვლედიანების ჯგუფი წარმოადგენს. მათ, სხვათა შორის, ლეგალურად მოქმედების მექანიზმებიც აქვთ — თუნდაც „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა". ერთგვარად ასეთ ჯგუფს ქმნის „საერთაშორისო სავაჭრო პალატაც", სადაც ასზე მეტი უცხოური კომპანიაა გაერთიანებული. რაღა შორის წავიდეთ, ყველა დიდი ბიზნესის „თავი" დღეს პარლამენტში ზის!

უკვე ტრადიციად იქცა, რომ საქართველოში ჩამოსული ბიზნესმენი უპირველესად ქვეყნის პირველ პირს შეხვდება ხოლმე, მოლაპარაკებებსაც მხარის გუბერნატორებთან აწარმოებს. ამგვარი ტაქტიკა მათთვის ერთგვარი გარანტიაა წარმატებული ბიზნესისათვის. მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? — მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ინვესტორმა ასევე ერთ-ერთ გუბერნატორთან მოლაპარაკება დაასრულა და, შესაბამისად, ხელი მოაწერა კონტრაქტს, აღმოჩნდა, რომ იმაზე, რაც ინგლისურ ვარიანტში ეწერა, საუბარი არც კი იყო ქართულში. უცხოელების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. აი, შენი წარმატებული ბიზნესის გარანტია!"

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი **რომან გოცირიძე** ლობირების ერთ მეტად საინტერესო მექანიზმზე საუბრობს:

„არა მხოლოდ „სახელმწიფოს მოსყიდვის" ფორმით ხდება კომპანიების ზემოქმედება ხელისუფლებაზე. ხელისუფლების სხვადასხვა წრეში კავშირების წყალობით, ან თვით მაღალი რანგის ჩინოვნიკების ბიზნესში მონაწილეობით, კომპანიები ღებულობენ პრივილეგიებს. როგორც ერთი დეპუტატი ამბობდა, საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის უკან ნაცნობი პიროვნებების პორტრეტები იმზირება. განა კულუარული ლობირების ნათელი მაგალითი არ არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ ზოგიერთი საწარმოსათვის დავალიანების ჩამოწერის ან ფირმის საგარეო ვალების გასტუმრების ვალდებულებების მთავრობაზე გადაკისრების და მათი ხანგრძლივი გადავადების შემთხვევები?! საქართველოს კანონმდებლობა მარტო გადასახადების სხვადასხვა სახეობის მიხედვით 150-მდე განთავისუფლებას და შეღავათს ითვალისწინებს. ეს არ არის პატარა ციფრი. არსებულ სიტუაციას უფრო მეტად ამძაფრებს ის, რომ მრავალრიცხოვანი შეღავათისა და განთავისუფლებათა შედეგად ინგრევა და ნადგურდება ე.წ. დასაბეგრი ბაზა, ანუ ბიუჯეტი უფრო მეტ თანხებს კარგავს არა უშუალოდ გარკვეული სფეროების განთავისუფლების, არამედ ამ განთავისუფლებების უკანონოდ გამოყენების შედეგად. განა ცოტაა ისეთი შემთხვევა, როცა საქართველოში იმპორტირებული საქონელი ფორმდება შეღავათიან რეჟიმებში, როცა იგი წესით უნდა დაიბეგროს ჩვეულებრივი იმპორტის რეჟიმით. იმპორტირებული კვების პროდუქტები, ნავთობპროდუქტები, ფქვილი, ხორბალი და სხვა საქონელი საბაჟოზე აღირიცხება, როგორც უცხოური ინვესტიციებით ან ჰუმანიტარული დახმარების სახით განხორციელებული საქონლის იმპორტი და იგი, შესაბამისად, საერთოდ აღარ იბეგრება".

თავის დროზე ბრაზილიამ ჩაატარა ექსპერიმენტი და შემოიღო ბიუროკრატიისაგან გათავისუფლების საქმეთა მინისტრის პოსტი. ახალმა მინისტრმა იმოგზაურა ქვეყანაში და გადასინჯა ყველა ფორმა, რომელთა შევსებაც აუცილებელი იყო სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობის დროს. მან ამ ფორმების ერთი მესამედი გააუქმა. შემდეგ, როგორც ჩანს, მინისტრის სამსახური დასრულებულად ჩაითვალა და სამინისტრომ არსებობა შეწყვიტა. თუმცა, ბიუროკრატიის დაძლევა ასე ადვილი არ აღმოჩნდა. დღეს ბრაზილიაში ბიუროკრატიული ლაბირინთი უფრო დახლართულია, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

ასე რომ, ბიუროკრატიის გაკონტროლების ერთადერთი მარტივი ხერხია — ქვეყანას რაც შეიძლება ნაკლები ჩინოვნიკი ჰყავდეს. ვიდრე ისინი ფუსფუსებენ თავიანთ კაბინეტებში, მათ არ გაუჭირდებათ საქმის „გაჩენა" და ხშირად მათი „მოღვაწეობა" ხელის შეშლით გამოიხატება ხოლმე.

***ლელა წითლანაძე***



## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ...
### წყვილები და ეპისკოპოსი

**— როდის ჩაეყარა საფუძველი ვალენტინობას?**

***დიმა ჯიქურიძე***

დაახლოებით 269 წელს, რომაელი იმპერატორის კლავდიუს -ის მმართველობის დროს, აიკრძალა ქორწინებები. იმპერატორის აზრით, მამაკაცები სამხედრო საქმეს არ უნდა მოსცდენოდნენ. ეპისკოპოსმა ვალენტინმა იმპერატორის მალულად დაიწყო წყვილების დაქორწინება. საიდუმლო გაცხადდა და ეპისკოპოსი იმპერატორის ბრძანებით 270 წლის 14 თებერვალს დასაჯეს. 496 წელს რომის პაპმა გელასიუსმა 14 თებერვალი წმინდა ვალენტინის დღედ გამოაცხადა. კათოლიკურ სამყაროში ამ დღეს შეყვარებულთა დღესასწაულსაც უწოდებენ.

***ენციკლოპედიის მიხედვით***

საუკეთესო
ასლგადამღები
აპარატები
გარანტიით,
ფასდაკლებით
შესაძლებელია:
განვადება
ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო
ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

ბეჭდები, შტამპები,
ფლექსოგრაფიული
ფორმა, სავიზიტო
ბარათები,
წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

ნდობის
ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
9 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2300 |
| გერმანული მარკა | 0,9954 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1505 |
| ევრო | 1,9468 |
| რუსული რუბლი | 0,0724 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0165 |

# ნარმატების სანინდარი

ჩვენი გუნება-განწყობილება დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რომელ ფეხზე ავდექით, არამედ თუ რა ვჭამეთ საუზმეზე, სადილად ან ვახშამზე, ან მშიერი ვართ თუ არა... გავიხსენოთ, რამდენი წინდაუხედავი საქციელი ჩაგვიდენია მშიერ კუჭზე, წავჩხუბებივართ ახლობლებს, მაშინ, როდესაც შოკოლადის სულ პატარა ნაჭერიც კი საკმარისი იქნებოდა დასამშვიდებლად და უსიამოვნებებსაც ავიცილებდით თავიდან. რატომ მაინცდამაინც შოკოლადი? ამის შესახებ — ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა კი, გავეცნოთ დიეტოლოგთა მსოფლიო შეკრების შედეგებს. მათ გამოაქვეყნეს საზოგადოებისთვის სენსაციური დასკვნები და სპეციალური ცხრილი იმ პროდუქტებისა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის შესაძლებლობასა და გუნება-განწყობილებაზე. აი, ზოგიერთი მათგანი:

## ფორთოხლისა და ანანასის აღიარება

ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მექალთანეებს გრძნობების გამძაფრებაში ცნობილ პროდუქტებთან ერთად, ეხმარება ხილიც, მაგრამ არა ნებისმიერი, არამედ სქელკანიანი. მათი აზრით, თურმე, როდესაც „ვხდით“ ამა თუ იმ ხილს, ქერქთან ერთად ვთავისუფლდებით ჩვენი პრობლემებისა და კომპლექსებისაგან, თამამად ვამჟღავნებთ გრძნობებს. ქალის ნაზი თითებით გაფცქვნილი ვაშლი, მანდარინის ან ფორთოხლის ერთი ლებანი ან ანანასის პატარა ნაჭერი — საყვარელ მამაკაცში ნამდვილ გრძნობებს აღვიძებს. ევამაც ხომ ვაშლით აუხილა თვალები ადამს მიწიერ სიყვარულზე.



## კომპრომისული ღვეზელი

ცხოვრებაში ყველაზე მეტად გვიშლის ხელს უკომპრომისობა. სწორედ ამ პრობლემის მოხსნაში დაგვეხმარება თურმე ცხელი და არომატული კერძები: ფლავი, მოხარშული ცხელი ხორცი და ნებისმიერი ნამცხვარი, სხვადასხვა სანელებლით შეკაზმული თევზის კერძები — აირჩიეთ, რომელიც უფრო მოგწონთ, რა თქმა უნდა, არ დაგავიწყდეთ ახალმოხარშული ყავის სურნელება, რომელიც ქმნის ურთიერთგაგების ატმოსფეროს, ერთ ტალღაზე აწყობს ჩვენს აზროვნებასა და ფიქრებს, კამათი ცხრება და მდგომარეობა მშვიდდება...

სხვათა შორის, ბრიუსელში გაეროს შტაბბინაში სათათბირო დარბაზის შემდეგ, მთავარი ადგილი უკავია კაფეს, სადაც ამზადებენ მთელ ბელგიაში სახელგანთქმულ სურნელოვან ღვეზელებს. ამასთან, კაფეში კონდიციონერები მინიმალური დატვირთვით მუშაობენ, რათა ახალგამომცხვარი ღვეზელების სუნი არ გაიფანტოს...

## სტაფილო ჭკვიანებისთვის

თუ ყოველდღე საუზმეზე მიიღებთ გახეხილ სტაფილოს მცენარეული ზეთით, მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესდებათ მეხსიერება და ტვინის მუშაობა. ზეთი აადვილებს სტაფილოში შემავალი ყველაზე ძვირფასი ნივთიერების — ბეტაკაროტინის ათვისებას, რომელიც ააქტიურებს ტვინის მუშაობას. კარგი იქნება, თუ ახალ სტაფილოს მიართმევთ მეუღლეს — პასუხსაგები თათბირის წინ, ან ბავშვს — გამოცდების წინ.

## შოკოლადი კატაბალახას ნაცვლად

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტკბილი ხსნის სტრესს. შაქარი, ყველაზე კარგად იცავს ჩვენს ნერვულ უჯრედებს, თუმცა არ უნდა გადავაჭარბოთ კალორიების დღიურ ნორმას. დიეტოლოგები გვირჩევენ — ნერვიულობის დროს მივიღოთ შოკოლადი (პატარა ულუფებით), რადგან ის არცთუ კალორიულია, როგორც ნებისმიერი ნამცხვარი. მერილინ მონროც ხომ შოკოლადით ცდილობდა აღედგინა წონასწორობა ნერვიულობის დროს...

## ბედნიერება — წვნიანშია

ვინც ხშირად მიირთმევს წვნიანს, გამოირჩევა გულღია და მხიარული ხასიათით. თურმე, ცხელ წვნიანს კარგად ითვისებს ორგანიზმი, იგი მას ამდიდრებს ენერგიით და ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ბედნიერების ჰორმონების გამომუშავებას. ასე რომ, თუ თქვენი საყვარელი ადამიანი სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნდა — მიართვით ცხელი, სანელებლებით შეზავებული წვნიანი.

## უცხოპლანეტელების საჩუქარი

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ეს უძველესი კულტურა მიწაზე ჩამოიტანეს კოსმოსიდან უცხოპლანეტელებმა. სწორედ ამით ხსნიან იაპონელი კულინარები ამ პროდუქტის გასაოცარ ენერგეტიკულ ძალას. ბრინჯი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო აბსოლუტურად ყველა ელემენტს. პარაფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ისინი, ვინც ყოველდღე ჭამენ ბრინჯს, ფლობენ დიდ ინტუიციას.



*ლიზა-გოროსკოპი №2*

# ჭამის ნუ შეგეშინდებათ



ამბობენ, ძილის წინ მიღებული საკვები ავტომატურად იქცევა ცხიმად და საუზმეს სრულიად ითვისებს ორგანიზმი. ეს არ არის სწორი. ადამიანს ასუქებს უმოქმედობა, უმოძრაობა, ზედმეტი და მსუყე საკვები და არა ის, დილით მიირთმევთ თუ საღამოს.

საუკეთესო ვარიანტია, თუ ავდგებით დილის 6 საათზე, ვისადილებთ 12 საათზე, ვივახშმებთ 18 საათზე და დავიძინებთ 23 საათზე.

საჭმლის მონელება, როგორც ვიცით, მძიმე ფიზიოლოგიური პროცესია. ამ დროს სისხლის 75% კუჭში მიდის, თავად მონელება 3-4 საათს გრძელდება. გამოდის, რომ თუ კარგად ნასაუზმევი წავალთ სამსახურში, არ მივცემთ კუჭს საკვების ნორმალურად მონელების საშუალებას. არ შეიძლება დილიდან ხორცის, თევზის მირთმევა, სჯობს „მძიმე“ პროდუქტებს საღამოს მოვულხინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კუჭის წყლული გარანტირებული გვექნება. საუზმე კი, მსუბუქი უნდა იყოს: ფაფა, ვაშლი, წვენები — ყველაფერი ის, რისი მონელებაც ადვილად შეიძლება.

ბევრს ჰგონია, რომ რაც უფრო იშვიათად შეჭამს, უფრო ადვილად გახდება. სინამდვილეში პირიქით ხდება. როცა საკვების მიღებას შორის შუალედი დიდია, კვების ცენტრი, რომელიც თავის ტვინის ჰიპოტალამიურ ნაწილშია, აღგზნებულია და გვაქვს შიმშილის განუწყვეტელი შეგრძნება. ხოლო, როგორც ცნობილია, მშიერი ადამიანი ძნელად აკონტროლებს თავს და გაცილებით მეტს მიირთმევს, ვიდრე აუცილებელია. მსუქნებმა დღეში 4-5-ჯერ უნდა ჭამონ და ცოტ-ცოტა.

*ონა №9*

# ჯარაექიმის რჩევები

**სახსრების ტკივილს შველის:** **1.** 1ჩ/კ გამხმარ ენდროს ფესვებს დაასხით ანადუღარი 1 ჩ/ჭ წყალი. გააჩერეთ 8 საათი და გაწურეთ. ნარჩენს დაასხით მდუღარე და 10 წუთის შემდეგ გაწურეთ. ორივე ნაყენი შეურიეთ ერთმანეთს. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 4-ჯერ დღეში წელის, ზედა და ქვედა კიდურების ტკივილის დროს.

**2.** 1ს/კ ასფურცელას ყვავილს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 2 საათი. გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე — რევმატიზმისა და სახსრების ართრიტის დროს.

**3.** 3ს/კ გამხმარ ფარსმანდუკს დაასხით 1ჩ/ჭ ქაფქაფა წყალი. შეფუთეთ და 1 საათის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე — წელის ტკივილის, რევმატიზმისა და ნევრალგიის დროს.

**გინგივიტისა და სტომატიტის დროს:** **1.** 30-50გ რეჰანს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. ნაყენი გახსენით წყალში და გამოივლეთ პირში. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი 2-ჯერ დღეში.

**2.** 50 გ დაფქულ მუხის ქერქს დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი წყალი, ადუღეთ 30 წუთი. გააცივეთ, გაწურეთ და ნაყენი გამოივლეთ პირში არანაკლებ დღეში 6-ჯერ.

**3.** 10 გ კრაზანას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, ადუღეთ 3-5 წუთი. გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ 1-2-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

**კუჭის სიმძიმის შეგრძნებისა და ჭვალის დროს:** შეურიეთ ერთმანეთს 5 გ კატაბალახას ფესვები, 30 გ გვირილის ყვავილი, 10 გ პიტნა, 5 გ დიდი კამის თესლი. 2 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავდახურული გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1-2 ჩ/ჭ დღის განმავლობაში.

**ქერტლის დროს:** 1 ს/კ ჭინჭარს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 1,5 სთ, გაწურეთ და კვირაში ერთხელ დაბანის შემდეგ გადაივლეთ თავზე.

**თვალების ანთებას შველის:** 2 ს/კ ბეგქონდარას დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ მთელი ღამე. დილით 12 წუთით გააჩერეთ წყლის ორთქლზე და გაწურეთ. ნაყენით დაიბანეთ თვალები და გაიკეთეთ საფენები.

**ათეროსკლეროზის დროს:** შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ ბარამბო, ბარისპირა, 40გ კუნელის ნაყოფი და ყვავილი, 10 გ დედოფლისთითას და 30 გ მარწყვის ფოთოლი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1/2 ჩ/ჭ ქაფქაფა, მდუღარე წყალი, 10 წუთი გააჩერეთ და გაწურეთ. მიიღეთ როგორც ჩაი, თაფლით ან შაქრით.

**არითმიის დროს:** **1.** შეურიეთ ერთმანეთს 3 წილი შავბალახას, 2-2 წილი ლავანდის, მუზარადას და როზმარინის ფოთოლი, 3 წილი კუნელის ყვავილი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 1 ლ მდუღარე, ადუღეთ 3 წუთი, გააჩერეთ 5 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 5-6-ჯერ დღეში.

**2.** 5 გ კუნელის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთი თავდახურულ ჭურჭელში, კარგად გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

# თავშავა _ სანელებელი და მკურნალია



თავშავა (შავბალახა, ჩაის პიტნა, თავყვითელა) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სურნელოვანი სანელებელი და სამკურნალო მცენარეა. მას ზამთრის მაიორანსაც უწოდებენ. ძალიან ბევრმა დიასახლისმა იცის, რომ თავშავა არა მარტო სასიამოვნო სუნს, არამედ პიკანტურ გემოს აძლევს ნებისმიერ საჭმელს, განსაკუთრებით უხდება ხორცს, კარტოფილსა და პარკოსნების კერძებს.

ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში ტრადიციული სანელებელი იყო თავშავას ოჯახის წარმომადგენელი — სუბტროპიკული მაიორანი. მისი კვირტები და ფოთლები გამოსცემს ერთდროულად წიწაკის, პიტნისა და ილის სურნელებასა და გემოს. დღესაც ზოგან მაიორანით ანელებენ ძეხვეულს, რისთვისაც მას „ძეხვის ბალახს“ უწოდებენ. რუსეთში კი, თავშავას ამატებენ ბურახს, რომელიც მას განსაკუთრებულ გემოსა და სუნს აძლევს.

თავშავას ყლორტებისა და ყვავილის ჩაი არა მარტო გემრიელია, არამედ სასარგებლოც, რადგან შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებსა და ეთეროვან ზეთებს, ეთეროვანი ზეთები კი — ანტიმიკრობული თვისებების მქონე ფენოლურ (ორგანულ) ნაერთებს. თავშავას პრეპარატები აწესრიგებს კუჭის მოქმედებასა და აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, აქვს ნაღველმდენი თვისება.

თავშავას ჩაი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის კუჭის სპაზმებს, რეკომენდებულია ბრონქებისა და ფილტვების დაავადებისას.

თავშავას რთავენ ამოსახველებელ ნაერთში, როგორც ხველების შემამსუბუქებელ და ბაქტერიოციდულ საშუალებას, ტრაქეობრონქიტის დროს იგი აუმჯობესებს ფილტვების სადრენაჟო ფუნქციას. გთავაზობთ ერთ-ერთ რეცეპტს:

აიღეთ 1 წილი წყლის იელი, 2-2 წილი თავშავა და ვირისტერფა, დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 20 წუთი და გაწურეთ. ნაყენი გამოიყენეთ ინჰალაციისათვის და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

თავშავას იყენებენ ჭრილობებსა და ფურუნკულებზე კომპრესის სახით.

ათეროსკლეროზის დროს რეკომენდებულია კვირაში 2-ჯერ 5 წუთი თავშავას თბილი აბაზანები: 10 გ თავშავას დაასხით 2 ლ მდუღარე, გააჩერეთ 2 საათი და გაწურეთ. ნაყენი დაამატეთ აბაზანაში წყალს.

*ლიზა №4*

# [illegible]

— ყველაზე „ცხიმიანი“ კაკალია — მაკადამია, მასში 74% ცხიმია. შედარებისთვის: ბრაზილიური კაკალი შეიცავს 67% ცხიმს, ჩვეულებრივი კაკალი — 64%, ტყისა კი — 62 %-ს. სრულიად საკმარისია რამდენიმე კაკალი, რათა საღამოს მოიკლათ შიმშილის გრძნობა.

— ყურძენი კალორიულობით ძალიან ახლოს დგას კვერცხთან და ფარგასთან — 70 კკალ (100 გ-ზე). მას სულ ცოტათი ჩამორჩება ბანანი — 100 გ შეიცავს 61 კკალ, იმდენივეს, რამდენსაც 100 გ რძე.

— ქათამში ყველაზე ცხიმიანია კანი. თუ მას გავაცლით, მაშინ თქვენს მენიუში 5-ჯერ შემცირდება ცხიმი.

— ბოსტნეულის კერძებიდან ყველაზე სწრაფად ანაყრებს ჭარხლისაგან დამზადებული საჭმელები. კალორიულობით ის მხოლოდ კარტოფილს ჩამორჩება.

— ცხიმიანი თევზები (მაგალითად, ვირთევზა) დღეს ხილ-ბოსტნეულისა და უხეშად დაფქული ფქვილის პურის გვერდით მოიხსენიება. გარდა იმისა, რომ ის ცხიმიანია, ძალიან სასარგებლოა და საუკეთესოდ მოქმედებს მხედველობაზე, გულზე და ამცირებს ინსულტის რისკს.

*სობესედნიკი №2*

# შეკითხვა ექიმს



***დილით, გაღვიძებისას, ხშირად ვამჩნევ, რომ თვალის უპეები მიშუპდება, როგორ მოვიქცე?***

***ანა ბაიაძე***

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს ორგანული დაავადებები (თირკმლისა და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები), რომლებიც ხშირად ხდება ხოლმე ზოგადი შეშუპების მიზეზი. თუ მსგავსი ცვლილებები არ აღგენიშნებათ, მაშინ უპეების შეშუპების მიზეზი შეიძლება იყოს ძილის დროს თავის არასწორი მდებარეობა, წყლის მომატებული რაოდენობა ორგანიზმში ან ალერგია. უნდა გამორიცხოთ თითოეული ჩამოთვლილი ფაქტორი: ძილის დროს თავი დადეთ რამდენიმე ბალიშზე. თუ ალერგია გაქვთ, საღამოობით მიიღეთ ანტიჰისტამინური პრეპარატები. უნდა დარწმუნდეთ, რომ ალერგიას არ იწვევს ქათმის ბუმბული ან მატყლი. ძილის წინ ნუ დალევთ ბევრ წყალს, შეზღუდეთ მარილი, ნუ მიიღებთ ალკოჰოლს. დილით ადგომისთანავე უპეებზე დაიდეთ ყინულის ნაჭრები — სიცივე ამცირებს გაფართოებული სისხლძარღვების სანათურს და შეშუპებას ამცირებს.

***რა იწვევს პირის ღრუში სტომატიტის ხშირ წარმოქმნას, რით შეიძლება მისი მკურნალობა?***

***ზ.ნ.***

სტომატიტი პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებაა. ეს დაავადება მაშინ წარმოიქმნება, თუ დაქვეითებულია იმუნური სისტემის აქტივობა, მაღალია ვირუსული და ალერგიული ფონი. თუ სტომატიტის განვითარება სეზონური ხასიათისაა, ასეთ შემთხვევაში იგი გენეტიკური ფაქტორითაცაა განპირობებული და უფრო ძნელად იკურნება. სტომატიტის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორებია: პირის ღრუს ჰიგიენური ნორმების დარღვევა, მუდმივი ტრავმა (არასწორად მორგებული პროთეზი, ჩამომტვრეული კბილის გვირგვინი), ღრძილების ქრონიკული დაავადებები, გაცივება. ამიტომ, სტომატიტის პროფილაქტიკა ამ ფაქტორთა თავიდან აცილებას გულისხმობს.

მწვავე სტომატიტის დროს იგი ადგილობრივად უნდა დამუშავდეს მეთილურაცილით, იოდინოლით, სოლკოსერილით, ინტერფერონით. ძალზე ეფექტურია ლიზოციმი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 1 კვერცხის ცილა უნდა ათქვიფოთ 1 ჭიქა წყალში, დაუმატოთ ცოტა მარილი, სოდა, 1 ამპულა ვიტამინი $B^{12}$. მიღებულ ხსნარში დაასველეთ ტამპონი და დაამუშავეთ ანთებითი არე. ალერგიული ფონის მოსახსნელად ავადმყოფს ენიშნება ანტიალერგიული პრეპარატები (ტავეგილი, სუპრასტინი) ან ადგილობრივად ჰორმონული პრეპარატები (პრედნიზოლონი, ჰიდროკორტიზონი). მცენარეებიდან ეფექტურია მუხის ქერქის ნაყენი.

თუ სტომატიტი გავრცელდა პირის ღრუს სხვა მიდამოებზე და გადავიდა ენაზე, ზოგჯერ ყალიბდება ნეკროზული ფორმა და ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი დამატებით გამოკვლევებსა და მკურნალობას საჭიროებს. სტომატიტის დროს არ უნდა მიიღოთ ანტიბიოტიკები და ალერგიული პროდუქტები (ნიგოზი, თევზი, რძე).

***მაქვს სამუშაო, რომელიც დიდ ფიზიკურ და ემოციურ დაძაბულობას მოითხოვს. ბოლო დროს ხშირად მეხვევა თავბრუ, მაქვს ტკივილი გულის არეში. ზოგჯერ ჩასუნთქვაც მიჭირს. თქვენი აზრით, არის თუ არა ეს გულის დაავადების უტყუარი სიმპტომები?***

***გიორგი ბუჩუკური***

ძალიან ხშირად გულმკერდის მარცხენა ნაწილში ლოკალიზებული ტკივილი, რომელიც სუნთქვასთან ან მოძრაობასთანაა დაკავშირებული (განსაკუთრებით ახალგაზრდებში), განპირობებულია ხერხემალში განვითარებულ ცვლილებებთან და გულის დაავადების სიმპტომს არ წარმოადგენს (ერთადერთი გამონაკლისია პერიკარდიტი — გულის გარსის ანთება). უნდა დააკვირდეთ, ძლიერდება თუ არა ტკივილი ფიზიკური დატვირთვის დროს, როგორია მისი ხანგრძლივობა. თუ გულის არეში ტკივილი დატვირთვასთან არავითარ კავშირში არ არის და უფრო მეტად უკავშირდება სუნთქვას და მოძრაობას, მაშინ გულის დაავადება ნაკლებად სავარაუდოა და თქვენ ალბათ გაქვთ ხერხემლის პათოლოგია ან ფილტვების დაავადება.

თავბრუსხვევა, რომელიც თქვენ აღგენიშნებათ, ასევე ახასიათებს კისრის მალების ოსტეოქონდროზს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იგი ჰიპოქსიის (ჟანგბადის ნაკლებობის) შედეგად იყოს.

გულის არეში წარმოშობილი ნებისმიერი ტკივილის დროს (მით უმეტეს პირველად) აუცილებლად უნდა მიმართოთ კარდიოლოგს, რათა გამოირიცხოს გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია, ინფარქტი).

***თამარ მამაცაშვილი***

## მუსიკა ბავშვს ნიჭს უვითარებს



სამწუხაროდ, ბავშვების 70%-ს დაბალი მოსწრება აქვს სკოლაში. ძნელად ითვისებენ მათემატიკასა და უცხო ენებს, ისტორიას. ფსიქოლოგების აზრით, მოსწრების გაუმჯობესების უნივერსალური საშუალებაა მუსიკაში რეგულარული მეცადინეობა. თანაც, რაც უფრო ადრე დაიწყებს ბავშვი მუსიკის სწავლას, მით უკეთესია.

ის ბავშვები, რომლებიც მუსიკაზე დადიან (თუნდაც მათი სურვილის საწინააღმდეგოდ), უფრო ბეჯითები, შრომისმოყვარენი და ემოციურად მყარები არიან, ვიდრე მათი თანატოლები.

მუსიკა ავითარებს აღქმის ყველა გზას: სმენის, მხედველობითს, ასოციაციურს, მგრძნობელობითს. ის ზემოქმედებს მეხსიერების ყველანაირ სახეზე: მხედველობითზე, მექანიკურზე.

მუსიკისადმი სიყვარულში აღზრდილი ბავშვები უფრო მგრძნობიარენი არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლები პრობლემები აქვთ ურთიერთობაში.

*ლიზა №3*

# სტენოკარდია და მისი სიმპტომები

სტენოკარდიული ტკივილი გულის არეში განპირობებულია გულის კუნთის გარკვეული სეგმენტის მწვავე ჟანგბადოვანი უკმარისობით, რაც ადგილობრივად სისხლის მიმოქცევის დროებითი მოშლის შედეგია. გულის კუნთი, ისევე როგორც ორგანიზმის ყველა ქსოვილი, საკვები ნივთიერებითა და ჟანგბადით უწყვეტ მომარაგებას საჭიროებს. გული შეკუმშვისას სისხლს აორტაში გადაისვრის, რომელიც თავის მხრივ მსხვილი კალიბრის არტერიებად იტოტება; ისინი კი უფრო წვრილად და ა.შ. აორტიდან დასაწყისშივე გამოიყოფა არტერიები, რომლებიც სისხლით მარჯვენა და მარცხენა გულის კუნთებს ამარაგებს. ისინი იტოტება და გულს თითქოსდა გვირგვინივით ეკვრის გარს. სწორედ ამიტომ გულის მკვებავ სისხლძარღვებს — კორონარული უწოდეს. თუკი გულის კუნთის სისხლმომარაგება დარღვეულია, ლაპარაკი არის კორონარულ უკმარისობაზე. სტენოკარდია კი, გარდამავალი, დროებითი კორონარული უკმარისობაა.

ორგანიზმში შესუსტებული სისხლმომარაგების ფონზე ვითარდება ჟანგბადის ნაკლებობა, რასაც იშემიას უწოდებენ. გულის კუნთის იშემიურ უბანში ჟანგბადის ნაკლებობის გამო წარმოიქმნება ნივთიერებები, რომლებიც აღიზიანებს გულის კუნთში არსებულ ნერვულ დაბოლოებებს, რაც საბოლოო ჯამში ტკივილი-სიგნალის-აღმოცენების მიზეზი ხდება.

თუკი კორონარებში ათეროსკლეროზული პროცესები განვითარდება, ანუ სისხლძარღვთა სანათური, მასში ჩალაგებული ქოლესტერინული ფოლაქების წყალობით, შევიწროვდება, სისხლის დინებას სერიოზული დაბრკოლება შეექმნება. ქოლესტერინის ფოლაქები სისხლძარღვის შევიწროებასთან ერთად არღვევს მის ნორმალურ სტრუქტურას, რაც მისი გაფართოების ხელის შემშლელი ფაქტორია. ეს ყველაფერი კი, წინაპირობას ქმნის სტენოკარდიული ტკივილის აღმოცენებისთვის, რომელიც თავდაპირველად დატვირთვის ფონზე ვითარდება და მას დატვირთვის სტენოკარდია ეწოდება.

სწრაფი სიარულის ან სხვა ფიზიკური დატვირთვისას გულის არეში სწრაფად აღმოცენდება ტკივილის შეგრძნება, რომელიც გულის კუნთში იშემიის არსებობაზე მიუთითებს.

სტენოკარდია შეიძლება აღმოცენდეს ადამიანების ერთ ჯგუფში ათეროსკლეროზული პროცესების გამო, მეორეში — კორონარული არტერიის სპაზმის გამო და მესამეში — ორივე ფაქტორის ერთდროული არსებობის საფუძველზე.

სტენოკარდიის შეტევა დამოკიდებულია დაძაბულობის ხარისხზე. მას განაპირობებს ფიზიკური და ემოციური დაძაბვა. დიდი რაოდენობით საკვების მიღება გულს ტვირთავს. მომატებული არტერიული წნევაც აიძულებს გულის დატვირთულ მუშაობას. თუკი სწრაფად მოხდება სტენოკარდიის გამომწვევი დატვირთვის მოხსნა, მაშინ ტკივილიც მალევე ცხრება. დროთა განმავლობაში კორონარების ათეროსკლეროზი პროვოცირებს. ამის გამო სტენოკარდიული ტკივილი სულ უფრო მცირე დატვირთვაზე აღმოცენდება, საბოლოო ჯამში კი, სიმშვიდის დროსაც.

სიმშვიდის სტენოკარდია ხშირად ღამით ვლინდება. ამის მიზეზია მსუყე ვახშამი. შეტევა, როგორც წესი, ხანმოკლეა, მაგრამ თუკი ის დიდხანს გრძელდება, მან შესაძლოა მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებამდე მიგვიყვანოს.

სტენოკარდიის განვითარების რისკ-ფაქტორებია: მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა, ასაკი. სტენოკარდია ვითარდება, ძირითადად, 40 წელზე მეტი ხნის მამაკაცებში (თუმცა, ამ ბოლო დროს ეს ზღვარი გაახალგაზრდავდა) და 50 წელზე მეტი ხნის ქალებში — მენოპაუზის დადგომის შემდეგ; სქესი — მამაკაცი; ჭარბი წონა; ადინამიკური (უმოძრაო) ცხოვრების წესი; მაღალი წნევა; არასწორი კვება; თამბაქო.

სტენოკარდიისთვის დამახასიათებელი ტკივილი:

1. კლასიკური სტენოკარდიტი: მოჭერითი ხასიათის ტკივილი მკერდის ძვლის უკან. დამახასიათებელია ტკივილის დაწყება ფიზიკური ან ძლიერი ემოციური დატვირთვის დროს.

შესაძლო ვარიანტები ხასიათის მიხედვით — სიმძიმის შეგრძნება; წვის შეგრძნება.

შესაძლო ვარიანტები ადგილის მიხედვით: ნებისმიერ ადგილას გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში; ეპიგასტრიუმში („კუჭის თავი"); ირადიაცია (გადაცემა), რომელიც საკმაოდ ხშირია: ყველაზე ხშირად — მარცხენა ხელი.

შესაძლო ვარიანტები: ბეჭი, ქვედა ყბა, კბილი, მარცხენა ფეხი. აღნიშნულია ტკივილის გადაცემა სხეულის თითქმის ყველა ნაწილში.

ტკივილი ხასიათის მიხედვით, რომელიც ნაკლებად არის დამახასიათებელი სტენოკარდიისთვის: ჩხვლეტითი; დანის ჩასობის მსგავსი; ტკივილი, რომელიც ძლიერდება მტკივნეულ ადგილზე ხელის დაჭერით; ტკივილი, რომელიც ძლიერდება, მცირდება, ქრება ღრმა ჩასუნთქვისას; ტკივილი, რომელიც იწყება მოსვენებისას და ქრება მოძრაობისას; ტკივილი, რომელიც აღმოცენდება მოსვენებულ მდგომარეობაში, თუ მანამდე ადამიანს არ აღენიშნებოდა მსგავსი ტკივილი ფიზიკური დატვირთვისას; მუდმივი, ყრუ ტკივილი, რომელიც დიდხანს გრძელდება.

ადგილის მიხედვით: ტკივილი ერთ წერტილში. ტკივილის შესაბამისი



სტენოკარდიის გამოხატვის სხვა შესაძლო ვარიანტები: უეცარი მოძრაობის, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება; წნევის უეცარი დაცემა; ნებისმიერი დისკომფორტი გულ-მკერდის არეში;

არსებობს სტენოკარდიის ვარიანტი, რომელიც სუბიექტურად არ გამოიხატება ანუ ადამიანს ჩივილები არა აქვს. ამიტომ მათ, ვისაც ერთდროულად აქვს რამდენიმე რისკ-ფაქტორი, მეტი ყურადღება მართებთ (პროფილაქტიკური გამოკვლევები).

*მაია მუხიგული*


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ენდოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

**ჰომეოპათიური მკურნალობა**

ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)
ალ. ჭავჭავაძის ქ.№2
№13 პოლიკლინიკა
სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65



**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**
კომპლექტი 95ლ
ავტომატური საჩხვლეტი
50 ც. ნემსით 14ლ
შპს „კონტრასტი". ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

**მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), 1 სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

ისრაელ-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი"

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

**სიახლე**

ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრში

**კენჭების დაშლა**

ყველაზე მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებით

ნაღვლის ბუშტის, თირკმლის, შარდსაწვეთის, შარდის ბუშტის მცირე და დიდი ზომის კენჭების დაშლა ქირურგიული ჩარევისა და ტკივილის გარეშე.

ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი
მის: ვაჟა-ფშაველას 29, რესპუბლიკური საავადმყოფოს VII სართ.
☎ 39-52-05 პროფესორი თემურ ტაბუცაძე

**„მედი"-ჭარბთმიანობის მკურნალობა ალექსანდრიტის ლაზერით**

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ... მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმის ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი, უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო მედიცინის ... წინაშე დგას.

მსოფლიოს ... თა ოცნება ... ჩატარება უკონტაქტოდ ნევუსისა და კანის დაზიანების გარეშე, - რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. ... მიერ გამოხვეწებული ... სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და ... ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ... ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით ემეტყველება რამდენიმე წუთი ... სრულდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია სეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი", დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელს კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი „მედი", ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა გთავაზობთ ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს პაციენტების ჰორმონალური ფონის შესწავლა, გინეკოლოგის კონსულტაცია და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.

ფირმა „მედი" და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**სამედიცინო ცენტრი „მედი"**
25-02-02 93-89-75
ალ. ყაზბეგის გამზ. №1

# „მწვანე ბერეტების“ დაბრუნება

ამერიკელ სპეცრაზმელებს — მწვანე ბერეტებს, როგორც ჩანს, „გამეორების ვირუსი“ სჭირთ, წლების შემდეგ იქ უწევთ დაბრუნება, სადაც ერთხელ უკვე ნამყოფნი არიან. თითქმის სამი ათეული წლის წინ ისინი სამხრეთ აზიაში ვიეტნამელ მეამბოხეებს ეომებოდნენ და დღესაც ამ რეგიონში, ფილიპინებზე ამოჰყვეს თავი. მწვანე ბერეტები აქ ქვეყნის პრეზიდენტმა გლორია აროიომ მიიწვია. მათ უნდა გაწვრთნან ფილიპინელი სპეცრაზმელები და მონაწილეობა მიიღონ ტერორისტული ორგანიზაცია „აბუ-საიაფის“ განადგურებაში, რომელიც „ალ ქაიდასთან“ თანამშრომლობს. ეს ორგანიზაცია უსამა ბინ ლადენის ნახევარძმის ხელშეწყობითაა დაარსებული. „აბუ-საიაფმა“ ფილიპინების ორი კუნძული — ბასილანი და სულუ — თითქმის მთლიანად დაიკავა და აქედან ახორციელებს ტერაქტებს მთელ რეგიონში. პენტაგონმა ფილიპინების სპეცრაზმებს სწრაფმავალი კატარღები, ღამის ხედვის დანადგარები და საბრძოლო შვეულმფრენები მიაწოდა. ბოლო წლებში აქ მყოფ ტერორისტთა რიცხვი 6000-დან 12.000-მდე გაიზარდა და მწვანე ბერეტებმა მათთან საბრძოლველად ფილიპინელები საგანგებოდ უნდა მოამზადონ. ამასთან, მოსალოდნელ ომში თავად ამერიკელი სპეცრაზმელებიც მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა კი აკრძალული აქვთ „პირველი სროლა“. იარაღის გამოყენება მხოლოდ თავდაცვის მიზნითაა ნებადართული.

*იზვესტია №19*

# ავსტრალიელი აბორიგენები თავისას ითხოვენ

ავსტრალიელმა აბორიგენებმა კვლავ მიიქციეს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. კანბერაში, პარლამენტის შენობიდან პროტესტის ნიშნად მოიპარეს „კოლონიზატორების“ სახელმწიფო გერბი, რომელშიც მათი სურვილის წინააღმდეგ, ელემენტების სახით გამოყენებულია სირაქლემა ემუ და კენგურუ.

„წამოვიღეთ ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის და რისი გამოყენების უფლებაც არ ჰქონდათ“, —



ნათქვამია აბორიგენთა განცხადებაში.

იმავდროულად, აბორიგენთა ერთ-ერთმა ბელადმა ავსტრალიის უზენაეს სასამართლოს მიმართა თეთრკანიანი პოლიციელის დასჯის უფლების მისაღებად. ამ უკანასკნელს ბრალდება ზაფხულში, აბორიგენების მიერ პარლამენტის შენობის წინ ანთებული კოცონის ჩაქრობა. ბელადის თქმით, ეს უბრალო კი არა, წმინდა კოცონი იყო, რომლის ჩამქრობი მათი კანონებით სიკვდილით ისჯება. ხელისუფლება თითქმის არასდროს ერევა აბორიგენთა შინაურ საქმეებში. ასე რომ, ისინი შუბს საკმაოდ ხშირად იყენებენ დამნაშავის დასასჯელად. ავსტრალიის უზენაეს სასამართლოს ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ იურისტების ვარაუდით, ბელადის მოთხოვნა შეიძლება დააკმაყოფილონ და მაშინ პოლიციელი ბრაუნ ჰეპუორთი უთუოდ გახდება აბორიგენთა მსხვერპლი.

*ვლასტი №6*

## მოკლედ

**აშშ**-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და დიდი ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული ღვაწლისთვის წარდგენილნი არიან ნობელის პრემიაზე. მშვიდობის დამცველის კანდიდატთა სიაში მათ გარდა არიან ნიუ-იორკის მერი რუდოლფ ჯულიანი, ავღანეთის ჩრდილოეთ ალიანსის გარდაცვლილი ლიდერი აჰმედ შაჰ-მასუდი და ხსნის არმია.

**აშშ**-ის თავდაცვის მინისტრმა დ. რამსფელდმა ირანი დაადანაშაულა „ალ-ქაიდას“ წევრების შეფარებაში. როგორც კი ბუშმა ირანს მსოფლიო „ბოროტების ღერძის“ ნაწილი უწოდა, ცხადი გახდა, რომ ავღანეთის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ მის წინააღმდეგ გაილაშქრებს.

**უკრაინელმა** კანონმდებლებმა დაიწყეს პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას იმპიჩმენტის პროცესი. უკრაინის უმაღლესმა რადამ მხარი დაუჭირა დეპუტატების მოთხოვნას, კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით.

**ქაბულში** ამჟამინდელი ადმინისტრაციის რეზიდენციის — მეფის სასახლის თავზე ახალი სამფეროვანი დროშა ფრიალებს — იგი ზუსტი ასლია სამეფო დროშისა, გერბიც იგივეა, მხოლოდ ყურანის ციტატა აქვს დამატებული. ჰიმნიც ძველი — ავღანეთის ისლამური სახელმწიფოსი დარჩა.

**პორტუგალიის** სამხრეთ-აღმოსავლეთში საზეიმოდ გაიხსნა ალკეფეს კაშხალი. სპეციალისტების გაანგარიშებით, ამ რაიონს, რომელიც გვალვების გამო უღარიბესია მთელ პორტუგალიაში, 20 წლის შემდეგ სრულფასოვანი სოფლის მეურნეობა ექნება.

# ჯერ მშვიდობა, მერე კუნძულები



რომ „იაპონიისა არაფერი მართებთ“, საპასუხოდ იაპონელები ამბობენ — ის შეთანხმება არ ეხება 4 კუნძულს, სან-ფრანცისკოში არ თქმულა, იაპონია ვის სასარგებლოდ ამბობდა უარს კურილის კუნძულებზეო.

1956 წელს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივ დეკლარაციაში სსრკ-მა სურვილი გამოთქვა მეზობლისათვის ეჩუქებინა კურილის კუნძულების მცირე ნაწილი, დაახლოებით ტერიტორიის 7%.

საბჭოთა კავშირის პირველმა პრეზიდენტმა, რომელმაც 1991 წელს მოინახულა ტოკიო, აღიარა — ტერიტორიული პრობლემა არსებობს და საჭიროა მისი მოგვარებაო. თუმცა ეს საკითხი ვერც გორბაჩოვმა გადაჭრა და ვერც ელცინმა.

შარშან იაპონიის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ვლ. პუტინმა განაცხადა, — მზად ვარ შიკოტანასა და ჰაბომაის კუნძულების გადაცემის პირობების განსახილველად, მაგრამ მანამდე სამშვიდობო ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელიო. ახლახან იაპონიაში რუსეთის და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრები: სერგეი ივანოვი და იორიკო კავატუგი შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ შეხვედრებს სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად.

1905 წელს, იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ, რუსეთი იძულებული გახდა, გამარჯვებულისათვის სამხრეთ სახალინი დაეთმო. „ისტორიული უსამართლობის“ აღდგენა სტალინმა მოინდომა — მეორე მსოფლიო ომში იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ სამხრეთ კურილის კუნძულებზე საბჭოთა ჯარი გადასხეს. 1951 წელს სან-ფრანცისკოში ანტი-იაპონური კოალიციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, იაპონიამ უარი თქვა კურილის მიმართ პრეტენზიაზე. დღეს რუსეთში ბევრს მიაჩნია,

*ნოვიე იზვესტია №20*

# ვაშინგტონი და პარიზი – ყირგიზეთის გზაჯვარედინზე

გაზეთ „მონდის“ ინფორმაციით, ვაშინგტონი და პარიზი ყირგიზეთის პრეზიდენტის ასკარ აკაევის თანხმობით, თავიანთ საბრძოლო თვითმფრინავებს განალაგებენ საერთაშორისო აეროპორტ „მანასზე“. იგი ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკის მახლობლად მდებარეობს, სადაც ადრე რუსეთის ბაზა იყო. ამერიკელებმა უკვე ჩაიყვანეს „მანასში“ ათი სატრანსპორტო თვითმფრინავი „ჰერკულესი“ და 260-მდე სამხედრო სპეციალისტი, ფრანგები კი დაახლოებით 60-ს ჩაიყვანენ, ხოლო ბაზის სათანადოდ მომზადების შემდეგ — სამხედრო თვითმფრინავებსაც. ამერიკელები იმყოფებიან უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სამხედრო ბაზებზეც, რაც მათ ცენტრალური აზიის გაკონტროლების საშუალებას აძლევთ. თითოეული ბაზის აღჭურვა ვაშინგტონს 200-250 მლნ დოლარი დაუჯდა. იგი ადგილობრივ ხელისუფლებასაც გულუხვად უხდის ტერიტორიით სარგებლობის უფლებაში.

ოფიციალური ვერსიით, საჰაერო ტექნიკას გამოიყენებენ ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც კვლავაც მოქმედებენ ავღანეთში; გარდა ამისა, ამ ბაზებმა უნდა უზრუნველყონ ავღანეთში მყოფი სამშვიდობო ძალების უსაფრთხოება. მართალია, ყირგიზეთს არა აქვს საერთო საზღვარი ავღანეთთან, რომლისგანაც მას ტაჯიკეთი გამოჰყოფს, მაგრამ ვაშინგტონმა და პარიზმა უკვე მიიღეს ტაჯიკეთის ხელისუფლებისაგან საჰაერო სივრცისა და აეროდრომ „აინის“ გამოყენების უფლება. ამ აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ამჟამად ისეა აღჭურვილი, რომ ამერიკისა და საფრანგეთის თვითმფრინავები შეძლებენ მის გამოყენებას პაკისტანის გვერდის ავლით.

რუსებმა ამერიკელებს გადაუკრეს — ნატოს ქვეყნების სამხედრო თვითმფრინავებმა მოკლე ხნით უნდა ისარგებლონ ამ ბაზებით ტერორისტებთან საბრძოლველად, „მანასის“ ბაზა არ უნდა იქცეს პლაცდარმად იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ჩინეთზე, ინდოეთსა და პაკისტანზე, აგრეთვე სხვა რაიონებზე ჩეჩნეთის ჩათვლით, სამეთვალყურეოდო.

*მონდი*

# რაბანი საერთო ნაციონალურ პარტიას ქმნის



60 წლის ბურჰანუდინ რაბანი უდიდეს ავღანელ პოლიტიკოსად ითვლება. მართალია, დღეს ერთგვარად ჩრდილში დგას, მაგრამ მისი განუზომელი გავლენა ყველგან იგრძნობა. 1971 წელს მან ჯამაათ-ე-ისლამის პარტია შექმნა და საბჭოელებთან ბრძოლაში ეროვნული გმირის სახელიც მოიპოვა. დღეს მისი პარტიის წევრები თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მაღალ თანამდებობებზე არიან. ექსპერტების აზრით, რაბანის ჩრდილში დგომა ქარიშხლის მომასწავებელ სიჩუმეს ჰგავს. „ნიუზუიქთან“ ინტერვიუ მისი მდიდრული სახლის ეზოში შედგა, რომელიც ქაბულის გარეუბანშია და შესაძლოა თალიბებთან ომს გადარჩენილი ერთადერთი ოაზისიც კი იყოს. რაბანი ავღანეთის დღევანდელობაზე გულახდილად საუბრობს: „ბონის კონფერენციაზე ჩამოყალიბებულ ავღანურ მთავრობას მხარი დავუჭირე, თუმცა ქვეყანაში რეალური, არჩეული პარლამენტი და მთავრობა არ არსებობს, ქვეყნის აღმშენებლობა კი ერთ ადგილს ტკეპნის. ავღანეთს ყველა ომი უცხოელებმა მოახვიეს თავს. ახლანდელი ლიდერი ყარზაიც მათი ხელდასხმულია. რაც შეეხება უცხოელებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათ არ სურთ ჩვენი თავისუფლება. ამერიკელები არ იცნობენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ლიდერებს. ავღანეთზე წარმოდგენა მხოლოდ ჯაშუშური ინფორმაციების წყალობით ექმნებათ. კარგად გვესმის დღევანდელი მსოფლიოს რეალიები და ამერიკასთან თანასწორი პარტნიორული ურთიერთობებიც გვწადია, მაგრამ რად გვჭირდება უცხოელი სამშვიდობო ძალები, ჩვენსავე ქვეყანას ჩვენვე ვუპატრონებთ! ჩემზე ამბობენ, — რაბანი ყველაფერს ჩამოშორდა, არ უნდა პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებაო. ასე არ არის. მე ვმუშაობ საერთო ნაციონალური პარტიის შესაქმნელად. მივაღწევ იმას, რომ არჩევნები დაინიშნოს და ავღანეთს ნამდვილი პატრონი ჰყავდეს. მინდა იცოდეს ყველამ — რაბანის თავისი საქმიანობა ჯერ არ დაუსრულებია.“

*ნიუზუიქი*

# ნიგერიაში შარიათის კანონები მოქმედებს

ნიგერიის სასამართლოებში მართლმსაჯულება შარიათის კანონებით ხორციელდება. 35 წლის სოფია ჰუსაინს სიკვდილი მიუსაჯეს იმიტომ, რომ მან შვილი ქორწინების გარეშე გააჩინა. ის მამაკაციც, ვისგანაც გოგონა შეეძინა, განაჩენს ელის, ვინაიდან მან ჰუსაინი გააუპატიურა (ეს კი ნიგერიის კანონებით აგრეთვე სიკვდილით ისჯება). არის კი ეს მართლმსაჯულება? ევროპელი პოლიტიკოსები სხვა აზრისანი არიან: ევროპარლამენტის 77 წევრმა ნიგერიის მთავრობას გაუგზავნა პეტიცია და ჰუსაინის უპირობოდ განთავისუფლება მოსთხოვა. განაჩენის აღსრულება მარტამდე გადაიდო. არავინ იცის, რას გადაწყვეტს შარიათის სასამართლო, მაგრამ ამ ამბავს უცნაური და საინტერესო გაგრძელება აქვს. როგორც ირკვევა, რამდენიმე წლის წინ, სოფია ჰუსაინი გათხოვილი ყოფილა და მალევე გაშორებია ქმარს. ამ უკანასკნელმა მეორე ოჯახი შექმნა და შვილებიც ჰყავს. ნიგერიის სასამართლომ „იმსჯელა“ და გადაწყვიტა, რომ მისი „უკანონო“ გოგონა ქმარყოფილის ოჯახს მიაბაროს აღსაზრდელად. მოსამართლის თქმით, ნამდვილმა ნიგერიელმა თავისი ცოლის, თუნდაც ყოფილის, ბედზე უნდა იზრუნოს და ვინაიდან ჰუსაინს სიკვდილი ელის — მისი ქალიშვილი აღზარდოს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №22*

# CNN-მა მეორე ადგილზე გადაინაცვლა

თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ სი-ენ-ენ-მა გამოკითხვის შედეგად ამერიკის ახალი ამბების ტელეარხების რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და პირველობა რუპერტ მერდოკის ტელეარხ Fox News-ს დაუთმო. იანვარში Fox News-ის აუდიტორია აშშ-ში 656 ათას მაყურებელს შეადგენდა, სი-ენ-ენ-ისა — 596 ათასს. 25 წლის სტაჟიანი სი-ენ-ენ-ისთვის, რომელიც საინფორმაციო მაუწყებლობის ეტალონს წარმოადგენდა, ეს ძალზე საწყენია, Fox News ხომ სულ ხუთი წელია, რაც არსებობს!

თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ სწორედ სი-ენ-ენ-მა დაამუშავა ინფორმაციის მიწოდების ახლებური სტრატეგია — ახალი ამბების ნეიტრალური, ინტენსიური მიწოდება ტელემაყურებელს იმის ილუზიას უქმნიდა, თითქოს თავად იყო მოვლენების ადგილზე. როცა უფროს ბუშს სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის ამბებს მოახსენებდნენ ხოლმე, პასუხობდა — ეს ყველაფერი უკვე ვნახე სი-ენ-ენ-ის არხითო. 2001 წლის 11 სექტემბერს სწორედ სი-ენ-ენ-მა აჩვენა მანჰეტენზე თავდასხმა. ექსპერტები უკვე იმასაც ვარაუდობენ, რომ ეს ჟურნალისტური მიღწევა გახდა ტელეკომპანიის რეიტინგის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი — ამერიკელები ისე შეშინდნენ, რომ ამჯობინებენ, ცოტა დაგვიანებით შეიტყონ ახალი ამბები.



Fox News-ის ხელმძღვანელობა

Fox News-ის სარეიტინგო გამარჯვებას ხელი შეუწყო სი-ენ-ენ-თან შარშან დაწყებულმა საკადრო ომმაც. სკანდალად იქცა ტელეწამყვანის გრეტა ვან სესტერნის წასვლა. იგი მილიონ დოლარად „იყიდა“ Fox News-მა. სამაგიეროდ, სკანდალის პერიოდში ცნობილმა ჟურნალისტმა ლარი კინგმა ხელი მოაწერა 15-მილიონიან კონტრაქტს სი-ენ-ენ-თან.

*იტოგი №5*

# მალაიზიამ ამერიკა შეაქო

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ რუსეთმა არაერთგზის გამოიყენა ტერორისტებთან ბრძოლა ჩეჩნეთში საკუთარი მოქმედების გასამართლებლად. ხერხი წარმატებული აღმოჩნდა და ახლა მალაიზია დაადგა ამ გზას. ამერიკის ხელისუფლებას არ გახარებია, როცა შეიტყო, რომ მალაიზიის მთავრობა მხურვალედ უჭერს მხარს ანტიტერორისტული კანონმდებლობის გამკაცრებას. „აშშ-მა აღიარა ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების დაცვის ისეთივე კანონები, როგორიც მალაიზიას აქვს, გვიხარია, რომ ჩვენ მოგვბაძეს,“ — განაცხადა ერთ-ერთმა მალაიზიელმა დიდმოხელემ.

მალაიზიაში დიდი ხანია მოქმედებს კანონი, რომელიც ითვალისწინებს ბრალდების წაუყენებლად, სასამართლოს განაჩენის გამოუტანლად განუსაზღვრელი დროით პატიმრობას. ამის გამო მალაიზია მსოფლიოს სამართალდამცავ ორგანიზაციებსა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. მათ რიცხვში იყო აშშ-ც, მაგრამ ახლა რაღა ეთქმით — აშშ-ის ანტიტერორისტული კანონები ხომ ბევრი რამით დაემსგავსა მალაიზიურს.

*შტერნი*



მალაიზიის პრემიერი მაჰატჰირუ მოჰამედი

# ბებო ჯეინი ოდესღაც თავისუფლებას განასახიერებდა

ამას წინათ ჟურნალისტებმა ქალაქ კრესტვუდის ღატაკ მოხუცებულთა სახლში აღმოაჩინეს 82 წლის ჯეინ ბარტოლომიუ. მისი სახელი დღეს არავის ახსოვს. თუმცა, ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ უნახავს ქალბატონ ჯეინ ბარტოლომიუს გამოსახულება. 1941 წელს ჯეინი გახლდათ „კოლამბია ფიქჩერსის" სახე — ცნობილი „მის თავისუფლება", მისი წარმოსადეგი ფიგურა, გრძელ კაბაში გამოწყობილი ზემოთ აწეული მარჯვენა ხელით, ჩნდება ყველა ფილმის დასაწყისში, რომელიც კი ოდესმე გადაღებულა ამ სტუდიაში. ქალბატონი ჯეინი თავშესაფრის მომვლელებს აჩვენებდა ხოლმე „მის თავისუფლების" გაცრეცილ სურათს და ეუბნებოდა: ეს მე ვარო, ისინი კი მოწყალე ღიმილით უქნევდნენ თავს და ეგონათ, მოხუცი შეიშალაო. პირველად მაყურებელმა 60 წლის წინ მნახა, — ამბობს ჯეინი, — ცნობილი ფილმის, „მე ანგელოზზე ვოცნებობ" დასაწყისში და განცვიფრდა. მართლაც საოცარი იყო. ეკრანზე უეცრად თავისუფლების ქანდაკების გამოჩენა.

40-იანი წლების დასაწყისში, როცა ევროპას ჰიტლერი აზანზარებდა, „კოლამბიის" პრეზიდენტმა ჰარი კონმა მოინდომა თავისი კინოსტუდიისთვის შეერჩია ემბლემა, რომელიც იქნებოდა თავისუფლების სიმბოლო. ერთ მშვენიერ დღეს კინოსტუდიის კარებში კონი გადაეყარა 21 წლის დამწყებ მსახიობს, რომელმაც სილამაზით დაატყვევა და მიხვდა, ის გოგონა უნდა გამხდარიყო „კოლამბიის" სავიზიტო ბარათი. პოზირებაში ჯეინმა 25 დოლარი აიღო.




ყველას ეგონა, რომ ამის შემდეგ ჯეინს კინოში ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ გათხოვდა, გოგონა გააჩინა და გასუქდა.

საღამოობით ჯეინი მეგობრებთან ერთად ტელეეკრანის წინ ჯდება და როცა ეკრანზე კინოსტუდიის საფირმო ნიშანი ჩნდება, ცრემლს ვერ იკავებს, ცდილობს დაარწმუნოს იქ მყოფნი, რომ ეს ვარდისფერკაბიანი მსახიობი — თავისუფლების ქანდაკება თვითონ არის...

***ჯენტი***

# „ნანგრევების მინისტრის" ისტორიული მისია



ავღანეთის დღევანდელ კულტურის მინისტრს ამჟამად „ნანგრევების მინისტრის" სახელით მოიხსენიებენ. თალიბები უკვე განდევნილნი არიან და მათ „კულტურულ მემკვიდრეობას" კვლავ აღორძინება სჭირდება. თალიბებმა ხომ ყველაფერს, რაზეც კი ადამიანი ან ცხოველი იყო გამოხატული, გამოძერწილი თუ გამოქანდაკებული, ტყვიები და ყუმბარმტყორცნები დაუშინეს. მხოლოდ ბუდების გიგანტური ქანდაკებები როდი გაანადგურეს, ნაღმებით ააფეთქეს მინარ-ი-ჩქარის - საუკუნეების ბუდისტური, უზარმაზარი სვეტი. სწორედ იგი იყო ერთ დროს აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მშვენება. ბომბდამშენებით დაბომბეს და მიწასთან გაასწორეს ამირა აბდურ რაჰმანის (ავღანეთს 1880-1901 წლებში მართავდა) მავზოლეუმი, ხოლო ბერძნების მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში დაარსებული ქალაქის ალი ქჰანოუმის ნანგრევები — ტრაქტორებით გადაჯეგეს. ქაბულის მუზეუმი, სადაც 100.000-ზე მეტი ექსპონატი იყო დაცული, მთლიანად გაიძარცვა. ამ ექსპონატების დიდი ნაწილი ნიუ-იორკში, ლონდონში, ტოკიოსა და ჟენევაში აღმოჩნდა. როდესაც მუზეუმი დააცარიელეს, თალიბთა ზნეობის დაცვის მინისტრმა, მუზეუმში ცხრა ჯარისკაცი გააგზავნა. მათ ძალაყინებითა და უროებით დაამსხვრიეს ყველა ძეგლი, რომელიც აქ იყო დაცული. ხოლო ავღანთა გმირი მეფის კანიშკას ქანდაკება კი სახურავიდან გადმოაგდეს და დაამსხვრიეს. თალიბთა ბატონობისას აკრძალული პროფესიები იყო კომპოზიტორობა, მომღერლობა, მწერლობა და მხატვრობა. ყველა, ვისაც ამ ცოდვაში ამხელდნენ, მკაცრად ისჯებოდა. ამიტომ იყო, რომ უამრავმა ხელოვანმა ემიგრაცია არჩია. მართალია, კულტურული ელიტა დღეს უბრუნდება ავღანეთს, მაგრამ ხელოვნების ნიმუშები და ისტორიის ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა ქვეყნისთვის. კულტურის ამჟამინდელ მინისტრს, მირჰაიდარ მუთარის კი რთული და ისტორიული მისია ელის — თალიბთა „ისტორიული მემკვიდრეობიდან" ავღანეთის ახალი კულტურა უნდა აღმოაცენოს.

***ნიუზუიქი***

# კატაპულტები და ბალისტები



ლეგიონები ჩრდილოეთისკენ ფრთხილად მიიწევდნენ. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, — წინ გალების კარგად გამაგრებული დასახლებააო. ჯარისკაცებმა მაშინვე დაიწყეს თავდასხმისათვის მზადება და რამდენიმე საათის შემდეგ მტრის სიმაგრეს დაუშინეს ქვები, მორები და შუბები.

ხის გიგანტური კონსტრუქციები ასობით მეტრის მანძილზე ისროდნენ უზარმაზარ ლოდებს, საწვავით სავსე კასრებს და შიშის ზარს სცემდნენ ალყაშემორტყმული ქალაქების მოსახლეობას. მოისარნი გულს უგმირავდნენ ჯარისკაცებს, ფილაკვნები ისროდნენ რკინით დასალტულ მორებს, ამას ემატებოდა კედლის სანგრევი მანქანები. ვინ იცის, კიდევ რა მექანიზმებით აღარ იყო აღჭურვილი რომაელთა არმია!

## კატაპულტა ჩვენ შორის

კატაპულტას იყენებდნენ შუა საუკუნეებამდე. ასე რომ, მძიმედ შეაბჯრულმა რაინდებმა საკუთარ თავზე იწვნიეს, რას ნიშნავდა უსულო მექანიზმების მიერ გამოტყორცნილი მძიმე მორი.

ძლიერი დარტყმის შედეგად აბჯარი იმსხვრეოდა და რაინდი საშინელი ტანჯვით კვდებოდა. კატაპულტას ტენიდნენ ქვის ბადროთი ან საწვავით სავსე ჭურჭლით.

საყურადღებოა, რომ კატაპულტა დღესაც გამოიყენება შეიარაღებაში. მაგალითად, თანამედროვე ამერიკულ ავიამზიდებზე თვითმფრინავები ჰაერში საგანგებო კატაპულტის მეშვეობით გაიტყორცნება. ავარიის დროს პილოტი თვითმფრინავს სწორედ მისი გამოყენებით ტოვებს. ამჟამად მუშაობენ კოსმოსური ხომალდებისთვის ელექტროკატაპულტების შესაქმნელად.

## სიკვდილის მომტანი ბალისტა

ძველი რომის არმიაში ყოველ ლეგიონს ჰქონდა სხვადასხვა კალიბრის ბალისტის ქვედანაყოფი. ისინი შეიძლება თანამედროვე ჰაუბიცას შევადაროთ.

ბალისტები შეუცვლელი იყო ციხესიმაგრის იერიშის დროს. ისინი საწვავით სავსე ჭურჭელს გადაისროდნენ მაღალი კედლების მიღმა და ქალაქში ხანძარი ჩნდებოდა.

## „კატიუშას" წინაპარი

კატაპულტა მორებს ისროდა, მანქანა „სკორპიონი" — გრძელტარა ისრებს და „დროტებს" და წააგავდა ლეგენდარულ „კატიუშას", რომელიც საარტილერიო მზადების დასაწყებად წერტილოვან დამანგრეველ დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგის ციტადელს.

რომაელები ბრძოლისას ძირითადად სკორპიონს იყენებდნენ, ხოლო შუა საუკუნეებში უპირატესობას კატაპულტას ანიჭებდნენ.

***ვოტ ტაკ! №36***

# კონიაკი არ უნდა დალიო, კონიაკით უნდა დატკბე

***„კონიაკს, ჩემო მეგობარო, მზერით უნდა მიეალერსო". — „მერე უნდა შეისუნთქო". — „მერე?" — „მერე მოწიწებით, მოუსმელად უნდა დადგა მაგიდაზე". — მერე?" — „მერე დიდხანს ლაპარაკობენ მასზე".***

შარლ ტალეირანისა და ჟოზეფ ფუშეს ცნობილი დიალოგი არაერთგზის აღწერილა მემუარებსა და რომანებში. კარგი ტონის ეს გაკვეთილი, რომელიც XV-XX საუკუნეების დიდმა დიპლომატმა ჩაუტარა პოლიციის ყოვლისშემძლე მინისტრს, დღესაც აქტუალურია. კონიაკი ის სასმელია, რომლის დალევაც არ შეიძლება. კონიაკით უნდა დატკბე. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ მსოფლიოში უდიდეს კონიაკის სახლს — „ჰენესის" ესტუმრებით.

„გალანტური და მამაცი", — ასეთი ქება დაიმსახურა ლუდოვიკო მე-15-ის არმიის ახალგაზრდა ირლანდიელმა ოფიცერმა რიჩარდ ჰენესიმ. იმავე ეპითეტებით ამკობდნენ იმ ფირმის კონიაკს, რომელიც რიჩარდმა 1765 წელს დააარსა. მას შემდეგ ჰენესების შვიდი თაობა გამოიცვალა. უცვლელი დარჩა მათი საქმიანობა და მდინარე შარანტის სანაპიროზე, ქალაქ კონიაკში მდებარე შტაბბინა, სადაც ოდესღაც რიჩარდ ჰენესიმ თავისი ნეგოციანტური კომპანია გახსნა.




ნამდვილი კონიაკი მხოლოდ საფრანგეთში, მხოლოდ შარანტის დეპარტამენტში, ქალაქ კონიაკის შემოგარენში მზადდება. სხვა ქვეყანაში დაყენებული შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ კონიაკიაო, ვერ იტყვი. „ჰენესის" პროდუქციის 90% საექსპორტოა. ეს კონიაკის მსოფლიო ბაზრის 32%-ს შეადგენს. მსოფლიოში გაყიდული კონიაკის ყოველი მესამე ბოთლი „ჰენესის" ემბლემითაა დამშვენებული.

„ჰენესის" ყველაფერი აქვს კონიაკის სპირტის საცავებში, ასამბლიაჟის ხაზები, საკუთარი საკასრეები და მუხის ტყეები. რასაკვირველია, 600-ჰექტრიანი ზვარი საკმარისი არ არის — მაგრამ ეს უდიდესი კონიაკის სახლების დამახასიათებელია: საკუთარ ზვარში ახალი ტექნოლოგიები მუშავდება, კონიაკისთვის აუცილებელ ყურძენს კი სხვაგან ყიდულობენ. „ჰენესისთვის" ყურძენს რეგიონის ოთხ საუკეთესო „კრიუდან" (კლასიფიცირებული ტერიტორია) ყიდულობენ: „გრან-შამპანს", „პეტი-შამპანს", „ბორდერის" და „ფენბუას". უპირატესობა პირველ ორ ჯიშს ეძლევა — ორივე საოცარი არომატითა და დავარგების უნარით გამოირჩევა.

კარგ კონიაკს სპირტის მარაგის გარეშე ვერ დააყენებ. რაც უფრო დიდია სპირტის არჩევანი, მით მაღალია საბოლოო პროდუქტის ხარისხი, მით ფართოა ასორტიმენტი. ორი საუკუნე-ნახევრის მანძილზე „ჰენესის" საცავებში დაახლოებით სხვადასხვა ხანდაზმულობის 4400 კონიაკის სპირტი ინახება. ეს 220.000 კასრია, თითქმის ხუთი წლის მარაგი. ყოველწლიურად კასრებში სპირტის მოცულობა 2-3%-ით ორთქლდება. ამ დანაკარგს „ანგელოზების წილს" უწოდებენ. კონიაკი სუნთქავს, იგი ცოცხალია. კონიაკის თითოეულ კასრს წარწერა აქვს — მითითებულია ასაკი, ადგილი, მწარმოებელი. ყოველ წელს ამოწმებენ, თუ როგორ მიდის კონიაკების ევოლუცია. ყოველი კასრიდან სინჯს აგზავნიან საანალიზოდ და სადეგუსტაციოდ. მმართველი გადაწყვეტს, სითხე ახალ კასრში უნდა გადაისხას თუ უფრო ძველებში, თუ საერთოდ, ტენიან საცავში გადაიტანონ. შეიძლება „მთავარ რეზერვში" გააგზავნონ, რომლის სპირტის მასალისგან ყველაზე ძვირად ღირებული კონიაკები მზადდება. „ჰენესის" კონიაკები" ხარისხითა და, შესაბამისად, ფასებითაც განსხვავდება ერთმანეთისგან. კონიაკების კლასიფიკაცია 1865 წელს ფირმის მფლობელმა მორის ჰენესიმ შემოიღო. ნიშნად ვარსკვლავები აარჩია. სწორედ მაშინ დაიბადა „სამვარსკვლავიანი კონიაკი" ანუ VS Veri Special. მას 40 სახეობის კონიაკის სპირტისგან აყენებენ და მძლავრი არომატი აქვს, სადაც დომინირებს მუხის, კაკლისა და ყვავილების, კენკრისა და ვანილის სურნელი.

1817 წლის 7 ოქტომბერს ინგლისის მომავალმა მეფემ გეორგ V-მ „ჰენესის" „საუცხოო ძველი მუქი კონიაკი" — A veri superior old Pale შემოკლებით — VSOP შეუკვეთა. ამ კონიაკს 60 საუკეთესო კონიაკის სპირტისგან აყენებენ. მას დიდხანს აძველებენ კასრებში. Vsop-ს ჰარმონიული, დახვეწილი არომატი აქვს და თაფლისა და ძირტკბილას გემო დაკრავს.

1870 წელს მორის ჰენესიმ მეგობრებისთვის შექმნა XO-Exstra old", რომელშიც მისივე რეზერვებიდან ამოღებული საუკეთესო, დავარგებული სპირტები გამოიყენა. XO დაახლოებით 100 კონიაკის სპირტის საფუძველზე მზადდება. ზოგიერთი მათგანი საუკუნის დასაწყისშია გამოხდილი.

ზოგიერთ კონიაკის სახლში საკლასიფიკაციოდ იყენებენ „ნაპოლეონს". ეს კონიაკის მარკა არ გახლავთ. იგი მის ასაკს მიუთითებს. საქმე ის არის, რომ გასული საუკუნის დასასრულს საფრანგეთში ვენახები ფილოქსერამ დააზიანა და ვაზი აჩეხეს. რამდენიმე წელი ყურძნის მოსავალი არ აუღიათ. კონიაკის მოყვარულები ბარში „ფილოქსერამდელი პერიოდის", ე.ი. ნაპოლეონ -ის დროინდელ კონიაკს ითხოვდნენ. მერე კი კონიაკს უბრალოდ — „ნაპოლეონი" დაარქვეს.

არსებობს ელიტარული კონიაკებიც. მათ ფასდაუდებელი სპირტის რეზერვების საფუძველზე აყენებენ. ასეთია, მაგალითად, „Paradis". ჰენესის" სახლის ერთ-ერთი ბოლო ელიტარული კონიაკია „Richard hennessi". მის დასაყენებლად მე-19 საუკუნის კონიაკის სპირტებს იყენებენ. ამ კონიაკში დომინირებს ვანილის, პილპილის, სანელებლების, შემჭკნარი ყვავილების და ხმელი ხილის გემო.

დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მე-18-19 საუკუნეებში კონიაკს წყლით ან სოდით აზავებდნენ. თავდაპირველად, კონიაკი ხომ ამ მიზნით შეიქმნა — ასე უფრო იოლი იყო მისი გადატანა ზღვით, გამოხდის შემდეგ იგი გაცილებით ნაკლებ ადგილს იკავებდა, ვიდრე ღვინო. დღესაც შარანტში ყველა კაფეში შემოგთავაზებენ ყინულიან კონიაკს, კოქტეილში ან ტონიკთან ერთად — ძალიან გემრიელია. მაგრამ ნუ დავივიწყებთ ტალეირანის გაკვეთილს.

***ეხო პლანეტი №1***





## თარაზულად:

5

ნივთი, ურომლისოდაც გონებაჩლუნგი იყო რევოლუციამდელი ბავშვი (მხ.ფ. „თოჯინები იცინიან“)

6

სასმელთა ნაზავი

9
ლითონის საგნების ერთმანეთზე მირტყმის ხმა

10

წყალი მყარ მდგომარეობაში

11

ნატურალური ზომის ქანდაკება

15

გერბების შემსწავლელი მეცნიერება

17

ხის ქოჩორი, ვარჯი

18

მავნებელი

19

ქიმიური ელემენტი

20

კანონთა კრებული

24

ქსოვილის ვიწრო ნაჭერი თმის შესაკრავად

25

თეთრი ფქვილისგან გამომცხვარი პატარა რგოლი

26

მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“

29

სამხედრო ფორმის ქურთუკი

32

სათეატრო ცეკვის ხელოვნება

33

მეცნიერი

34

ჰომეროსის პოემის გმირი

35

სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება

## შვეულად:

1

პირველი სანელებელი დედამიწაზე

2

მგოსანი, რომელიც საკრავზე ამღერებს თავის ლექსებს

3

ზანგური მუსიკის 60-იანი წლების ყველაზე პოპულარული სტილი

4

თავსაბურავი

5

კარგი მსროლელი

7

გამომძიებლისთვის აუცილებელი გრძნობა, დამყარებული ადრინდელ გამოცდილებაზე

8

მთის მასივი, რომლის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმაა

12

მოქმედების ადგილის გაფორმება სცენაზე

13

საკრავი

14

ინგლისის ყოფილი კოლონია

16

ფეთქებადი ნივთიერებით დატენილი სპილენძის პატარა ხუფი

21

პარაზიტი

22

კეთილი სურვილის გამოხატვა და საჩუქრის მირთმევა რაიმე დღესასწაულის გამო

23

ფიზიკურ ვარჯიშთა ერთობლიობა, რომელიც ავითარებს ძალას, სიმარდეს, ამტანობას

27

საყურე, რომელსაც სამაგრით იკეთებენ

28

„საუზმე ტიფანისთან“ (ამერიკელი მწერალი)

30

საკრავის გამომგონებელი

31

ნახნავი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №5 კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 5. უნაგირი; 6. ტიციანი; 9. როქი; 10. ალუმინი; 11. აუტი; 14. ბგერა; 15. „ვოლვო“; 17. დენდი; 18. პეპელა; 19. ნაფაზი; 23. მაგია; 24. იორკი; 25. არმია; 28. კიკო; 30. ტურნირი; 31. ჯოგი; 32. იმპორტი; 33. სკვინჩა.
**შვეულად:** 1. ჯაზი; 2. ბროლი; 3. წიგნი; 4. ტაფა; 5. უფოლოგი; 7. ისტვუდი; 8. ამპულა; 12. არტერია; 13. გეიზერი; 15. ვალსი; 16. ოპალი; 20. ჩაპლინი; 21. არმანი; 22. მიბეგვა; 26. ბუშტი; 27. ტრეკი; 29. ოსპი; 31. ჯინი.

## მილოცვა

**გულნარა მებუკე-სტურუას!**



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ძვირფასო დაიკო,
ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებს შენი უფროსი ძამიკო,
ყველა გეძებს და გეძახის: სადა ხარ, ჩემო სულიკო?
მიიღე ჩემგან ეს ტექსტი, ყველასთვის კარგო, გულიკო:
მანდილოსანი ფასდება კარგი შვილების აღზრდითა!
სამი აღზარდე ოჯახში, ათასი – სკოლის მერხითა!
მეამაყება, რომ და ხარ, დგახარ ახლობლის გვერდითა,
ღმერთმა დღეგრძელი გამყოფოს, ვხარობდეთ შენი ხედვითა!
70 წლის გახდი, 100 წელს გისურვებ ლხენითა,
ბუნებას რომ ამშვენებდეს, სიცოცხლე შენი დღენითა.
შენს იუბილეს დაესწროს, ყველა კეთილი შენითა,
რომ შენმა მოდგმამ იხაროს მებუკე-სტურუებითა!

*ხუტა მებუკე*

**თიკო მირიანაშვილს!**



ჩვენო ანგელოზო, გილოცავთ დაბადების დღეს – 8 თებერვალს. გაიზარდე დიდი და სასახელო გოგო.

*ლილი ბებო, ალიკო პაპა, ლექსო მირიანაშვილები*

**ძვირფასო ნინო და ოთარ!**

გილოცავთ პირმშოს – ნუციკოს შეძენას. ღმერთმა გაგამრავლოთ და გაგაძლიეროთ.

*ახლობლები.*

**მეგი მამალაძეს** ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ სიხარულს და წარმატებებს პირად და შემოქმედებით საქმიანობაში.

*დეიდა სალომე*

**როლანდ მჭედლიშვილს** – შესანიშნავ არქიტექტორს, მხატვარს, უაღრესად პოეტურ ადამიანს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ სიკეთეს, საყვარელ ოჯახსა და ახლობლებთან ერთად.

*მეგობრები*

**შორენა ბართიშვილს!**

სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს და ვალენტინობას. გისურვებ ულევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

*ვალერი მაჭარაშვილი*

**მამუჩელა!**

გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ყოველივე კარგს და ლამაზს. მე შენ ძალიან მიყვარხარ!

**გივი რატიანს!**

გივი ბიძია, გილოცავ დაბადების 65 წლისთავს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, იზოლდა ბიცოლასთან, შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად. დიდხანს იცოცხლეთ თქვენი ოჯახის გასახარად.

*გულიკო ჩესიშვილი*

**ნანა შველიძეს და იური ნოზაძეს!**

ჩვენო ნანა და იური, გილოცავთ ბედნიერებას! გისურვებთ ოჯახის სიმრავლესა და ულევ სიხარულს.

*ხაშურის საქ. პრესის თანამშრომლები*

## ბინები

იტალიურ ეზოში, სუფთა, იზოლირებული, 3 ოთახიანი ბინა, 2 სართულიანი სახლის I სართულზე, ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით, დიდი ეზოთი. ფასი $ 16.000. მის: ჩუღურეთის რ-ნი, ჯავახიშვილის ქ. №30. ტ: 96-71-53

3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ლოჯიით, ტელეფონით. მის: მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, მე-12 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა №45. ფასი $8.000 (შეთანხმებით). ტელ: 76-09-66

სასწრაფოდ! ან იცვლება 3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, მე-2 სართულზე, რკინის კარით, მუდმივი წყლით, ბ/აირით, სარდაფით და მანქანის სადგომით, ნუცუბიძის ქუჩაზე, მეტროსთან. ტელ: 32-72-16

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურანიდან (კოტორიანოვკაზე გადახვევით), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის ლავაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

ოოსების №53-ში, 24 კვმ ფართი, უმაღლესი რემონტით, სველი წერტილებით, ბ/აირით. გამოდგება სოფისად, სილამაზის სალონისთვის ან მაღაზიისთვის. ფასი $250. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168

1 და 3 ოთახიანი ბინები, კომფორტულად მოწყობილი, ასევე 1 ოთახი, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – როგორც კერძო, საოჯახო სასტუმრო, რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასი: 1 დღე-ღამე, 1 კაცი – $10, $15, $20 და $50, ოთახების შერჩევით. არის 15-ლარიანი ბინაც. ტელ: 22-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. სტუმრების მიღება – ნებისმიერ დროს.

## მთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მოლოგიურში. საუკეთესო თანამშრომლებს ვძლევით შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯზე). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

## მომსახურება

გეპატიჟებით ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"! საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

აგიწყობთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტებს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

კომპიუტერული კომპანია „Pulsar"-ი გთავაზობთ: ქორწილებისა და სხვა სადღესასწაულო ვიდეოკასეტიდან ციფრულ ფორმატში კომპაქტდისკებზე (CD) ჩაწერას, გადაღებას, გამოსახულების კომპიუტერულ დამუშავებას. გახსოვდეთ! ვიდეოკასეტისაგან განსხვავებით, კომპაქტდისკი მოგემსახურებათ გაცილებით დიდხანს და ხარისხიანად! მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

ერთობლივი, მრავალდარგოვანი ფირმა „O&G" (ოჯი) აწარმოებს ინდივიდუალური სახლების და კოტეჯების პროექტირებას და მშენებლობას, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. არქიტექტორები და დიზაინერები უზრუნველყოფენ თქვენი დაკვეთის უმაღლეს დონეზე შესრულებას, ნაკვეთის შერჩევიდან შენობის საექსპლუატაციოდ ჩაბარებამდე. ტელ: 23-55-79 (ოფისი); 899 90-50-44; 877 73-31-96

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეკვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვამზადებ ყველანაირ ავეჯს, ლამინირებულ ДСП-სა და მასიური ხისგან, უმაღლესი ხარისხით და შედარებით შეღავათიან ფასად. ტელ: 60-75-20 (22 საათის მერე); 899 16-92-51. გიორგი

რბილი ავეჯის რესტავრაცია, ყველანაირი ავეჯის რემონტი, ხელმისაწვდომ ფასებში, სწრაფად და ხარისხიანად. ტელ: 39-15-26. მამუკა

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრადარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

„ცხრაკლიტული"! საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; კარზე ტყავის გადაკვრა; ხის კარის რკინებით ისე გამაგრება, რომ რკინისას არ ჩამოუვარდება. მომსახურება დაუყოვნებლივ! ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: ოოსების 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

გთავაზობთ ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, გალიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით, – 1 სთ – 5 ლარი; თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით! მის: მ „300 არაგველი". ტელ: 77-50-32. გულიკო

სილამაზის სალონი „მიმი": თმის მოდელური შეჭრა, ქალთა, მამაკაცთა – 5 ლარი, დავარცხნა – 5-6 ლარი, შეღებვა – 15 ლარი, ქიმიური დახვევა – 20-25 ლარი; სადღესასწაულო ვარცხნილობა – 12-15 ლარი; მანიკიური, პედიკიური – 5 ლარი; კოსმეტოლოგიური მომსახურება – სახის გაწმენდა, მასაჟი, დიოდბილაცია, მაკიაჟი. მის: მ. „რუსთაველთან", ბოწონისძის გადასასვლელში. ტელ: 99-63-14

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არაჩინისის საავადმყოფოს ზედა კართან, აბდუშელის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ქარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. ლიდისხოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემჩნევა მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკვალოდ გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველივე სეანსზე, თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: ოოსების ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა. თმის მოდელური შეჭრა – 4-5 ლარი; დეკორატიული შეღებვა – 15-20 ლარი. ასევე არსებობს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტი ზინა. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 899 90-67-52

## მკურნალობა

მუშაობს მეუღლე არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და ხელსოფლის დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ეკლესია ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო პაპიროზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშვილოსნოს ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიასი, სიმსუქნე, უძილობა შარდვა – მიმართეთ ეკლესია ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ტრადიციული მეთოდებით ქალბატონი მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საყურებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართრიტს, საშვილოსნო ნივთს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ პაპილომა იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სტილიტზე, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კოვოზი, ენურეზი, კარდიალგია, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ამბა ბართლომელის ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, კვირის გარდა)

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტეხელების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიციური ექიმ-ლოგოპედი, რომელსაც აქვს ხანგრძლივი გამოცდილება, ყველა დარღვევის მქონეებთან, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ყველა ასაკში, აღმოფხვრის ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ლოგონევროზს, ქაქანაობას, მოვიხსნით ხვრინვას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. ტ: 899 55-05-75; 39-01-55

სამედიცინო ცენტრის „დელფინის" ბაზაზე იხსნება კერძო ბაგა-ბაღი. დღის განმავლობაში, ბავშვები იქნებიან მაღალკვალიფიციური პედიატრის, ნევროპათოლოგის, ორთოპედის, ლოგოპედის, მასაჟისტის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩატარდება შესაბამისი მასაჟი, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები, წყალში სამკურნალო ვარჯიშები. მშობლებო დაგვიკავშირდით! ცოტნე დადიანის ქ. №134, III სართ. ფირმა „დელფინი" (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დილით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

მუწუკებისა და სხვა ნიშნების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაწიბურის გარეშე. მიღება ექიმ რუსიშვილთან საავადმყოფოში. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ხალხური მედიცინა – მაქსიმალური გარანტია!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოლიოს, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! მის: რუსთაველის ცენტრალური პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11, 11-14 სთ. ტ: 69-91-92; 61-02-97. ექიმი ალექსიშვილი

ლენინგრადიდან მოწვეული ექიმი საზღვარგარეთიდან, მკურნალობს: მუხლის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, თავის ტკივილებს, თავბრუს ხვევას, შაკიკებს, ფსიორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ტროფიკულ წყლულებს, მუწუკებს, ფრჩხილების ჩაზრდას, წითელ ქარს, ღრძილების დაავადებებს, ბრონქიტს, პროსტატიტს. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. მის: აღმაშენებლის 113, ახალი პოლიკლინიკა, კაბ. №17. ლომთათიძე.

საახლე გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში: საშვილოსნოსა და დანამატების ანთება; ეროზიები, უნაყოფობა, კლიმაქტერიული სინდრომი, აბორტისა და მშობიარობის შემდგომი გართულებები; უახლესი ტექნოლოგიები, მაღალი ეფექტი, მისაღები ფასები. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, სტოლიოზის მკურნალობა უახლესი ტექნოლოგიებით. კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტის, ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული ბრონქიტის, ართრიტის მკურნალობა. უახლესი ტექნოლოგიები, მისაღები ფასები. კონსულტაცია უფასოა. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05

ახალშობილი და მოზრდილი ბავშვთა დიაგნოსტიკა ჩინური მეთოდით. მკურნალობა ექიმის დანიშნულებით და საჭიროებისამებრ, კვალიფიციური მასაჟი – უახლესი მეთოდებითა და ვარჯიშებით. მის: აღმაშენებლის №113. ახალი პოლიკლინიკა „აჩიკვა", კაბ. №16. ტელ: 66-01-69. ექიმი მზია; 61-61-18. ექიმი ნინო; მასაჟისტი ნინო დეკანოსიძე

მაღალეფექტური მკურნალობა იაპონური აპარატ „ირონით": ბრონქული ასთმის, ბრონქიტის, ფილტვების დაავადებების, რესპირატორული დაავადების (გრიპი, ხველა, ყელის სიმშრალე, ტკივილი). მის: წერეთლის გამზ. №10 (მ. „წერეთელი"), თერაპიის ინსტიტუტის პოლიკლინიკა. ექიმი დალი პაიჭაძე. ტელ: 34-47-24 (დილით); 33-45-54 (საღამოს)

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოვამზადებ ინგლისურში აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

ინგლისურ ენას შეასწავლი ნებისმიერ მსურველს. ტელ: 63-20-98

დავეხმარები სკოლის მოსწავლეებს მათემატიკისა და სხვა საგნების მომზადებაში, ბინაზე მისვლით. მაქვს ბავშვებთან მუშაობის 15 წლის გამოცდილება. ტელ: 76-27-12

კომპიუტერული სტუდია – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

პირველად საქართველოში, „Pulsar"-ი გთავაზობთ სახლებს: კომპიუტერული ტექნიკის აწყობის, შეკეთებისა და მოდერნიზაციის შემსწავლელ კურსებს. გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც მოვლენ ჯგუფურად (50-10 კაცი), გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ესთეტიური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

## იყიდება

პრივატიზებული, ამორტიზაციაში კომფორტით, მშენებელ ავტომობილების ახალი სახურავების მწარმოებელი ქარხანა თანამედროვე დანადგარებით. 3000 კვმ მიწა, 4000 კვმ შენობა. მის: აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომ. „კია მოტორსის" უკან. ტელ: 877 49-48-15 დათო

ძველებური, გერმანული ვიტრინა. ზედა ნაწილი – სამმხრივი შროშის მინით, 2 კარიანი, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ქსოვეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა



4 წლის **მარი ლავრელაშვილი** დაავადებულია ლეიკოზით. მკურნალობას ესაჭიროება სოლიდური თანხა.

დახმარების გაწევა შეგიძლიათ მარი ლავრელაშვილის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე: სს „ბანკი", კოდი: 220101911. ანგარიში №101981001

კონკურსი ახალგაზრდა მხატვრებისათვის, თემაზე: „საქართველო...". I პრემია 150 ლარი; II პრემია 100 ლარი; III პრემია 50 ლარი. საკონკურსოდ მიიღება ნებისმიერი სახის მხატვრული ნამუშევარი. ტელ: 60-00-00; 899 92-44-84. მის: საბურთალო, გუდამაყრის ქ. №4 (ყოფ. №8 საავადმყოფო, I კორპ. V სართ.)


უფასო განცხადებების გაზეთი
სიტყვა და საქმე
33-10-03 33-10-05 36-30-04
40 გვერდზე
ფასიანი განცხადება ჩარჩოში – ტელ: 822-009-003



ყოველ ნომერში: 7000-მდე განცხადება,
დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

## ჩვენო ნუკრისთვალება ვაჟკაცო ბიჭო, რაინდი!

*(ეძღვნება რაინდი ძაგანიას ხსოვნას!)*



უპირველესად, გილოცავთ უფლის მირქმის დიდ დღესასწაულს, რომელსაც ემთხვევა შენი დაბადების დღე – 15 თებერვალი. შენი ნიკოლოზი და დისშვილები ამაყობენ შენი ეკლესიით. გადახურვის ღამეს მეგობრებმა ხიზმარში გახარებული ვნახეს. შენი ლამაზი დედიკო დღე და ღამე ლოცულობს და იმედებს შენს ნიკოლოზზე ამყარებს. მეუღლე ეკა შენს ტრადიციებს აგრძელებს. მას ცრემლი არ შეშრობია. მამა არ გვაჯერებს – თავისი დაბადების 60 წლისთავს ამთხვევს შენი დაბადების 30 წლისთავს.

გილოცავთ დაბადების დღეს და შენს ლამაზ სულს ვუსურვებთ მარადიულობას.

*შენი და ინგა, მურმანი, თეა, ეკა, ირაკლი ფუნდერავები*

## რობერტ გულაშვილის ხსოვნას!



ერთი წელი გავიდა. უშენოდ სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ შენი წასვლით მიყენებულ ტკივილს ვერაფერი ცვლის. დრო ვერ აღმოჩნდება მკურნალი. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და შენი მონატრებით მთავრდება.

ნათელი ყოფილის შენს წმინდა სულს ზეცაში.

*შენი და ლალი*

## გიორგი გოგოლაშვილის ხსოვნას!



განგებამ ყველაფერში გამოგცადა. ახალგაზრდობაში – ომი, ცოლ-შვილის გარდაცვალება, ობლების გაზრდა... ცხოვრებაში ულალატო, ტრადიციებზე აღზრდილი, მუდამ სიკეთესა და კაცთმოყვარეობას გვინერგავდი, ბოლომდე შრომობდი და ყველა გაჭირვებულს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდი, შენი შთამომავლობით ვამაყობდი, ჩემო სპეტაკო, საყვარელო ბიძა – დაბადების დღეს ყოველთვის გილოცავდი. არასოდეს დაგივიწყებთ, მე და ჩემი ობლები.

*თამრიკო*

## გელა ერლიხის ძე ბერუაშვილის მონატრება



10 თებერვალი შენი დაბადების დღეა, შვილო. მეექვსედ მოვიდა უშენოდ გილოცავ ზეციურ სასუფეველში. ფეხბურთის მოყვარული იყავი და სამსახურში მიმავალმა, სტადიონზე შეიარე, მაგრამ ვაი, რომ ამ გზაზე ფეხი დაგიცდა და ჩაიმუხლე. შენ კი სიცოცხლე ისე გინდოდა, რომ ვერ იგრძენი სიკვდილის მოახლოება. წახვედი მოულოდნელად, დაუმშვიდობებლად; თან წაიყოლე საცოდავი მშობლების გული. ვიმედოვნებ, რომ მარტო არა ხარ, შენთან ახლოს განისვენებენ ნარიზი მამიდა და კაკო ძია. შენზე დარდით გულმკვდარი თამარა ბაბო, შენს გზას დაადგა.

ვილოცებთ თქვენთვის, უფალს შევთხოვთ, დაგიმკვიდროთ ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი, ულალატო სული, ჩემო სევდიანო, ღიმილიანო ბიჭო.

*მედიკო მამიდას ოჯახი*

## ვაჟა ადამიას ხსოვნას!



მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი სიკვდილი, რომელმაც აუწერელი ტანჯვა-წამება მოგვიტანა.

12 თებერვალს ტკივილით სავსე და მძიმე 40 დღე შესრულდება, რაც ჩვენს ოჯახში უშენობამ დაისადგურა. შენ აღარა ხარ, ჩვენო ძვირფასო, მოსიყვარულე გულის ადამიანო. უსაზღვროა ის მწუხარება, რომელიც შენი მოულოდნელი სიკვდილით დაატყდა თავს შენს ოჯახს. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო მონატრება მეუღლეს, შენს ლიკას, ძმას, რძალს, დებს, სიძეს, ძმისშვილებს, დისშვილებს, ოჯახებით; ახლო ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს – ყველას, ვინც კი გიცნობდა.

ჩვენ, საყვარელო „ბუძი", ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის და უფალს შევთხოვოთ, დაგამკვიდროს ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*ოჯახი*

## ბუბა ჭეიშვილი-ყიფშიძის გახსენება



ძნელია მოიძებნოს სიტყვები, იმ მძიმე დანაკარგის გადმოსაცემად, რომელსაც განვიცდით შენი ოჯახის წევრები, შენი მეგობრები, შენი ახლობლები და მორჩილნიც.

ყოველმხრივ შემკული პიროვნება იყავი. ნამდვილად საქართველოს თვალი. გარეგნობით მადლი არ გაკლდა. შენს ფიზიკურ მშვენიერებაში მუდამ გამოსჭვიოდა ქალური სინატიფე, მდიდარი სულიერი სამყარო. ამიტომაც, ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან, პოეტები ლექსებით გამკობდნენ, კომპოზიტორები – მუსიკით, მხატვრები შენს პორტრეტს ხატავდნენ. თაყვანისმცემლები მუდამ გარს გეხვია.

ნამდვილად ბედნიერი ქალი იყავი: ქართულ საზოგადოებაში აღიარებული პროფესორის ოჯახის ერთადერთი შვილი; შემდგომში, სახელგანთქმული აკადემიკოსის, ყიფშიძის ოჯახის საყვარელი რძალი.

დიდად აფასებდი მეუღლის საზოგადოებრივ მეცნიერულ წარმატებებს. უცხოეთში დიდხანს გიხდებოდა მასთან ერთად ცხოვრება. უცხოური ენების ცოდნა და თან პიროვნული მიმზიდველობა დიდად ხიბლავდა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირებს.

თავად შესანიშნავი სპეციალისტი იყავი, ექიმი. მთავარი ის კი არ არის, რომ ხარისხი დაიცავი მორფოლოგიაში და მეცნიერულ საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით ეწეოდი – მთავარი ისაა, რომ გამოირჩეოდი ერუდიციით, მხატვრული ლიტერატურის ცოდნით. ბავშვობიდან წიგნს ხელიდან არ უშვებდი და ამასთან, ერთად, ოჯახს შეუნელებელი მონდომებით თავს დაჰფუსფუსებდი. დაზარდე სახელოვანი შვილები, ამავე დროს, მეგობრებს დიდ ყურადღებას უთმობდი. მათთვის მუდამ ღია იყო არა მარტო შენი სახლის კარი, არამედ სიკეთით აღსავსე შენი გულიც. ყველაფერი თითქოს ამქვეყნად შენთვის იყო შექმნილი, თითქოს დიდხანს უნდა გეცოცხლა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ადრე, უდროოდ წახვედი ჩვენგან.

ნეტავ, ასეთი კეთილი, თანამგრძნობი, გულისხმიერი, ნუგეშისმცემელი არ ყოფილიყავი – იქნებ, უფრო იოლად შევეგუებოდით შენს დაკარგვას. შენ შემოგქონდა ჩვენთან სიცოცხლე, ხალისი, რწმენა, ურთიერთსიყვარული. აბა, როგორ უნდა ავიტანოთ უშენობა?! დაგვიტოვე სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს; დაგვიტოვე ცრემლები, რომელიც შენს ნათელ ხსოვნას თუ შეგვიმსუბუქებს მცირეოდენ.

*მეგობრები*

## გოჩა და გური!



თქვენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი განუკურნებელია. ცივმა და ქარიანმა თებერვალმა სამუდამო სიცივე დაგვიტოვა გულში. წვიმა, რომელიც თქვენს საფლავს დასდის, ჩვენი ცრემლია. „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები, მორეულ ღრუბლის სანაპიროდან, კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი თქვენზე ტიროდა."

გოჩა ბიძია, საამაყოა ის ფაქტი, რომ თქვენს ტახტს მოქიშპე არ ჰყოლია და წვრილფეხებს ძნელად შეეძლოთ თქვენთვის რაიმეს დაზიანება. რას ვიზამთ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ამ ქვეყნის სტუმრები ვართ და მასპინძელი ჩვენ მიერ დატოვებული სახელი დარჩება.

გოჩა, თქვენ დავიწყება არ გიწერიათ.

*ბელა მამალაძე*

## გივი ჯგერენაიას მონატრება



ჩვენო სათაყვანო გივი, რა მალე გავიდა დარდითა და ტკივილით სავსე ორი წელი. შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვიმძიმს, ვერ ვეგუებით უშენობას. უსაშველოდ გვენატრები ყველას, გვენატრება შენი თბილი ღიმილი, ალერსიანი თვალები და მოსიყვარულე გული. რამდენი ლამაზი, წარუშლელი, კეთილმოსაგონარი წუთი დაგვიტოვე; შენ ხომ უხვად იყავი დაჯილდოებული საუკეთესო თვისებებით, გქონდა დიდი სიყვარულის უნარი. ამიტომაც დასწყვიტე გული არა მარტო დედას, შენს ოჯახსა და დედმამიშვილებს, არამედ ყველა შენს ნათესავსა და მეგობარს.

13 თებერვალს კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავთან, შევამკობთ ცოცხალი ყვავილებით და დავანთებთ შენი სულის მოსახსენებელ სანთლებს. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შენი ლამაზი და ულალატო სულით.

*სოსო სულავას ოჯახი*

## სვეტა კუჭუხიძის მონატრება



გასრულდა სინანულისა და მონატრების ორმოცი დღე, შენი დაკარგვიდან. რა ლაჩარი ყოფილა თურმე სიკვდილი. რა ძალას შეეძლო შენი ლამაზად მოქარგული ბედის დანგრევა. ძალიან გვაკლია შენი სიცოცხლით სავსე სახე, შენი სითბო, ყურადღება.

იმედის მომცემი იყავი და დღეს კი, სიცარიელე და ტკივილი დაგვიტოვე შენს მეზობლებს. დარჩი მოგონებად. ჩვენს მონატრებას არასოდეს ექნება დასასრული.

ნათელი თქვენს ხსოვნას.

*ჯემალ, იუზა, და გურამ კუჭუხიძეების ოჯახი*

## დამშვიდოებება



ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. ერთად ვცხოვრობდით ზემელზე, ერთად დავდიოდით სკოლაში, სტუდენტობისას ერთმანეთს დავყვებოდით პრაქტიკაზე, ზამთარში ერთად დავიოდით ბაკურიანში, ზაფხულში – გაგრაში. ერთად ვზრდიდით შვილებს, მერე შვილიშვილებს...

**დალი ბეჟუაშვილი**, ჩვენი „ბეჟო", შესანიშნავი მეგობარი იყო: მხიარული, ერთგული, მოსიყვარულე, სამართლიანი. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო მისი იუმორით აღსავსე ნაკვესები საკუთარ თავზე, სახუმარო ლექსები ჩვენზე.

სიცხესა და ავდარში, თოვასა და წვიმაში, „დალი ექიმი" თავდადებულად ემსახურებოდა უბნის ექიმის უმძიმეს საქმეს. მას გულწრფელად მისტირიან პატარა პაციენტები, მათი მშობლები და ბებიები.

„უცხო სიმაღლეების" ღირსი იყო, როგორც ექიმი და პიროვნება, მაგრამ მოკრძალებული ცხოვრებით იცხოვრა და რეგალიების გარეშე წავიდა.

რა კარგი იყო ერთად, რა მძიმეა განშორება, რა ულმობელია სიკვდილი.

„მივდიოდით მხარდამხარ და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცით, სადა ხარ და რომელსა მხარესა".

*მეგობრები*

## გურამ შონიას ხსოვნას!



არიან ადამიანები, რომლებიც თავისი არსებობით უბრალოდ გვილამაზებენ ყოფას. ჩუმად ცხოვრობენ, უანგაროდ იხარჯებიან, შეუმჩნევლად დებენ „მადლს ქვაზე"... მერე უხმაუროდ ტოვებენ სამზეოს და ტკივილს გვიტოვებენ გაუსაძლისს, წასვლითაც კაცური ცხოვრების ბოლო გაკვეთილს გვიტარებენ – ტიალი წუთისოფლის ულმობელ კანონებს შეგვახსენებენ და... მაინც რჩებიან სააქაოში – შთამომავლებში, რომელთაც თავისი ნათელი ხსოვნის და ლამაზი სიცოცხლის წინაშე პასუხისმგებლობის ტვირთს უტოვებენ.

მართალთა თანა განუსვენე, უფალო, „წუთისოფელს ბოლომდე კაცად შერჩენილ" ქართველს, გურამ შონიას.

*ოჯახი*

## დავით თინაძის გახსენება



მამის გარდაცვალებიდან სამი კვირის შემდეგ, შენც დაგვტოვე და მარადისობაში გადაინაცვლე, დათო. 40 დღე გავიდა. გვენატრები. ენატრები პატარებს. უშენოდ დარჩენილებს გვაკლია შენი სითბო.

ძნელია შენი მშობლებისთვის ნუგეშისცემა, შენი ძმის დაღუპვის შემდეგ, მათთვის ბოლო იმედი იყავი. მაგრამ განგებამ 42 წლის ასაკში წაგიყვანა თავის ზეციურ სასუფეველში.

იძინე მშვიდად. ჩვენგან ანთებული სანთლები გაგინათებს მარადიულ სასუფეველს. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*შენი ოჯახი*

## თენგიზ ჭელიძის მოგონება



წელს პირველი 13 თებერვალია, რომელსაც უშენოდ უნდა შევხვდეთ, ჩემო სიყვარულო და მოუშუშებელო ტკივილო. ჩვენი ოჯახის ყველა ახლობლისათვის საყვარელი 13 თებერვალი, ყველას მწარე მოგონებად გადაექცა და ყველანი ცრემლებით სავსე თვალებით შორიდან გილოცავთ დაბადების დღეს.

მუხთალმა სიკვდილმა საყვარელი დედის გლოვაც არ დამაცალა, ისე დამატეხა თავს ათმაგი სატანჯველი. დედაჩემის ორმოციდან მოსვლის შემდეგ, ნახევარ საათში, საკუთარ სახლში სამუდამოდ დაგიდუმდა სიცოცხლეზე სიყვარულით სავსე გული. შემომატოვე ხელში თხუთმეტი და თექვსმეტი წლის ბიჭები, რომლებსაც სწორედ ახლა სჭირდებოდათ შენნაირი მზრუნველი და მოამაგე მამა.

თენგო, შენ გაიხურე ჩვენი ოჯახის კარი და იქ დაესვა წერტილი ჩემს სიყვარულსა და ბედნიერებას. ახლა ჩემს სიცოცხლეს არსებობა ჰქვია. უნდა ვიარსებო იმისთვის, რომ ჩვენი ოჯახის ფუძე არ მოვშალო, გზაზე დავაყენო ჩვენი ვაჟკაცები; რომ ჩვენს ოჯახში ისევ პატარა თენგო ჭელიძემ დაიწყოს ცუნცული, რომელშიც, ეჭვიც არ მეპარება, ბაბუის ტკბილი სული იქნება დაბუდებული.

ჩვენს ოჯახს მარტო შენ აკლიხარ, თენგო; ჩემს გულს კი – ის სითბო და სიყვარული, რომელსაც ყოველდღე ვღებულობდი შენგან.

უზომოდ მიყვარხარ, უზომოდ მაკლიხარ, უზომოდ მენატრები, ყოველ წუთს ვლოცულობ შენზე.

*შენი მეუღლე დოდო*

## ციური მდინარიძის მონატრება



მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, დედა. 16 თებერვალს 53 წელი შეგისრულდებოდა. ჩვენი ლამაზი და ერთ დროს ბედნიერი ოჯახი, კიდევ უფრო დაიჩაგრა. შენი საყვარელი სიძე გივი, რომელიც შვილივით გიყვარდა, აღარა გვყავს, დედა. დაგვიობლდა შენი საფიცარი და მამიკოს სიამაყე, ჩვენი ნებიერა გიორგი. გულის დარდი აღმოხდა შენს მეუღლეს, – სულ ობლები მყავს სახლშიო. უფლის ნებასთან უძლურნი ვყოფილვართ მოკვდავნი. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები, დედიკო. გილოცავთ, გკოცნით და გეფერებით. შენი და გივის სიკეთით სავსე სულები ალბათ შეხვდებოდნენ ერთმანეთს უკვე. შენ, სულით ძლიერი ადამიანი იყავი, დედა, და მჯერა, რომ ჩემს გივის მანდაც მხარში ამოუდგები. ის შენზე უფრო უბედური ყოფილა დედა, ცოლ-შვილზე მონატრებულმა, სულ ახალგაზრდამ დატოვა წუთისოფელი. ერთმანეთს მიხედეთ. ჩვენ კი აქედან ვილოცებთ თქვენთვის.

*შვილები: ია და მაია; მეუღლე სანდრო, შვილიშვილი გიორგი*

## ვალია ახალაია-ბალათურიას ხსოვნას!



ჩვენო დედა! ხუთი წელი შესრულდება 9 თებერვალს, რაც შენი თავი წაგვართვა ბედკრულმა სიკვდილმა. შვილები ყოველ დაბადების დღეს, შენს საფლავთან მოსვლით აღვნიშნავთ, გინთებთ სანთლებს და შენს სულზე ვლოცულობთ. შენი უნახავი შვილიშვილი ხატია, რომელზეც შენ ოცნებობდი და დარდად გაგყვა, ხშირად გახსენებს, თავის პატარა გულში შენს დიდ სიყვარულს ატარებს.

შენი უკანასკნელი სურვილი აფხაზეთში დაბრუნება იყო. განიცდიდი, რომ სული სხვა კუთხეში და არა შენს ნაწვალებ სახლში უნდა დაგელია.

დედა! გილოცავთ დაბადების დღეს! ძალიან გვიყვარხარ და გვაკლიხარ.

*მეუღლე, შვილები და შვილიშვილები*

## დაგვიბრუნდი, ძმაო!

*(ზურაბ კაჭარავას)*



ნიუ-იორკი. ბასტერმინალი. დღის 8 სთ 45 წუთი. 11 სექტემბერს დაღუპული ამერიკელების მემორიალი. პუნქტუალური ამერიკელები წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ. მეც ვჩერდები. თავში 11 რიცხვი მიტრიალებს, ოღონდ 11 თებერვალი – შენი დაბადების დღე, ძმაო; ჩემო სიყვარულო, რამდენი ასეთი მემორიალია საჭირო შენს საყვარელ გაგრაში, რომელიც შენ არ დატოვე ბოლო წუთამდე, ვერ შეელიე და ჩაეხუტე; დარჩი იქ, იქნებ სამუდამოდ, ვინ იცის...

მე შორს ვარ, ჩემო ძამიკო. როგორც შემიძლია, ვუვსებ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, შენს შვილებს. აქედან გეფერები, ვლოცულობ, გევედრები, დაგვიბრუნდი, ჩემო საფიცარო, გაუხანგრძლივე სიცოცხლე მამას, აცხონე დედა, რომელიც შენზე ჯავრს გადაჰყვა.

თუ არ მიწერია ამ ოცნების ახდენა, არც მემორიალზე მინდა გნახო. და! შინმოუსვლელად დარჩი, ჩემო დიდო ტკივილო.

*შენი ნინო, აშშ*

## ის ერთი ცრემლით მეტი იყო ყველა ჩვენგანზე...

ამ სურათმა გამახსენა პოეტი, ერთი თაობით წინანდელი კოლორიტი, პოეტი **შოთა ჩანტლაძე**.



იქნებ ეს გამოთხოვება იყო, იქნებ სურვილი ხედ და ბალახად ამოსვლისა, იქნებ მთებთან განივთების ჟინი, ან იქნებ უბრალოდ ამაღლება – არავინ იცის, რადგან მას შემდეგ დიდხანს აღარ დააცალა განგებამ. ეს ფოტოც გაუგზავნელი დარჩა მის ავტორს. სათუთად ინახავდა, რაღაცით იყო მის სულთან ახლოს – კაცობისა და ღირსების ნიმუშად.

იმხანად ბატონი შოთა ალაზა ხაიაურს ესტუმრა. ღამე გაათია არხლის ციხის ქონგურებზე ფიალასავით აწეული მთვარის ცქერაში. ალაზა საძმოს შეეხმიანა და ბორბალოსკენ აიღეს გეზი. გზაზე პირველად თამარის ხატთან დაიჩოქა ბატონმა შოთამ, სანთლით ჩამოლევნთილ ნიშს ემთხვია დალოცა და წინწანაქრით სავსე ყანწი გამოცალა. მერე კარგა ხანს იდგა მდუმარედ, თითქოს განშორება ეძნელებაო. ცხენდაცხენ აათავეს წყალ-ქალა. მალე ტყის სიღრმიდან გამოხმიანდა აონის ზარი. მგზავრებს მონადირეები შემოეგებნენ, ცერიან მწვადებზე მიიწვიეს სტუმარ-მასპინძელი.

ლაშქრობის მეგზური – რატი იობგაიძე ხშირად იხსენებდა ხოლმე იმ ურთიერთობით აღფრთოვანებას, რამაც მაშინ ასე გააოგნა ბატონი შოთა:

„ქვირითობა იყო. „ივრის კუდებში" მომრავლებული თევზი ხელ-ფეხზე გველამუნებოდა. კამკამა წყალში მოციაგე მზის სხივები წითლად აელვებდა ფორაჯიან კალმახებს. შოთა მალი-მალ ჩაიმუხლებდა, თვალს გაადევნებდა მათ თავბრუდამხვევ ბუნიობას, ფსკერიდან ნაირფერ კენჭებს ამოარჩევდა და მერამდენედ, ჩურჩულებდა მირზას სტრიქონებს":

„კარგი წყალი ხარ კალმახის ბუდე, საიალაღო მთების აბანო, შენთან მწყემსები იხსნიან გუდებს, ტალღებს სხეული რომ დაამგვანონ"...

ალაგ-ალაგ მწყემსების კარვებთან ვისვენებდით. ერთგან სოკოს ხინკალი გამოგვაგებეს, მეორეგან ბატკანი ჩამოატყავეს, მესამეგან – სტუმარი არ გაგვიცივდესო – ნაბადი დაუფინეს. მთებს აზანზარებდა ალაზას სადღეგრძელოები, თენგიზ გელოვანის სიმღერის ხმა. შოთა ხან ერთს შეჰყურებდა სიყვარულით, ხან მეორეს. თვითონ სულ ჩუმად იყო. – კაცო, პოეტი ყოფილხარ, შენც გვითხარი რამე, გაგვახმიანეო – უთხრა ხელებდაკოჟრილმა, ჭაღარა მწყემსმა. ფეხზე ადგა, ყანწი ასწია. თვალი მოავლო ცას მიბჯენილ მწვერვალებს, მერე მასპინძლებს მიუბრუნდა: – თქვენ გენაცვალეთო – ამოიძახა გულიდან და ცრემლი ჩამოუგორდა ღაწვებზე. ის სწორედ ამ ერთი ცრემლით მეტი იყო ყველა ჩვენგანზე.

ვიწრო, ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე, ხევ-ხუებსა და გაუკვალავ ღრანტეებში მოკასინებითა და იტალიური ლაბადით გამოწყობილმა, უშეღავათოდ იარა ბოლომდე. საგზალიც ჩვენზე ნაკლებად არ ზიდა ზურგჩანთით. თოფი კი ახლოს არ გაიკარა.

უკან მწყემსებთან მიბარებული ცხენებით დავბრუნდით. დაღმართზე ცხენებს სიარული გაუჭირდათ და შოთა ჩამოქვეითდა. ალაზაც ჩამოხდა. ორივე ცხენს შუაში ჩაუდგა, ალვირები მკლავებზე დაიხვია და მკერდით ორივე მხრებზე მიიბჯინა. ამ სანახაობით გაოცებული შოთა ხან წინ გაგვისწრებდა, ხან გვერდით მოგვყვებოდა და განცდისაგან ოფლს იწურავდა. განშორებისას ყველას ჩაგვეხუტა. „საკართანო" დალია, – თქვენ გენაცვალეთო! – ერთხელ კიდევ ამოიძახა გულიდან და... წავიდა".

მეორე დღეს უნივერსიტეტის ბაღში ნახეს. შემოკრებულ ახალგაზრდებს მოუთხრობდა თურმე, რა ძალისხმევით ჩამოჰყავდა უსაშველო დაღმართზე ერთ დევკაცს მხრებზე აკიდებული ცხენები. რა ანკარა იყო მთის წყალი, როგორი სუფთა – მისი ჰაერი და რა აუმღვრეველი იქაური კაცის ბუნება. არწმუნებდა მათ, რომ სულ იოლად შეიძლება ქალაქში ჩამოიტანო ის პირველყოფილი სისუფთავე და მინიერი ქარის ქროლვა, რომელიც სულსა და სხეულს აჯანსაღებს.

...იმ თაობას მართლაც მკერდით და გულით ჩამოჰქონდა ყველა კუთხიდან ქართული მიწა-წყალის მადლი და აქ, დედაქალაქში უშურველად უწილადებდა გარშემომყოფთ.

*ეთერ თარიმანი*

## გამოთხოვება

დიდი და ლამაზი გზა გაიარა მშვენიერმა ქალბატონმა თამარმა, გაიარა ჩუმად, მოკრძალებულად.



მესხეთის სახელმწიფო თეატრის დაარსების პირველივე დღიდან საყვარელ საქმეს ემსახურებოდა უანგაროდ, დაუღალავად. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს დიდი სითბოთი შეხვდა მათზე ასაკით უფროსი ქალბატონი **თამარ ჩერქეზიშვილი**, რომელიც სახელმწიფო თეატრის გახსნამდე სცენის მოყვარულთა წარმოდგენებში მონაწილეობდა და ქართულ სიტყვას რუდუნებით ემსახურებოდა. დასის ღირსეულ წევრს ხალხის სიყვარული თან სდევდა. ბევრი როლი შერჩება მეხსიერებაში ახალციხის მაყურებელს.

გულისხმიერი, განათლებული, ლამაზი, ხმაურის გარეშე იმ როლებთან ერთად უშფოთველად განგვერიდა ქალბატონი თამარ ჩერქეზიშვილი და სევდა დაგვიტოვა...

ღმერთმა დაგიმკვიდროთ საუკუნო სასუფეველი.

*მესხეთის სახელმწიფო თეატრი*

# ჟიპიტაურით [illegible]



ჟებოტა სოფელია ივრის ხეობაში: ხალხმრავალი, ლალიან-ბარაქიანი. მის შემოგარენში თითქმის ყველაფერს, საერთოს და განუყოფელს, სოფლის სახელი ჰქვია: „ჟებოტის გორა“, „ჟებოტის ციხე“, „ჟებოტის ხიდი“... ბევრი მათგანი (გორა და ტყე მაინც) აქ სოფლის დაარსებამდე ყოფილა და, რა თქმა უნდა, უსახელოც არ იქნებოდა, მაგრამ რაც აქაურებს თავი ახსოვთ, თავიანთ მისადევ-მოსადევარში უმეტესად ჟებოტის სახელი ფიგურირებს. ჟიპიტაურიც აქედან განთქმულა, მაგრამ ეს სახელი თავად ჟებოტელებს არ დაურქმევიათ. ვისაც აქაური არაყი მოსწონდა, ნათლიებიც ისინი იყვნენ.

როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, აქაც თავშესაქცევად ჩვეულებრივ ხდიდნენ ხილის არაყს და მით ილხენდნენ ნათლობა-ქორწილებში, მითვე იქარვებდნენ ნაღველს. შემოდგომით, შეითვალება თუ არა ხილი, დაიწყება საჟიპიტაურე რთველი. აგროვებენ ვაშლსა და მსხალს, პანტა-მაჟალოს, ანწლსა და მაყვალს, მთავარი მაინც კარგად დამწიფებული, წვენგამომავალი ქლიავი და ჭანჭურია. „ჩააყენებენ“ ხის კასრებში, დაადუღებენ და ხდიან საარყე ქვაბებში. პირველ ნახადს „წინწანაქარს“ ეძახიან, მომდევნოს — „ჟიპიტაურს“. ბევრმა არ იცის, რომ „ჟიპიტაური“ იგივე „ჟებოტაურია“, უმნიშვნელო ფონეტიკური ცვლილებებით. როგორც უხუცესები ამბობენ, ამ სოფელში ყველაზე „ხარისხიანი“ გამოდიოდა ეს დალოცვილი სითხე, რადგან აქაური ხილი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩეოდა. ხილის არყებში ჟებოტაური იგივე იყო, რაც კახურ ღვინოებში — „მანავის მწვანე“, დასავლეთ საქართველოში „ადესა“ ან რაჭაში „ხვანჭკარა“. ამიტომაც გაუვარდა სახელი ჟებოტაში გამოხდილ არაყს და მოინათლა კიდეც „ჟიპიტაურად“. ცხრა მთას იქით რომ გამოეხადათ, ვისაც კარგი არაყი გამოუვიდოდა — „ნამდვილი ჟებოტაურიაო“, იტყოდა სიამით. სტუმართანაც თავს კარგი ჟებოტაურით მოიწონებდა.

ჟიპიტაურის კარგი დეგუსტატორი სასმელს არ გააფუჭებს, „მწარე წყლამდე“ არ დაიყვანს. იმისი საზომი საარყე ქვაბს შენთებული ცეცხლია. ნაკვერჩხლებზე ერთ ჭიქას დაასხამს და თუ ცეცხლი არ აბრიალდა, წასულია მისი საქმე. სანამ „ქარხანა ისევ ბოლავს“, გამვლელ-გამომვლელს მიიპატიჟებენ, ნახელავს გაასინჯებენ, მოილხენენ. თუ დაექცათ — „ჩემი სისხლი დაღვრილიყოო“ — დააყოლებენ სინანულით. ჟიპიტაურის გამოლევა-გათავება ოჯახის სიგლახის ნიშანია. სტუმართან თავი მოეჭრებათ. ჭირისა თუ ლხინის სუფრაზე ჩვეულებრივი ღვინის ბოთლებით მიაქვთ და ქალებიც მშვენივრად მიირთმევენ. ჟიპიტაურით დათრობასა და მასპინძლის სიძუნწეზე აუარებელი ლექსი და კაფია იქმნება დღესაც. მაგალითად, ძმათა გაპაექრება ასეთია:

— „ღმერთმა ისე აგაშენოს, როგორც შიოს მარანია!

— რაღა უნდა ამაშენოს, დალიე და არ არია...

— ეგრე ასმევ ქვეყანასა, ძმამ დალიოს, ალალია!

— შენ დალიო, სხვამ დალიოს, ჩემთვის ორივ ზარალია“.

***ეთერ თარიმანი***

# უცხოპლანეტელები სამოთხეს გვპირდებიან



კეთილი ნების ელჩების როლს შეასრულებენ. ამასთან, თითქოს ვერდანტებს მათთან მოლაპარაკება დაწყებული აქვთ.

ვერდანტებმა ისიც უთხრეს კრაპფს, რომ მათი პლანეტა დედამიწაზე ორჯერ დიდია და ჩვენგან 14 მლნ სინათლის წლითაა დაშორებული. იმდენად განვითარებული ტექნოლოგია აქვს, რომ დედამიწელ ყველაზე გამოჩენილ მეცნიერსაც არ ძალუძს მათი შეცნობა-გამოყენება. ასევე მაღალ დონეზეა მათთან თურმე სულიერი განვითარება. აკონტროლებენ კლიმატს და თითქმის 250 000 პლანეტა მათი კოლონიაა. არასოდეს სახლდებიან დაკავებულ პლანეტებზე, იპყრობენ მხოლოდ აუთვისებლებს. ასე რომ, დედამიწელებს მათი შემოჭრისა არ უნდა გვეშინოდეს.

ორ ცივილიზაციას შორის კონტაქტის დამყარებას დიდი ცვლილებები მოჰყვება: გაქრება უამრავი დაავადება, ამაღლდება ინტელექტის დონე, წინ წამოიწევს საღი აზრი, ბოლო მოეღება ომებს, დანაშაულობებს და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებებს. წყალი და ჰაერი მაქსიმალურად გასუფთავდება, ბედნიერება თითოეული ადამიანისთვის რეალური გახდება.

აშშ-ში გამოვიდა ფილიპ კრაპფის წიგნი, „კონტაქტი დაიწყო“, რომელსაც დიდი აურზაური მოჰყვა.. ავტორი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გაატარა სამი დღე-ღამე სამ არსებასთან ერთად ამო-ზე. ვერდანტების (ასე ეწოდებოდათ უცხოპლანეტელებს) თქმით, ისინი ათას წელზე მეტია უთვალთვალებენ კაცობრიობას და დადგა დრო, დედამიწა შეუერთდეს გალაქტიკათშორის თანამეგობრობას. ოფიციალური კონტაქტი დაგეგმილია მომავალი წლისთვის.

ვერდანტების თქმით, ადამიანთა რასამ განვითარების სასურველ დონეს მიაღწია, ამიტომაც მათ შეარჩიეს რამდენიმე ასეული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე — პოლიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები, პედაგოგები, რომლებიც ცივილიზაციათა კონტაქტის დროს

***ინტერპოლ-ექსპრესი №2***

# გემო გუნებას ჰკიდია...



როდესაც უგუნებოდ ხართ, ყველაფერი ხელიდან გივარდებათ, გეწვებათ ხორცი, ხახვი, ცომი არ ფუვდება... ბიოენერგოთერაპევტები ამტკიცებენ, რომ უგულოდ მომზადებული საჭმლით უარყოფითი ემოციები გადაიცემა. ალბათ გქონიათ ასეთი შემთხვევა: ძალისხმევა დაგჭირდათ კერძის დასამზადებლად, მიართვით ოჯახის წევრებს, მაგრამ მათ ისეთი გამომეტყველება აქვთ, თითქოს ტყემალი ეჭამოთ.

ასეთ სიტუაციებს რომ თავი აარიდოთ, გირჩევთ: მაცივრიდან გამოიღოთ ყველა ის პროდუქტი, რომელიც უნდა გამოიყენოთ, ზევიდან 1 სმ-ის დაშორებით გადაატარეთ ხელისგულები, მერე მიდით ონკანთან და დაიფერთხეთ ხელები, ისე, თითქოს ნამცეცებს იშორებთ. როდესაც სადილს გაამზადებთ, დაჯექით სკამზე, დახუჭეთ თვალები და 1 წუთით მოეშვით. თუ დაღლილობამ გაგიარათ და კარგი გუნება-განწყობილება დაგიბრუნდათ — მიართვით სადილი ახლობლებს...

***გოროსკოპ №2***

## „საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

I. რებუსი
თებერვალი წელიწადის ყველაზე მოკლე თვეა.

II. ენძელა.

# ჯულია რობერთსი არ უნდა გათხოვდეს, რადგან...



ჰოლივუდში უკვე მრავალი წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს ლეგენდარული წინასწარმეტყველი და მედიუმი კენი კინგსტონი. ვინ აღარ მიმართავდა მას — მერილინ მონრო, ელვის პრესლი, ჯეიმს დინი და ჯონ ლენონი. მედიუმი ირწმუნება, დღემდე მაქვს მათთან კავშირიო. თავის სახლში, კალიფორნიაში, შუაღამისას, კინგსტონი სანთლებს ანთებს და ცდილობს მომავალს ჩასწვდეს. გთავაზობთ მის რამდენიმე წინასწარმეტყველებას ჰოლივუდის ვარსკვლავთა მომავლის შესახებ:

...ბრიუს უილისი და დემი მური შერიგდებიან. ბრიუსს ძველებურად უყვარს დემი, ნამდვილი გრძნობა სძლევს წყენასა და გაუცხოებას.

...მაიკლ დუგლასისა და ქეთრინ ზეტა-ჯონსის ოჯახურ ბედნიერებას არაფერი დაემუქრება, თუკი მაიკლი ოტელ „ბევერლი ჰილზში“ იმ ძვირად ღირებულ ნომერს დაივიწყებს, რომელსაც ხშირად სტუმრობდა სხვადასხვა ლამაზმანთან ერთად. მათი შვილი დილანი ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი იქნება, რადგან მასშია ჩასახლებული 40-იანი წლების ამერიკის ქალაქის კერპის, მსახიობ თაირონ პაუერის სული.

...მელანი გრიფიტისა და ანტონიო ბანდერასის კავშირს ვერავინ დაარღვევს. მელანი ამქვეყნად მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს — „ოსკარზე“. მალე მიიღებს ისეთ როლს, რომელიც სანატრელ პრემიას მოუტანს.

...ერთ დროს ცნობილი მომღერლის ჟოზეფინა ბეიკერის სულს უითნი ჰიუსტონისა და ბობი ბრაუნისთვის შეუთვლია, ჩემსავით ბევრი შვილი იყოლიეთ და თქვენი ქორწინებაც ამით გადარჩებაო(!)

...ჯულია რობერთსს კი არ ურჩევს მედიუმი გათხოვებას, რადგან მისი გული თურმე მთლიანად კინემატოგრაფს ეკუთვნის...

***ნლო***

# უყურეთ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას...



თუ არ გიყვართ ღამით ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურება, ძალიან შემცდარხართ, რადგან ეს სასარგებლოა... ხომ გყავთ გამორჩეული საყვარელი მწერალი, ხელოვანი, გაქვთ საყვარელი ფერი, მელოდია და ა.შ. ასევე უნდა გქონდეთ საყვარელი ვარსკვლავი, — გვირჩევს პოლონელი ექიმი, პროფესორი ზიგმუნდ საპკოვსკი, რომელმაც გასაოცარი დასკვნები გააკეთა „საყვარელ ვარსკვლავთან“ დაკავშირებით. მისი აზრით, საყვარელი ვარსკვლავისადმი უყურადღებობა იწვევს დეპრესიას, რაც სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ლოთებად და ნარკომანებად აქცევს.

საპკოვსკი ვარაუდობს, რომ ჩვენი სულიერი მდგომარეობა შეიძლება მოვაწესრიგოთ, თუ ღამით ცაზე მოვძებნით „ჩვენს“ ვარსკვლავს. მისი ჭვრეტა კარდინალურად გაგვიუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ჯანმრთელობას, აღგვიდგენს წონასწორობასა და მოგვიტანს ცხოვრებისეულ წარმატებებსაც... საყვარელ და გამორჩეულ ვარსკვლავზე დაკვირვება მუხტავს ადამიანს კოსმოსური ენერგიით, კეთილად მოქმედებს მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

როგორ გამოვიცნოთ „ჩვენი“ ვარსკვლავი? აიღეთ ვარსკვლავებიანი ცის რუკა და ასტრონომიული ცნობარი და მეთოდურად დაიწყეთ მისი შესწავლა; თავდაპირველად დაიმახსოვრეთ თვალში მოსახვედრი ვარსკვლავები (დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედები და ა.შ.), შეეცადეთ, ყური დაუგდოთ ინტუიციას — თუ რომელი თანავარსკვლავედი ან ვარსკვლავი გიზიდავთ უფრო მეტად, აი, ეს იქნება თქვენი „მშობლიური კოსმოსი“...

***ტაინაია ვლასტ №25***

# ექსტრასენსმა ორი გამომძიებელი „მოკლა“



დანაშაულებრივ გზას სხვადასხვა ხელობის ადამიანები ადგებიან ხოლმე, მაგრამ ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ისეთი უჩვეულო პროფესიის ადამიანს, როგორიც ექსტრასენსია, შეეძლო დანაშაულის ჩადენა.

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განიხილა თანამედროვე რუსეთის კრიმინალური ისტორიის ერთ-ერთი ექსტრავაგანტური საქმე. მოსკოვში დაკავებული მძარცველების ბანდის სულის ჩამდგმელი გამოდგა მაგი მიხაილ ეზოროვი, რომელიც კლიენტებს თავს პაველ გლობას მოწაფედ აცნობდა. მიხაილს ნათელმხილველობის ნიჭი რამდენიმე წლის წინ, კლინიკური სიკვდილის შემდეგ აღმოაჩნდა და გამოყენებაც დაიწყო.

მასთან, ძირითადად, შეძლებული ადამიანები, „ახალი რუსები“ დადიოდნენ. ისინი ნათელმხილველს გულს უხსნიდნენ და ყველა საიდუმლოს უმხელდნენ. ეზოროვს მუდამ ხალხი ეხვია. ისე მოღონიერდა, რომ ჯერ საკუთარი სახლი შეიძინა, მერე ძვირფასი უცხოური მანქანაც. ბედს თითქოს არ უჩიოდა, მაგრამ სიხარბემ სძლია. საყვარლის საშუალებით დაუკავშირდა დამნაშავეთა დაჯგუფებას, რომელთაც თავისი კლიენტების ბინებს აძარცვინებდა (მან კარგად იცოდა, სად ინახავდნენ ისინი ძვირფასეულობას და ვალუტას). ჯგუფის რამდენიმე წევრი კი დააპატიმრეს, მაგრამ ეზოროვზე ეჭვი მილიციას არ აუღია, მით უმეტეს, რომ დაკავებულებმაც არ გაყიდეს მაგი. მაგრამ ერთხელ კოკამ წყალი არ მოიტანა და მიხაილ ეზოროვი ჩავარდა.

თავდაპირველად, სამართალდამცავებს გაუკვირდათ კიდეც, როცა მათ წინაშე ჯადოქრის ნაცვლად, ჩვეულებრივი, ჩასუქებული ახალგაზრდა კაცი წარდგა. არც მისი ჯადოქრობისა სჯეროდათ, მაგრამ დაიჯერეს, როცა ეზოროვმა ხან მათ სიგარეტს შეუცვალა გემო, ხან კი არაყს. შემდეგ ერთმა მილიციელმა მაგს სთხოვა, თავის ტკივილისაგან განმკურნეო. მილიციელს თავის ტკივილმა კი გაუარა, მაგრამ საშინელი ფაღარათი დაეწყო. ეზოროვი დამატებითი ულუფის საფასურად თანასაკნელებსაც კურნავდა. მაგის ასეთი საქმიანობა თავიდან ყველას ახალისებდა, მაგრამ შემდეგ საქმემ სერიოზული სახე მიიღო.

ერთ-ერთ ოპერმუშაკს ეზოროვმა სიკვდილი უწინასწარმეტყველა და ისიც ერთი თვის შემდეგ ბანდიტის ტყვიამ იმსხვერპლა. მეორესაც იგივე ბედი ეწია — ბანდიტებმა საკუთარ სადარბაზოში დანით ყელი გამოსჭრეს. გამომძიებელი, რომელსაც თავდაპირველად ეზოროვის საქმე მიჰყავდა, ორგანოდან დაითხოვეს, მისი შემცვლელი კი დაკითხვებიდან მილიციელებს ხელით გამოჰყავდათ. გამოძიება მესამე გამომძიებელმა დაამთავრა, რომელიც ეზოროვთან შეხვედრის წინ აუცილებლად პირჯვარს იწერდა და დღემდე ეკლესიაში დადის.

***მირ კრიმინალა №2***

# სტომატოლოგთან — მთვარის კალენდრის მიხედვით...

თურმე არა მარტო თმის ან ფრჩხილების მოჭრა, არამედ ბჟენის გაკეთებაც უმჯობესია მზარდი მთვარის დროს და თუ ის იმყოფება სასწორის ან კიბოს ნიშნის ქვეშ, მაშინ კბილის პროთეზი, ბჟენი ან გვირგვინი ძალიან დიდხანს გაგიძლებთ. გახსოვდეთ, თუ არა აუცილებლობა, არავითარ შემთხვევაში არ წახვიდეთ სტომატოლოგთან, თუ მთვარე კუროს ან ვერძის ნიშნის ქვეშ არის — შესაძლებელია სერიოზული პრობლემები შეგექმნეთ.

კბილის ამოღება, განსაკუთრებით სიბრძნის კბილის — უკეთესია მთვარის უკანასკნელი მეოთხედის (კლების) დროს — ოპერაცია გართულებების გარეშე ჩაივლის. თქვენ საერთოდ არ იგრძნობთ ტკივილს, თუ მთვარე იმყოფება სასწორის ან კიბოს ნიშნის ქვეშ.

***ოტდოხნი №2***

# ჩემპიონთა ლიგიდან გვყრიან




თუკი მსოფლიოს გლობალიზაციის იდეოლოგთა ჩანაფიქრის განხორციელებას თვალს მივადევნებთ, მივხვდებით, რომ „G-14"-ში გაერთიანებული კლუბების მისწრაფებას, ჩამოაყალიბონ ახალი სუპერლიგა, უახლოეს პერიოდში რეალურად ხორცი შეესხმება.

„G-14"-ის ინიციატორები ამ კვირას შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში შეიკრიბნენ და მომავალზე იმსჯელეს. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, „მანჩესტერის", „რეალის", „იუვენტუსის", „ბარსელონასა" და სხვა გრანდებთან ერთად სხდომას თბილისის „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი, გია ფირცხალავა და გუნდის იურისტი ნიკა კობალავა ესწრებოდნენ. სულ შეხვედრის ორგანიზატორებმა 64 კლუბის თავკაცი მიიწვიეს, — ცნობილი კლუბების წარმომადგენლები.

„G-14"-ის მთავარმა მენეჯერმა თომას კურტმა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების სერიოზული რეფორმირების იდეა წამოაყენა. სწორედ კურტის იდეის არასაჩვენო ჩანაფიქრი იწვევს ქართული ფეხბურთის მესვეურთა სერიოზულ შეშფოთებას.

საქმე ისაა, რომ სუპერლიგის მენეჯერი მოითხოვს სუსტი და ღარიბი ქვეყნების კლუბების ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთას. მათ ნაცვლად კი „მწვანე შუქი" ავუნთოთ მდიდრებსო: „უპირველესად ვგულისხმობ ინგლისის, გერმანიის, ესპანეთისა და იტალიის კლუბებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიზრდება მაყურებლის დაინტერესება მატჩებისადმი".

რადგან „დინამო" მდიდარი კლუბების კატეგორიას არ განეკუთვნება, ამიტომაც არის მათ მიერ მოსაკვეთთა კატეგორიაში განხილული.

კურტის მოწოდებები ჩემპიონთა ლიგის ტელეაუდიტორიის კლებით არის გამოწვეული, რამაც მრავალი კლუბის ბიუჯეტზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. თუმცა, უეფას ოფიციალური წარმომადგენელი მაიკლ ლი გარკვევით მიანიშნებს, რომ არანაირ ცვლილებას უახლოეს პერიოდში არ გეგმავენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსი, მამუკა კვარაცხელია იმედოვნებს, რომ უეფა თავის წევრ ქვეყნებს შვილებად და გერებად არ ჰყოფს და თუნდაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის საშუალება მაინც გვექნება. თუმცა, მოვლენების განვითარება გვაფიქრებს, რომ თავად უეფას თავკაცებიც ჩუმ-ჩუმად ხელს უწყობენ ღარიბთა განდევნას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან. როდესაც ერთი ქვეყნიდან ჩემპიონის გარდა კიდევ სამი კლუბი იღებს გათამაშებაში მონაწილეობას, გათამაშების სახელსაც არსი ეცლება და რეალურად სუპერლიგის ჩანასახიც სახეზეა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „G-14" და უეფას თავკაცები შეთანხმებულად თამაშობენ დაპირისპირებულთა როლს, რათა სუსტები და ღარიბები, კიდევ უფრო გამიჯნონ მდიდართაგან, რომ ჩვენ და ჩვენნაირები „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" სათრევი არ გავხდეთ.

და თუკი „G-14"-ის ჩანაფიქრის საპასუხოდ ევროპის მცირე ქვეყნები, „ატლანტიკური ლიგის" ჩამოყალიბებაზე ფიქრობენ, გაოცებას იწვევს ქართული ფეხბურთის მესვეურთა პასიურობა — იქმნება აზრი, თითქოს ისინი ვერ აცნობიერებენ, თუ რა პროცესები წამოიწყეს ევროპელებმა. არადა, თავის გადარჩენაზე ფიქრი ნამდვილად არ გვაწყენდა — მდიდარი ევროპა ამისკენ გვიბიძგებს.

სწორედ მიმდინარე პროცესებით არის გამოწვეული, ქართული ფეხბურთის ზოგიერთი მოღვაწე ვითარების გამოსწორების თავისებურ გზას რომ გვთავაზობს. უმთავრესად იკვეთება აზრი, რომ თბილისის „დინამოს" გარშემო იკრიბებიან პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბების მოსურნეები. მათ ამასთანავე სასურველად მიაჩნიათ ტოტალიზატორების ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩაყენება.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კი ჯერაც თავს იკავებს აღნიშნული იდეისადმი მკაფიო პოზიციის დაფიქსირებისგან:

— ალბათ, უხერხული იქნება, ფედერაციამ ტოტალიზატორების გათამაშება საკუთარ თავზე რომ აიღოს. ზოგადად კი მიუღებელს ამაში ვერაფერს ვხედავ.

მიუღებელი და სასურველი აზრი ერთმანეთისგან ბევრით განსხვავდება. ქართულ ფეხბურთს კი ახალი იდეები და მიდგომა სჭირდება. სხვაგვარად გლობალიზმი საქართველოსაც გადათელავს და თავისთავად, ჩვენს ფეხბურთსაც.

# მთავარია მონაწილეობა




ახალი ოლიმპიური მოძრაობის მამამთავარის, პიერ დე კუბერტენის დევიზი საქართველოში პირდაპირი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, არ გაუგიათ, მაგრამ სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის დელეგაცია სწორედაც რომ ამ მიზნით გაემგზავრა.

8 თებერვალს გახსნილ ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ქართველი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას: ტრამპლინიდან ხტომაში **კახა წაქაძე** (რომელიც თამაშებში მესამედ მონაწილეობს), ფიგურულ სრიალში **ვახტანგ მურვანიძე** და სამთო მოთხილამურეები — **სოფიკო ახმეტელი** და **რობერტ მახარაშვილი**.

ბუნებრივია, ოლიმპიური ოქროს მედლის იმედი არც ერთ მათგანს არ გააჩნია და თუკი ისინი ამერიკაში ოლიმპიადაზე იმყოფებიან, ისევ უცხოეთში მზადების შედეგია — არც ერთ სპორტსმენს საქართველოში სავარჯიშო პირობები არ გააჩნია: მურვანიძე მოსკოვში ცხოვრობს, სამთომოთხილამურეები ავსტრიასა და იტალიაში ინარჩუნებენ ფორმას. წაქაძეს კი ამერიკელი მეუღლე ჰყავს და ისიც ძირითადად ქვეყნიდან გასულია.

# მიეცით და ან გაიქცევიან

უცხოეთში გახიზნული ქართველი სპორტსმენები მუდამ იმას აღნიშნავენ, რომ ქვეყნიდან გაჭირვებას გაექცნენ. ვითარების გამოსწორების მიზნით, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ოთხშაბათს, მთავრობის სხდომაზე მოითხოვა დაწესდეს 25 ათასი დოლარის ოდენობით პრემია მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულთათვის, რაც ნიჭიერი სპორტსმენების საზღვარგარეთ გადინებას ხელს შეუშლის. მეძმარიაშვილის ინიციატივა პრეზიდენტმა შევარდნაძემაც აიტაცა და ფინანსთა მინისტრ ნოღაიდელს საკითხის განხილვა დაავალა. შეგახსენებთ, რომ 2001 წელს ოთხმა ქართველმა სპორტსმენმა უცხო ქვეყნების სახელით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. და თუკი საკითხის განხილვა დროულად და შედეგიანად დასრულდება, იმედია, „მამლუქების" რაოდენობა, დღევანდელთან შედარებით, შემცირდება.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. g2-g4!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **მე3** სვლაში.




# ეძიე ვარსკვლავი შენი, ანუ რა დაგვრჩა ბრაზილიაში

პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის ამ ხუთიოდე წლის წინ დაიწყო ის პროცესი, რომელსაც ევროპელები გაცილებით დიდი ხანია დაადგნენ: დაიწყო ბრაზილიელთა მასობრივი მიწვევა. ეს არც არის გასაკვირი. ამ ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში ხუთი თანაბარი ძალის ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება შეიძლება, რადგანაც უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი იზრდება. აქედან გაჩნდა თვალდახუჭული ნდობა ბრაზილიელებისადმი — ეს ერთგვარი სამარკო ნიშანია, რომელიც არასდროს დაგაღალატებს.

ბრაზილიელებიც ინტერესდებიან ცნობილ რუსულ, უკრაინულ და თუნდაც ქართულ კლუბებში თამაშით. საშუალო დონის მოთამაშეები თავის ქვეყანაში თუ ვერ ხვდებიან მენეჯერთა მხედველობის არეალში, იმედოვნებენ, რომ ევროთასებზე მოასპარეზე კლუბებიდან მაინც მოხვდებიან ევროპული ფეხბურთის შუაგულში.

თუმცა, რამდენად სასურველია ამ დონის ბრაზილიელთა შესყიდვა, ამაზე თავად ბრაზილიელი მენეჯერი, „ევროექსპორტის" ვიცე-პრეზიდენტი, დანიელ გეირა კოშტა პასუხობს:

— საბჭოელებს ჯერაც არ გააჩნიათ დიდი სახსრები, რათა ბრაზილიელი ვარსკვლავები შეისყიდონ. ამ ქვეყნებში გაგზავნილი მოთამაშეების სატრანსფერო თანხები 400-დან 700 ათას დოლარამდე მერყეობს, ნამდვილ ტალანტებში კი მილიონებს იხდიან. ბრაზილიის ბიუჯეტი შარშან ტრანსფერებიდან 115 მილიონი დოლარით გამდიდრდა.



ბრაზილიელებს ღმერთმა ხელი მოუმართოს და ბუნებრივია, ჩვენ ქართული კლუბების, უფრო სწორად, თბილისის „დინამოს" მიერ ბრაზილიელი მოთამაშეებისადმი გამოვლენილი ყურადღების შესახებ გესაუბრებით.

რა თქმა უნდა, კვიპროსში გასინჯული ვანდერლეი და კარლოსი პირველი უცხოტომელები არ ყოფილან. შავკანიანი პიონერი ნიგერიელი, ვინმე ბარი სალამი, (შემდგომ გივიდ მონათლული) აღმოჩნდა. ეს ახალგაზრდა კაცი ფეხბურთის ფედერაციის ძველ შენობას მიადგა და მორიდებულად გაანდო იქ შეკრებილ საზოგადოებას, იქნებ უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბში მომაწყოთო. მისი საუბრიდან გაირკვა, რომ ნიგერიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, მაგრამ საქართველოში გაჭირვებამ გამოაქცია. რა გაჭირვება, რის ნაკრები — „სამტრედიაში" ჩარიცხული აფრიკელი პირველივე ვარჯიშზე „გაიშიფრა", რომ ფეხბურთისგან შორს იდგა. მსგავს ვითარებაში ჩავარდა რიჩარდ ნდუბიზიც, რომლის ვარჯიშმაც „მერანში" დიდი ხალისი შეიტანა.

ოდნავ სერიოზული აღმოჩნდა ბათუმის „დინამოს" ფორვარდი უჩე უკვაკვე, რომელიც იქვე დაქორწინდა და ახლა კარიერას სიმფეროპოლის „ტავრიაში" აგრძელებს. ბოლო უცხოელი ისევ „დინამოში" და ისევ ბრაზილიელი აღმოჩნდა. დე სოუზას მოუქნელობამ ქართული ფეხბურთი გააშარჟა და ანეკდოტებიც შეიქმნა — მართლა ამერიკელი კი არ არის, მარგარიტას ბუხარში გამურული ხუტა ოდიშარიააო.

ახლა უშუალოდ საქმეზე გადავიდეთ და მოვიკვლიოთ, რა დონის ფეხბურთელები არიან „დინამოს" მიერ ამჟამად გასინჯული ბრაზილიელები. უდიდეს პატივისცემას იმსახურებს თბილისური კლუბის ხელმძღვანელთა სწრაფვა, დაიწყონ სერიოზული სელექცია. ბუნებრივია, ამ გზაზე გამოუცდელ ხალხს შეცდომაც მოუვა და ეს არც არის გასაკვირი. „დინამოს" გაძლიერება ალბათ, ამ შეცდომების გავლითაც უნდა მოხდეს. თუმცა, ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ გულწრფელ საუბრებში სამხრეთამერიკელებზე საქებარ სიტყვებს არც დინამოელები იმეტებდნენ და არც „ლოკომოტივის" წევრები. რკინიგზელები კვიპროსში ზუსტად იმ სასტუმროში ცხოვრობდნენ, რომელშიც მანამდე „დინამო" დააბინავეს. დინამოელები თბილისში რომ გამობრუნდნენ იტალიაში შეკრების განახლებამდე, ბრაზილიელები კვიპროსში დარჩნენ და დროებით „ლოკომოტივთან" ივარჯიშეს. გუნდის წევრთა თქმით, მეტ-ნაკლებად ნორმალურად მარჯვენა მცველი კარლოსი გამოიყურება, დანარჩენების დახასიათებაზე კი იცინიან. ალბათ, ამიტომაც შეიკავეს „დინამოს" თავკაცებმა თავი კონტრაქტის გაფორმებაზე.

ახლა კი მთავარ სათქმელს მივადექით: კიევის „დინამო" ყოფილ საბჭოელებში გამორჩეული კლუბია ყველა ასპექტით. რაც მთავარია, ლობანოვსკი გონივრულ სასელექციო პოლიტიკას აწარმოებს. იგი კერპთაყვანისმცემელი არ არის და ამიტომაც არ აჰყავს არც ერთი „ბრაზილიელი" მოთამაშე. მეტიც, ლობანოვსკი დროზე მიხვდა, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ფინანსური გაჭირვების გამო უამრავი ნიჭიერი მოთამაშე უცხოეთს მიეშურება. მათი ფასი კი თითქმის იგივეა (ზოგჯერ ნაკლებიც), რამდენიც ბრჭყვიალა, ხმაურიანი ბრაზილიელებისა, რომელთა კლასიც ფასზე დაბალია. ამიტომაც გადასწვდა უკრაინელთა მზერა რუმინეთს, უნგრეთს, იუგოსლავიას, საქართველოს, რუსეთს, ბელორუსიას და არც უნანიათ.

სწორედ სატრანსფერო პოლიტიკის დროული კორექტირებით აჯობეს უკრაინელებმა მუდმივ კონკურენტ „სპარტაკს". ამას უკვე რუსეთშიც აღიარებენ.

როგორც ჩანს, უკრაინელთა მაგალითის გათვალისწინებას საქართველოშიც იწყებენ. ყოველ შემთხვევაში, „კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, რომ „დინამოს" ხელმძღვანელებს აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გადაბირება სურდათ. სამწუხაროდ, მოლაპარაკება თავიდანვე ჩიხში შევიდა „მეზობელთა" გადამეტებული მადის გამო.

ქართული კლუბები სასელექციო მუშაობისთვის მეტად ნაყოფიერ თანამეგობრობის თასს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ. კიეველები კი სწორედ მოსკოვში აქტიურობენ და ამით იგებენ კიდეც. საბედნიეროდ, წლეულს ამ ფრონტზეც სიახლე შეიმჩნევა. სანდო წყაროს თქმით, ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელობას ერთი-ორი კარგი „სოიუზელი" ჯეელი შეურჩევია, რომლებთან კონტრაქტიც მალე იგეგმება. ეს პროცესი არ უნდა შეჩერდეს, თუკი ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარების პრეტენზია გაგვაჩნია. როდესაც საფრანგეთი, დიდი ქვეყანაც კი, საკუთარი რესურსებით ვერ ახერხებს ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბებას, კუდაბზიკობა არც ქართველებს მოგვიხდება.

თუმცა, სანამ „დინამო", „ტორპედო" და სხვა ამბიციური კლუბები ქვეყნის გარეთ იყურებიან, ურიგო არ იქნება, თუკი უცხოეთში მიმოფანტულ ქართველებს შენიშნავენ. მართალია, ზაზა ჯანაშია ახლა კაი მოპურმარილე თამადას უფრო ჰგავს, ვიდრე ოდესღაც „შალკესა" და „შტუტგარტის" სასურველ ფორვარდს, მაგრამ ხაზსაც ნუ გადავუსვამთ 26 წლის კაცს — ზუსტად ამ ასაკში ათამაშდნენ ბასლერი, პაპენი და ა.შ. აბა, ფორმააღდგენილ ჯანაშიაზე მეტად „დინამოს" რომელი ბრაზილიელი გააძლიერებს?!

სხვათა შორის, დაინტერესებული სელექციონერი იმავე ბრაზილიაში გაიკითხავდა ვინმე ვარლამ მანიას ასავალ-დასავალს. შარშან „სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ „მოდენას" ნახევარმცველი მანია „გრემიოში" გადავიდა. ეს ახალგაზრდა 19 წლის გახლავთ და უთქვამს საქართველოს ნაკრებში მიწვევას სიამოვნებით დავთანხმდებიო. ვნახოთ, გავსინჯოთ, იქნებ არ წავაგოთ. იქნებ მართლა თურაშაულის პატრონები ვართ და პანტისთვის ტყე-ღრე რატომ უნდა ვიხეტიალოთ. 400 ათასიც ისევ ქართველს რომ მოხმარდეს და არა გაურკვეველი კლასის უცხოელებს, არც ეს უნდა იყოს ურიგო საქმე.

***გვერდი მოამზადა ლაშა დუმბაძემ***

# „მერსედესს“ ხარისხს უწუნებენ?!



ამერიკულმა გავლენიანმა ჟურნალმა „Wall Street Journal“-მა ევროპელ ავტომფლობელთა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომობილები ბევრი მძღოლისთვის ხარისხისა და საიმედოობის სიმბოლოს აღარ წარმოადგენს. ჟურნალის ექსპერტთა დასკვნით, ეს სულაც არ არის კლიენტურის გაზრდილი გემოვნების ბრალი — ყველაფერში დამნაშავე თავად „მერსედესის“ მწარმოებელი კორპორაცია და მისი გაუარესებული ხარისხია. ჩვეულებრივ, ასეთი ხასიათის გამოკვლევებს ბაზრის შესწავლის მიზნით, თვითონ ავტოკონცერნები აფინანსებენ ხოლმე. მაგრამ შედეგები მკაცრად შიდამოხმარებისთვის არის განკუთვნილი. ამ შემთხვევაში კი ზემოაღნიშნულმა ჟურნალმა შედეგების გარკვეული ნაწილის მოპოვება და გამოქვეყნება მოახერხა. როგორც მყიდველთა გამოკითხვიდან ჩანს, ევროპელი მძღოლები „მერსედესის“ საიმედოობას და ხარისხს „ოპელზე“ არანაკლები სკეპტიციზმით უყურებენ. ცნობილია, რომ „ოპელს“ გერმანულ ავტომობილებში ყველაზე მდარე ხარისხისა და იაფფასიანი ავტომობილის იმიჯი აქვს. შედარებისთვის: გამოკითხვის მიხედვით, „მერსედესის“ მარკის ათას მანქანაზე 110 დეფექტი მოდის. მაშინ, როდესაც „ოპელთან“ ეს მაჩვენებელი 100 დეფექტს შეადგენს.

„მერსედესს“ არც ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს მთლად სახარბიელო იმიჯი: 156 ათასი ავტომფლობელის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საიმედოობის თვალსაზრისით „მერსედესის“ მარკის მანქანები მე-10 ადგილზეა (ჯერ კიდევ 2000 წელს აღნიშნულ ფირმას ამ პარამეტრში მე-6 ადგილი ეკავა). გასაკვირია რეიტინგული მონაცემებიც, სადაც „მერსედესზე“ მძღოლთა უმრავლესობას არათუ „კარგი“, არამედ შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ ეწერა. ტრადიციულად, წარმოების მაღალი ხარისხითა და საიმედოობით სახელგანთქმული გერმანული ფირმის დაბალ რეიტინგს გამართლებაც შეიძლება მოეძებნოს: გასული ორი წლის მანძილზე „მერსედესმა“ საგრძნობლად შეცვალა თავისი სტრატეგია და სერიული წარმოების გიგანტებთან ბრძოლაში ჩაება. ამ ხნის განმავლობაში ფირმის წარმადობა ერთი-ორად გაიზარდა. შესაბამისად, მოხერხდა ფასის შემცირება და გაყიდვების გაზრდაც (ერთ მლნ მანქანა წელიწადში). ბუნებრივია, ამით ფირმის შემოსავლებმაც იმატა, მაგრამ ყველაფრის პროპორციულად, გაუარესდა წარმოების ხარისხიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. აღსანიშნავია, რომ ფირმის ხელმძღვანელობა ზემოაღნიშნულ შედეგებს არ უარყოფს, თუმცა რაიმე კომენტარისგან თავს იკავებს. საინტერესოა — მოგებისა და სერიული წარმოების გაზრდის ხარჯზე, შეელევა თუ არა „მერსედესი“ ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებულ იმიჯს? — თუმცა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ალბათ, იმავე ბედის გაზიარება მოუწევს, რაც ბრიტანელ ავტოწარმოებას დაემართა.

## ახალი ჩუბჩიკა

### რჩევები ავტომოყვარულებს



...გემუდარებით, სასწრაფოდ გაჰყევი ცოლად!

## ავტოამბები

### სიახლე „ავტოვაზისგან“

როგორც გაერთიანება „ავტოვაზის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, მისი საკონსტრუქტორო ბიურო უკვე ამთავრებს ყველგანმავლის ტიპის ახალ მოდელზე მუშაობას, რომელმაც უკვე მოძველებული „ნივა“ უნდა შეცვალოს. ეს უკანასკნელი უკვე 26 წელია, რაც საავტომობილო ბაზარზე იმყოფება და ის კოსმეტიკური ცვლილებები, რაც მოდელმა ბოლო დროს განიცადა, საავტომობილო გამის განახლებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება („ნივის“ პირველი ჩვენება 1976 წელს გაიმართა).

ახალი ყველგანმავლის, „ვაზ-2124“-ის ჩვენება შესაძლებელია, უკვე მიმდინარე წლის აგვისტოში გაიმართოს. თუმცა, ისიც საგულისხმოა, რომ მიუხედავად „ვაზელთა“ დიდი მონდომებისა, ალბათ ახალი „ნივა“ წარმოების თვალსაზრისით საჩვენებელ, პირველ მოდელს ვერ გაცდება, რადგან მექანიკის მიმართულების დირექტორის, კონსტანტინე სახაროვის განცხადებით, მანქანის სერიულ წარმოებაში გაშვება, ანუ კონვეიერზე აყვანა 800 მლნ დოლარი დაჯდება.

### ამერიკაში მანქანებს აღარ მოიპარავენ?

ჩრდილოეთ ამერიკის მერილენდის შტატის ხელისუფლებმა ტრანსპორტის გატაცების წინააღმდეგ ისეთი სასტიკი ზომები მიიღეს, მხოლოდ ჩინეთი რომ შეედრება. როგორც, შტატის გუბერნატორმა, კატლინ კენედიმ განაცხადა, ამიერიდან პოლიციისთვის ავტომობილის გატაცებაზე ნებისმიერი ინფორმაციის მიმწოდებელი 10 ათასი დოლარით დასაჩუქრდება. ხოლო თავად ავტომობილის ქურდს, ან მძარცველს კი ნებისმიერ შემთხვევაში 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. აღსანიშნავია, რომ სასჯელი არანაირ შემამსუბუქებელ გარემოებებს არ ითვალისწინებს. ამერიკის ხელისუფლება ამ ნაბიჯზე იმიტომ წავიდა, რომ შეერთებულ შტატებში ავტომობილის მოპარვა ყველაზე გავრცელებულ და შემოსავლიან ბიზნესად იქცა. თავად განსაჯეთ:

როგორც აშშ-ის პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციით დასტურდება, იქ ყოველი 20 წამის განმავლობაში ერთ მანქანას იპარავენ. სტატისტიკის მიხედვით კი, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ტრანსპორტის გატაცების ფაქტები 51%-ით გახშირდა.

### „მოსკვიჩი“ ბევრად უფრო მცირე რაოდენობით იწარმოება, ვიდრე „ბენთლი“

საბჭოთა ავტომშენებლობის „მოჰიკანი“ როგორც ჩანს, უკანასკნელ დღეებს ითვლის — როგორც ქარხნის წარმომადგენელმა განაცხადა, 2001 წლის მანძილზე მან მხოლოდ 801 ავტომობილი გამოუშვა. ეს კი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე „როლს-როისის“, ან „ბენთლის“ წარმოება (ბედნიერ დროს „მოსკვიჩის“ წარმადობა წელიწადში 120 000 ავტომობილს აღწევდა). ქარხნის მომავალი ბედი უცნობია. მით უმეტეს, რომ ქარხანას „დიდმა მეგობარმა“, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა საბოლოოდ აქცია ზურგი, როდესაც უარი თქვა სპეციალურად მისთვის დამზადებული ლიმუზინით ესარგებლა.

## როდსტერი იაპონურად „HONDA S 2000“



იაპონელი ავტომწარმოებლები ტექნიკური მიღწევებით ყოველთვის გამოირჩეოდნენ — განსაკუთრებით ძრავების საკითხში. „ჰონდას“ ამჯერადაც არ უღალატია ტრადიციებისთვის და საზოგადოებას პრაქტიკულად ახალი თაობის ძრავა წარუდგინა, რომლითაც როდსტერი S 2000 იქნება აღჭურვილი. ძრავის სენსაციურობა მის ეკონომიურობაში მდგომარეობს — ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი 4-ცილინდრიანი, 2,0 ლ მოცულობის მქონე ძრავი 240 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ანუ მუშა მოცულობის თითოეული ლიტრი 120 ცხ.ძ-ს წარმოშობს. საქმე იმაში გახლავთ, რომ „ჰონდას“ კონსტრუქტორებმა ამ შემთხვევაში ის უმდიდრესი გამოცდილება გამოიყენეს, რაც მათ ფორმულა-1 ბოლიდების დამზადებაში დააგროვეს („ჰონდა“ ამ ავტორბოლებზე ძრავების ცნობილი მიმწოდებელია). VTEC (Variable Valve Timing and Lift Electronic Control) — ასე ეწოდება სისტემას, რომელიც თავის დროზე იაპონელმა კონსტრუქტორებმა ფორმულა-1-ის ბოლიდის ძრავებისთვის გამოიგონეს. მისი მოქმედების პრინციპი საკმაოდ გონივრული და მარტივია.

როდსტერი ძრავის გარდა, სხვა მრავალი კარგი თვისებითაც გამოირჩევა. მისმა კონსტრუქტორებმა უარი თქვეს ნებისმიერი სახის გასაღებზე — კარები დეკოდერის მეშვეობით იღება, ხოლო დაქოქვით კი ავტომობილი საჭის გვერდით მოთავსებული წითელი ღილაკის მეშვეობით უნდა დაქოქოთ. ლითონის ასახდელი სახურავი სულ 6 წამში იკეცება და თავსდება საბარგულში. სავარძელი ჩაჯდომისთანავე ავტომატურად ერგება მძღოლის პარამეტრებს (ამისთვის მას 8 ფიქსატორი აქვს). ავტომობილი პირველია სერიულ წარმოებაში, რომელსაც სპორტული ბოლიდებისთვის განკუთვნილი ტექაღჭურვილობა ექნება — საჭის ორმხრივი ჰიდროგამაძლიერებელი, გადაცემათა კოლოფის სინქრონიზატორი, ფოლადის საყრდენები კორპუსისთვის.

**გთხოვთ გვაცნობოთ, მართლა არსებობდა თუ არა 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში შეშაზე მომუშავე სატვირთო „პალტურკა“. გთხოვთ, მოგვითხროთ ამ ლეგენდარული ავტომობილის ისტორიის შესახებ.**

***ლაზარე ტეტუნაშვილი, ქ. გორი.***

პირველი საბჭოთა სატვირთო „გაზ AA“ მართლაც შეიძლება იმ ლეგენდარული ავტომობილების რიგს მივაკუთვნოთ, მსოფლიო ისტორიაში რომ დიდი როლი ითამაშეს. ავტომობილის ისტორია საკმაოდ შორეული წარსულიდან, 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა პროლეტარული ავტომობილის სერიული წარმოება განიზრახა და დახმარებისთვის ამერიკული კაპიტალიზმის ერთ-ერთ „მამას“ და სერიული ავტოწარმოების ფუძემდებელს, ჰენრი ფორდს მიმართა დახმარებისთვის. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, სიხარულით დაეთანხმა სტალინის წინადადებას — მის წინაშე ხომ უზარმაზარი, აუთვისებელი ბაზარი იშლებოდა მაშინ, როდესაც მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში ყოველი მეორე ავტომობილი „ფორდის“ ემბლემას ატარებდა. ამერიკელი ავტომაგნატი დათანხმდა, საბჭოთა მხარისთვის ორი მოდელის წარმოების ლიცენზია გადაეცა — მსუბუქი „ფორდი A“ და სატვირთო „ფორდ AA“. უფრო მეტიც, ჰენრი ფორდი თანახმა იყო, საწარმოო ხაზი თავისი ხარჯებით აეგო საბჭოთა კავშირში, ხოლო საბჭოთა სპეციალისტები კი ამერიკაში მოემზადებინა. თავდაპირველად ქარხნის აშენებას რამდენიმე ქალაქში ვარაუდობდნენ — მათ შორის იყო მოსკოვი, ლენინგრადი, იაროსლავლი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ ნიჟნი ნოვგოროდი აირჩია, რადგან აქ იყრიდა თავს სატრანსპორტო კვანძები და ხისა თუ ლითონის გადამამუშავებელი ქარხნებიც აქვე იყო. სტალინს დიდხანს ლოდინი არ უყვარდა — ავტომობილების წარმოება ნიჟნი ნოვგოროდში (მოგვიანებით მას გორკი დაერქვა და მანქანის სახელი „ნაზ“ „გაზ“-ად გადაკეთდა) ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღესვე დაიწყო. რა თქმა უნდა, ქარხანას ერთ დღეში ვერ ააშენებდნენ, ამიტომაც მშენებლობის პარალელურად, ამერიკიდან მზა მასალები ჩამოჰქონდათ და ნიჟნი ნოვგოროდში აწყობდნენ. აღსანიშნავია, რომ ქარხნის აგების შემდეგ საბჭოთა ავტომშენებლებმა ლითონის ფირფიტების დაშტამპვა ვერ, თუ არ აითვისეს (ტექნოლოგიის სიძვირის გამო). ამიტომაც კარგა ხანს სატვირთო მოდელები ხის კაბინით გამოდიოდა.





სახელწოდება „პალტურკა“ მისი ტვირთამწეობიდან მოდის — 1800 კგ წონის ავტომობილს 1500 კგ (ტონა-ნახევარი) ტვირთის წაღება შეეძლო. რაც შეეხება შეშაზე მომუშავე ავტომობილს, ასეთი მოდიფიკაცია მართლაც არსებობდა — „გაზ MM“ მისი კაბინის უკან სპეციალური კამერა იყო მოთავსებული, სადაც შეშის არასრული წვის შედეგად დაგროვილი გაზი ავტომობილის ძრავს ამუშავებდა.

სამამულო ომის პერიოდში მარტივმა და გამძლე „პალტურკებმა“ საბჭოთა ჯარს დიდი დახმარება გაუწიეს — ბევრ ქალაქში ამ ავტომობილის ძეგლიც კი დგას.

## ავტოამბები

### ახალი „სუზუკი“ ტიტანისგან იქნება დამზადებული

კორპორაცია „სუზუკიმ“ ჩიკაგოს ავტოსალონზე საკმაოდ უცნაური კონცეპტუალური მოდელი წარადგინა. საქმე ის არის, რომ მოდელის კორპუსი ტიტანისგან არის დამზადებული. ამის გამო, იგი შეღებილიც არ არის და ავტომობილი „შიშველი“ მეტალის ფერია. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, ტიტანისგან მხოლოდ სარეკლამო, საჩვენებელი მოდელი იქნა დამზადებული, რადგან მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, კონსტრუქცია იმდენად ძვირი ჯდება, რომ წარმოუდგენელია, თუნდაც მცირე სერიულ წარმოებაში გავიდეს.

### „დეტროიტი 2002“

ახლახან დეტროიტში ტრადიციული ავტოსალონი გაიმართა. „დეტროიტი 2002“ ძირითადად, ამერიკელებისთვის საყვარელი ტრანსპორტით — ჯიპებით, პიკაპებით და სპორტული მოდელებით იყო წარმოდგენილი. გამოფენის „აღლუმი“ კი ტრადიციულად მოქიშპე ფირმებს — „დოჯს“, „კრაისლერს“, „კადილაკს“ და „ფორდს“ მიჰყავდა. „ფორდის“ პიკაპი დიზაინითა და გაფორმებით დიდ, პლასტმასის სათამაშო მანქანას უფრო ჰგავდა, თუმცა ტექნიკური მონაცემებით ბევრ „მონსტრს“ არ ჩამოუვარდებიან. F-150-ის კაბინაში ექვსი კაცი ეტევა (პიკაპიც ასეთი უნდა...). მძღოლის ადგილს კი განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი — Commander-ის ტიპის სავარძელი ჰიდრავლიკური უზრუნველყოფით მუშაობს და ავტოკატასტროფის შემთხვევაში, მომენტალურად ახდენს მძღოლის იზოლირებას. იგი დანარჩენი სავარძლებისგან სპეციალური სექტორით არის გამოყოფილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მაგიდად იშლება. ავტომობილს საკუთარი სანავიგაციო მოწყობილობაც გააჩნია. ახალი „ფორდის“ აგრეგატებს საკმაოდ შთამბეჭდავი პარამეტრები აქვს — V8 ტიპის, 6.0 ლ მოცულობის ძრავი დიზელზე მუშაობს.



### მეუღლის დასმენისთვის 700$-ით აჯილდოებენ...

ახლახან დიდ ბრიტანეთში სიმთვრალის წინააღმდეგ საკმაოდ უცნაური წესები მიიღეს — ადამიანი, რომელიც თანამოქალაქეს მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის დაასმენს, 500 ფუნტი სტერლინგით (დაახ.700$) დასაჩუქრდება. ამასთან, დამსმენის ვინაობაც ანონიმური დარჩება. როგორც ინგლისის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დამრღვევებს ძირითადად მეზობლები და ზოგიერთ შემთხვევაში, მეუღლეებიც კი ასმენენ.

## რად გინდა ღლამინი ლენტი?



სვაზილენდის პრინცესა დლამინი საკუთარი მაგალითით ურჩევს თანატოლებს გათხოვებამდე უმანკოების შენახვას.

სვაზილენდის მეფის მსვატი III-ის უფროსი ქალიშვილი 14 წლისაა და ინგლისში ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, მამის წამოწყებულ კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. მეფის გადაწყვეტილებით, ყველა სვაზილენდელმა ქალიშვილმა 23 წლამდე უმანკოება უნდა დაიცვას და ამის ნიშნად თავზე ლენტი გადაიკრას. პრინცესა სამშობლოში თმაში ჩაწნული ყვითელ-ლურჯი ლენტით გამოჩნდა. სვაზილენდელი ქალიშვილები, რომლებიც არც ისე კმაყოფილნი არიან მეფის ბრძანებულებით, აბუზღუნდნენ: ჩვენთან ლენტით დაბრძანდება, ევროპაში კი ვინ იცის, იკეთებს თუ არა ლენტსო. რომც გაიკეთოს, ევროპელმა ჭაბუკებმა საეჭვოა იცოდნენ, რომ ნორჩი პრინცესას თმაში ჩაწნული ლენტი სექსზე უარის თქმას ნიშნავს.

*ეხო პლანეტი №1*

## ამერიკის პრეზიდენტსაც დასცინიან...



...ყველაფერში დამნაშავე „პრეთზელია“ — სწორედ მისი ჭამის დროს შეემთხვა პრეზიდენტ ბუშს „პატარა უსიამოვნება“ — სავარძლიდან გადმოვარდა. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მსოფლიოს პირველად მიეცა შესაძლებლობა ბუში დაცინვის საგნად ექცია. თვითონ პრეზიდენტიც ხალისით შეუერთდა „საერთო მხიარულებას“ და სამხედროების წინაშე გამოსვლისას ჯარისკაცებს „პრეთზელების“ (მშრალი ნამცხვარი) ქაღალდის პაკეტი უჩვენა, თანაც ხუმრობით გააფრთხილა: „ეს ძალზე სახიფათო სასუსნავია, ამიტომ საგულდაგულოდ დაღეჭეთ ხოლმე“. ბრიტანულმა „ინდეფენდენსმა“ პირველ გვერდზე, მსხვილი შრიფტით დაბეჭდა დამცინავი სტატია სათაურით: „სამხედრო ტრიბუნალმა თალიბები ან ალქაედელები კი არა, „პრეთზელის“ მწარმოებლები უნდა გაასამართლოს“. შოტლანდიურმა „ედინბურგ დეილიმ“ კი ბუშის მარცხი უცხოეთის დაზვერვას დააბრალა და ირონიულად აღნიშნა: „ცენტრალური სადაზვერვო სამართველო ამუშავებს ვერსიას, რომლის მიხედვითაც „პრეთზელი“, რომელიც ბუშს გადასცდა, სინამდვილეში ამერიკისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს „პრეთზელად“ გადაცმული ჯაშუში იყო“. მექსიკის ტელევიზიით კი განუწყვეტლივ აჩვენებენ მულტფილმს, სადაც უსამა ბინ ლადენს ბომბდამშენში მჯდომი პრეზიდენტი ბუში სწორედ „პრეთზელებით“ ბომბავს. საერთო მხიარულებას არც ლონდონის, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი ჩამორჩა. აქ ბუშის ცვილის ფიგურას ხელში „პრეთზელების“ შეკვრა დააჭერინეს, ხოლო სახეზე სავარძლიდან გადმოვარდნის ნაკვალევიც დააჩნიეს. ამ ისტორიით ყველაზე მეტი სარგებელი „პრეთზელის“ მწარმოებელმა ნახა. მის ნაწარმზე მოთხოვნილება არნახულად გაიზარდა — ხუმრობა ხომ არ არის — „პრეთზელს“ წინ თვით ამერიკის პრეზიდენტიც კი ვერ აღუდგა.

*ნიუზუიქი*

## ვის უნდა გაყინვა კომფორტულად?



კვებეკელებმა (კანადის პროვინცია) ჩრდილოეთ ევროპელებს მიბაძეს და გახსნეს სასტუმრო, რომელიც 11.000 ტ ყინულისა და 350 ტ თოვლისგან აშენდა. ამ უნიკალურ ნაგებობაში (სანამ გადნება, იგი იმუშავებს) 31 ნომერია. გარდა ამისა, 3000 კვმ-იან ფართობზე განთავსებულია ორი სამხატვრო გალერეა, კინოთეატრი, ბავშვთა გასართობი მოედანი, სამლოცველო და ბარი.

ნოემბერში მუდმივად ინარჩუნებენ ტემპერატურას — 2-5$^0$-ს. გარეთ რომ -35$^0$ იყოს, სასტუმროს მიკროკლიმატი არ შეიცვლება. საწოლები ყინულისაა, რომელზეც ხის ფართო კარკასია დადგმული ლეიბითურთ, ლეიბზე კი ირმის ტყავია დაგებული. სრული კომფორტისთვის საძილე ტომრებსაც იყენებენ.

დღე-ღამე ყინულის ოტელში 200 კანადური დოლარი ღირს.

*ეხო პლანეტი №4*

## სიმდიდრე — უბედური გამოცდა



მართალი უთქვამთ, სიმდიდრეს ბედნიერება არ მოაქვსო. ლატარიაში შემთხვევით მოგებულმა უზარმაზარმა თანხამ — 1,8 მლნ გირვანქა სტერლინგმა ვერაფერი შემატა ქუჩის მაწანწალას, ვინმე ფილ ქითჩენს. მხოლოდ ამ თანხის პროცენტებით რომ ეცხოვრა, ჩიტის რძე არ მოაკლდებოდა, მაგრამ ფილმა თავისი მილიონები სამ წელსაც ვერ შეირგო. მან ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ სიცოცხლე მოესწრაფებინა. ლოთი და მილიონერი თავის მე-17 საუკუნის დროინდელ ციხესიმაგრეში უგონოდ გაილეშა და მიაბარა კიდეც სული უფალს. რა აღარ ჰქონდა ახალგამოჩეკილ მილიონერს — ძვირად ღირებული მანქანები, პირადი ავტოპარკი, აუზი, ჩოგბურთის კორტი, მაგრამ რად გინდა — სამი წლის მანძილზე ერთხელად არ გამოსულა ციხესიმაგრიდან, დღედაღამ ლოთობდა — დღეში ორ ბოთლ ვისკის სვამდა. ძველმა ძმაკაცებმა ზურგი აქციეს, განსაკუთრებით ლატაკმა ბობმა, რომელსაც ლატარიისთვის ფული უსესხებია ძმაკაცისათვის და დიდხანს ამაოდ ელოდა თურმე ვალს. კეთილად მილიონერს ალბათ ის 23 საქველმოქმედო ორგანიზაცია თუ მოიხსენიებს, რომლებსაც ფილ ქითჩენმა ქონება უანდერძა.

*ეხო პლანეტი №4*

## ჩიტის მოტანილი ამბები

**ვალის ნაცვლად — ქალიშვილი.** კენიის საპორტო ქალაქ კილიფიში ორი ადგილობრივი მკვიდრი დააპატიმრეს და სამი წლით ციხეში მიაბრძანეს.

ვინმე კენგა ნგომბოს ნაცნობისგან 6 000 კენიური შილინგი (დაახლოებით 80 დოლარი) უსესხებია. ვალის გასტუმრების დრო რომ მოვიდა, მოვალემ მევალეს ფულის ნაცვლად, საკუთარი 10 წლის ქალიშვილი შესთავაზა ცოლად. ხანდაზმულ კენიელს სიხარულით მიუღია წინადადება და საღამოს სასიდედროს მიუგვრია კიდეც გოგონა კრედიტორი სიძისათვის. განგაში სკოლის მასწავლებელს აუტეხია — პოლიციისათვის მიუმართავს. როცა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა — კრედიტორი და მისი მოვალეც ძალზე გაოცებულები ყოფილან — ვერაფრით გაეგოთ, რა დააშავეს ასეთი — „ურთიერთთან ანგარიშსწორება“ პირიანად მოვახდინეთ და ციხეში რაღაზე უნდა ჩავსხდეთო.

**ტანსაცმელი საკუთარი თმისაგან.** კაიროელი სალმა ალ კერდანი 64 წლისაა და ხელსაქმის დიდი ოსტატია. ტანსაცმელს საკუთარი თმისგან „იკერავს“ — უკვე აქვს პალტო, ჟილეტი და საუცხოო შალი. ახლახან მის კოლექციას ლამაზი საფულეც შეემატა.

სალმამ უნიკალური გარდერობის შექმნა 17 წლისამ დაიწყო, მაშინ, როცა დედამ აუკრძალა უმშვენიერესი წაბლისფერი თმის გაზრდა — აქაოდა, ახალგაზრდა ყმაწვილების ყურადღება არ მიიქციოო. ამიტომ სალმამ თმის გადაყრას, მისი რაციონალურად გამოყენება ამჯობინა — როგორც კი თმა მოეზრდებოდა, იჭრიდა და ტანსაცმელს იკერავ-იქსოვდა.

**ჟურნალისტი სექსუალური არ უნდა იყოსო** — გადაწყვიტა ტელეკომპანია სი-ენ-ენმა და ეთერში მიმომხილველ პოლაზანის სარეკლამო რგოლის გაშვება აკრძალა.

პოლაზანი ცოტა ხნის წინ გადავიდა ტელეარხ „ფოქს ნიუსიდან“ სი-ენ-ენში.

რგოლში ნათქვამია: „კიდევ სად იპოვით ასეთ მიმომხილველს — პროვოკაციულს, სუპერგონიერს და ოდნავ სექსუალურსაც?“ ამასთან, ნაჩვენებია, როგორ ეხსნება კაბაზე ჟურნალისტ ქალს ელვა. გაუგონარი სკანდალი გამოიწვია სარეკლამო რგოლმა. ტელეარხის ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეცდომა აღიარეს, მაყურებელსა და პოლაზანს მოუბოდიშეს.

*უცხოური პრესის მიხედვით*

## ვენეციაში წამსვლელებისთვის —

### წყალქვეშა გონდოლებით გასეირნება გელით...



ვენეცია დიდი ხანია გასაჭირშია — მოსახლეობა განუწყვეტლივ მატულობს, შენობები იბზარება და ინგრევა, თვითონ ქალაქი კი ნელნელა ზღვაში იძირება.

ქალაქის გადარჩენას ცდილობს ქალაქის მერი პაოლო კოსტა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ქალაქის გასწვრივ, ზღვის ფსკერზე ახალი დამბები იგება. ამიერიდან ვენეციაში, ქუჩები და მოედნები აღარ დაიტბორება.

კოსტას ახალი იდეაც აქვს — ვენეციის არხებს, რომლებშიც ნაირფერი გონდოლები და ნავები დასრიალებენ, რეკონსტრუქცია უნდა გაუკეთდეს.

ამ მიზნით არხებს სპეციალური ჩამკეტი დამბებით დააშრობენ და საუკუნეების მანძილზე დაგროვილი შლამის, ქვიშისა და ნაგვისაგან გაასუფთავებენ.

მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება კოსტა — მან ქალაქს ფანტასტიკასთან მიახლოებული პროექტი შესთავაზა — გასუფთავებულ არხებში ბეტონის უზარმაზარი მილები ჩავდოთ (რომლებიც შემდეგ წყლით დაიფარება და გონდოლებიც ჩვეულებრივ ივლიან) და ვენეციას საკუთარი მეტრო ექნებაო.

თავდაპირველად, ბევრი სკეპტიკურად შეხვდა ამ იდეას. თუმცა მშენებელთა დასკვნამ პროექტი სავსებით რეალური და იოლად შესასრულებელიაო, სკეპტიკოსებს აზრი შეაცვლევინა. მით უფრო, რომ მეტროთი შესაძლებელი გახდება ათასობით ადამიანის გადაყვანა და ქუჩების განტვირთვა.

ექსპერტთა შეფასებით, ვენეციური მეტრო საათში 2000-ზე მეტ ადამიანს გადაიყვანს. თვით ყველაზე თავგამოდებული სკეპტიკოსებიც კი ხოტბა-დიდებას ასხამენ ვენეციის გადამრჩენ პაოლო კოსტას.

საინტერესოა ისიც, რომ კოსტას ჩანაფიქრით, მეტროს ვაგონებიც „ვენეციური“ იქნება — ღია, სხვადასხვა ფერის და გონდოლის ფორმისა. გამორიცხული არ არის, სულ ორიოდე წელიწადში ვენეციის სტუმარს ასეთი კითხვა დაუსვან: „რომელი გონდოლით ინებებთ მგზავრობას — წყალზედა თუ წყალქვეშათი?“

*ნიუზუიქი*

## ყოჩაღი ბებიები

ლოს-ანჯელესის გარეუბანში პოლიციამ კოკაინით მოვაჭრე მეტად უცნაური ბანდა დაიჭირა. პუშეგების — „ბალახის“, ცალობით მოვაჭრეების როლს ასრულებდნენ ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გოგო-ბიჭები. დილერებად, რომლებიც მექსიკაში დადიოდნენ ფხვნილისთვის და საქონელსაც ინახავდნენ, ახალგაზრდული ბანდის სამი წევრის ბებიები „მუშაობდნენ“.

აბა, რას იფიქრებდნენ ამერიკელი მესაზღვრეები და მებაჟეები, თუ ეს სამი უწყინარი ტურისტი-ბებია ავტომობილებში ჩამონტაჟებული სამალავით ნარკოტიკებს დაატარებდა წინ და უკან, თან მომხიბლავად ულიმოდა სახელმწიფოს უშიშროების დარაჯებს.

ბებიების ჩამოტანილ საქონელს შვილიშვილები თანატოლებში ავრცელებდნენ.

როცა მომგებიანი ბიზნესი შეაწყვეტინეს, ნარკოდილერებმა აღიარეს, — თავად შევთავაზეთ შვილიშვილებს ნარკობიზნესში დახმარებაო.

— ახალგაზრდები თავქარიანები არიან, — განაცხადეს ბებიებმა, — გაცილებით მშვიდად ვიყავით, როცა ბიზნესის ყველაზე სახიფათო ნაწილი — საქონლის ჩამოტანა — საკუთარ თავზე ავიღეთ.

ყოჩაღი ბებიები ახლაც ახალგაზრდულ გარემოში იქნებიან — 5-10 წლით უმცროს კოლეგებთან გამოამწყვდევენ. შვილიშვილებს კი გამასწორებელ დაწესებულებაში მოათავსებენ.

*ინტერპოლ-ექსპრესი №2*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში, გამუქებულ უჯრებში ფრიდრიხ შელინგის ფრაზას ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | თ | ქ | ვ | ე | ნ | ი | გ | ა | ზ | ე | თ | ი | ა |
| ა | ა | | ა | რ | ჩ | ი | ლ | ე | ი | ა | ი | ა | ა | ი | რ | ი | ს | დ | ი | ი | ა | ა | ნ | ა | თ |

**კ.** ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი; **ვ.** იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი; **ი.** ერთი ქულა ნარდში; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ი.** მეცნიერება, რომელიც სწავლობს საზოგადოების განვითარებას; **ს.** ქარიშხალი, რომელიც აჩენს 800-1500 მეტრის სიმაღლის მტვერის (ხმელეთზე) ან წყლის (ზღვაზე) სვეტს; **პ.** დათა თუთაშხიას მარჯვენა ხელი ციხეში; **ა.** კურორტი თურქეთში; **ლ.** ქალაქი გერმანიაში; **ი.** მონღოლთა საცხოვრებელი კარავი; **ტ.** ვრცელი მინდორი; **რ.** რომელი სპორტული სახეობის ტერმინია „მარაო“; **ა.** მთა სომხეთში; **თ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას მეგობარს, რომელსაც ხლისტებმა თვალი გამოსთხარეს; **ქ.** თევზის კვერცხების ერთობლიობა; **ვ.** ბერძნული აფროდიტეს რომაული ვარიანტი; **ე.** სასიძოს როლის შემსრულებელი მსახიობი ფილმში „კავკასიელი ტყვე ქალი“; **ნ.** მდინარე ეგვიპტეში; **ი.** ქართული შეჯიბრი ცხენოსნობაში; **გ.** საჭადრაკო ტერმინი; **ა.** სიყვარულის ძველი რომაული ღვთაება; **ზ.** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ე.** საზოგადოების ზედა ფენა; **თ.** მეტსახელი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ა.** რა ერქვა თხას, რომელმაც თავისი რძით გამოკვება ყრმა ზევსი (რძის პროდუქტების მწარმოებელი, ამავე სახელწოდების ფირმა არსებობს თბილისში).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გუცაევი; **ა.** ანხელი; **მ.** მროველი; **ო.** ოსვალდო; **ი.** იორკი; **წ.** წვერა; **ე.** ემბაზი; **რ.** რეალი; **ე.** ეპარქია; **თ.** თერგი; **კ.** კაიზერი; **ვ.** ვასალი; **ი.** იაზონი; **რ.** რეესტრი; **ი.** იაშინი; **ს.** სათუთი; **პ.** პრაღა; **ა.** ანგინა; **ლ.** ლეონიძე; **ი.** იუნგა; **ტ.** ტრეკი; **რ.** რობერტი; **ა.** ავაზაკი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ცხოვრება არის ზეშთაგონება.**

CMYK

## №5 (279) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 676 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 249 ქალმა და 420-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად ვის უწინასწარმეტყველებთ კვლავ აქტიურ მოღვაწეობას ქართულ პოლიტიკაში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს — ზურაბ ჟვანიას უწინასწარმეტყველებს. რესპონდენტთა 76-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა, მინიმალური კი მხოლოდ 1-მა მიაკუთვნა. **8,47** საშუალო ქულით ზურაბ ჟვანია პირველ ადგილზეა. ასეთი შედეგი სავსებით მოსალოდნელი იყო. აქ ჩამოთვლილ პერსონათა შორის ზურაბ ჟვანია, შეიძლება ითქვას, ყველაზე აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა და ამდენად, მკითხველს წარმოუდგენლად მიაჩნია მისი პასიურობა.

შემდეგ ადგილზე საგადასახადო შემოსავლების ექსმინისტრი — მიხეილ მაჭავარიანია საშუალო ქულით 7,29. უნდა აღინიშნოს, რომ მაჭავარიანი ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულების (0,45) მფლობელია.

გია არსენიშვილი 6,08 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

როგორც ჩანს, მკითხველებს ეჭვი ეპარებათ ყოფილი ძალოვნების — კახა თარგამაძის, ვახტანგ ქუთათელაძისა და სოსო ალავიძის კვლავ აქტიურ მოღვაწეობაში. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (41) თბილისის პოლიციის ექსშეფს ხვდა წილად.

სოსო ალავიძეც და ვახტანგ ქუთათელაძეც მხოლოდ ორ-ორმა მკითხველმა (0,30) შეაფასა მაქსიმალური — 9 ქულით.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი, 42 წლის **გელა წინამძღვრიშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 თებერვალს, 17 საათზე.

## №6 (280) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№6 (280) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 13 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 თებერვლის 13 საათამდე.** © თბილისი

**თემა №6 (280) — სკანდალური პოლიტიკოსი**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე სკანდალური პოლიტიკოსი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№6(280) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 2 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 3 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 4 | ჯონდი ბაღათურია | |
| 5 | მამუკა გიორგაძე | |
| 6 | შალვა ნათელაშვილი | |
| 7 | ლევან გაჩეჩილაძე | |
| 8 | გიორგი ბარამიძე | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, შარშანდელთან შედარებით საქართველოში კორუფციის დონე —**

| გაიზარდა | შემცირდა | დარჩა იგივე | არ ვიცი |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**დაასახელეთ თქვენი საყვარელი თანამედროვე მსახიობი მსოფლიოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჯულია რობერთსი | 13,3% |
| 2. | რობერტ დე ნირო | 6,0% |
| 3. | რამაზ ჩხიკვაძე | 4,0% |
| 4-5. | მელ გიბსონი | 3,6% |
| 4-5. | ალ პაჩინო | 3,6% |
| 6. | გივი ბერიკაშვილი | 3,1% |
| 7. | სოფი ლორენი | 2,8% |
| 8. | ტომ კრუზი | 2,3% |
| 9-11. | ნიკოლ კიდმანი | 2,1% |
| 9-11. | ოთარ მეღვინეთუხუცესი | 2,1% |
| 9-11. | რიჩარდ გირი | 2,1% |



ქალი რესპონდენტებისათვის საყვარელი მსახიობების პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. ჯულია რობერთსი; 2. რობერტ დე ნირო; 3. კევინ კოსტნერი. მამაკაცებთან — 1. ჯულია რობერთსი; 2. რობერტ დე ნირო; მესამე-მეოთხე ადგილებს მათთან მელ გიბსონი და ალ პაჩინო იყოფენ.

*მკითხველის რეიტინგში 618-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



**ვლადიმირ პუტინი**

**მ.ს.** — მე ვხედავ საქართველოს მომავალს!
**ა.ა.** — გეშლება, საქართველოს მომავალი იქით კი არა, აქეთაა.
***უცნობი***

თანამედროვე რევოლუციონერები: პავლიკ კორჩაგინი და ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი).
***ლაშა კუპატაძე, თბილისი***

**ა.ა.** — ნეტავ, ვის აირჩევს ხალხი მომავალში პრეზიდენტად?
**მ.ს.** — ვისაც ყველაზე ნაკლები ნათესავები ეყოლება, რათა მათი გამდიდრება ნაკლები დაუჯდეთ.
***მურმან გიგანი, ზესხო***

**ა.ა.** — მიშა, მოედანს ზურგი რატომ შეაქციე? გეწყინა ჰოლანდიელებმა რომ წააგეს?
**მ.ს.** — პირიქით, გამეხარდა, მაგრამ ქვევით ჩემი ცოლის ნათესავები არიან და არ მინდა შემამჩნიონ, ეწყინებათ.
***დათო, ძეგვი***

**ა.ა.** — ბიჭო! ქვეყანა წყობილებიდან გამოიყვანე და ახლა იცინი?!
**მ.ს.** — ჯერ სადა ხარ, მალე, სულ მალე ვიხარხარებ კიდეც...
***მარიამ მთიულიშვილი, გორი***

**ა.ა.** — ვიჭიდაოთ პრეზიდენტის სავარძლისთვის?!
**მ.ს.** — შენ ჩემს წონაში არა ხარ, მამუკა გიორგაძეს ეჭიდავე.
***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***



**მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 134 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**მ.ს.** — კაკო! ისედაც „შატალისტთა“ სიაში ხარ და კიდევ გამოიპარე სესიიდან?!
**ა.ა.** — აბა, თქვენ ყურებას რაგბის ყურება არ ჯობია, ბიჭო?!
***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

**ა.ა.** — ნახე, მიშა, „უცნობი“ კლიპს იღებს ვაგონში.
**მ.ს.** — შენ რატომ არ გიღებენ?
**ა.ა.** — ვაგონში ვერ შევეტიე.
***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

მიტინგზე:
**მ.ს.** — რას შვრება „ამბროსიჩი“, ახლაც არ გაჰყავს სამშვიდობო ძალები?!
**ა.ა.** — არც გაჰყავს და არც ტოვებს.
**მ.ს.** — ეგ როგორ?
**ა.ა.** — იმდენჯერ გადათქვა-გადმოთქვა, რომ დაბნეულია და აღარ ახსოვს, პირველად რომელი თქვა.
***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ა.ა.** — თუკი ჩვენ ვართ პარლამენტში,
ლელოების ვერ გამტანი,
ვითამაშოთ კლოდ სორელთან
მორკინალის კი გვაქვს ტანი.
ბაბუს გუნდში ვერ გავქაჩავთ,
მწვრთნელიც არის, კაპიტანიც,
ბომბარდიროობს — თავის კარში
იმდენი აქვს განატანი.
***რუსლან შარია, სოხუმი***

**ა.ა.** — ის კაცი მინისტრი არ იყო? რისთვის მოხსნეს თუ იცი?
**მ.ს.** — ქრთამი მისცეს და იმიტომ, მაგრამ ახლა ისევ მინისტრია.
**ა.ა.** — როგორ, კაცო?!
**მ.ს.** — ქრთამი მისცა...
***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ა.ა.** — თუ რა სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ ხალხის საკეთილდღეოდ, ამას გვიჩვენებს გაშლილი ხუთი თითის კომბინაცია, გაშლილი ცერი...
**მ.ს.** — კარგი რა, კაკო, რა შენი საქმეა სტრატეგია და რევოლუცია. შენ შენს ტრადიციებს მიხედე: სმაჭამა, ქეიფი, ქალები...
***ბადრი კობახიძე, რუსთავი***

## ფოტო განწყობისთვის



— ნეტავ ამ ვალენ-ტინობის ლოიკაც დაიგვიანებს?!.




## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე –* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტასა და დედოფლისწყაროში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ჟინვალსა და დუშეთში –* ***თვის III კვირის ოთშაბათს.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### ⑥ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№6 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 14 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

### თურმე...

**ც**ხვირის დაცემინება გახელილი თვალებით არც შეიძლება და ვერც შეძლებთ.

**ლ**ას-ვეგასის არც ერთ კაზინოს ფანჯარა არ აქვს.

**პ**აგონოფობია წვერების შიშია, ხოლო პარტენოფობია — ქალწულობის დაკარგვის...

* * *



მეტროში შესული ბიჭი:

— დამეხმარეთ, თუ შეიძლება, ვისაც რამდენი შეგიძლიათ. ჩვენს ოჯახში ყველას ძალიან უჭირს: მამას, დედას, მებაღეს, მძღოლს, მზარეულს... დამეხმარეთ, თუ შეიძლება...

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

— წარმოგიდგენია, ჩვენი ინსპექტორები მთლად გათავხედდნენ! გაჩერებენ ნებისმიერი მიზეზის გარეშეც...

— რას ამბობ?

— გუშინ გამაჩერეს და შემომედავნენ, რატომ ხარ უმანქანოდო!..



* * *



მშობლები ძალით მიათრევენ პირველკლასელ ბიჭს სკოლაში. ის საშინელ წინააღმდეგობას უწევს, თან გაჰყვირის:

— თერთმეტი წელი!!! რისთვის!!! ასეთი რა დავაშავე?!


ფირმა „ბერმუხა“

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა ღუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.